18

ლიტერატურა და ხელოვნება

N8
8/2008

1522
2008

მხატვრული
მზია ხალვაში

ლიტერატურული მცდელობა
ტიციან ტაბიძე

ესეი
ნანა ფითელაშვილი

ესეი
ეკა ბაქრაძე

ლექსები
დენი დიდრო

პოემა
ენრიკო ჯანელიძე

მზია ხალვაში

ლიტერატურა და ხელოვნება

N8(32)

8/2008

ISSN 1512-3189

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

მზია ხალვაში

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge

ნომრის ნაწილობრივი სპონსორია



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

სარჩევი

ესეები, ესეები

3 ნანა ნითელაშვილი - თეთრი ეკლესია გზაზე
8 ეკა ბაქრაძე - ლექსები
11 ნიკოლოზ ლეჟავა - პატარა ადამიანი
23 გიზო თავაძე - ლექსები
25 დიმიტრი ლობჟანიძე - ღამე გარეჯის უდაბნოში
35 ვასილ ბოსტაშვილი - ლექსები

ოსტატები

37 ლენი ლიდრო - მონაზონი
/თარგმნა დავით ჯახაბერმა/

ზეპირეული

48 ლეილა მესხი - გულო ჯობიაშვილის ნოველები
52 ნოდარ მანიძე - იყალთოელი
/ჯარო არსენაშვილი/

ნოველისტური მასალები

56 ტიკიან ტაბიძე - ტიკიან ტაბიძის
უცნობი ნაშრომები

მუსიკა

62 ზურაბ გომაძე - ყველგან მაინც თბილისელი ვიყავი
/ენრიკო ჯანელიძე/

ლიტერატურული ოსტატი

67 გელიკო მამულაშვილი - დეკვიშთა მისტიკური ჰოჯვა
და დეკვიშიზმი ირანში

ფოტოალბომი

73 თამარ მახარაძე - ქალებო, ვთქვათ ნადეჟი!

მხატვრობა

76 ქეთევან ტომარაძე - სიტეთის მხატვარი
80 ქეთი ჯიშიაშვილი - დიალოგი ბუნებასთან
/მზია ხალვაში/

„რიგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანასა ზედა!"

რაფიელ ერისთავი

საკითხავად საჩინო სიტყვა:

ფასია ძვირფასი, ფასია ბრეგვაძე, ნანი ბრეგვაძე,

მერაბ ბერძენიშვილი, ანაგა ბერიტაშვილი, მაყვალა გოგუაშვილი,

ნათელა ურუშაძე, ჯანსუღ ჩანტლაძე, თემურ ჩხეიძე,

თამაზ ჩხენკელი, გიგი ჭრელაშვილი.

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება" არც ერთ
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება

ნანა ჩიტაიშვილი

თეთრი ეკლესია ბზაზე

„— როცა მოკვდები, ძეგლს დაგიდგამ, ბებო.

— როგორ ძეგლს, ბები?..

— შენ როგორიც გინდა, ისეთს.

— შენი ხელებით მოზილე, ბებიკო, თიხა, შენი პატარა ხელებით და რაც გინდა, ის იყოს“...

.....

ვაი, რომ, ხეირიანად, ერთი წერილიც ვერ მოგწერე, ბები.

.....

მატარებლის საფეხურზე შემდგარმა უკან გამოხედა სივრცეს.

გაღმა გაშლილი ველი ჩანდა, უსასრულო.

გამოღმა აგურის ქარხანა ბოლავდა. გზაზე დაგვიანებული მგზავრები მორბოდნენ.

შორს მტკვარზე გადებული ხიდი მოჩანდა თეთრად.

უფრო შორს, სოფლისაკენ მიმავალი შარა და იმ შარაგზაზე რაღაც გაურკვეველი მოძრავი წერტილები.

კიდევ უფრო შორს სოფელი იყო.

მაკას უყვარდა სოფელი.

უცნაური გოგო იყო. დიდი სიყვარული ყოველთვის ცრემლებს ჰგვრიდა. ის კი არა, ბავშვობაში, როდესაც ეფერებოდნენ, მაშინაც ტიროდა.

მატარებლის გამცილებელმა ჩაიარა და წყნარი ხმით შეახსენა:

— ვაგონში ამოდით, ქალიშვილო.

— კიო, — თავისთვის თქვა მაკამ ისე, რომ არც შეუხედავს გამცილებლისათვის.

სადგურზე ზარი ჩამოჰკრეს.

მაკა ვაგონში შევიდა. იქვე ჩამოჯდა, ფანჯრის გვერდით. მატარებელი ნელა დაიძრა. ფანჯრიდან მოჩანდა ძველისძველი ეკლესია. ბავშვობაში, როცა სოფელში მიჰყავდათ, ამ ძველი ეკლესიის თეთრი გუმბათით ცნობდა სოფელს. სოფელს ძალიან ლამაზი სახელი ჰქონდა — მეტეხი.

— როდის ჩავალთ, ბებო?

— როცა თეთრი ეკლესია გამოჩნდება, ბებიკო.

მატარებელმა სვლას უმატა.

უკან რჩებოდა ძველისძველი თეთრი ტაძარი და იქ, სადღაც, მწვანეში ჩაფლული სახლი.

მატარებელმა უმატა სიჩქარეს.

ადგილი შეიცვალა. მოეჩვენა, რომ ძალიან წინ იჯდა. მიტომაც ქრებოდნენ ასე სწრაფად ნაცნობი ადგილები.

თითქოს ხელი ჩაეჭიდათ მწვანეში ჩაძირულ სახლს, თეთრ ტაძარს, მტკვარზე გადებულ ხიდს, მაკასთვის ნაცნობ საყვარელ სახეებს. გამორბოდნენ უსასრულო ველზე და მოჰკიოდნენ: “დარჩი, არ წახვიდეო!“.

მაკა გრძელ ვაგონში გარბოდა, აწყდებოდა ფანჯრებს, ქრებოდნენ ნაცნობი საგნები.

ბოლოს გასაქცევიც აღარსად იყო.

აღარ ჩანდა თეთრი გუმბათი, არც გუმანით შეგრძნებული ოდა სახლი.

შორს მოჩანდა წითელი შუქნიშანი. მერე ისიც გაქრა.

მატარებელი მიჰქროდა, თითქოს ვიღაცას გაჰქცეოდა. უცვეთელი რკინის ბორბლები ითვლიდნენ ცხოვრებას. წარსულს ბარდებოდა ყველაფერი, რაც ასე ძვირფასი ყოფილა, თურმე.

გრძნობდა, რაღაც უჩვეულო ხდებოდა, თუ უკვე მოხდა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც გაიხსენა კიდეც და ცრემლი მოაწვა.

ვერაფერს შეადარა და დაქანცული ისე, როგორც ბავშვობაში, ატირდა. თვალებზე სათვალე ჩამოიფარა და ატირდა.

სადგურზე არავის გამოუცილებია.

მარტოდ, დღეს პირველად თავის მახსოვრობაში, მარტო ჩამოვიდა სადგურზე.

ადრე, აიყრებოდა ოჯახი. შეკრავდნენ ბარგს. მაკას სამგზავროდ გაამზადებდნენ და თოჯინასავით გამოწყობილს ერთ ადგილზე ჯდომას უბრძანებდნენ.

მაკა იჯდა აივანზე და უყურებდა, როგორ დარბოდნენ უფროსები.

ბებია? ბებია ამზადებდა საგზალს. ბებია აცხობდა ხაჭაპურებს. ბებია დარბოდა ზევიდან ქვევით და ეძებდა, კიდევ რა გაეტანებინა შვილებისათვის.

პაპა? პაპა ლადა პაპას ურემს მოიყვანდა და ბარგს ზედ შეაწყობდა. მაკას კოფოზე, ლადა პაპას გვერდით დასვამდნენ და დაიძრებოდა ოჯახი. უფროსები ნელა გამოუყვებოდნენ გზას.

როგორ უხაროდა მაკას.

ჩამოივლიდნენ სოფელს, სოფლის ბავშვები დაედევნებოდნენ და მოსძახოდნენ.

— მიდიხარ, მაკა?

— ჰო, მივდივარ.

— კიდევ როდის ჩამოხვალ?

— გაისად.

სოფლის ბოლოს დაღმართი იწყებოდა.

მაკას ჩამოსმას დაუპირებდნენ. მაკა გაძალიანდებოდა და მაშინ პაპა ეტყოდა ბებიას:

— ადი, მათიკო, ბავშვი კალთაში ჩაიჯინე, არ გადმოვარდესო.

ამოვიდოდა ბებია.

ახლა, იხსენებდა მაკა, ახლა ცდილობდა გაეხსენებინა, როგორ ეფერებოდა ბებია და გული წყდებოდა, რომ მაშინ ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ხიდს რომ გადაივლიდნენ, სადგური გამოჩნდებოდა თუ არა, ბებია ატირდებოდა. უკვირდა მაკას, თვალდაჭყეტილი შეჰყურებდა ბებიას, როგორ ახერხებდა ბებია ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე მისვლისას ატირებას.

მერე მატარებლის ვაგონიდან ჩანდნენ ისინი — ვანო პაპა და მართა ბებო, და მაკა როგორ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ერთ-ერთ მათგანს დაინახავდა მარტოდ.

დღეს პირველად, თავის მახსოვრობაში, მარტოდ ჩამოვიდა მაკა სადგურზე.

ლადა პაპას ბიჭმა მანქანა გააჩერა და მაკას ამოსძახა: "ჩქარა წამოდი, თუ მოდიხარო".

მანქანაში ჩაჯდომისას უკან მოიხედა მაკამ. ეზოში ვანო პაპა იჯდა მარტოდ. ხალხი ირეოდა. პაპასთვის არავის ეცალა. არასოდეს, არასოდეს ასე მარტო არ ყოფილა პაპა. მაკა დაბრუნდა და პაპას მკერდში ჩაეკრა. სურდა რაიმე ეთქვა. შეეშინდა, არ ავტირდეო, პაპამ შუბლზე აკოცა და ლადა პაპას ბიჭს გასძახა: "აბა, შენ იცი, კარგად დააბინავეო".

მეტი არაფერი.

მანქანა დაიძრა.

მეტს არავის გამომშვიდობებია მაკა! ოთახში ასვლა დაეზარა: ქვევით, ეზოში უკვე ყველა "შორეული" იყო. გამოიარეს სოფელი. უკან დარჩა სახლი. დაღმართი და მაკას ლადა პაპას ურემი გაახსენდა.

მანქანა ხიდზე შედგა და მაკას აღარ გაჰკვირვებია, როგორ ახერხებდა ბებია ერთსა და იმავე ადგილზე მისვლისას ატირებას. სამუდამოდ დარჩა ხიდს გაღმა, იქითა ნაპირზე ბავშვობა, რომელიც ზამთრობით აღარასოდეს ჩამოვიდოდა თბილისში.

ახლა უკვე ზამთარ-ზაფხულს, მაკას, თავად უნდა მოეკითხა მისთვის.

არ ყოფილა ბავშვობა მოძრავი.

მაკა, ველარასოდეს შეკრავდა მას და, ველარასოდეს გადააგორებდა, ლადა პაპას ურმით, სოფლიდან ქალაქისაკენ.

ყოველ შემოდგომას, აქ, სოფელში ტოვებდა მაკა ვინმე მეორე მაკას. ბებიასთან და პაპასთან ტოვებდა, თურმე. მერე ზამთარში ჩამოვიდოდნენ ხოლმე ბებია და პაპა და ჩამოუტანდნენ: ხან თმის შეჭრილ კულულებს, ხანაც ცალ ფეხსაცმელს.

არ ყოფილა ბავშვობა მოძრავი.

მეტს აღარასოდეს ჩამოვა ვინმე მეორე მაკა თბილისში, მაკას მოსანახულებლად.

დღეს, მარტო ჩამოვიდა მაკა სადგურზე.

სადგურზე ელოდა თითქოს ყველა: თეთრი ეკლესია, მტკვარზე გადებული ხიდი, ლადა პაპა, მწვანეში ჩაძირული სახლი. პაპა. ლადა პაპას ურემში მოეკალათებინათ და მაკას შემოჰყურებდნენ.

უკან დარჩა მხოლოდ სოფლის სასაფლაო, სასაფლაოზე პატარა ბორცვი და ბებია...

რა მარტივად უხსნიდნენ ბავშვობაში ყოფნა-არყოფნის არსს.

— "დედიკო, სად არის ჩემი თოჯინა?"

— "გატყდა". და მაკამ იცოდა, რომ აღარ იყო თოჯინა.

— "დედიკო, სად წავიდა გიას ყურშა?"

— "დაიკარგა". და იცოდა მაკამ, რომ აღარ ჰყავდა გიას ლამაზი ლეკვი, ყურშა.

— "დედიკო, სად წავიდა შენი ბებია?"

— "გარდაიცვალა". და მაკამ იცოდა, რომ დედიკოს აღარ ჰყავდა ბებია.

ბებია გარდაეცვალა მაკას. ძველ ტაძარს გუმბათი მოერღვა. შეირყა ძველი ფუძე. ეს იყო ყველაზე მეტად შემზარავი.

რა ცოტა, რა უმნიშვნელო გაიღო მაკამ ბებიასათვის იმ ბავშვობის, იმ სიყვარულის სანაცვლოდ.

პაპა გაახსენდა. მარტოდ დარჩენილი პაპა იდგა ბებიას ცხედართან. მაკას დედა ტიროდა, ტიროდნენ დეიდები, მოდიოდნენ ახლობლები. ქვეყანა მოდიოდა.

პაპა არ ტიროდა მხოლოდ, ცრემლები არ უჩანდა პაპას.

ღამით, როცა ყველას ეძინა, მაკა ხმაურმა გააღვიძა. იჯდა პაპა ბებიას ცხედართან. ტიროდა პაპა. მსხვილი ბავშვური ცრემლები მოგორავდნენ მზით დამწვარ სახეზე და ბებიას გულისპირს ასველებდნენ.

ტიროდა პაპა, მისტიროდა გარდასულ სიჭაბუკეს, წარსულ დღეებს. ფუძის ანგელოზს მისტიროდა პაპა. მორღვეულ გუმბათს, ნაქცეულ დედაბოძს.

პაპა ახლა ნამეხარ მუხას ჰგავდა.

პაპა ახლა ნაღვერდალს ჰგავდა, მაკა — ნაღვერდალში შეხვეულ ნაკვერჩხალს.

გაახსენდა მაკას...

საღამოა. ღუმელში ცეცხლი გიზგიზებს. იწვის გოლიათი კუნძი. ნაკვერჩხლებით ივსება. ბებიას ჯადოსნურ "კასრულში" ვახშამი იკლავს თავს.

ჯადოსნურია, ერთი ციცქნაა და ორმოცი კაცის საკვებს იტევს. ბებია ვახშამს გააწყობს, მერე აალაგებს. მერე დასაძინებლად წავა ყველა. მაკა ბებიასთან დარჩება, რადგანაც ყველაზე საინტერესო მერე იწყება.

ღუმელის გვერდით შავი ქოთანი დგას. ისიც ჯადოსნურია. ბებია რძეს ჩაასხამს. ერთი საათის მერე თეთრი, ქათქათა ყველი ამოჰყავს.

მერე მიალაგებს იქაურობას. მოკრეფს ღუმელში გაბნეულ ნაკვერჩხლებს, ერთად მოუყრის თავს შუაგულში. ზევიდან ნაცარს გადააყრის და გაახვევს.

— რას შვრები, ბებია?

— ცეცხლს ვინახავ, ბებიკო.

— რატომ ინახავ?

— დილით ჩამოვალთ და დავანთებთ.

ღადარში ინახავდა ცეცხლს ქართველი კაცი ყოველ საღამოს. ინახავდა კერიის სითბოს, მამა-პაპისეულ ადათს ინახავდა. საუკუნეებს გამოატარა და ბებიას ღუმელში ნაკვერჩხლებად აანთო.

რა ერქვა იმ შეხვეულ ცეცხლს?

პაპა ერქვა, დედა ერქვა, მამა, ახლობლები, ერთიც იქიდან მაკა იყო.

იზრდებოდა მაკა — ღვივდებოდა ცეცხლი. მოდიოდნენ ადამიანები. ყველას განსხვავებული სახელები ჰქონდა. განსხვავებული სახელები და ერთი საერთო — გული, რომელიც ბებიას ჯადოსნურ "კასრულს" ჰგავდა, პატარა "კასრულს", ოდესღაც ბუხარში, კავზე ჩამოკიდებულს. რას არ იტევდა, რას არ უძლებდა, რამდენ სიყვარულს, რამდენ სევდას.

გიზგიზებს ბუხარში ცეცხლი და, უფრთხილდება ადამიანი ცეცხლს. ინახავს, ახვევს სათუთად, ანთია და ანთია ის ცეცხლი ჩაუქრობლად.

"გიყვარდეს მოყვასი შენიო", — იტყოდა ხოლმე ბებია და ეგ იყო მაკას ძილისპირული.

გული უხმობდა ადამიანებს... ისინი მოდიოდნენ თავისი ცხოვრებით, უტოვებდნენ თავისას, მიჰქონდათ კიდეც სანაცვლოდ. ასე დაუსრულებლივ ავსებდნენ ერთმანეთს.

ცხოვრება დიდი ღუმელი იყო, დიდი, ზღაპრული ღუმელი. მეფოლადის ღუმელს ჰგავდა იგი. და ამ ღუმელში იწრთობოდა მაკას გული. მოდიოდნენ ადამიანები და საწვავს აწვდიდნენ ღუმელს. გული ითხოვდა საზრდოს. ვიღაცის ტკივილს ითხოვდა გული, ვიღაცას სიხარულს, სიყვარულს ითხოვდა გული. ვალმოხდილი წავიდა ბებია...

დილაა...

მერცხლებმა ეზოში რკალი მოხაზეს. "გაწვიმდებაო", — თქვა ბებიამ და პაპას ასძახა, ჩამოდი, მომეხმარეო და სახლის წინ გაფენილ სიმინდის მარცვალს აკრეფა დაუწყო. მაკამ ცალი თვალით მზეს ახედა.

მზეს წამწამები ოდნავ მოეჩრდილა და, თითქოს, ნაწყენი საყვედურობდა: „რამ შეგაშინა, შე ქალო, რაცხა ორი კურცხალი ჩამომვარდაო".

ერთი წლის შემდეგ, შეიძლება, ამავე ბუდის მერცხლებმა, ისევ მოხაზეს ეზოში რკალი.

"გაავდრდებაო", — თქვა პაპამ და სახლის წინ გაფენილ სიმნიდის მარცვალს აკრეფა დაუწყო.

მაკამ მზეს შეხედა. წამწამები დაეხარა მზეს. აღარ ეღიმებოდა მზეს — „რამ შეგაშინა, შე ქალოო", — აღარ საყვედურობდა.

მზეს წამწამები დაეხარა და ცრემლი ღაპაღუპით მოცვიოდა.

"თავსხმააო", ასეთ წვიმაზე იტყოდა ბებია.

პაპას შეუძახებდა, „არ გაცივდე, კაცოო" და თავად შეეცდებოდა, გადაფარებოდა მეუღლეს, პაპის წილი ტვირთის ზიდვას.

ახლა პაპა, მაკას გასძახოდა, "სახლში შედი, არ დასველდეო", ერთიანად გაწუწული შვილიშვილის მხრებზე, თმებზე, ლოყაზე გაბნეულ წვიმის წვეთებს გულგახეთქილი შეჰყურებდა და დაკოჟრილი ხელით უწმენდდა სახეს, ევედრებოდა, არ გაცივდეო.

იცოდა მაკამ, ეს ხელები ყოველთვის დაკოჟრილი რომ არ იყო. არც შაბიამნის ფერს ირეკლავდა ყოველთვის, არც ნაოჭები ჰქონდა ვაზივით დატოტვილი.

ამ ხელებმა, გუშინ, ბებიას საფლავს, ერთი მუჭა თბილი, ნოტიო მიწა მიაყარეს...

საღამოა... ზაფხულია...

პაპა ყანიდან დაბრუნდა. ვახშამი გააწყო ბებიამ ეზოში, თუთის ხის ქვეშ. პაპას აივნიდან ჩამოსული მკრთალი სინათლე პირდაპირ ეცემოდა. მზემოკიდებულ სახეს მხოლოდ ნაოჭები აჩნდა თეთრად. ამიკოს ნაჩუქარი პერანგი ეცვა. ამიკო მაკას დეიდაშვილია. ამირანი ჰქვია. პაპა ამიკოს ეძახის.

ამიკომ თავისი ნაცვამი პერანგი აჩუქა პაპას. როცა ყანიდან ბრუნდება, იმ პერანგს მოძებნის ხოლმე. ვერ გაარჩევთ, რა ფერისა იქნებოდა თავის დროზე. ყველა ფერია იმ პერანგში: ღვინისფერი, ვაზის ნამლის ფერი, მიწის ფერი. სიცოცხლის ფერია იქ. "ჩემმა ბიჭმა მაჩუქაო" — იტყვის პაპა ყოველი ჩაცმისას. მერე თვალები აუცრემლდება და ბიჭის სადღეგრძელოს დალევს.

ხანგამოშვებით ბიჭს გვერდით ამოიყენებს და ქორწილში ეწვევა მეზობელს. ბიჭი მომესწროო, იტყვის, მალე დიდი პაპა გავხდებიო.

ყანაშიც წაიყვანს, ვენახშიც იახლებს. მხარზე გადებული თოხებით შეუყვებიან შარას და პაპა არ დატოვებს მეზობლებს, ყველას შეუძახებს. მოიკითხავს. ამბავს ჰკითხავს. ყველას ეზოსთან შეჩერდება. უხარია, ბიჭი რომ ახლავს. ყველას უნდა შეახედოს. იქ კი, ყანაში, ცდილობს, ბიჭი არ დაღალოს, მზეზე დიდხანს არ გააჩეროს. "თოხის ტარმა ხელი ხომ არ გატკინაო", — ეტყვის და პატარა ხელის გულებს გაუსინჯავს.

გუშინ, როცა პაპა ბებიას ცხედარს უკანასკნელად დაემხო, ამიკოს ხელები ჩაევლო პაპის მხრებს. ამიკოს ხელებს დაყრდნობოდა, როგორც ქვაკუთხედს შეურყეველს.

ზამთარი იყო...

იმ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა.

მაკა, ალბათ, ხუთის თუ იქნებოდა, წითელა ბატონები შეეყარა.

წითლად შეღებეს ოთახი. წითელი ფარდები ჩამოაფარეს. მაგიდის გადასაფარებელიც წითელი იყო. საწოლზეც წითელი საბანი გადააფინეს.

პაპა ჩამოვიდა სოფლიდან, ბებია ჩამოიყვანა. ბებიას წითელი თავშალი ეხურა. მამლაყინწა ჩამოიყვანეს. წითელი კუდი ჰქონდა მამლაყინწას, წითელი ბაფთა ეკეთა, ფრთები წითლად ჰქონდა შეღებილი. რაღა თქმა უნდა, მაკა ვერ ხედავდა. წამწამები შეწებებული ჰქონდა. იცოდა, ბებიას აცრემლებული თვალები რომ ექნებოდა. ათრთოლებული ხმით ეფერებოდა, თმებზე ეალერსებოდა: "გენაცვალოს ბებიაო", "შენი სატკივარი ბებიასო", — „შენ ბატონებს ვეთაყვანეო" და კიდევ რაღაცას ეუბნებოდა.

მაკას ძალიან უნდოდა ბებიას დანახვა. შეწებებული ქუთუთოები ნებას არ აძლევდა. პაპამ შვილებს შეუძახა, "მოგიკლავთ "ბავშვიო" და მაკას საწოლთან ჩამოუჯდა. მერე რაღაცა მოუსვა თვალებზე. თან ამბობდა: "პაპა მოარჩენსო ჩემს გოგოს". თბილ სითხეს უსვამდა თვალებზე და თან ამბობდა: "პაპას ჯადოსნური ხელები აქვსო, ზამთარია, ცივა-ცივაო, საქათმისაკენ მიიპარება მელია კუდაგრძელიაო. აბა, ახლა გაახილეო". მერე მაკამ მართლაც გაახილა თვალები. დაინახა ბებია. მამლაყინწაც მაშინ დაინახა. ოთახი წითლად შეღებილი რომ იყო, ისიც, მამლაყინწას ბაფთაც, წითელი კუდიც. პაპის ხელებიც. პაპის ხელებისათვის არავის შეუხედავს მაშინ, მხოლოდ ბებიამ დაუკოცნა დაკოჟრილი, მზით დამწვარი, ძარღვიანი ხელები. იმ ხელებმა, გუშინ, ბებიას საფლავს ერთი მუჭა თბილი, ნოტიო, მინა მიაყარეს.

გვიანი შემოდგომაა...

დიდი თუჯის ღუმელი გუგუნებს, ღუმელის კარს მრგვალი ნაჩვრეტები აქვს, მაკა იქიდან ხედავს, როგორ იწვის შეშა, ტკაცატკუცი როგორ გაუდის. ცხელი ჰაერი გამოდის იმ ნაჩვრეტებიდან, ოთახში ტრიალებს და სითბოთი ავსებს. ჯერ მაკას მოელამუნება ლოყებზე, მოეფერება, ვარდისფერს აჩუქებს. მერე ნივთებს დაერევა, დაკოცნის. მერე ველარ დაეტევა ოთახში და გარეთ გაჭრას მოინდომებს, ფანჯრებს მიასკდება. მაკა შესცქერის ფანჯრებისა და სითბოს უცნაურ ჭიდილს. იბრძვიან ფანჯრები. სითბო უძალი-

ანდება, ოფლად იღვრება, ისე იბრძვის. მერე დაიქანცება და ცრემლის ნაკადულად დაედინება მინებს.

სახლში ცეცხლი ანთია. ოჯახი სუნთქავს. დაორთქლილი მინები, მაკასთვის, სამუდამოდ დარჩა ოჯახის სიმბოლოდ.

პაპა ეზოდან ამოვა.

დიდი გობით კომშს ამოიტანს სარდაფიდან. ბებია გულს გამოუღებს, მურაბით დატენის და გავარვარებულ ღუმელში შეაწყობს. ოთახში კომშის სუნი დგება.

პაპა, ამასობაში, მაკას ფანჯრის რაფაზე შემოასკუპებს და დაორთქლილ მინებზე თითით იწყებს ხატვას. ჯერ მაკას სახელს დაწერს, მერე დახატავს ბათურას, მერე ციყვს, მერე და მერე...

"აბა, ამას თუ იცნობო", — ეტყვის მაკას და ფანჯრის მინაზე დიდ თვალებს მოხაზავს, მერე თმებს, მერე სახის სხვა ნაკვთებს. "ბებია", — იყვირებს მაკა და ორივე ხელს გაინვდის ფანჯრისაკენ.

პაპა შეშინდება არ წაშალოსო და დაორთქლილ მინას ისე გადაეფარება, თითქოს ბებიას ელის რაიმე საფრთხე. „აჰ, აჰ", — დაიძახებს და მაკას ძირს ჩამოსვამს.

დილით, მაკა გაიღვიძებს თუ არა, ფანჯრისაკენ გაიხედავს, მინაზე აღარც ორთქლია და აღარც ბებიას სახე.

— პაპა, — გასძახებს მაკა, — რატომ წაშალე ბებია?

— გინდა, ბებია გავაცოცხლოთ, — ეტყვის პაპა მაკას და გრძელი პერანგით, ფანჯრის რაფაზე შემოსვამს.

— მინდა, — ამბობს მაკა და პაპის მოძრაობას თვალს არ აშორებს.

პაპა დიდხანს იზელს ხელისგულებს, სულს უბერავს. რაღაც უცნაურ სიტყვებს ჩასჩურჩულებს. მერე ერთმანეთს გადააჭდობს ხელებს, გააკეთებს რაღაც მოძრაობას და ფანჯრის მინას, იქ, სადაც ბებიას პორტრეტი იყო, ზევიდან გადააფარებს.

— ერთი, ორი, სამი, — ითვლის პაპა.

— აბა, სული შეუბერე, — ეტყვის მაკას. მაკა სულს უბერავს.

— ახლა მოეფერე. მაკა ეფერება პაპის ხელებს. "გაცოცხლდი, მაკას ბებია. გამოჩნდი, მაკას ბებია. გესმის, ჩვენ ასე გვინდა". — იძახის პაპა. მერე ხელებს ასწევს და, ჰოი საოცრებავ, ბებია იცინის მინაზე, ბებიას თვალები იღიმება მინიდან. პაპა ჯადოქარია? — ეუბნება საღამოს, ძილის წინ, მაკა ბებიას და უამბობს, რაც მოხდა.

ბებია იღიმება და იძახის: „ნუ მოგვაკლოს შენი ხელების ძალა", „ნუ მოგვაკლოს შენი სიკეთე"...

ბებიას სარეცელთან დახრილი მაკა ცდილობდა გაეგო, რას ითხოვდა ბებია. შვილები ჩასძახოდნენ — "დედა, რა გინდაო, დედა". კარებს შესცქეროდნენ, პაპას ელოდნენ სოფლიდან.

ბებია ყველაფერს გრძნობდა, ოღონდ, შვილებს ვერ გადასცემდა სათქმელს. თვალები, უკვე ნახევრად დახუჭული თვალები, რაღაცას ითხოვდნენ.

პაპა შემოვიდა, ჩაიმუხლა და ბებიას ჩასძახა, კი არ ჩასძახა, ლოცვასავით წარმოსთქვა: "მართა, აქა ვარო". ბებიას საწოლზე მისვენებულმა ხელებმა უკანასკნელი, დარჩენილი ძალა მოიკრიფეს და პაპის ხელებს გადაეჭდნენ. გაღიმებული სახე ნელ-ნელა მშვიდდებოდა და სიცოცხლის ნიშანწყალიც ქრებოდა. მხოლოდ ხელები გამოხატავდნენ გულის პასუხს, პაპის ხელებს ჩაჭიდებული, ბებოს ხელები.

გუშინ იმ ხელებმა, ბებიას საფლავს, ერთი მუჭა, ნოტიო მიწა მიაყარეს. ამ ხელებმა ბებიას თითზე ორმოცდაათი წლის წინათ ნამოცმული საქორწინო ბეჭედი შეხსნეს, გაცრეცილი, გალეული ოქროს საქორწინო ბეჭედი და მაკას უანდერძეს.

მატარებელს თბილისი შეეგება.

მაკამ ვაგონი დატოვა და, ჩვეულებრივ, დამხვდური მოიძია. დღეს პირველად არავინ შეგებებია მაკას. ყველა იქ დარჩა, ბებიას ნოტიო ბორცვთან. ახლაღა გაახსენდა, რომ წამოსვლისას არავის დამშვიდობებია, არც დედას, არც დეიდებს, არავის.

ბებიას თვალები გამოკრთა სადღაც, ბებოს თვალები, დიდი, თაფლისფერი, სითბოთი და სიყვარულით სავსე. იღიმებოდა ბებია, „ეგ როგორ მოგივიდაო", — ეუბნებოდა მაკას.

გიჟივით მივარდა მაკა სალაროს და უკან დასაბრუნებლად ერთი ბილეთი შეიძინა.

ეკა ბაქრაძე

შვილს — გიორგის!

შესაქმის დღიდან მოაქჟამომდე,
რასაც სიცოცხლის საზრისი ქვია,
სამყაროს არსი, ღვთაების მსგავსი,
სახედ და ხატად მისად რომ თვლიან...
გაერთმთლიანდა შენში სრულიად
სრულყოფილებით, ყოვლად სრულქმნილი,
ასე ფაქიზად და რუდუნებით
შენს შესამოსად, შენად სულს ვქმნიდი.
სიზმრად ნანახი და ახდენილი
ოცნებასავით ხარ მშვენიერი,
შენი არსით და შენი საზრისით
ასე საოცრად სულისმიერი.
შენა ხარ, რაც კი ოდესმე მითქვამს
სიტყვა — ყველაზე უფრო გულწრფელი,
სიტყვა — ყველაზე უფრო მართალი!
სულის სილრმიდან ამონათალი,
სიცოცხლის ნერგი — რამ ხელთუქმნელი...
ხარ ნეტარება ენით უთქმელი!!!
მე შენით ვსუნთქავ, ვცოცხლობ და ვხარობ.
აღურაცხელი სასწაულების
და სიყვარულის უშრეტი წყარო,
არსობის არსი, საზრისის მსგავსი
ჩემს არსებაში განხორციელდა,
გაერთმთლიანდა და გაძლიერდა
და შენი სახით განსახიერდა!!!
დიდება შენდა, რომ მომევლინე
სიცოცხლის აზრის გადასარჩენად,
კურთხეული იყოს აწდა მარადის
კურთხეულ იყოს შვილის გაჩენა!

2008 წ.

* * *

შენ მაპატიე, რომ მიყვარდა მთელი არსებით
ვითარცა მტერი უვერაგესი.
ვისი ბრალია ჯერ არნახული
გულგრილობით რომ თავზე დაგესხი?..
ჰო, მტერი, ჩემი ოცნების მტერი
განუკითხავი, რისხვად მოსული,
თხემით ტერფამდე ბუნდოვანი და
იდუმალებით გარემოცული.
შენ მაპატიე მღელვარე ზღვაში
ქვიშასავით რომ გამოგეცალე
და ბედისწერის მძიმე დავთარში
სიტყვით სიტყვაც კი რომ ვერ შევცვალე...
აკრძალულ ნაყოფს სამოთხის ბაღში
ანაზდად ხელი თუ წავატანე.
და მირაჟივით უდაბნოს ხვატში
მთელი სიცხადით მეთანდათანე...
ჰო, მაპატიე, უსიერ ტევრში
სავალ ბილიკს თუ ვერ მივაგენი.
თოვლის ფიფქივით ჩაგადნა ხელში
ჩემი მშფოთვარე სულის ნამქერი.
აისბერგი რომ მეგონა ერთ დროს
ლოდივით მძიმე ყოფილა მხოლოდ.
გული, რომელიც ვერა და ვერ თმობს
ლოდინით უნდა დაიმსხვრეს ბოლოს!
ღმერთო, შემინდე, რომ განგერიდე.
ალბათ, არ ღირდა მეტ ხანს დარჩენა...
კვლავ განსაცდელში რომ არ შევიდე
სულის მირაჟის გადასარჩენად!..

2006 წ.

* * *

ვუსმენ სიჩუმეს გულხელდაკრეფილს,
ფეხაკრებით რომ მეპარება
თავსასთუმალთან.
ისევ მონოლოგს წამოვიწყებ —
ენადგაკრეფილს,
რა გამაჩერებს ძვირფას სტუმართან?..
სულში სათუთად დაივანებს დიდი
სიმშვიდე,

გადამაფარებს თანაგრძნობით
დუმილი კალთას,
ჩამოიღვრება მოლოდინი ასე
ხანგრძლივი,
ასე დამღლელი მონოლოგით
დანაღმულ კართან.
ამოგიჩემებ, როგორც ბავში ამოიჩემებს
ალმოდებული ასანთის ღერებს...
რომ ჩემი სულის დიდი ხანძარი
ნაკვერჩხლებივით გიწვავდეს ხელებს!..
მონოლოგებად გაბმული სევდა,
დუმილის მიღმა სულის ვნებანი.
მე გაპატიე დიდი და მცირე
და უნებლიე შეცოდებანი.
მოლოდინივით დამღლელ სიჩუმეს
მონოლოგებით დანაღმულ კართან
თავიდან ვუსმენ, როცა მარტო ვარ,
როცა ახლო ვარ საკუთარ თავთან...

2006 წ.

მცირე აღსარება

მომეცი ნება
კიდევ ერთხელ დაგიდასტურებ,
თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებს
სინანული —
მინავლული ცეცხლივით ანთებული,
ოღონდ განაჩენი მართებული
მხოლოდ გადარჩენად შემაშველე
მერე დანარჩენი ცოდვებისთვის
თუ გინდა
ნინასწარ შემაჩვენე...

2006 წ.

* * *

ქარი ძაღლივით ჩამიდგა კვალში
ღამე ბავშვივით ჩამიდგა ჯიბრში,
შიშს ულმობელი თვალები ჰქონდა,
სულში ყველაფერს თრგუნავდა შიში.
მკვდრის გულგრილობით ბოლომდე
ვითმენ
დასამარხ დროს და ჩასაჩეხ ნაპრალს.
ოდესმე მაინც წაანყდე იქნებ
ჩემი ფიქრივით მდუმარე საფლავს...
სიკვდილი კოჭლი ცხვარივით ითრევს
ფეხს და მიიძოვს ცხოვრების გზაწვრილს,
მე სიკვდილივით გიცდი და გითმენ
და ცა გახელილ თვალებში მაწვიმს.

2005 წ.

ორი ანგელოზი

ჩანახატი

პატარა გოგოს მოჰყავდა ჩვილი
გულზე სათუთად ატატებული.
პატარა დედის პატარა შვილი
ბედის ვარსკვლავზე დაბადებული
ჰგავდა ოცნებას — უკვე ახდენილს,
მასში განგების ხელი ერია.
ნაზი ფერია ანგელოზითურთ
ისე საოცრად მშვენიერია...
დიდება ღმერთო! მადლის მომფენი
ნყალობა რომ არ დააგვიანე
და მარადიულ სიცოცხლის კვირტი
ერთ არსებაში გაამთლიანე...
პატარა გოგოს სამყაროსხელა
ღიმილი ჰქონდა სანდო და თბილი
და ახდენილი ოცნებასავით
ხელში ეჭირა პატარა შვილი...

2006 წ.

შენ!..

საოცარია...
როცა შორიდან
საკუთარ თავსაც ისე დაჰყურებ,
როგორც სრულიად უცხო არსებას
და ვერ ჰოულობ
სულ მცირეოდენ,
სულ უმნიშვნელო რაღაც მსგავსებას...
საოცარია...
როცა შორიდან
საკუთარ სულთან ამყარებ კავშირს,
მოციქულივით, წმინდა წერილში
უფლის ნებას რომ
სიტყვებად დაშლი
და საკუთარ თავს შეიცნობ სხვაში!..
თუ გინდა სული მართლა დაიხსნა...
როგორ აგიხსნა და განგიმარტო?
რომ დაგანახო და მიგახვედრო,
საკუთარ თავსაც ზოგჯერ შორიდან,
ზოგჯერ სხვა თვალით უნდა დახედო!!!
სიყვარულს ტაბუ აქვს დადებული,
დრო კი...
მკურნალი და მოამაგე
ბრმა ბედისწერის ნებას განაგებს,
ყველა სატკივარს შვება მიაგებს,
ადრე თუ გვიან, ბოლოს და ბოლოს,
სხვაში საკუთარ თავს რომ მიაგნებ!..

8 მარტი 2005 წ.

* * *

თუ წუთისოფლის ლაბირინთები
ულრანი სიტყვის ტევრში დაინთქა,
თუ სანთელივით აღარ ინთები,
მაშინ სათქმელი სრულად არ ითქვა.
ცხოვრების პირქუშ მღვრიე მორევში
ხავსს როგორ უნდა ჩაჭიდებოდი? —
და შენც გაჩუმდი, დათმე, მოეშვი —
რადგან არავის არ ჭირდებოდი.
— უმადურია კაცის ბუნება-თქო.
გქონდა ათასერთი სამხილი.
მაინც გააშიშვლე უნებართვოდ
მკაცრი ბედისწერის მახვილი!
სიტყვას, ქარქაშიდან ამოწვდილი
ხმალივით უკან ვერ ჩააგებდი,
იცოდი? ბოლო რაუნდს,
ვალმოხდილი
საკუთარ თავთან, რომ წააგებდი!..
როცა ყოველივეს გაიგებ და
სანუთროს ორომტრიალს გაცილდები,
გულის კარს სამუდამოდ გაიკეტავ,
რადგან სულ არავის არ ჭირდები!

2005 წ.

* * *

ვწერდი აშკარად, ვწერდი ფარულად,
მთელი არსებით, მთელი სიცხადით,
რასაც ვგრძნობდი და როგორც ვფიქრობდი,
მაგრამ რატომღაც გამოვრიცხავდი.
მოულოდნელად გაცნობიერდა
ქვეცნობიერის სრული საზრისი,
როგორც ტკივილი გაუსაძლისი,
მთელი სიმძაფრით გამოიკვეთა
და მოლოდინის მძიმე კარიბჭეც
მოულოდნელად გამოიკეტა.
რაც მოხდა, მოხდა... რა გვიან მივხვდი,
უკან დახევა აღარ ეგების.
ასტრალურ ხილვებს ზვარაკებივით
ბედისწერისკენ მივერეკები...
ეს გზა ასტრალში დასაზღვრულია,
ყველა წვრილმანი განსაზღვრულია,
ვისთვის უბრალო დასასრულია,
ვისთვის — სასრული დუმილის
ზღვარი.
რწმენის ქვაკუთხედს გაუჩნდა
ბზარი,
უნუგეშობის დაჰკრავს ელფერი —
სიტყვას, რომელსაც ქვეცნობიერის
მიღმა დარჩენა აღარ შეჰფერის...
ეს გზა ლოდინის დასასრულია
ეს გზა ასტრალში დასაზღვრულია!..

2003 წ.

ისევ ის ძალა

მოედო ღვარძლი ყანას და მომკალს,
ყანას — თავთუხის თავთავიანებს.
იგივე ძალა გვთიშავს დაგვბორკავს,
რაც აგრერიგად გვაერთმთლიანებს.
ჭილ-ყვავი კორტნის დაფლეთილ
გულ-ღვიძლს,
ძერა მრისხანედ თვალებს აცეცებს,
რამდენ ავაზაკს, მუხთალს და გულღრძოს,
ძვალსა და რბილში გამჯდარ სიბეცეს
ითმენს ქვეყანა ავად თუ კარგად...
და სახვალიო იმედს იტოვებს.
რა ძალაც ისრის კონებად შეგვკრებს,
ისევ ის ძალა დაგვათითოვებს...
თუ გონზე დროზე არ მოვეგებით,
თუ თეთრს შავისგან ველარ გავარჩევთ,
ხეირი უკვე აღარ ეგების,
ვერავინ შეცვლის სასტიკ განაჩენს —
საკუთარ თავს რომ გამოვუტანეთ!
თუ აღვირახსნილთ ქვეყნის სადავეს
ჩავუგდებთ ხელში, სულთამხუთავებს
მერე ვერასგზით ვერ მოვიშორებთ.
რა ძალაც ღარში იღებს სათავეს,
იგივე ძალა გვაშორიშორებს!..
...„წყალნი წავლენ და წამოვლენ
ქვიშანი დარჩებიანო“ —
წინაპარს უბრძანებია.
იცოდე, ხალხი ბრძენია,
მრავალთა ჭირთა მთმენია,
მრავალთა ჭირთა მნახველი,
თავის გატეხვა გვერჩიოს,
ვიდრე გატეხვა სახელის!
არეულია ქვეყანა,
მრუმედ სავალი გზებია,
„რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია“...
გახსოვდეს, უფლის წყალობა
არც ოდეს დაიგვიანებს,
რაც ასე გვაშორიშორებს,
ისევ ის გაგვამთლიანებს!..
შებრუნდი უფლის ტაძარში,
კაცო, რა ღმერთი გიწყრება!
ერი არც შენით მთავრდება,
ერი არც შენით იწყება!..
დგას საქართველო — მეხგამძლე მუხა,
დგას და ამაყად კვლავ იშრიალებს,
რადგან რა ძალაც გვაშორიშორებს,
ისევ ის ძალა გაგვამთლიანებს!..

2008 წ.



ნიკოლოზ
რეტიკული

პატარა ადამიანი

პირველი ნაწილი

***

უცნაურია ცხოვრება. ის არ არის ისეთი, ერთს რომ ჰგონია და არც ისეთია, ბევრს რომ ჰგონია — ცხოვრება ისეთი არის, როგორიც არის! რომ არა ეს ჯადოსნური ყუთი, პატარა ადამიანი დაწესებულების მესამე სართულზე ვერ ავიდოდა. იქ, სადაც ცოტა ხნის წინ სცადა ასვლა და დამარცხებული შუა გზიდან უკან დაბრუნდა. უეჭველია, პატარა ადამიანი ყუთს მიჰყავდა წინ და თვითონ არა მიჰქონდა! გზა ხსნილი ჰქონდა, აღარ აშინებდა ყველაზე ხალხმრავალი, ხმაურიანი მესამე სართული. სხვა დროს კი ხელ-ფეხი სად წაეღო, არ იცოდა. თავის დაჭერაც რომ მოეხერხებინა, სიტყვის თქმას მაინც ვერ ბედავდა. ამით კი თავის თავზე მეტად სხვას აგდებდა უხერხულ მდგომარეობაში. იქნებ სხვას სულაც არ ეხატებოდა გულზე მასთან საუბარი, მაგრამ მაინც თავაზიანად ექცეოდა და... და არაფერი! რით პასუხობდა მას პატარა ადამიანი? არა, არავის აქვს უფლება, საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებულ ქცევის ნორმებს გადაუხვიოს!

ოჰ, რა კარგია, რომ პატარა ადამიანს სამუშაო გამოუჩნდა! როდესაც ადამიანი მუშაობს, მასში სიცოცხლე ღვიძებს, წუხილის, სევდის დრო აღარ რჩება, ერთი სიტყვით, მკვდარი სული აღარ არის. განა აუცილებელია, ადამიანმა მაინცდამაინც ალესილი ენის მეშვეობით გამოიჩინოს თავი და ირგვლივ მყოფებს თავისი არსებობა შეახსენოს?! არა, თუკი მას ესეც ეხერხება, კარგია, მაგრამ სავალდებულო ნამდვილად არ არის. იყოს კაცი თავისთვის, თუნდ სრულიად ჩუმად, ოღონდ ქანდაკებასავით გაშეშებული ნუ მიიპყრობს სხვების ყურადღებას, ნუ შეაწუხებს მათ, ხასიათს ნუ წაუხდენს. თუ გნებავთ, ანგარიშის გაწევა უწოდეთ ამას. არავის აქვს უფლება სხვის განწყობაზე უარყოფითად იმოქმედოს! სწორედ ასე ფიქრობდა პატარა ადამიანი. ფიქრობდა ყოველთვის, ახლაც და ადრეც, მაშინ, როდესაც თვითონ აღმოჩნდებოდა მსგავს სიტუაციებში, წყეული "ქანდაკების" როლში. წვალობდა ხოლმე, განიცდიდა, მაგრამ რა... არაფერი იცვლებოდა ამით.

დღეს პატარა ადამიანი ამ კოშმარისაგან დაზღვეული იყო — მას სამუშაო გამოუჩნდა! მართალია, ყუთის მესამე სართულზე ატანას არცთუ დიდი დრო სჭირდებოდა, მაგრამ სანამ ამ ყუთს გახსნიდნენ, ამოიღებდნენ იმას, რაც შიგ იდო და თავის ადგილს მიუჩენდნენ, ესე იგი დაამონტაჟებდნენ, კარგა ხანი გავიდოდა. ამასობაში იქნებ სამუშაო დღეც გასრულებულიყო! არ გასრულდებოდა და იქნებ კიდევ სხვა სამუშაოც გამოჩენილიყო.

სხვა სამუშაო... ოჰ, როგორ უყვარდა პატარა ადამიანს მუშაობა! ერთთავად საქმის გამოჩენას ელოდებოდა — წამებს ითვლიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არცთუ ხშირად უქმად ყოფნა უწევდა. ხანდახან ერთ საწერ მაგიდას ან სხვა რაიმეს თუ გაიტანდნენ ოთახიდან ოთახში, სართულიდან სართულზე აანაცვლებდნენ. ამასთან, წინასწარ არავინ იცოდა, დღის რომელ მონაკვეთში გამოჩნდებოდა საქმე. ასეთ დღეებში უჭირდა ჩვენს გმირს — ლოდინი აუტანელი იყო მისთვის. იმდენად აუტანელი, რომ სამსახურზე თავის არიდება ჩვევად ექცა — განა მარტო აგვიანებდა სამსახურში მისვლას, ხშირად მისულიც გაპარულა.

დასაწყისი იხ. №6,7-2008

ეჰ, იმ კადრების უფროსს, მკაცრ ქალს, ჩვენს გმირს გაცდენებისათვის საყვედურებით რომ ავსებდა, წამით მაინც შესძლებოდა თავისი მსხვერპლის წრფელ, ალალ გულში ჩახედვა! ბევრს არაფერს, მაგრამ იმას კი დაინახავდა, საქმეზე რა თავის ამრიდებელიც იყო პატარა ადამიანი! მიათრევდა ყუთს მესამე სართულისკენ ბიჭებთან ერთად და სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. კიდევ კარგი, არ გაასწრო ბიჭებს, კიდევ კარგი, შესასვლელშივე რომ შეხვდა! მაშინ ხომ ყველაფერი წყალში ჩაეყრებოდა. ხელიდან გაუსხლტებოდა ისედაც ალალბედზე გამოჩენილი საქმე. ამ ყუთის, ამ კარგი ყუთის წყალობით მესამე სართულს კი არა, მგონი, ცხრა მთასა და ცხრა ზღვასაც გადაივლიდა პატარა ადამიანი! სიმყუდროვის საძიებლად იმ მაცდურ სკვერში შესულს, როდის ერთხელ მოუხერხებია იქაურობის თავის დროზე მიტოვება, რომ დღეს მოეხერხებინა? არა, არა, იქ გაფანტული დროით ყველაფერს, საერთოდ, ყველაფერს დაკარგავდა! ამის გაფიქრებაც კი ზარავდა პატარა ადამიანს. იქნებ ახლა მაინც განეხორციელებინა დილანდელი იდეა — იდეა ხალხთან მეგობრობისა! მთავარი მაინც იმედის დაბრუნება იყო!

მეორე სართულის კიბის ბაქანზე მძიმედ ფეხშედგმულ სამეულს თანამშრომელთა ჯგუფმა, რომელშიც ის ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ისევ ერია, გზა დაუთმო ზედა სართულისაკენ მიმავალთ. რა თქმა უნდა, ეს არ დარჩენია ჩვენს გმირს შეუმჩნეველი — ესე იგი, გაუზვიადებელი. მას ხალხი გზას უთმობს! ხედავენ! ანგარიშს უწევენ როგორც პიროვნებას! რა ბედნიერებაა! რა ლამაზია ცხოვრება!

ასე იყო: ყველაფერს ხედავდა და ყველაფერს გრძნობდა პატარა ადამიანი, მაგრამ მისი გულისყური ყველაზე მეტად მაინც მესამე სართულისაკენ მიმავალ საფეხურებს ჰქონდა მიპყრობილი. გამარჯვებაში დარწმუნებული თითქოს შესძახოდა კიდეც იქაურობას — აბა, დამიდექით! თავი უკვე იქ, მესამე სართულზე მყოფი წარმოედგინა, მაგრამ... მაგრამ ბრძოლისთვის ასე მხნედ განწყობილს მაინც მოუხდა მეორე სართულზე შეყოვნება — ბიჭები დაღლილიყვნენ ტვირთის თრევით, დავისვენოთო, თქვეს და ყუთი ძირს დაუშვეს. რა უადგილო იყო პატარა ადამიანისათვის ეს შესვენება, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, ჩვენი გმირი ბედს შეეგუა.

***

დაწესებულებაში თამბაქოს მოწევა არ იკრძალებოდა. ერთადერთი, რაც თანამშრომლებს ევალებოდათ, ნამწვავების სანაგვე ყუთში ჩაგდება იყო, რათა იქაურობა ერთ დიდ საფერფლეს არ დამსგავსებოდა. პატარა ადამიანი არ ეწეოდა სიგარეტს. აი, მის მეგობრებზე კი ასეთი რამის თქმა მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლებოდა, ნაწილობრივ, რადგან ისინი არ ეწეოდნენ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარს — რაც შეეხება სხვისას, სიამოვნებით უქიშინებდნენ.

— სიგარეტი არა გაქვს? — სასხვათაშორისოდ დაეკითხა დონ ჟუანი შავგვრემანს და იმწამსვე თავისი ჩვევის — ერთთავად თამბაქოს უქონლობის გამო, ცოტა დაირცხვინა და გაელიმა.

შავგვრემანსაც გადაედო მისი ღიმილი, რადგან სიგარეტი, რა თქმა უნდა, მასაც არ ჰქონდა. სულ მალე ეს, ტვირთის თრევისგან ილაჯგაწყვეტილი ადამიანები რაღაც მსუბუქმა, უშინაარსო მხიარულებამ მოიცვა — გეგონებოდათ, ის მძიმე ყუთი მათი კი არა, სხვისი სათრევი ყოფილიყო. მერე და მერე სულ აიშვეს თავი: დონ ჟუანმა შავგვრემანს მუჯლუგუნები უთავაზა და ლამის ჩვენი გმირიც აიყოლია. ჩვენი გმირი მეგობრებთან ერთად გულიანად იცინოდა.

ბიჭებმა სიგარეტი იქვე მდგომ თანამშრომლებს გამოართვეს და როცა სიამოვნებით გააბოლეს, მაშინღა გაახსენდა პატარა ადამიანს, ამ დილით თაიგულიან უცნობთან თავს გადამხდარმა ისტორიამ რომ ერთი ღერი სიგარეტით დააჯილდოვა. უკეთესს ვის გაუმასპინძლდებოდა, თუ არა მეგობრებს! იმწამსვე უბეზე იტაცა ხელი, მაგრამ მაშინვე ისიც გაახსენდა, რომ ახლა უკვე უხერხულიც კი იყო გამოჩენა. გული დასნყდა და ბრაზიც მოერია თავის გულმავიწყობაზე. თუმცა მაშინვე იმასაც მიხვდა, რომ საგანგაშო არაფერი მომხდარა — მით უმეტეს, რომ ბიჭები სიგარეტს უკვე აბოლებდნენ, თან ისევ მხიარულად ელაზღანდარებოდნენ ერთმანეთს.

***

ყველაფერს თავისი დრო აქვს — თუ დაიწყო რამე, ის უნდა დამთავრდეს კიდეც. და აი, ბიჭების მხიარულებამ თანდათან განელება იწყო — დაღლილობა თითქოს ახლაღა მოაგონდათ. სიტუაციას დაეტყო, რომ მათი წუთშესვენება ნელ-ნელა იკრებდა ძალას. პატარა ადამიანმა მაშინვე იგრძნო ეს და მიხვდა, რომ მეორე სართულზე კიდევ კარგა ხნით შეყოვნდებოდნენ. რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა — ეს არ ეთავსებოდა მის ოპტიმისტურ სულისკვეთებას, მაგრამ რას გააწყობდა! მართლა მარტოკა ხომ არ აათრევდა ყუთს ზევით?! და საკუთარი უძლურების შეგრძნებამ თითქოს მოთენთა. საკმაოდ არასასიამოვნო აღმოჩნდა პატარა ადამიანისათვის ეს გრძნობა, უფრო

მეტად კი მისმა უადგილობამ შეაწუხა. მიხვდა, თუ დაჰყვებოდა მოთენთილობას, კარგს არაფერს მოუტანდა — გამოფიტავდა, ისევ სუსტ, უმწეო ადამიანად გადააქცევდა და მთელი ძალისხმევით შეეწინააღმდეგა მას.

მოთენთილობას მუშტების ქნევით რომ ვერ დაამარცხებ, პატარა ადამიანმა კარგად იცოდა და მოქმედებას არა ფიზიკურად, არამედ თავის ფიქრებში, წარმოსახვით სამყაროში შეუდგა. ოცნებაში ჩაიძირა: ხან მესამე სართულისაკენ გაექცა ფიქრი — თანამშრომლებთან სრულიად თავისუფალი, მეგობრული დამოკიდებულების დამყარების იმედით იწყო ტკბობა; ხან თავისი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს გადაუფრინა, კეთილ მეზობელთან განცდილი სასიამოვნო გრძნობის გასაახლებლად; ხანაც უფრო შორს გაიქროლა, ახალი სივრცეებისაკენ გაშალა ფრთები, შემდეგ უკან დაბრუნდა. ერთი პირობა იმ თაიგულიან ბიჭთან შეხვედრისას თავს გადამხდარ თავგადასავალსაც ჩაუქროლა, მაგრამ მხოლოდ ჩაუქროლა და მეტი არაფერი! განა თავი აარიდა მის მოგონებას, უბრალოდ, ყოველი შემთხვევისათვის მოიქცა ასე — თორემ ისე... მოკლედ, მას ამ უკანასკნელ შემთხვევაზე მეტი აღარ უფიქრია — სხვა მიმართულებით გააგრძელა ფრენა.

და დაფრინავდა იგი, იკარგებოდა უკიდეგანო სივრცეში. ბოლოს, მისი ათას მხარეს გაფანტული ყურადღება რაღაც ერთმა, კონკრეტულმა რამემ მიიპყრო, საკმაოდ ბუნდოვანმა, ერთი შეხედვით გამოუცნობმა რამემ. ეს "რამე" არ იყო ფიქრის, წარმოსახვის ნიაღიდან გამოსული, ეს იყო რაღაც კონკრეტული ნივთი თუ სხეული, რომელსაც პატარა ადამიანის გაბრუებული მზერა მიეტაცებინა და თავისი არსებობით ჩვენი გმირისთვის რაღაცის შეხსენებას ცდილობდა. რა იყო ეს "რამე"? პატარა ადამიანმა მზერას თითქოს ფოკუსი გაუსწორა და მიხვდა, რომ თურმე კიბის მოაჯირს მისჩერებოდა. ძლიერ ეუცნაურა, ასეთმა წვრილმანმა როგორ ნამართვა ყურადღებაო და უფრო გამომწვევად დააჩერდა მოაჯირს. იფიქრა, აქ რაღაც აშკარად სერიოზული, ძალზე სერიოზული რამ იმალებაო და სცადა, ამოეხსნა ეს "საიდუმლო", გამოეგლიჯა საკუთარი ქვეცნობიერისთვის ის, რასაც არაფრის დიდებით არ იმეტებდა მისთვის. დიდხანს იჭყლიტა გონება, ამაოდ აწვალა მეხსიერება — არაფერი გამოუვიდა. გეგონებათ, თავისივე თავი დასცინისო, ამხელა ინტელექტუალური გარჯის ფასად მოაჯირთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი, სრულიად ელემენტარული აზრი ამოუტივტივდა თავში — გაახსენდა თავისი ძველებური ერთ-ერთი ჩვევა. თვითონაც არ იცოდა, წინათ, ამ საფეხურებზე ასვლა-ჩასვლისას, ერთთავად რატომ გაურბოდა მოაჯირისკენ ხელი. ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს თავს სწორედ მისი საშუალებით იმაგრებდა. თანაც, თუკი დაინახავდა, რომ კიბეზე მის საპირისპიროდ რომელიმე ისეთი თანამშრომელი მოემართებოდა (მით უმეტეს, თუ ეს თანამშრომელი ახალგაზრდა ქალი იყო), რომელსაც შედარებით ახლოს იცნობდა და თავს ვალდებულად თვლიდა, მისალმებოდა, მაშინ სხეულის საშინელი გრეხით მთელი სიმძიმით მას (მოაჯირს) აწვებოდა და... — ნეტა ამ ახალ ცხოვრებაშიც თუ გამოჰყვა ეს ჩვევა? — როგორღაც უცნაურად ამოუტივტივდა პატარა ადამიანს თავში ეს კითხვა და მაშინვე ღიმილი მოერია, რაებს ვფიქრობო, თუმცა წამსვე შეეცვალა აზრი. რატომაც არ შეიძლება ასეთ რამეებზე ფიქრი? ყველაფერი ეს, რამაც ეს წუთია ჩვენი გმირი გაიტაცა, ხომ უბრალო, პრიმიტიული საკითხებია და ისიც ხომ ცნობიერებაში სწორედ იმავეს, პრიმიტიულობას, უბრალოებას ეძებს! რად უნდა პატარა ადამიანს დამღუპველი სირთულე? რასაც ეძებდა, სწორედ ის უპყრია ხელთ. ასე რომ, თავისუფლად შეიძლებოდა იმავე საკითხებზე, სწორედ ასეთსა და სხვა ამისმაგვარ პრიმიტიულობებზე საკუთარ თავთან მსჯელობა და ფიქრი! ჰოდა, იდგა ჩვენი გმირი კიბის მოაჯირთან და ფიქრობდა, წუთი კი წუთს მისდევდა...

***

ვინ იცის, ნაადრევი იყო თუ ნაგვიანები, მაგრამ ეს კი მოხდა, რომ პატარა ადამიანი თანდათან დაცხრა. კეთილი ფიქრისგან მინიჭებულ სიამოვნებას როგორღაც შეეჩვია, გაუშინაურდა, გაიუბრალოვა. ახლა მისთვის ოცნება თითქოს მოსაწყენიც გახდა. ამასობაში კი იქ, სადაც პატარა ადამიანი და მისი ორი დაქანცული მეგობარი სულს ითქვამდნენ, ერთი შეხედვით ყველაფერი კვლავინდებურად, სრულიად ჩვეულებრივად იყო — შავგვრემანი ყუთზე ქათამივით ჩამომჯდარიყო და თავჩაქინდრული მარცხენა ხელის ნეკზე წამოზრდილ ფრჩხილს უაზროდ აწვალებდა. დონ ჟუანი კი თამბაქოს მკრთალ კვამლში გახვეული, უხმოდ, ბიჭებისაგან ზურგშექცევით კიბის მოაჯირს გადაყრდნობოდა და ქვედა სართულზე მდგომ, ვიღაც უცხო ბიჭთან კეკლუცად მოსაუბრე ახალმიღებულ თანამშრომელ ჯიშიან გოგოს უგროშო მუშტრის მზერით ფარულად თვალს ადევნებდა. არც იქვე მახლობლად მდგომ თანამშრომელთა ჯგუფს გამოუცოცხლებია იქაური ერთფეროვნება რაიმე გამორჩეული ქცევით, თუკი მაინცდამაინც მხედველობაში არ მივიღებთ იმ უმნიშვნელო ცვლილებას, რომელიც მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ორი კაცი გამოაკლდათ და თითქოს სწორედ

მათ სანაცვლოდო, ამდენივე შეემატათ. სხვათა შორის, ის ახალგაზრდა ქალი, რომელიც მათში ერია, დაზუსტებით ვერ ვიტყვით (რადგან პატარა ადამიანი მისგან ზურგშექცევით იდგა და ვერ ხედავდა) მგონი, ისევ იქ დარჩა. რატომღაც აღარ დაინტერესებულა ამ ქალის იქ ყოფნა-არყოფნით ჩვენი გმირი — შესაძლოა, მისი იქ ყოფნა იმდენად აღარც კი აღელვებდა. რაღაც სხვანაირი გრძნობა, სხვანაირი განწყობა შემოსწოლოდა ამ დროს პატარა ადამიანს. იდგა წინანდებურად კედელს მიყრდნობილი, თვალებით იატაკს ჩაშტერებოდა და რაღაცაზე ფიქრობდა. მხოლოდ სახე ჰქონდა წინანდელისაგან განსხვავებით უფრო პირქუში და მის თვალებშიც სევდა იკითხებოდა. და ამ დროს ის განიცდიდა მართლაც რაღაც ძალზე უცნაურს, ქვეცნობიერს, თავადაც რომ ვერ ხვდებოდა, რას. იმდენად ვერ ხვდებოდა, რომ შიგადაშიგ იმაშიც ეპარებოდა ეჭვი: საერთოდ განვიცდი კი რამესო, მაგრამ მეორე წამს ისევ რწმუნდებოდა განცდილის რეალობაში და ეჭვის ნატამალიც აღარ რჩებოდა. ერთადერთს, რასაც შედარებით აშკარად გრძნობდა, ის იყო, რომ ეს მისი მდგომარეობა ვიღაცაზე თუ რაღაცაზე, უეჭველად გარეშეზე იყო დამყარებული და იქიდან იმართებოდა. თუმცა იმასაც ხვდებოდა, რომ ირგვლივ (ეგრეთ წოდებულ — არა თავის თავში) ყველაფერი კვლავინდებური, უცვლელი, ისეთივე ჩვეულებრივი იყო, როგორც მანამდე და მისი ანგარიშით, არაფერს არ უნდა მოექცია თავისი ზეგავლენის ქვეშ მისი კატასტროფულად მოდუნებული არსება, მაგრამ... მაგრამ მაინც რაღაც სხვაზე, გარეშეზე დამოკიდებული ხდებოდა, მასში იძირებოდა, მთელი არსებით ერწყმოდა მას. იმდენად უჩვეულო (და იქნებ — არაადამიანურიც კი) გრძნობა იყო ეს, რომ ასე ეგონა: ნორმალური ადამიანური გრძნობებიდან მხოლოდ ერთს — მსუბუქი თავბრუსხვევის შეგრძნებასღა განვიცდი და სხვა ყველაფერი არამიწიერი განცდაო. მერე და მერე პატარა ადამიანს ისიც კი მოეჩვენა, რომ სამყაროს იმ ნაწილს, რომელშიც იმყოფებოდა, რაღაც გულისწამღებად ზანტი, უსიცოცხლო გრძნობებისაგან შეთხიპნილი ყრუ, უფერული ბურუსი და სივრცეში დარხეული მძიმე, თუმცაღა ოდნავ გასაგონ ხმაზე ყღერადი, კიდევ უფრო გულის წამღები მელოდია გადაეფარა, უფრო ყრუ კივილს რომ ჩამოჰგავდა და სამყაროს ბუნდოვან უსასრულობაში იძირებოდა. უსასრულობის შეგრძნებას წააგავდა ეს — სიცარიელე... სიცარიელე... სიცარიელე... და რა მარტო და მივიწყებული ხარ ამ დროს! მარტო და მივიწყებული — თვითონაც არ იცი, რატომ ან ვისგან!

თანდათან ამ უცნაურმა გრძნობამ თუ შთაბეჭდილებებმა პატარა ადამიანს (რა თქმა უნდა, ისევ ქვეცნობიერად, მაგრამ როგორღაც უკვე მაინც აშკარად) რაღაც გამოუცნობი რამის, რომელიღაც კონკრეტული მოვლენის მოახლოება ამცნო — მოდუნებული, თითქოსდა სამუდამოდ გაერთფეროვნებული გარემო რაღაცით უნდა გამოცოცხლებულყო. რაღაც სერიოზული სიახლე, ცვლილება უნდა შესულიყო მასში — (ასეა, სიცოცხლისათვის სიკვდილით ემზადება ხოლმე სამყარო...) და ეს სიახლე პირადად პატარა ადამიანს, უშუალოდ მის ბედ-იღბალს უნდა შეხებოდა, ოღონდ იმას კი ვერ მიხვდა ჩვენი გმირი, მაინცდამაინც პირადად მას რატომ უნდა შეხებოდა მოახლოებული მოვლენა — (რას იზამ, ფეთიანია ადამიანის წინთაგრძნობა...) — და მსუბუქმა, თითქმის შეუმჩნეველმა ფორიაქმა აიტანა. გაუკვირდა კიდეც საკუთარი თავისა — გეგონებოდათ, მართლაც შეგუებული იყოო იმ აზრს, რომ ასეთ უცნაურ გარემოებაში არც კი უნდა გამოვლენოდა სხვადასხვა ადამიანური გრძნობა თუ თვისება. ძლიერ ჩააფიქრა ამ ყველაფერმა, კედელს მიყრდნობილი შეირხა კიდეც — საყრდენი ფეხის გამოცვლა უნდოდა და უეცრად, თითქოს გამოერკვაო, ძლიერ ემძიმა თავისი მდგომარეობა. ახლა უფრო აშკარად, უკვე ფიზიკურად იგრძნო იმ რაღაც მოსახდენის მოახლოება, რომელიც პირადად მას, მის ბედ-იღბალს უნდა შეხებოდა.

ძნელია, როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ რაღაც გაურკვეველი რამ უნდა მოხდეს მის თავს და ამ მოსახდენის წინაშე უძლურია — ვერაფერს შეცვლის, რადგან დაახლოებითაც არ იცის, რასთან აქვს საქმე, უნდა მოხდეს, რას ელოდება! მოსალოდნელი ცვლილების მოლოდინი მერე და მერე ავისმომასწავებელ აზრად აეკვიატა ჩვენს გმირს და თითქოს განგებო, ადვილად რომ გაეტეხა ეს საწყალი, ნინასწარვე სულიერად დაასუსტა, ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ თავი ვეღარ დაეცვა უბრალო წვრილმანისაგანაც კი. გონება დაებინდა, აზრი გაეყინა თავში. მართლაც რაღაც ახლოვდებოდა, რაღაც მოხდებოდა — ასე სულიერად დასუსტებულს ხომ სულ უბრალო რამ, ნიავიც იოლად წააქცევდა, დაამარცხებდა! და აი, სულ მცირე ხანში, ბედისწერამ იგი (უკვე ყოვლად შემზადებული ადამიანი) კიდევ ერთი, უსაფუძვლო ტკივილით დააჯილდოვა — მესამე სართულზე, ზედ ჩვენი ბიჭების თავზე მეხივით დაიგრიალა დაწესებულების უფროსის ნერვიულმა ხმამ და იქაურობას დამანგრეველ ექოდ მოეფინა.

— აა, აქ ყოფილა! — ეს სიტყვები ჩვენმა გმირმა ლამის ხმამაღლა გამოსცრა და მთელ სხეულში ერთიანად დაუარა ტკივილმა. უკიდურესად დაიბნა და სანამ იმას მოიფიქრებდა, რა უნდა მოემოქმედებინა, მკაცრი, ბრაზიანი ჭაღარა ადამიანის სქელსათვალიანი სახე ქვე-

ვით მომავალი კიბის საფეხურებზე წამოებლანდა — დირექტორი ძირს ეშვებოდა!

ეს კაცი თავისი სიმკაცრით ბევრად აღემატებოდა კადრების განყოფილების უფროს ქალს. განსხვავება ის იყო, რომ იგი არ ემტერებოდა პატარა ადამიანს — ის ძალზე პატარა თევზი იყო მისთვის. შესაძლოა, სახეზეც არ იცნობდა ჩვენს გმირს. თუმცა პატარა ადამიანი იმდენად იყო აღგზნებული, რომ ახლა ვინმეს ვინმესთვის თითი რომ დაექნია, ამას დაუფიქრებლად თავის თავზე მიიღებდა. არც არის გასაკვირი, რომ პატარა ადამიანი ძალზე დააფრთხო დირექტორის გამოჩენამ. შიშისაგან თვალები გაუფართოვდა.

ეს ციდან ჩამოვარდნილი კაცი (თუმცა ციდან ჩამოვარდნილს კი არა, ქვესკნელიდან ამომხტარს უფრო ჰგავდა) მართლაც პატარა ადამიანისაკენ მოიწევდა: უნდა შეეჭამა! შეესანსლა! გადაეყლაპა! საწყალი მსხვერპლი თვალებდაჭყეტილი ელოდა თავის აღსასრულს! მაგრამ... მაგრამ აქ, რა თქმა უნდა, უმტყუნა პატარა ადამიანს ავმა წინათგრძნობამ: ბრაზიან უფროსს იგი არც შეუჭამია, არც შეუსანსლავს, არც მისი გადაყლაპვა უცდია და საერთოდ, ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის. უბრალოდ, გზად ერთი კიდევ დაიღრიალა რაღაც და ისე ჩაუარა, გეგონებოდათ, ამ ერთი წამის უკან მისი შესანსვლა ფიქრადაც არ ჰქონიაო. ამის შემდეგ ჩვენმა გმირმა ოდნავ მოითქვა სული და მეტ-ნაკლებად გამოერკვა. უფროსობის გამოჩენით პატარა ადამიანისამებრ დამფრთხალი ბიჭები ზედა სართულზე ასატან ყუთს უკვე ჩასჭიდებოდნენ და მის დასაძრავად ჩვენი გმირის ნაშველებასლა ელოდნენ. რა თქმა უნდა, პატარა ადამიანმა არ დაახანა და ტვირთი ზედა სართულისაკენ მიმავალ გზას გაუყენეს.

დანესებულების ერთფეროვანი ყოფა „მკაცრი უფროსის" ხანმოკლე გამოჩენამ რაღაც ხნით გამოაცოცხლა, მაგრამ ეს გამოცოცხლება მალევე ჩაკვდა. ახლა თანამდებობის პირის გავლენა სივრცეში დამკვიდრებული იმ წამიერი სიჩუმითლა იგრძნობოდა, რომელმაც გამოააშკარავა მანამდე შეუმჩნეველი გაბმული შრიალი — დიდი კანცელარიის ხმა. თითქოს ყურებმა დაისვენესო, უფრო სწორად, მაშინლა იგრძნეს, რომ უნდა დაესვენათ. მაგრამ, არა! ეს დასვენება რაღაცით ადამიანის მიერ ფილტვების წამიერად დასვენების არასასიამოვნო მცდელობას უფრო წააგავდა. ამ დროს ადამიანის ინერციულობით განებივრებული შეგრძნება ფორიაქდება, მას რომელიღაც ერთი, თითქოს უმნიშვნელო ელემენტი აკლდება და ამით, მთლიანობაში, ყველაფერი ირღვევა: შეგუებულს შეუგუებელი ცვლის. ადამიანი შინაგანად უკმაყოფილებას განიცდის — შეგრძნება წამიერად მოითხოვს ყოველივე შეგუებულის აღდგენას, დაბრუნებას და ყურებშიც პროტესტის ნიშნად მძიმე სიცარიელის არასასიამოვნო შეგრძნება ისადგურებს. მართალია, ამ ახალ, შეუგუებელ ატმოსფეროს თუ გარემოს ადამიანი მალე შეეგუება, მაგრამ კიდევ უფრო მცირე ხანი უწერია თვითონ მის (შეუგუებლის) ხანგრძლივობას და მის ადგილს ისევ მისი წინამორბედი (შეუგუებელი) იჭერს — ანუ დიდი კანცელარიის ხმა ბრუნდება. სივრცე ჩვეული გუგუნით ივსება. რამდენიმე წამიც და, მრისხანე დირექტორი მთლიანად ამოვარდნილია დაწესებულების რეალობიდან — ყველაფერი თავდაპირველ ყოფას საბოლოოდ უბრუნდება.

***

მესამე სართულის საფეხურებზე ბიჭებს უფრო მეტად გაუჭირდათ ყუთის თრევა. სხვებზე რაღა ვთქვათ და, პატარა ადამიანსაც, წინანდელისაგან განსხვავებით, ემძიმა. არც არის გასაკვირი, ისე იყო მოდუნებული, საკუთარი თავის თრევაც უჭირდა. იმ მხნეობიდან, რითაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ სულდგმულობდა, აღარაფერი შემორჩენოდა. ყველაფერი გაექარწყლებინა რაღაც ახალ, სიცოცხლის მომწამლავ გრძნობას. არადა, ეს გრძნობა თანდათან უძლიერდებოდა. კიბის ყოველი ახალი საფეხური, გეგონებოდათ, მძიმე ყუთთან პირი შეუკრავსო, მეტად და მეტად უმძიმებდა ნაბიჯს. ისეთი პირი უჩანდა, რომ ზედმეტი იყო მისი გადავლის იმედზე ყოფნა და ეს ყველაზე მეტად აფრთხობდა პატარა ადამიანს! ამაზე ფიქრისაც კი ეშინოდა მას! ეს ყველაფრის დაკარგვას, დანგრევას, წარღვნას ნიშნავდა მისთვის, მაგრამ მიუხედავად ასეთი უიმედობისა, გაურკვეველია, რა გზით, რაღაც მაინც უნდა ელონა ჩვენს გმირს — ასე ფიქრობდა თვითონ! თუკი მის ფიქრს კიდევ ფიქრი ეთქმოდა! გონება ღალატობდა, აზრები დაუხვენელადვე ეყინებოდა თავში, აშკარად აღარ ჰქონდა სრულყოფილად ფიქრის თავი, რათა გამოსავლის პოვნა ეცადა — უბრალოდ, ეცადა და მეტი არაფერი... გასაჭირის ჟამს ხომ თავის მოტყუებაც თავისებური გამოსავალია?! ჰო, გამოსავალია! და მზადაც იყო პატარა ადამიანი ამისათვის. ოღონდ მთლად ბრმადაც ვერ მოიტყუებდა თავს, ვერ გადააბრალებდა ყველაფერს რაღაც ნვრილმანს. თვითონ სიტუაციის უარყოფა — თითქოსდა არაფერი ხდებაო, რა თქმა უნდა, სისულელე იყო. ამიტომ ერთადერთ შედარებით ლოგიკურ გამოსავლად მისი დროებითობად, რაღაც კონკრეტული მიზეზებით გამოწვეულ უბრალო განწყობად მიჩნევა ჩათვალა. ასეთ შემთხვევაში კი სიტუაციის მიხედვით, ყველაზე მარტივი ყველაფრის ბობოქარი დირექტო-

რის მოულოდნელ გამოჩენაზე გადაბრალება იქნებოდა — იმ მრისხანე კაცს მარტო პატარა ადამიანის დათრგუნვა კი არ შეეძლო, მისი რიდი და შიში მთელ დაწესებულებას ჰქონდა. აქედან გამომდინარე, რადგან ეს კაცი იქაურობას უკვე გასცლოდა, ისევე როგორც სხვა თანამშრომლებს, მალე პატარა ადამიანსაც ყველაფერი გადაუვლიდა, მაგრამ...

მაგრამ სცადა და არ გამოუვიდა მთლად ასე ბრმად თავის მოტყუება: იგრძნო, რომ დირექტორი ისევე როგორც სხვების, მისი სინამდვილიდანაც მთლიანად უკვე ამოვარდნილიყო! ბოლოს და ბოლოს, ეს გრძნობა იმ მრისხანე კაცის გამოჩენამდე აეკვიატა, ჯერ ქვეცნობიერად აეკვიატა, მაგრამ მთავარია, რომ აეკვიატა. აქ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი, მართალი ტყუილი უნდა მოეფიქრებინა პატარა ადამიანს.

როგორც ხვდებით, შორსმჭვრეტელობისა და ღრმა ანალიზის კეთების თავი აღარ ჰქონდა და ამიტომ უყოყმანოდ წაეპოტინა იმ მარტივ ვერსიას, რომელზეც მის გადაღლილ გონებას ხელი მიუწვდა. ახლა ყველაფერი ტვირთს, მძიმე ყუთსა და თავის დაღლილობას გადააბრალა და ეს დაღლილობა კიდევ უფრო არაადამიანური ეჩვენა! რადგან ასე გადაწყვიტა, მაშ, ტვირთის დანიშნულ ადგილზე მიტანისას, ესე იგი მისგან გათავისუფლებისთანავე, დაღლილობასთან ერთად მთელი ეს მისი უარყოფითი შინაგანი მდგომარეობაც უნდა გაქარწყლებულიყო — მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, სულ მალე ეს აზრი, ისევე როგორც მისი წინამორბედი, წმინდა წყლის სისულელედ ეჩვენა: თვალწინ წარმოუდგა თავისი თავი იქ, მესამე სართულზე, ისევ უსაქმოდ და ამაზე ფიქრს მაშინვე თავი ანება. უაღრესად დამწუხრებულმა უკანასკნელად გაიმეორა გულში, რომ ეს მდგომარეობა არ არის მძიმე ტვირთის, მისგან გამოწვეული დაღლილობის ბრალი და ტვირთისგან დროულად გათავისუფლებაზე ფიქრის ნაცვლად მთელი ძალით (შემორჩენილით) ჩაეჭიდა — გეგონებოდათ, სამუდამოდ ტვირთთან დარჩენა განიზრახაო. ამ დროს თავში ხელახლა დაუტრიალდა საქმის, კონკრეტულ შემთხვევაში კი ყუთის მხსნელად მოვლენის ფილოსოფია და თითქოსდა ტვირთიც საგრძნობლად შემსუბუქებული ეჩვენა. რამდენიმე საფეხური ჩამოიტოვა უკან ოდნავ შვებამოგვრილმა და... და არაფერი! იმავე საკითხმა ახლა სხვა ასპექტით მიიქცია ჩვენი გმირის ყურადღება. ძალიან კი უნდოდა, მეტი აღარ ეფიქრა, დასჯერებოდა გუნებაში გაკეთებულ უკანასკნელ დასკვნას, მაგრამ... და ეს ოხერი ტვირთიც კვლავინდებურად დაუმძიმდა! აი, მისი უკანასკნელი აზრი: ბოლოს და ბოლოს, იქ, ზევით, ოდესღაც ხომ მაინც მოუხდებოდა ყუთთან განშორება! შესაძლოა, ყუთის ადგილზე მიტანისთანავე მუშებისთვის ეთქვათ, არ გახსნათ ყუთი, რადგან მასში მოთავსებული მოწყობილობის დასამონტაჟებლად სპეციალისტს უნდა დაველოდოთო! მერე რაღა უნდა ექნა საწყალს?! ზედმეტად გააზვიადა ყუთისა და საერთოდ, საქმის გამოჩენის ამბავი. მართალია, სამსახურში გასაძლებად დიდ შეღავათად ევლინებოდა მუშაობა, მაგრამ ის არასდროს ყოფილა მისი ნამდვილი მხსნელი, მკურნალი — ეს უკანასკნელი ტკივილგამაყუჩებელ წამალს უფრო ჰგავდა, ვიდრე სამკურნალოს! პატარა ადამიანს მუშაობაში დრო გაჰყავდა ხოლმე, თავს იტყუებდა, თორემ ისე, რამდენიც უნდა ემუშავა, როგორი უხეიროც იყო, ისეთივე რჩებოდა. აი, დღესაც, საქმის გამოჩენას კი არ გაუმხნევებია ტუალეტიდან გამოვარდნილი! მეგობრის დანახვამ გაამხნევა — მეგობრები... ჰო, მეგობრები! — ლამის წამოიყვირა პატარა ადამიანმა და გეგონება რაღაც ახალი აღმოაჩინაო, მაშინვე ისევ ჩაფიქრდა. ან კი როგორ მოუვიდა, რომ ყუთზე უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე მათზე?! როგორ გაბედა და რაღაც ყუთი მეგობრობის გრძნობას გაუტოლა! სირცხვილი მას! და პატარა ადამიანი გაწითლდა. კიდევ რამდენიმე საფეხური მოიტოვა უკან. სირცხვილის გრძნობაც შემოეფანტა — როგორც ჩანს, ამის თავიც აღარ ჰქონდა. ის იყო, მეგობრობაზე ფიქრის გაგრძელება დააპირა, რომ უეცრად თვითონ ფიქრმა მიიქცია მისი ყურადღება — ახლაღა მიხვდა, რომ ფიქრის, ნორმალურად გააზრების უნარი დაბრუნებოდა. დაიმედებულმა მაშინვე თავისი შინაგანი მდგომარეობა მთლიანად გადაამოწმა — აშკარა შეღავათს გადააწყდა! ამდენი ტანჯვის შემდეგ რა საოცარი შეგრძნება იყო ეს — კაშკაშა ნათელი უზარმაზარ მღვიმეში... პატარა ადამიანმა მანამდეც იცოდა, მაგრამ დღეს, სწორედ ამ წამს, კიდევ უფრო დარწმუნდა მეგობრობის სიდიადეში!..

***

მესამე სართულამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა. კიბის უკანასკნელ საფეხურებს მიუყვებოდნენ ბიჭები. პატარა ადამიანი მაინც ერიდებოდა იქითკენ თვალის გაპარებას, ბრმად ადგამდა ნაბიჯებს — ღელავდა! ვერ ვიტყვით, ეშინოდაო. პირიქით, მხნედაც გრძნობდა თავს — მას ხომ მეგობრები ჰყავდა გვერდით! მაგრამ აი, მესამე სართულის სიღრმიდან რაღაც ხმებმა, შეძახილებმა გამოაღწია — ეტყობა, ვიღაცა ვიღაცას ეხუმრებოდა. მერე ამას სიცილ-ხარხარიც მოჰყვა — გულის წამღები, შემაძრწუნებელი! ოჰ, ეს ხმები! ხმები! კაცს ბედნიერება კი არა, მისი ძიებაც შეგზიზღდებოდა... და ამის შემდეგ ყველაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ერთ წამში ჩაეტია: პატარა ადამიანმა წაიბორძიკა! არ წაქცეულა, ყუთიც არ გავარდნია ხელიდან — დროზე მოასწრო თავის შემაგრება, მაგრამ ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა! თავში რის ვაივაგლახით დალაგებული აზრები ხელახლა აერია. როგორც ჩანს, თვით მეგობრობის გრძნობაც კი ვეღარ აღმოჩნდა საკმარისი პატარა ადამიანის ჩვენი გმირის გასამხნევებლად... და მართლაც, რა უნდა გაეკეთებინათ ბიჭებს მისთვის? კაცი შვილი არაა პატარა ადამიანის მხსნელი, მისი მშველელი! რა მარტოა, უმწეო, ყველასაგან მიტოვებული ამხელა ქვეყანაზე, ამ უსასრულობაში!..

კიდევ ერთი ნაბიჯი... ორი... სამი... ხვეული კიბის პატარა, ფერადი ფილებისაგან ჭადრაკისებურად მოპირკეთებული ბაქნის თავში მდგომი მაღალი, ვითომდა იქაურობის მოდარაჯე, სინამდვილეში კი ჩვეული გულგრილობით ერთთავად პირთამდე გულგახსნილი, სიძველისაგან მორყეული და გაცვეთილი ხის კარი უსიცოცხლოდ და ერთფეროვანი განურჩევლობით ეგებებოდა გამვლელ-გამომვლელს. ამ კარში თითქმის ყოველ წამს გადიოდა ვიღაც ან გამოდიოდა. ნაცნობები ზღურბლზე ერთმანეთს ესალმებოდნენ, გზას უთმობდნენ, ხან კი ერთიმეორეს მხრებით ეჯახებოდნენ. ხშირად შეჩერდებოდნენ, საქმიანად საუბრობდნენ, ან უბრალოდ, ერთმანეთში ლაზღანდარობდნენ — მთელ დაწესებულებაში ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი იყო! მეოთხე... მეხუთე... მეექვსე ნაბიჯიც და ბიჭებმა ამ მნიშვნელოვანი ადგილის ზღურბლს ყუთიანად გადააბიჯეს!..

***

გასაძლები გასაძლებად ყველაზე აუტანელი მაშინ ხდება, როდესაც ის თავისი არსებობის უკანასკნელ წამებს ითვლის. და აი, პატარა ადამიანისა და მისი ორი მეგობრის მძიმე ფიზიკური შრომა დასასრულს მიუახლოვდა, რის გამოც კიდევ უფრო დამძიმებულმა ყუთმა მთელი თავისი ძალ-ღონით შეუტია ჩვენს გმირთა სამეულს. ვინ იცის, უფრო შორს რომ ჰქონოდათ ყუთი გადასატანი, ეგებ შეესვენათ კიდეც, მაგრამ დარჩენილი მანძილი იმდენად მცირე იყო, რომ ყუთის დაშვება-აწევა კიდევ უფრო დაღლიდა ბიჭებს. დაღლილები კი იცოცხლეთ, იყვნენ: ისედაც უფერული, ახლა კი მიტკალივით გათეთრებული დონ ჟუანი სიმწრის ოფლში ცურავდა და მისი გასაცოდავებული გამომეტყველება არანაკლებ წელში გამწყდარ, ოთხად მოკაკულ შავგვრემანს სიცილს გვრიდა, სიმწრის სიცილს. სიცილი ხელებში ძალას აცლიდა, წელში უფრო ხრიდა, მაგრამ თვალს მაინც ვერ წყვეტდა დონ ჟუანს. ეს კომედია, რა თქმა უნდა, მარტო ამ ორის საცოდაობით არ მთავრდებოდა. პატარა ადამიანი მათზე ბევრად უარეს დღეში იყო. უბრალოდ, თავიანთი "უბედურებით" გართულ მეგობრებს პატარა ადამიანის არსებობა სრულიად გადააავიწყდათ. ბოლოს, როდესაც პატარა ადამიანის მდგომარეობამ კულმინაციას მიაღწია და განწირული ადამიანის შებარბაცებით ტვირთის თავისი წილი სიმძიმე ძმურად გადაუნაწილა ორივეს, მაშინღა მოიცალეს მეგობრებმა ამ საბრალოსთვის. თუმცა უკვე გვიან იყო — პატარა ადამიანი უგონოდ ჩაიკეცა!

მეორე ნაწილი

დაბნეული დონ ჟუანი და შავგვრემანი გაოგნებულნი დასჩერებოდნენ იატაკზე ყუთთან მიკრუნჩხული ადამიანის სხეულს, თვალები რომ გადმოკარკლოდა, პირიდან დუჟი სდიოდა და მომაკვდავივით ხროტინებდა — პატარა ადამიანს ეპილეფსიური შეტევა ჰქონდა. შეტევა იშვიათად ემართებოდა. კოშმარული წამები ერთმანეთის მიყოლებით ეშვებოდნენ შავი, პირქუში ციდან — უძლურებით აღსავსე კოშმარული წამები... და ბიჭებს ეგონათ, ეს აღარასოდეს დამთავრდებაო! აქამდე არც იცოდნენ, თუ პატარა ადამიანს ეს სენი სჭირდა, პირველად ხედავდნენ ამ ყოფაში ჩავარდნილს.

მესამე სართულზე პატარა ადამიანის ასეთმა "ორიგინალურმა" გამოცხადებამ დიდი ხმაური გამოიწვია. ყოველი მხრიდან გამორბოდნენ თანამშრომლები. ჩვენს გმირს შემოეხვივნენ — ყვიროდნენ... კიოდნენ... მითითებებს იძლეოდნენ... და პატარა ადამიანზე ნასხურები წყლით თავადაც ილუმპებოდნენ. ასე გაგრძელდა დიდხანს. ბოლოს, პატარა ადამიანმა თანდათან იწყო შოკური მდგომარეობიდან გამოსვლა — კრუნჩხვამ გაუარა და თვალები გაახილა. თუმცა ჯერ ისევ ღონემიხდილი ჩანდა. ძვლები იმდენად ტეხდა, არათუ ადგომის, განძრევის თავიც არ ჰქონდა. ასე რომ, ერთხანს მოუწია გულშემატკივართა მეთვალყურეობით იატაკზე წოლამ და მერე რამდენიმე ახალგაზრდამ, რომელთა შორის მისი ორი მეგობარიც ერია, ფრთხილად გადაიყვანეს იქვე ახლოს, ოთახში, სადაც პატარა ადამიანისათვის უკვე გაემზადებინათ მასავით პატარა, მაგრამ რაღაცით თბილი სარეცელი...

***

ოთახში, "დიდი კანცელარიის" ამ ერთ-ერთ საკმაოდ აქტიურ უბანზე გადანაცვლებულმა საყოველთაო მღელვარებამ კიდევ რამდენიმე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანს გასტანა — ეტყობა, იქაურები არ უნდა ყოფილიყვნენ ამგვარი შემთხვევებით განებივრებულნი. და მართლაც, ვინ იცის, ადამიანს კიდევ როდის მიეცემა ასეთი უჩვეულო სანახაობის ხილვის შანსი — არავის არაფერი გაემტყუნება. პატარა ადამიანს ყველა გულწრფელად თანაუგრძნობდა. თანაუგრძნობდა და დასასრულ, ავადმყოფს სუფთა ჰაერითა და სიმშვიდით მკურნალობა ერთხმად, ბეჭედდასმულ რეცეპტად გამოუწერეს. მერე კი ისე, რომ პატარა ადამიანს ზედმეტად არ ეეჭვა — აქ რაღაც განსაკუთრებული მოხდაო, ოთახიდან ერთიმეორის მიყოლებით გაიკრიფნენ. იქ მხოლოდ გუშაგნი დარჩნენ, ისინი, ვისაც ამ დიდ, ნათელ ოთახში თავისი სამუშაო კუთხე, პატარა მაგიდა და ერთი სკამი მაინც მოეძებნებოდა, — უსაქმოდ იქ არავინ უნდა გაჩერებულიყო! ავადმყოფს თავისი მდგომარეობისა, იმისა, რაც ახლახან თავს გადახდა, არაფერი უნდა სცოდნოდა! წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ავადმყოფში პანიკას გამოიწვევდა და სწორედ ამ უკანასკნელის აღკვეთა შედიოდა იქ დარჩენილთა მოვალეობაში. წარმოიდგინეთ, პატარა ადამიანის მეგობრებიც კი — დონ ჟუანი და შავგვრემანი, გამოპანღურებით არა, მაგრამ ხელდახელ შემუშავებული უმტკიცესი ინსტრუქციის თანახმად სწრაფად გამოაბრძანეს გარეთ.

ოთახში სიწყნარემ დაისადგურა. დროის რაღაც მონაკვეთი კიდევ ჩაბარდა წარსულს და საქმის სასიკეთოდ შემობრუნებასაც უფრო და უფრო უკეთესი პირი გამოუჩნდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ პატარა ადამიანმა სიცოცხლის ნიშანწყლის გარდა, სხვა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო თვისებებიც გამოავლინა. მან გუნებაში უკვე შეძლო იმ სიტუაციის გამოკვლევა, რაც ეს წუთია თავს გადახდენოდა — გაიხსენა... გაიაზრა... და მიხვდა, რომ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ჩავარდნილიყო — ეპილეფსიური შეტევა ძალზე უადგილო დროს გამოეჩხირა! თუმცა იმასაც მიხვდა, რომ შეტევა რაღაცით მის სასარგებლოდაც იყო მომართული. რაღაც განსაკუთრებულ უფლებას ანიჭებდა პატარა ადამიანს, უფრო სწორად, რაღაც ვალდებულებებისაგან ათავისუფლებდა — ძალზე თავისებური, ფაქიზი განცდა იყო ეს მისთვის, ნახევრად ქვეცნობიერი შთაბეჭდილება. ეს განცდა თუ შთაბეჭდილება ნაწილობრივ პატარა ადამიანის ბავშვობასთანაც იყო დაკავშირებული. ასე შვიდი-რვა წლისა რომ იყო ჩვენი გმირი, წითელა თუ წითურა დაემართა, იწვა და შინაურები თავს ევლებოდნენ — არც სკოლაში ევალებოდა წასვლა, წიგნების კითხვა თუ საშინაო დავალებების წერა, არც მაღაზიაში გზავნიდა ვინმე — იწვა და იწვა... ყველაფრისაგან თავისუფალი! რასაც ისურვებდა, უსრულებდნენ! მაშინ ერთი დიდი, ნამდვილი წითელი მამალიც მიუყვანეს საჩუქრად... რა კარგი იყო მაშინ! რატომ შეცვალა კარგი ბავშვობა მძიმე დიდობამ? — ამ კითხვაზე პასუხი პატარა ადამიანს არ მოეძებნებოდა. არადა, რამდენი რამე შეიცვალა მას შემდეგ. ჯერ იყო და, მამა გარდაეცვალა მოულოდნელად. მამის გარდაცვალების შემდეგ, ყველასდა გასაკვირად, არც დედამისს უცოცხლია დიდხანს. პატარა ადამიანს ბებია ზრდიდა — კარგი, საყვარელი, თბილი ბებია. ასაკმა მოუწია და, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელმა ნუგეშმაც მიატოვა ჩვენი გმირი.

ფიქრებით ბავშვობაში გადახვეწილი პატარა ადამიანი ისევ რეალობამ, ოთახის სინამდვილემ გამოარკვია. ოთახში სიწყნარე იდგა. სიწყნარე იდგა... სიწყნარე... სიწყნარე, მაგრამ ეს ცრუ, ხელოვნური სიწყნარე იყო! დაახლოებით ისეთი, კიბეზე დირექტორის გამოჩენამ რომ გამოიწვია და ადამიანს უფრო მეტად რომ ეცემა ყურში, ვიდრე ის თავდაპირველი, გარემოსათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ხმაური. ეს სიწყნარე ოთახის სივრცეს სიმსუბუქის შეგრძნებას ვერ ანიჭებდა. მხოლოდ წამიერად და ისიც ზედაპირულად თუ გამოკრთებოდა სიმსუბუქის კი არა, სივრცის მოდუნების, იქაურობის თითქოს თავისივე თავისაგან განტვირთვის შეგრძნება. ამ შეგრძნებასაც გარედან მოგუდულად შემოღწეული დაწესებულების გუგუნი მაშინვე ანეიტრალებდა, აქარწყლებდა და საბოლოოდ იქაურობა კიდევ უფრო მძიმდებოდა. ახლა ამ ერთ ოთახში, ამ ერთ სივრცეში ერთზე მეტი სივრცის ჩადგომა იგრძნობოდა, ერთზე მეტი სივრცე შესთვისებოდა იქაურობას: ერთი ხომ თავისთავად იქაური, ვითომ მიჩქმალული, დამალული, მაგრამ მაინც არსებული და ხილული, ხოლო მეორე — გარედან შემოღწეული, სწორედ იმ ყრუდ, მოგუდულად შემოღწეულ დაწესებულების გუგუნს რომ მოსდევდა თან და რომელსაც, იქ, ოთახში ფეხის მოსაკიდებლად, იქაურობასთან შესათვისებლად ეს, ხელოვნურად გამოძერწილი სიწყნარე, სწორედ რომ საუკეთესო ნიადაგად ევლინებოდა. ერთი სიტყვით, პატარა ადამიანის შეგრძნებით, ამ დაწყევლილ ოთახში უკვე მარტო იქაურობა კი არა, მთელი დაწესებულება, მთელი სამყარო ჩაბუდებულიყო და ამის დიდი ხნით ატანა შეუძლებლად ეჩვენა. ეს ატმოსფერო აუცილებლად უნდა გადასხვანაირებულიყო! ვის შეეძლო გადაესხვანაირებინა, დაებრუნებინა ხელოვნური სიწყნარის ნაცვლად ბუნებრივი ხმაური? პატარა ადამიანის გარშემო მყოფ ადამიანებს? მათ, ვისაც წვლილი მიუძღოდათ ამ სიწყნარის დამყარებაში? არა! მათ ეს სიწყნარე გამართლებულად მიაჩნდათ! ისინი ამ

დროს მნიშვნელოვანი რამით იყვნენ დაკავებულნი: გულისყურით ჩასცინინებდნენ ავადმყოფს, მის ყოველ მოძრაობას, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას თუ ოდნავ შერხევას. საწყალს განძრევის საშუალებაც არ მისცეს, როდესაც წამოდგომა სცადა. ეს გატრუნული ხალხი ისე წამოიშალა, აქაქანდა და ახმაურდა, გეგონებოდათ, სულ ერთიანად აპირებენო ყველაფერ იმის ანაზღაურებას, რაც უკანასკნელ წუთებში დუმილის სახით დაიკლეს. და თითქოს განზრახ, ამ დიდებული სცენის დასაგვირგვინებლად, ხმაურზე დერეფნიდან ვიღაც დაფეთებული გულშემატკივარი შემოვარდა — ესაო და ვიფიქრე, ხომ არ გარდაიცვალაო. საწყალ ავადმყოფს სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა სასვენებელზე ხელახალი გართხმისა. დაბნეულობისაგან პატარა ადამიანმა ბევრი ვერაფერი გაიგო, ვერაფერს მიხვდა, გარდა იმისა, რომ გაუნძრევლად უნდა წოლილიყო — ასეთი იყო ხალხის ნება და პატარა ადამიანი ხალხის ნებას დაემორჩილა.

რამდენიმე წუთი კიდევ გავიდა. თანამშრომლებმა თანდათან იგრძნეს, რომ გადამეტებული მზრუნველობით პატარა ადამიანს თავის მდგომარეობაზე ყურადღებას უმახვილებდნენ და თავიანთი საქციელი თავადვე გამოასწორეს: ვიღაცამ საბეჭდი მანქანა ააკაკუნა, ჩურჩული ხმამაღალ ლაპარაკში გადაიზარდა — რაღაცები გაიხსენეს, გაიოცეს, გაიცინეს... მოკლედ, რომ იტყვიან, თავიანთი თავებისთვის მოიცალეს! და პატარა ადამიანმაც შვებით ამოისუნთქა, თან გულისყურით მოათვალიერა იქაურობა. სადამდეც მზერა მიუწვდებოდა, თანამშრომელთა სახეები და ვინაობა გადაამოწმა, რასაც აქამდე ვერც კი ბედავდა. გადაამოწმა და აღმოაჩინა, რომ ქალებით სავსე ოთახში იყო — ეს ქალების ოთახი იყო... ქალები... ქალები... ქალები.... ჰო, ქალები! პატარა ადამიანმა ახლაღა გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ის ამდენი ქალის წინაშე ტახტზე გაშხლართულიყო და არხეინად ნებივრობდა. სირცხვილისაგან შეხტა და წამოდგომა სცადა. წამოდგებოდა და მოუსვამდა კიდეც აქედან, მაგრამ თავთით მჯდომმა ხანში შესულმა ქალმა, რომელიც აქამდე თითქოს მხოლოდ ქაღალდების ქექვით იყო გართული, ალერსიანად დააწვინა სასვენებელზე. ამ ქალის ნება ბევრად განსხვავდებოდა იმ თანამშრომელთა ორიოდ წუთის წინანდელი რეაქციისაგან, პატარა ადამიანი წამოდგომის მცდელობისას ლამის მუშტებით რომ მიასვენეს უკან. და ჩვენი გმირიც ამ ქალის ნებას, თვითონაც რომ ეუცნაურა ისე, პროტესტის გარეშე დაჰყვა. მართალია, ცოტა ხანში ისევ შემოაწვა თავისი მდგომარეობისაგან, უფრო სწორად, მდებარეობისაგან აღძრული უხერხულობის გრძნობა, მაგრამ ხანში შესული ქალის თანაგრძნობამ ეს როგორღაც უფრო იოლად ასატანი გახადა.

ჩვენმა გმირმა ოთახში მყოფი თანამშრომლების თვალიერება ძალიან თავშეკავებულად, მათგან ფარულად განაგრძო. თითქოს ჯიბრზეო, უფრო ახალგაზრდები ჭარბობდნენ. აი, მაგალითად, ის, სულ ახალგაზრდა, ალბათ, ჩვენი გმირის ასაკისა თუ იქნებოდა... — არა, რას ამბობთ! მას არც იცნობდა პატარა ადამიანი! არასდროს მისალმებია — არც სახელი იცოდა მისი! კიდევ კარგი, ის გოგოც არ იჩენდა ინტერესს ჩვენი გმირისადმი, სხვებივით არ აპარებდა დროდადრო მისკენ მზერას. თან რაც მთავარია, გოგო არც ისე ლამაზი იყო, რომ პატარა ადამიანს უხერხულობის გრძნობა კიდევ უფრო გასძლიერებოდა. რაღა გავაგრძელოთ და, დანარჩენების ფონზე ეს ქალიშვილი დროებით მაინც შეიძლებოდა ჩვენი გმირის სათვალავიდან გამოგვერიცხა. სხვები, სხვები უფრო თრგუნავდნენ მას. თუნდაც ის, კუპრისფრად შეღებილთმიანი, საკმაოდ გამომწვევი, ვნებიანი ქალი, დედისტოლა ქალების წინ ფეხიფეხგადადებული ურცხვად რომ მისვენებოდა თავის ღრმა, აბსოლუტურად ინტიმურ სავარძელს და თითქოს...

არა, არა, — მეტი არაფერი დაუნახავს პატარა ადამიანს... არ დაუნახავს და მორჩა! ამ ვნებიანი ქალისაკენ აღარც გაუხედავს! მხოლოდ ერთადერთხელ მოჰკრა მას თვალი და მას მერე... მერე? ოჰ, ჯანდაბა(!), ამ ქალის იმ გოგოსავით სათვალავიდან ამოგდება ვერაფრით მოახერხა ჩვენმა გმირმა. მართალია, მისკენ აღარ გაუხედავს და ცდილობდა, აღარც ეფიქრა მასზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას თითქოს დაუნახავადაც ხედავდა, მასზე ფიქრობდა. ვინ იყო ეს ქალი? და ან ასე ძლიერ რატომ მოქმედებდა მისი იქ ყოფნა პატარა ადამიანზე? ვინ იყო, ამას, რაღა თქმა უნდა, გეტყვით, მაგრამ იმის თქმა, რატომ მოქმედებდა ასე განსაკუთრებულად მისი იქ ყოფნა ჩვენს გმირზე, ამის თქმა გაგვიჭირდება. ამის თქმა თვითონაც უჭირდა და იმდენად უჭირდა, რომ ამაზე დაფიქრებულს დასკვნის გამოტანის დრო რომ მოუწევდა, აზრები ერთიანად ებნეოდა. და მართლაც, რისთვის უნდა მიეწერა ამ ქალისადმი თავისი ასეთი უცნაური, ყოვლად გაურკვეველი გრძნობის არსებობა? მორცხვობისათვის? თუ იმ რაღაც-რაღაცებისათვის(?)... არა, არა, რაღაც-რაღაცებს თავი დავანებოთ, პატარა ადამიანი არ არის მაგის კაცი, მაგრამ ეს მორცხვობაც რომ არ იყო? ჩანს, აქ სრულიად სხვა, ძალიან რთული, შეუცნობადი რამ იყო! ამ საკითხზე დუმილს არჩევდა — დუმილი ხანდახან გამართლე-

ბული რამ არის... ის კონკრეტულ ვითარებაში იქცეოდა ისე, როგორც არ შეეძლო, რომ არ მოქცეულიყო: ემალებოდა იმ გამომწვევ ქალს და მაინც ერთთავად მის ცხვირწინ ტრიალებდა. ფიქრობდა იმაზე, რომ აღარ ეფიქრა ამ ქალზე (და ამით ხომ უკვე თავისთავად მასზე ფიქრობდა). ქალი კი ამ დროს მოურიდებლად, მალიმალ შეავლებდა მზერას... რა უნდოდა? რას ამოწმებდა? — ეს არ იცოდა პატარა ადამიანმა. მან არც ის იცოდა, დროის რომელ შუალედში ესროდა ქალი მზერას — ან რა გააბედვინებდა ამის გადამოწმებას! ერთი პირობა პატარა ადამიანს ბრაზიც კი მოერია, იფიქრა: მის მზერას საპირისპირო მზერას დავუპირისპირებ და კუდით ქვას ვასროლინებო, მაგრამ... არათუ სცადა ეს, გაოგნდა — თუნდ ერთი წამით ეს როგორ დავუშვიო! სანამ ამ ოთახში იწვა ჩვენი გმირი, როგორმე უნდა აეტანა ქალის ცნობისმოყვარე მზერა! ერთადერთი, რაც შეიძლებოდა, ის იყო, რომ ფარულად ეკონტროლებინა. ამით განა რამეს შეცვლიდა, უბრალოდ, დროს გაწელავდა და საკუთარ ცნობისმოყვარეობასაც გემრიელ ლუკმას გადაუგდებდა...

დიახ, ხანდახან პატარა ადამიანი სხვებზე არანაკლებ ცნობისმოყვარე იყო! და აი, ქალისაკენ ფარულად ისევ გააპარა მზერა — ქალი ისევ ისე, მუხლებმოშიშვლებული მისვენებოდა თავის ინტიმურ სავარძელს... მოდების ჟურნალის თვალიერებით იყო გართული და ჩვენს გმირს საშუალება მიეცა, ქალი თავიდან ფეხებამდე, უფრო სწორად, არა თავიდან ფეხებამდე, არამედ ფეხებიდან თავის მიმართულებით შეემოწმებინა... მართლაც, ეს ქალი რაღაცნაირად უფრო ფეხებიდან იწყებოდა, ვიდრე თავიდან. საერთოდ, არც იყო ღრმა, ლაბირინთული ფსიქიკის მქონე. ადამიანებთან ურთიერთობაში (განსაკუთრებით მამაკაცებთან) პირველობა უყვარდა, რასაც არა მისი ინტელექტი, არამედ მისი გარეგნობა და აქტიური ხასიათი განაპირობებდა. თუმცა თავად თვლიდა, რომ ბრძენი, ფსიქოლოგიაში დიდად განსწავლული ვინმე იყო. ამ ქალის პიროვნული შტრიხებიდან ბევრი რამ საფუძვლიანად ჰქონდა პატარა ადამიანს გამოკვლეული. სიმართლე იქნება, თუ ვიტყვით: პატარა ადამიანი ადამიანებში, მით უმეტეს, ქალებში, კარგად ერკვეოდა! დიახ, ასეა! ქალების საკითხი მთელი ცხოვრება აწვალებდა, მოსვენებას არ აძლევდა და ისიც ერთთავად ქალის ბუნების ქექვასა და ძიებაში იყო. თითქოს არაფერი, მაგრამ წარმოიდგინეთ, ამ ხნის განმავლობაში რამხელა ცოდნასა და გამოცდილებას დააგროვებდა! იქნებ გაგეცინოთ და, ჩვენს გმირს ადამიანების გამოსაცნობი თავისებური მათემატიკური ფორმულაც კი ჰქონდა შემუშავებული, რომელსაც ყოველ მათგანს ცალკეულად უყენებდა. შედეგსაც სახარბიელოს აღწევდა — აღწევდა, ოღონდ... ოღონდ მერე რაღაც შეუშლიდა ხელს: როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, ბრინჯივით იბნეოდა, ყველაფერი წყალში ეყრებოდა. რაც კი რამ ჰქონდა ნაფიქრი, ერთბაშად ავიწყდებოდა! თუმცა ეს მაშინ, ადრე! ახლა კი სხვანაირად იყო საქმე! ახლა პატარა ადამიანი ქალებს თითქოს გვერდიდან უყურებდა, ესე იგი, მთლად არ იყო საქმე საქმეზე მიმდგარი — მას ხომ გამოლაპარაკებას (ანუ უშუალო კონტაქტს) არავინ სთხოვდა! ერთი სიტყვით, აი, ამ წამს არავითარი საშიშროება არ იყო იმისა, პატარა ადამიანი შემცდარიყო მდედრობითი სქესის გამოკვლევაში — თუნდაც ამ კუპრისფრად შეღებილთმიანი ქალის გამოკვლევაში. როგორც გითხარით, დიდი ხანია იცნობდა. რამდენიმეჯერ (რა თქმა უნდა, ოფიციალური, სამსახურებრივი საბაბით) გამოლაპარაკებია კიდეც. მართალია, ასეთ გამოლაპარაკებას დიდი არაფერი შედეგი მოაქვს, მაგრამ იმასაც გააჩნია, ვისთვის? აი, ისეთი გულმეცნიერი ადამიანისათვის, როგორიც ჩვენი გმირია, ეს უკანასკნელიც კი ბევრ რამეს ნიშნავს! ჰოდა, ახლაც იცნო მან ქალი, გაახსენდა, რაც მასთან დაკავშირებით ჰქონდა გამოკვლეული. მართალია, გარეგნობითა და ზედაპირული ქცევით მართლაც გამომწვევი და საკმაოდ პრეტენზიული ჩანდა, მაგრამ არ იყო იგი ისეთი ღრმა ფსიქიკის მქონე ადამიანი, როგორადაც თავს აჩვენებდა. თუ კარგად დააკვირდებოდით (მით უმეტეს, დიდი ხნის ნაცნობი), შეამჩნევდით რაღაც ფარულ, ოსტატურად მიჩქმალულ, მაგრამ მაინც თვალში საცემ იმ დაძაბულობას, რომელიც პოზიორობას სდევს თან. ძალიან უნდოდა, მაგრამ ვერ იყო ეს ქალი ის, ვინც უნდოდა, რომ ყოფილიყო და ამით, ცოტა არ იყოს, სასაცილოდაც იხდიდა თავს. ამას წინათ, როდესაც ჩვენმა გმირმა ნახა (მართალია, იმ დღეს არ გამოლაპარაკებია, მაგრამ სამაგიეროდ სხვასთან წაუსწრო თავდავიწყებით მოლაპარაკეს და...), აშკარა, ქარაფშუტული ნიშნებიც კი შეამჩნია. დიახ, ამ ქალში მართლაც იყო რაღაც ქარაფშუტული...

— ქარაფშუტა! ქარაფშუტა! ქარაფშუტა! — პატარა ადამიანმა გულში რამდენიმეჯერ გაიმეორა ეს სიტყვა და ამ ქალის მომაჯადოებელი გავლენისაგან საბოლოოდ გათავისუფლდა. მართალია, ჩვეს გმირს არ ახასიათებდა ადამიანების განკითხვა, მით უმეტეს, მათი აუგად მოხსენიება, მაგრამ... ხანდახან ასეც ხდება — გაცხარებული ცხვარის ამბავი ყველას გვსმენია!

პატარა ადამიანი იმდენად შეაგულიანა თავისმა ფიქრებმა, რომ ადგა და არც მეტი, არც ნაკლები, საბრალო შავთმიანი ქალი ჩვენთვის, მართალია დაუსწრებლად, მაგრამ კარგად

ნაცნობ კადრების განყოფილების უფროსს, უმნიშვნელოვანეს ფიგურას, ძალიან სერიოზულ ქალს შეადარა. ეს შედარება, დაახლოებით, ტბისა და ზღვის (შესაძლოა, ოკეანესიც...) თანაფარდობას გაუტოლდა და ცოტა შეებრალა კიდეც პატარა ადამიანს შავთმიანი ქალი. ამის შემდეგ ჩვენი გმირის ფიქრები მთლიანად კადრების განყოფილების უფროსმა — უსერიოზულესმა ქალმა დაიპყრო. მაინც ვინ იყო ეს ქალი? ვინ იყო და... და... არა, პატარა ადამიანმა არ იცოდა, ვინ იყო იგი! შესაძლოა, ქაჯიც ყოფილიყო, ადამიანის სახით შენიღბული ქაჯი — ქაჯი ან ალქაჯი! ჩვენმა გმირმა არ იცოდა იმ არსების ზუსტი სახელწოდება, ვინც ჰყავდა მხედველობაში, მაგრამ... არა, არა! ეს არსება არ იყო არც ქაჯი და არც ალქაჯი! ამ ქალზე ასეთი ეჭვი ძალიან მცირე ხნით შემოაწვებოდა ხოლმე ჩვენს გმირს — არადა... ნეტავ ქაჯი მაინც ყოფილიყო, ეცოდინებოდა, რომ ქაჯთან აქვს საქმე და ასე აღარ დაითრგუნებოდა მისი გამანადგურებელი ზეგავლენისაგან, ზეგავლენისაგან, რომელიც პატარა ადამიანის უმწეობასა და უსუსურობას სრულად წარმოაჩენდა. აღარ დაითრგუნებოდა მისი ზეგავლენისაგან, რადგან ეცოდინებოდა, რომ საქმე ჰქონდა არა თავისივე მსგავს არსებასთან, არამედ ქაჯთან, ზებუნებრივ ძალასთან! ზებუნებრივ ძალასთან დამარცხება გასაკვირი ხომ არც უნდა იყოს, მაგრამ... კადრების განყოფილების უფროსი ქალი, სამწუხაროდ, მხოლოდ და მხოლოდ, ქალი იყო! კიდევ კარგი, ახლა თავზე არ ადგა ჩვენს გმირს! სულ ერთი წამით წარმოიდგინა პატარა ადამიანმა ამ ქალის ოთახში გამოჩენა და ისევ გააურჟოლა. განა რა უნდა ექნა იმ ქალს ამ საბრალოსთვის? და განა ოდესმე რაიმე უქნია — სამუშაო საათების გაცდენისათვის ჩამორიგებულ საყვედურებს თუ არ ჩავთვლით? ეჰ, ძალიან უცნაური ვინმეა ჩვენი გმირი! აი, ახლა, რაღაც მომენტში, საპირისპირო სურვილმა გაჰკრა გულის სიღრმეში. კადრების უფროსს სწორედაც რომ უნდა ენახა დავალების შესრულების დროს ტრავმირებული ჩვენი გმირი, ან ვინმეს ამბავი უნდა მიეტანა მისთვის და პატარა ადამიანს როგორღაც შეებრალა თავი! ეს ბრძოლის ველზე სამხედრო დავალების შესრულებისას დაშავების მსგავსი რამ იყო — და ამას, რაღა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი ხიბლი!

პატარა ადამიანს თვალი უნებურად მძიმე, მჭიდროდ მიხურული კარისაკენ გაექცა და როგორღაც შეემზადა კიდეც კარის შემომღებ კადრების განყოფილების უფროსთან "შესარიგებლად"... არა, კარგად იცოდა, რომ ამ ქალის გამოჩენა მხოლოდ და მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო, მაგრამ მაინც, თავისი ფანტაზიის ნაყოფს ძალზე რეალურად, სინამდვილის ტოლფასად აღიქვამდა. აი, შემოვიდა ეს ძლიერთა შორის უძლიერესი ქალი (ჩანს, პატარა ადამიანის ამბავი უკვე შეეტყო) და სარეცელზე მწოლიარეს დააჩერდა. დიდი პაუზა!!! პატარა ადამიანმა თევზივით პირში ჰაერი დაიგუბა და პაუზა გაგრძელდა! და კიდევ გაგრძელდა! ჩვენი გმირი დაიბნა. რომ ეგონა, ფიქრებით ამ ძლიერი ქალის ფიქრებსა და ქმედებას ვაკონტროლებო, თურმე ნუ იტყვით, სრულიადაც არა ყოფილა ასე! ის ქალი პიროვნულად იმდენად ძლიერი იყო, რომ პატარა ადამიანმა თავისი მარტივი, ალალი ინტელექტით ვეღარ გამოიანგარიშა მისი შემდგომი რეაქცია — შეიბრალებდა თუ დაუყვავებდა მას! იქნებ გუნებაში დაეცინა კიდეც საბრალოსთვის, ამ უმწეო, უსუსური არსებისათვის!

პატარა ადამიანი მიხვდა, რომ ფიქრებით ძალიან შორს შესტოპა და ფანტაზიორობა შეწყვიტა, გამოერკვა და თავი იმით დაიმშვიდა, რომ ყველაფერი, რამაც ასე დააფრთხო, მხოლოდ და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი იყო, მოჩვენება, სიცარიელე და მეტი არაფერი. თუმცა რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ მდგომარეობიდან ვეღარა და ვეღარ გამოვიდა: ვაი და, მართლა შემოაღოს იმ ქალმა კარიო! დიახ, პატარა ადამიანის ეჭვი საფუძველს არ იყო მოკლებული — იმ ქალს წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგებოდა! რა გამოუვალ მდგომარეობაშია პატარა ადამიანი, გამოსავალზე ლაპარაკიც ზედმეტია! და უეცრად, პატარა ადამიანს გონება გაუნათდა: კადრების განყოფილების უფროსი ქალი ქაჯია! ადამიანი არ არის — ქაჯია ან ალქაჯი! არც კი გამოჩენილა, არც კი გაჰკარებია იქაურობას და მაინც რა აღარ უქნა ამ საწყალს — წაშალა! გაანადგურა! ის შორიდან, დაუსწრებლად მოქმედებს ხალხზე! ჩვენი გმირი სასწრაფოდ უნდა გაეცალოს აქაურობას! არც ერთი ზედმეტი წუთის დაკარგვა არ შეიძლება — სასწრაფოდ, რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გაეცალოს აქაურობას! ასე დაასკვნა თვითონ. არა მარტო მესამე სართულს, დაწესებულების ტერიტორიას უნდა გასცდეს დაუყოვნებლივ! იქნებ საერთოდაც მიატოვოს სამსახური! ეს ადრეც ბევრჯერ უფიქრია — ახალი სამსახური უნად იშოვოს! ანდა არც იშოვოს და შინ გამოიკეტოს! გამოიკეტოს, როგორც ტუსაღი — ნებაყოფლობითი ტუსაღი.... თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან სასმელ-საჭმელს ვინ მიაწვდიდა? ხშირად ოცნებას ფრთებს გამოასხამდა და წარმოიდგენდა: ვითომ ვიღაცას მისთვის ყოველდღე ადამიანისათვის სამყოფი მინიმალური რაოდენობის საკვები მიაქვს... ყოველდღიურად? არა, ასეთი რამ კვირაში ერთხელაც შეიძლებოდა — ოღონდ პროდუქტი მთლიანი კვირის სამყოფი იქნებოდა! პატარა ადამიანი ასეთი

შემთხვევისათვის თავისი ბინის შესასვლელ კარში პატარა სარკმელს ამოჭრიდა, რომ კარი აღარასოდეს გაეღო — ასე იცხოვრებდა სიცოცხლის ბოლომდე!..

და პატარა ადამიანს უეცრად გაახსენდა, როგორი სულისკვეთებით გამოიჭრა ამ დილით თავისი ბინის იმ კარიდან, რომელიც ფიქრით უკვე სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე ჩარაზული დატოვა — გაახსენდა და მხოლოდ ერთხელ, სადღაც, გულის სიღრმეში მძიმედ ამოიოხრა და ცივად გაარიდა თავი ამ თემაზე ფიქრს. ისევ ჩარაზული კარი წარმოუდგა თვალწინ — სამუდამოდ ჩარაზული კარი... გარე სამყაროსთან კავშირის შესანარჩუნებლად კარში დატანებული იმ პატარა სარკმლის გარდა კიდევ ხაზის რადიოს დაიტოვებდა... თუმცა ახლა ცხოვრებისაგან ასე გადაქანცული განმარტოებული ცხოვრების ფასად რადიოსაც დაუფიქრებლად შეელეოდა — ოღონდ კი ცოტაოდენი საკვები მიეწოდებინა მისთვის ვინმეს... ცოტაოდენი საკვები — არა გასაძღომად, არამედ დასანაყრებლად! ისედაც, პატარა ადამიანი ბავშვობიდანვე არ იყო დიდი მჭამელი! თუმცა გემრიელი კერძები, როგორც ყველას, ძალზე უყვარდა... გემრიელი კერძები... კერძები? ოჰ, ჯანდაბა! რა დროს კერძებია?! პატარა ადამიანს მოეჩვენა, რომ ასეთი ფიქრებით თავს დასცინოდა — ადექი და წადი, მოსცილდი მანდაურობას!..

— ნერვები აღარ მყოფნის, მეც ამაყვირა!

აი, პატარა ადამიანმა წამოიწია, თითქმის ნახევრად წამოჯდა კიდეც, ფეხი ჯერ არ ჰქონდა ძირს გადმოდგმული, რომ უცაბედად თავთით მჯდომი ხანში შესული ქალი გაახსენდა — მისი სითბო და ყურადღება... როგორღაც მოერიდა მასთან დაუმშვიდობებლად (დაუმშვიდობებლად თუ იქნებ დაუკითხავადაც) იქაურობის მიტოვება. არა უშავს, ორიოდ წამს კიდევ შევიცდიო, იფიქრა და ქალისკენ ძალიან მორიდებული, მადლიერებით აღსავსე მზერა გააპარა. პატარა ადამიანის გასახარად ქალმა ღიმილით უპასუხა და ჩვენი გმირი მიხვდა, რომ ეს ღიმილი მას ოთახიდან გასასვლელ გზას ულოცავდა. მეტად და მეტად ესიმპათიურა პატარა ადამიანს ეს ქალი. ეტყობოდა, შვილებისა და შვილიშვილების პატრონი იყო!.. პატარა ადამიანი ფრთხილად წამოჯდა და ახლა ოთახის დანარჩენ მკვიდრთაკენ გააპარა მზერა — ასეა თუ ისე, ისინიც ხომ ზრუნავდნენ ჩვენს გმირზე! ჩვენი გმირის მზერა უფრო მეტად ოთახის იმ ნაწილმა მიიტაცა, რომელიც აქამდე წოლის გამო მისთვის უხილავი იყო — იქ ახალი სახეები აღმოაჩინა... აღმოაჩინა და ელდა ეცა: ოთახის კუთხეში, საბეჭდ მანქანასთან ის გოგო იჯდა, რომელთანაც პირისპირ შეყრა მისი გაცნობის დღიდანვე უკიდურესად აღელვებდა. ამ გოგოსთან შეხვედრა თვით კადრების განყოფილების უფროსთან, ქაჯ ქალთან შეყრაზე მეტ თავსატეხს უჩენდა პატარა ადამიანს. თუმცა თავსატეხს სრულიად განსხვავებული საფუძველი და შინაარსი ჰქონდა. თუ კადრების განყოფილების უფროსი ქაჯი იყო, ეს გოგო პირიქით — ფერიას ჰგავდა! მართალია, პატარა ადამიანზე ათითხუთმეტი წლით უფროსი მაინც იქნებოდა და უკვე აღარ ეთქმოდა გოგო, მაგრამ მისი ხასიათიდან, ქცევიდან გამომდინარე, თავმდაბალი გოგოს შთაბეჭდილებას ტოვებდა — ნაზი, უთქმელი არსება იყო. ნუშისებური თვალებით დამშვენებული სახე, კოხტა, ჰაეროვანი ტანი და რაღაც იდუმალი, ალბათ, მეოცნებე ადამიანებისათვის დამახასიათებელი სინაზე ჰქონდა. ჰო, ამ ადამიანსა და პატარა ადამიანს შორის იყო რაღაც დიდი, სულიერი მსგავსება. მიკიბულ-მოკიბულის გარეშე უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს გმირს თავდავიწყებით უყვარდა ეს არსება! მართალია, თავს ძნელად უტყდებოდა, სწორედ რომ "მიკიბ-მოკიბვას" არჩევდა ამ საკითხზე, მაგრამ ეს უეჭველად სიყვარული იყო — პატარა ადამიანს შეყვარებული ჰყავდა! და ეს აქამდე, სანამ ჩვენ გავიგებდით, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ თვითონ იცოდა! არათუ სიყვარულის ახსნა, გოგოსთან გამოლაპარაკებაც კი უჭირდა პატარა ადამიანს. ორიოდ წლის განმავლობაში სულ სამოოთხი სიტყვა თუ ექნებოდა მისთვის ნათქვამი! ისე კი სამსახურში ყოფნისას (და არა მარტო სამსახურში) სულ მისკენ მიუწევდა გული, მიუწევდა, მაგრამ სინამდვილეში ერთთავად გაურბოდა. აქამდე ეს გოგო (პატარა ადამიანის ეგრეთ წოდებული შეყვარებული) მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში იჯდა და არც მბეჭდავი იყო! როდის აქეთ გადმოიყვანეს მესამე სართულზე და ან საბეჭდი მანქანის ხმარება როდის ისწავლა, ეს უცნობი იყო პატარა ადამიანისთვის. ამ გარემოებამ უკიდურესად დააბნია ჩვენი გმირი და არა მარტო დააბნია, მეტიც, ასეთ საგანგებო ვითარებაში მასთან შეხვედრა გამანადგურებელი აღმოჩნდა მისთვის! პატარა ადამიანმა გაჭირვებით შეიკავა თავი, რომ თავქუდმოგლეჯილს არ მოეკურცხლა იქიდან — და არა მარტო იქიდან! მოეკურცხლა სამყაროს ნებისმიერი წერტილიდან — იქიდან, სადაც იყო, სადაც არ იყო იქიდანაც და იქიდანაც კი, სადაც ვერც ვერასოდეს იქნებოდა! სად მოეკურცხლა? — ჯანდაბაში!

დასასრული იქნება



გიზო ოსკაძე

ჰანიბალ!

„იმ დროს ისე ბევრი ჰქონდათ ღვინო და ისე მრავალი ჯიში იყო ვენახისა, რომ სარდალი ჰანიბალი ომის დროს ღვინოს ცხენებსაც ასმევდა“
მეისტორიე.

მიმწუხრი ჩამონაცრულია,
თვალში ბინდ-ბუნდი გახლართულა,
ტყვეთა გალია დაწნულია,
ოი, სახრჩობელაც აღმართულა!

ლაშქარი სისხლისაგან დაცლილია,
ხვალ საბოლოო ომია,
სარდალი სიძულვილით აცრილია,
წინ რომია!

ასე რამ მოსხლიტა და გააშეშა?
ფიქრთა მორევში გადაეშვა...

ოცნებას კაცი არ მოუკლავს:
„ჩიტი რომ ვიყო გადამფრენი!“
რომის გალავანზე ამოდ უკრავს
სტვირს და ზანზარებს კართაგენი.

ოცნებებს უმალ განერიდა,
მიწაზე დაეშვა ჰაერიდან...
ინება ვახშმის გასრულება,
ბრძანა ცხენების დარწყულება.

მდინარეს მტერი ეწაფება,
სარდალს სხეული ეძაბება.

ცხენებს უშურველად ასვით ღვინო,
ვაჭიხვინოთ და ვაჭიხვინოთ!

ჰანიბალ! დიდო მეომარო,
ღვინო ცხენისთვის რომ გაიმეტე...
ვინაც შენებრ უნდა სისხლი ღვაროს,
ვინაც მოსისხარებს დაგიფეთებს...

ცხენებს უშურველად ასვით ღვინო,
ვაჭიხვინოთ და ვაჭიხვინოთ!

შუბშემართული გაცდა ველობს,
რომისკენ სტყორცნა გავეშებით,
კედელს ელვასავით გადაავლო
და ძირს არასოდეს დაეშვება...

P.S.

მე კი, სენატორ ცხენს, ჩემო გირშელ,
მაინც ლოთი ცხენი მირჩევნია.

იგი
(პრეისტორიული ლექსი)

ჯემალ ქარჩხაძის ხსოვნას

ეჰაუ, ფორი დაჰყრია თხილნარს,
მზე მოაბოტებს სადღაც იქიდან...
„ცამ გაახილა დღის თვალი ფრთხილად“,
მთვარე ზურგს უკან გადაიკიდა.

აამღელვარა მუხები სიომ,
ნუნისთან თვალი დახუჭა ელდამ,
ჩიტი კვნესოდა წიო და წიო,
დარდობდა დიდი ვეშაპის დედა.

*
igi ღვიოდა!
მზე!... თოვლი!... სეტყვა!...
igi მე ვიყავ, ოდით და ოდით,
რადიკულიტი, — მარადი სევდა, —
გამართულს მომაქვს თხილწნელა გოდრით.

ვეამბორები უფლის ცრემლს, — ფაზისს,
igi სთან ერთად შენც რომ გაცურე,
მდინარეს ჰქონდა სურნელი ვაზის,
როს ტალღას მხარი გაულაწუნე.

*

ბერიდა ნოა...
ბერიდა ნოა...
ტალღის სიმღერა, კიდობანს ესმა,
სადა ხარ ნოე?
ერთგულო ნოე,
სამყარო ლამის წალეკოს გესლმა.

ამდენი ცოდვით გაირღვა მიწა,
შეჩერდით! მალე უფალი მოვა,
ვინაც სამი დღე ამ ქვაბში იწვა,
ბერიდა ნოა...
ბერიდა ნოა...

*

ni!
ნეკნისაგან გამოძერწილო,
igi გაგითბობს ფეხებს გათოშილს,
სილაში იწექ, ერთობ წელწვრილი,
მზეს იწურავდი მხურვალ საშოში.

ზღვა გიმღეროდა მუხლზე დამდგარი,
ტერფებს ამოჰყვა თეთრი სიმლაშე...
და მე გიხილე სიცხით დამდნარი,
როგორ ჩაბრუნდი სოველ სილაში.

*

zu!
ფუტკარივით კეთილშობილო,
მე ახლაც მახსოვს შენთან პურობა,
დედაო, მიწავ, მიწავ მშობელო,
შენ გვაპატიე უმადურობა.

გხნავდით, გთესავდით წელგამართულნი,
zuს ძმაც ვიყავი და ბიძაშვილიც
და ვღიღინებდით ურმულს ქართულად,
კოლხეთის ველად ზღვისკენ გაჭრილნი.

*

ვანი,
სავანე,
გინ დავანება,
სიტყვაში ცურავ ჩქერის კალმახი,
გალაქტიკების მღვრიე ბანებმა
აღმოგაცენეს ლორთქო ბალახი...

და რომ არ ჩახმე igi მოგხედავს,
ღრუბლებს მორეკავს უთეთრეს ფთილად...
კვლავაც გიდარდებს ვეშაპის დედა,
„როს ცა გაახელს დღის თვალებს
ფრთხილად“.

მარტის გააპრილება

უფალმა აქ ინება,
მადლის გადმოდინება...
წყალწითელას ხეობა —
მოწამეთა აკვანი,
მარტის გააპრილება
და იების თაყვანი...

მარტის გაკაპასება,
მარტის შურისძიება,
ბევრჯერ იგრძნეს ხავსებმა
და ლურჯთვალა იებმა:
მარტი ჩამოინავლა,
მარტი აპრილს მიება...

მარტი იყო შარშანაც
და იქნება გაისად,
ვიდრე ცრემლი დამშრალა,
დღე ქცეულა დაისად,
გამო... გამოვზაფხულდეთ!
წამო, ვიქცეთ მაისად!..

უფალმა აქ ინება,
მადლის გადმოდინება...

მე და აისბერგი...

ვიყავი ცხვარი, — უფლის ტარიგი,
ვიყავ უნაბი და ატმის ნერგი...
ვიყავი გემი, თან „ტიტანიკი“,
მე დამეჯახა ის აისბერგი!..

მტკიოდა გენი, გენი ტალიკი,
მტკიოდა ნეკნი, იმ ქალის ნეკნი...
სიცივემ მომსრა მე „ტიტანიკი“,
როს დამეჯახა ის აისბერგი!..

გამოზაფხულდა, დე გიხაროდენ!
გსვამ წყაროსავით, გსვამ და მერგები...
ბოლოს სუყველა გადნება, ოდენ
შემრჩება შენი აისბერგები...

ვერ შეველევი

ნათიას საიუბილეოდ

შემომაწვება უეცრად სევდა;
როგორაც ზღვაში ნადავლს მეკობრე,
ისე ვდარაჯობ ბავშვობის წლებს და...
მეგობრებს!...

ვწნავ ნედლი თხილით გიდელს და კალათს,
თმებდათოვლილი გავხდი მეგოდრე...
ვერ შეველევი პოეტის ხალათს
და ჩემს მეგობრებს!



დიმიტრი რობაქიძე

ღამე ბაჰეჯის უდაბნოში

მოთხრობა

უძრაობით თვითკმაყოფილი ქვეყნის მხართეძოზე ნებივრობას საშველი რომ არ დაადგა და ერთ ადგილზე ტკეპნა დიდ-პატარისთვის აუტანელი გახდა, ვიღაც-ვიღაცის დაპირებულ უკეთეს მომავალ ცხოვრებაზე ოცნებით აღტკინებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა და საერთო მღელვარება დაიწყო.

ამ ამბავს ერთხანს თვალს შორიდან ვადევნებდი. მინდოდა, მიმხვდარვიყავი, ეს ყველაფერი მოჩვენებითი თამაში იყო, თუ განზრახვის ბოლომდე მიყვანის გულწრფელი მცდელობა. მაგრამ, როცა განდგომილებმა დროშები გაშალეს და მათმა ომახიანმა შეძახილებმა შორს უწია, თავს ვუთხარი: მგონი, აქ საქმე სახუმაროდ არ უნდა იყოს. რა დროს ფეხის ათრევა და განზე დგომაა. სადაც სოფლის ნახირი, იქაც ბებრის თხა-მეთქი და უკეთესი ცხოვრების წადილით ატროვებული იმ აზვირთებულ ხალხს შევერიე, ვისაც იმუამად, ერთად დგომით გათამამებულთ, ზღვა კოჭებამდე ძლივს წვდებოდათ და ცის თაღისთვის ხელის წაპოტინებას ბევრი აღარაფერი უკლდათ.

თავიდან არც ერთ იქ მდგომზე ნაკლებად არც მე ვიყავი მომავალი ბედნიერი ცხოვრებით დაიმედებული. მაგრამ რამდენიმე დღე-ღამე ქუჩაში იმ ხალხის გვერდით ფეხმოუცლელად დგომისას, მათ მითქმა-მოთქმას ყური რომ დავუგდე, მივხდი, ყველა თუ არა, უმეტესობა მაინც იმას ფიქრობდა, ამ ამბიდან რამე პირადი გამორჩენა ენახათ და ისე ჩანდა, საერთო საქმე როგორ იქნებოდა, ეს დიდად არ ადარდებდათ.

ამან ძალიან შემაწუხა და თუ მანამდე ქუჩაში გამოსული ბევრი ვინმეს გულწრფელ სურვილში, ქვეყანას როგორმე შეშველებოდა, ეჭვი არ მეპარებოდა, ამის შემდეგ ნაკლებად მჯეროდა მათი უზაკველობისა.

ალბათ ამიტომ ჩემზე განაწყენებულმა შინაგანმა ხმამ დაუფარავად გამაფრთხილა:

"კიდევაც რომ მიაღწიოთ იმას, რისთვისაც ამ ქარსა და წვიმაში, ღია ცის ქვეშ დღედაღამ დგახართ, სულ ტყუილად გაქვთ იმის იმედი, თქვენმა ამბობომქრებლებმა, რაც გქონდათ, იმაზე უკეთესი ცხოვრება მოგიტანონ.

საეჭვოა, შენ და შენსავით ბევრს რომ უნდა, ქუჩაში თქვენი გამომყვანებისაგან აზვირთებული ოკეანის ფრთონვამ, ნაპირზე იმდენი თვალ-მარგალიტი გამორიყოს, ყველა თქვენგანის გულში ნალოლიავები ოცნება სინამდვილედ აქციოს.

უკეთესი ცხოვრების წადილით ხალხს დროშები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ადრეც არაერთხელ უფრიალებია, მაგრამ ამას იმ დროშებს ქვეშ მდგარი ყველა მოწადინისთვის შვება და საამური ცხოვრება არასდროს მოუტანია და ვერც ახლა მოიტანს.

გაშლილი ნანატრი სუფრა, საითკენაც საპურმარილოდ ამდენი ხალხი მიისწრაფვის, ძალიან პატარაა და ამ სუფრაზე მოხვედრის ყველა მსურველს ვერ დაიტევს. იქ მხოლოდ ამბოხების მეთაურები არიან წვეულნი და ვინც იმ სუფრის პურ-მარილს იგემებს, საკუთარი თავის გარდა, ყველა თქვენგანს დაივიწყებს".

"მომწყდი თავიდან! — ვუყვირე ბოლოს მისი უაზრო შეგონებით გაღიზიანებულმა და წარსული გავუხსენე: — სულ შენი ჭკუის დარიგებისა და სიფრთხილისკენ მოწოდების ბრალია, რომ მთელი ცხოვრება ამ დღეში ვარ და ვიღაც -ვიღაცებს კუდში მივჩანჩალებ! "

"მადლობელი იყავი ამ დღეში რომ ხარ და არა უარესში. თუმცა, შეიძლება მალე ეს დღეც სანატრელი გაგიხდეს!" — მუქარით და ნიშნისმოგებით მომიგო ჩემმა ეჭვიანმა მეორე მემ. შევატყვე, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ მისთვის ყური აღარ მიგდია. არც იმისთვის

მიმიქცევია ყურადღება, რაც მანამდე მითხრა. ჩემი არჩეული გზა მქონდა და გადაწყვეტილებას არავის რჩევა-დარიგებით შევცვლიდი.

სანამ ყველაფერი გამარჯვებით არ დაგვირგვინდა, ქვეყნის ხსნის, გარდაქმნისა და აღორძინების მედროშეებს გვერდიდან ერთი წუთითაც არ მოვცილებივარ, ხოლო როცა ახალი ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა, იმ იმედით, რომ სულ მალე მაღალ თანამდებობებზე დანიშნული თანაგუნდელები გაწეულ შრომას დამიფასებდნენ და თავისთან მიმიხმობდნენ, ძველ სამსახურში დავბრუნდი და მუშაობას ძველებურად შევუდექი.

ასე გაიარა თითქმის ორმა თვემ. ერთ დღეს, ჩვენი ინსტიტუტის ადრინდელი დირექტორის ადგილზე დანიშნულმა ახალმა, ოცდაერთი-ოცდაორი წლის კაცმა თანამშრომლები ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შეგვკრიბა და თავდაჯერებულმა გამოვიცხადა:

— ჩემო ბიძიებო, ახალი დროება ახლებურ ცხოვრებას მოითხოვს, რომელიც ჩვენ, ახალგაზრდებმა უნდა ავაშენოთ. ამიტომ ოცდაათ წელს გადაცილებული თანამშრომელი კი არა, ინსტიტუტის საძირკველში თავის დროზე ჩადებული ქვაც რომ არის, ისიც არ გვინდა.

ყოვლისშემძლე უფროსების ხელდასხმულმა ახალმა ხელმძღვანელმა რაც თქვა, კიდევაც შეასრულა. ოცდაათ წელს ერთი დღით გადაცილებული თანამშრომლებიც კი დაითხოვა და მე, ორმოცდაათი წლის კაცს, იქ ვინ გამაჭაჭანებდა! ვინ დამიჯერებს რომ ვთქვა, სამსახურში დასარჩენად დახმარება ქუჩის აქციების დროს გაცნობილი, ახლა დიდ თანამდებობებზე მყოფი ნაცნობებისთვის არ მითხოვია-მეთქი, მაგრამ ჩემთან შეხვედრა არც ერთმა არ ისურვა.

— ვინ ხარ, არ გიცნობთ. ჩვენთან ერთად ქუჩაში ათასობით ხალხი იდგა, ყველას ვინ დაიმახოვრებდა? ისე კი, კანონი ყველასთვის ერთია. ოცდაათ წელს გადაცილებული თუ ხარ, გაგათავისუფლებდნენ, აბა, რას იზამდნენო,— ასე დამმოძღვრა და დამამშვიდა ზოგიერთმა ტელეფონში.

რაღას ვიზამდი. კედლისთვის თავი ათასჯერაც რომ მერტყა, ჩემს გასაჭირს ეს რას უშველიდა. იძულებული გავხდი, ბედს შევრიგებოდი და თავს ვუთხარი: რა მოხდა მერე. ინსტიტუტის ახალ დირექტორს თუ არ ვუნდივარ, სამსახურს სხვაგან ვიშოვი. სამსახურში მიღებაზე უარს ვინ მეტყვის საქვეყნოდ აღიარებულ სპეციალიტს, მეცნიერების დოქტორს, რამდენიმე სქელტანიანი და გახმაურებული მონოგრაფიის ავტორს, არაერთი საერთაშორისო პრემიის ლაურეატს-მეთქი, მაგრამ, თურმე, სადა ხარ! ვინ გეძებს! ვის დაკარგვიხარ!

სადაც კი მივედი, ყველგან ერთსა და იმავე თარგზე მოჭრილი განცხადება დამხვდა შესასვლელ კარზე გამოკრული: "ოცდაათ წელს გადაცილებულებმა სამსახურში მიღებაზე სათხოვნელად არ მოგვაკითხონ".

ერთ დღესაც მორიგი დაწესებულებიდან (ვინ იცის, მერამდენედან!) მომავალს ქუჩაში ძველთაძველი ნაცნობი შემხვდა. წარსულზე მიეთ-მოეთის გახსენების შემდეგ, მკითხა, სადა ხარ, რას აკეთებო.

— არაფერსაც არ ვაკეთებ, სამუშაოს ვეძებ და ვერ ვშოულობ, თანაც, დავაყოლე, ოღონდ რამე გამოჩნდეს და ყველაფერზე თანახმა ვარ -მეთქი

ნახირის წყემსვას თუ შეძლებო,— დაინტერესდა.

"ვაი, შენ ჩემო თავო! ამდენი წელი იმიტომ ვისწავლე, გავმეცნიერდი, გავდოქტორდი, გავლაურიატდი ბოლოს ნახირი რომ მემწყემსა-მეთქი!"

ის იყო, დავაპირე, უკადრისი საქმის შემოთავაზებისთვის ის ნაცნობი კარგად გამომელანძღა, მაგრამ გამახსენდა, მეორე დღე იყო პირში ლუკმა არ ჩამედო, ჯიბეში კი ერთი თეთრიც არ მიჭყაოდა. დღეს მის შემოთავაზებაზე უარი რომ მეთქვა, ხვალ შეიძლება, ასეთი სამუშაოც ველარ მეშოვა და უფასო სასადილოს წყალწყალა კერძის ამარა დავრჩენილიყავი.

უფასო სასადილოს რიგში კერძის ასაღებად მათხოვრულად ხელგაწვდილი საკუთარი თავი რომ წარმოვიდგინე, კინაღამ გული შემიღონდა.

თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, ჩემი ნაცნობის ხმა მომესმა:

— ჭამა-სმა არ მოგაკლდება, ხელფასიც, სახელმწიფო სამსახურში რომ გქონდა, იმაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ გექნება და მეტი რა გინდა, შე კაი კაცო!

„ჰმ, მეტი რა გინდაო! მეტი როგორ არ მინდოდა? მთავარი ის ხომ არ არის, გასამრჯელოს რომ გიხდიან. გააჩნია, რისთვის გიხდიან.

სწორედ იმ წუთებში გამახსენდა, ქუჩის აქციებისას, უკეთესი ცხოვრების მოლოდინში შინაგანმა ხმამ ყორანივით რომ დამჩხავლა: "მადლობელი იყავი ამ დღეში რომ ხარ და არა უარესში. თუმცა, შეიძლება სულ მალე ეს დღეც სანატრელი გაგიხდეს!"

ისე ყველაფერი კარგად აგიხდინოთ უფალმა, როგორც მე შინაგანი ხმის წინაწარმეტყველება ამიხდა.

— ჰა, რას ფიქრობ, შეძლებ თუ არა ნახირის წყემსვას? — ისევ მომესმა ძველი ნაცნობის ხმა.

უკიდურეს გასაჭირში სხვა რა გზა მქონდა და ვუთხარი:

— როგორ ვერ შევძლებ, ბავშვობა მთაში მაქვს გატარებული და ამის მეტი რა მიკეთებია-მეთქი.

ეს ჭეშმარიტი სიმართლე გახლდათ, მაგრამ სად სოფლელი რვა-ათი წლის ბიჭის მიერ საკუთარი ნახირის მწყემსვა და სად ჩემი ხნი-

სა და ჩემნაირად ნაღვანი კაცის მენახირეობა, მაგრამ ნათქვამია: სიბერემდე სიქაჩლეო.

— ძალიან კარგი! — მითხრა და იმ დღესვე ერთ თავის ახლობელ ფერმერს ჩააბარა ჩემი თავი, თანაც გააფრთხილა, ჩემი ძველი მეგობარია და არაფერი აწყენინოო.

— რა უნდა ვაწყენინო, კაცო. აგერ ეს შენი მეგობარი და აგერ — ეს ნახირი. დილით საძოვარზე გადენის, საღამოს უკან მორეკავს და დააბინავებს. მორჩა და გათავდა.

თავიდან ცოტა კი გამიძნელდა ახალ საქმესთან შეგუება, მაგრამ გაჭირვება ისეთი რამე ყოფილა, კაცს ყველაფერს შეგაჩვევს და შეგაგუებს.

თითქმის ნახევარი წელი ყოველგვარი ფათერაკის გარეშე ვმწყემსავდი ნახირს. ერთხელაც, როცა საქონელი ჩვეულებისამებრ გავდევნე საძოვარზე, ნაშუადღევს შევნიშნე, რომ ნახირს ერთი სამწლიანი მოზვერი აკლდა, მაგრამ ამისთვის მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ვიცოდი, ხშირად ბზიკისგან შეწუხებული პირუტყვი დაფრთხება და მთელ მინდორს შემოირბენს, მაგრამ მწერი, როგორც კი თავს დაანებებს, ჯოგს უკანვე უბრუნდება.

ბევრი არ მიფიქრია. ჯოგი მეწყვილეს ჩავაბარე და გაბნეული მოზვერის მოსაძებნად გავეშურე. იმედი მქონდა, მალე ვიპოვიდი და უკანვე მოვდენიდი, მაგრამ ამაოდ. ნახირის ძებნაში მინდორსა და ხევ-ხუვებში ხეტიალით დაღლილ-დაქანცულს უცნობ ადგილას შემომაღამდა...

წყურვილი მახრჩობდა.

არც გზა ჩანდა საიმედო და ბუღდავანი, სამშვიდობოს რომ გავეყვანე. თუმცა არა, მთელი ის უკიდეგანო მინდორი, სადაც ღამებნელმა მიწია, ერთიანად გზა იყო — ოთხივ კუთხით უნაპირო, გაშლილი და სავალგახსნილი, მაგრამ მხარნაქცევმა და უკუნეთით ჩინწართმეულმა, არ ვიცოდი, საით წავსულიყავი, სამშვიდობოს უხიფათოდ რომ გამეღწია. გზას თუ ვერ გავიგნებდი, იქნებ ვერც ღამის გასათევიც მეპოვა და წყურვილმოძალებულს, ვერც წყალი დამელია. მოზვრის პოვნის იმედი ხომ საერთოდ გადამეწურა, თუმცა, ოღონდ თავი გადამერჩინა და ის საცოდავი ვის ახსოვდა.

სქელი და შავი ღრუბლებით დაბურული ცა იმ ღამეს უჩინო და უვარსკვლავო იყო. თითქოს ჩემს ჯიბრზე საგანგებოდ დაპატრონებოდა ცისქვეშეთს სხივგაუმტარი უსაშველო წყვდიადი ისე, როგორც ბოლო ჟამს — სამშობლოს ჩემსას, ალბათ იმიტომ, რომ ჩემსავით ღამის პირისპირ უმწეო და უსასოოდ დარჩენილი მარტოხელა მგზავრისთვის ხელ-ფეხი შეეკრა და სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო. თუნდაც ერთი -ორი ვარსკვლავიც სადმე რომ გამკრთალ-გაჭაჭანებულიყო, შეიძლება, როგორმე მივმხადარვიყავი კიდეც, საით უნდა წავსულიყავი, მაგრამ ვარსკვლავი კი არა, უმცირესი ციაგიც არსად ილანდებოდა მოქუფრულ ცაზე.

სასოწარკვეთილსა და იმედდაკარგულს, აღარ მეგონა, საერთოდ თუ გათენდებოდა და დედამიწას სიცოცხლის დედა-მზე ოდესმე კვლავ დახედავდა.

ირგვლივ სულიერ არსთა ყოფის მანიშნებელი ძარღვის უმცირესი ფეთქვაც კი ერთიანად შეწყვეტილიყო, თვით ზაფხულის ღამის მარადიულ თანამგზავრ ჭრიჭინობელათა გნიასიც გამქრალიყო აგვისტოს მზით გადაძოვილი ხრიოკი მინდვრიდან.

"ღმერთო დიდებულო, რა იქნებოდა, ვინმეს, თუნდაც შემთხვევით მგზავრს რომ გადავყროდი. გზა-სავალის ამბავს ვკითხავდი, ეგების ესწავლებინა, საით წავსულიყავი და სამშვიდობოს გამომეღწია!" — ვინატრე გულში უდაბნოს და ბნელი ღამის ტყვეობიდან თავის დახსნის მონადინემ, თუმცა მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს გულისწადილი ფუჭი და უნაყოფო ოცნება იყო ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ, ბნელით მოცულ მწირ უდაბნოში.

„ეჰ, ჩემო კარგო, სულ ამაოა ეგ შენი სურვილი. აქ ძეხორციელს ვის შეეყრები, რომ დაგეხმაროს და სწორ გზაზე დაგაყენოს. როგორ ვერ ხვდები, ქვეყნიერების როგორ დაწყევლილ მხარეში მოხვდი!" — ვუთხარი ბოლოს საკუთარ თავს და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, შევურიგდი მწარე სინამდვილეს, ან კი სხვა რა გზა მქონდა, რომ არ შევრიგებოდი!

მთელი დღის უამო ხეტიალით დაღლილ-დაქანცულს, თვლემა ცხენივით ზეზეულად მერეოდა. არ ვიცი, ამის გამო იყო, თუ სინამდვილეში დედამიწის ამ უდაბურ მხარეში უკუნი ბნელი თანდათან უფრო მატულობდა და ყველაფერი მზერაგაუმტარ წყვდიადში ინთქმებოდა, ღამე, უტყვი და იდუმალებით მოცული ღამე, შიშს მგვრიდა და სულ უფრო უსახური მეჩვენებოდა. ერთიანად სხივნათელისგან დაწრეტილიყო ცაცა და მიწაც ამ უდაბურ ველზე.

— ეჰე, ეჰეე! — ბოლოს ვეღარ მოვითმინე და, როგორ და რამდენადაც შევძელი, ხმამაღლა გავძახე კაცის დამზაფრავ ირგვლივ ჩამოწოლილ უსაშველო წყვდიადს და ძილქუშჩამოწოლილ უსასრულო მინდორ-უდაბნოს, არა იმიტომ, რომ იმედი მქონდა, ხმას ვინმეს მივაწვდენდი ადამიანური სიცოცხლისაგან დაცლილ ცისქვეშეთში. სულაც არა. მინდოდა, ოდნავ მაინც ამეხმიანებინა ადამიანის ნიშანგამქრალი, კაცის ხმას დანატრებული, ბნელით მოცული სამყაროს ეს ნაწილი. თანაც, ამასთან ერთად, იმედი მქონდა, რომ მოძალებულ თვლემასაც დავიფრთხობდი ამ არაფრისმთქმელი ეჰე, ეჰეეთი. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება: მიწყდა თუ არა ჩემი ხმა, მოულოდნელად საიდანღაც (როგორც მომეჩვენა, არც ისე შორიდან) უმალ მომესმა საპასუხო ეჰე-ჰეე. ამან საოცრად გამაოცა, გამახარა და არანაკლებ —

დამაბნია. ყურებს არ დავუჯერე და მართლაც არც იყო ეს ასე ადვილად და ალა-ალა დასაჯერებელი.

ვიდექი და მოუთმენლად ველოდი, იმ ერთხელ შემთხვევით თუ საგანგებოდ წამოსროლილი ეჰე, ეჰეეს გარდა, კიდევ სხვანაირად თუ შემეხმიანებოდა სიბნელეს შეხიზნული უცნობი. მაგრამ ხმა მიწყდა თუ არა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, მეტი არაფრით გაუმჟღავნებია ამქვეყნად თავისი არსებობა.

როგორც კი პირველმა აღელვებამ გამიარა, თავს უცხოსავით დავეკითხე:

„რა იყო ეს. ჩემს შეძახილზე უცხო მგზავრის საპასუხო გამოძახილი, თუ ადამიანის ხილვის და მისი ხმის გაგონების მოწადინე-დანატრებულს სმენამ მიმტყუნა?!"

"მიმტყუნა?!"

„ჰო. რა საკვირველია. იქნებ ბნელს შეფარებულმა მინდორ-უდაბნომ ჩემი ეჰე, ეჰეე მოწინააღმდეგის მიერ ნატყორცნი პინგ-პონგის ბურთივით უკან დამიბრუნა. არც ის არის დაუჯერებელი, ამ უკიდეგანო უცნობ მხარეში უგზო-უკვლოდ მოხეტიალეს და წყურვილისგან გაწამებულს, მოჩვენებები დამწყებოდა, თორემ აქ, ამ ღვთისა და კაცისგან მივიწყებულ სამყაროს უსიცოცხლო მხარეში ადამიანს რა უნდა".

"როგორ თუ რა უნდა? მე აქ ხომ ვარ. ჰოდა, რატომ არ შეიძლება, სხვა ვინმეც იყოს. იქნებ მასაც, იმ ვიღაც უცნობს, ვინც საპასუხო ეჰე, ეჰეე შემომძახა, რაღაცის თუ ვიღაცის ძებნაში ჩემსავით დაებნა გზა-კვალი და ახლა მშველელ-დამხმარეს ეძებს.

როგორც მგონია და მართლა აღმოსავლეთ საქართველოში ვარ, ეს მხარე ძველთაგანვე ცნობილია სანადირო ადგილებითა და ნადირის სიუხვით. რატომ არ შეიძლება ის, ვინც ჩემს ძახილს მყისიერად გამოეხმაურა, ნადირის დევნაში თავისიანებს უნებლიეთ მოწყვეტილიყო და სიბნელის და უდაბნოს პირისპირ მარტო დარჩენილი, ჩემსავით დამხმარეს, გინდაც, ამხანაგებს უხმობდეს: აქ ვარ და შემეხმიანეთო?

ასეა თუ ისე, რაკი ჩემი ძახილი ბნელით მოცულ მუნჯ უდაბნოში მის ყურთასმენას მიწვდა, შეიძლება ეს თავისიანების გამოძახილად ემცნო და მათთან შეერთების იმედ-წადილით აუცილებლად მოვა ჩემთან, თუნდაც იმიტომ, რომ გაიგოს, მართლა მისი ამხანაგი ვარ, თუ სხვა ვინმე".

ამ ვარაუდით დაიმედებული მოუთმენლად დაველოდე მის გამოჩენას, რათა მე ჩემი გასაჭირი მეთქვა, მისი კი მომესმინა და მერე ორივეს ერთად გვეპოვა გამოსავალი უდაბნოდან თავის დასაღწევად.

არც ისე დიდმა დრომ განვლო, რაც ჩემს ძახილზე მისი საპასუხო ეჰე, ეჰეე მისწვდა ჩემს ყურთასმენას, მაგრამ მასთან მალე შეყრის წადილით შეპყრობილს ეს წუთიც უსაშველოდ გრძელი მომეჩვენა. ის იყო, ხელახლა დავაპირე შეხმიანება, რომ ბნელში ფეხის ხმა მომესმა, თუმცა, მალევე მიწყდა.

ირგვლივ ჩამოწოლილ სქლად შედედებულ წყვდიადს გაფაციცებით ჩავაშტერდი და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მდგომი კაცის ლანდს თვალი მოვკარი. ბნელში ისე ირხეოდა როგორც ოთახიდან ღია სარკმელში გარეთ გამოდგმული სანთლის მილიცლიცე ალი.

დაველოდე, ერთი ვნახო, რას იტყვის-მეთქი, მაგრამ ერთ ადგილზე გაყინულიყო და ჯიუტად დუმდა. ბოლოს ეჭვიც შემეპარა მის რეალობაში და თავს ვუთხარი:

"იქნებ ვცდები! აქ არსად კაცის ჭაჭანება არ არის და ყველაფერი შენს წარმოდგენაში გაცოცხლებული მოჩვენებაა".

"იქნებ... თუმცა, ამის გარკვევა არც ისე ძნელია. ბოლოს და ბოლოს, მივუახლოვდები და გამოველაპარაკები. თუ ცხადია ყველაფერი, რეალურ ადამიანს შევეყარე და არა ლანდსა და მოჩვენებას, ხმას გამცემს და საეჭვო აღარაფერი იქნება, ხოლო თუ არაფრით მაგრძნობინა თავისი არსებობა, ვირწმუნებ, რომ უჩვეულო გარემოში ნერვებმა მიმტყუნეს და ყველაფერი მომელანდა: კაცის ძახილიც და აქვე, ჩემს შორიახლო ბნელში ასვეტილი უცხო აჩრდილიც".

ასეთი საორჭოფო ფიქრების მიუხედავად, გულში ბოლომდე მაინც არ მჯეროდა, რომ ჩემს წინ მოჩვენება იდგა. ეჭვს ერთი მეტად უჩვეული ამბავიც მიძლიერებდა: ირგვლივ ხომ ისეთი თვალგაუმტარი სიბნელე იყო, არამც თუ შორს, ჩემს ცხვირწინაც არაფერი ჩანდა, მაგრამ ჩემთან მოახლოვებულ, ერთგვარი საიდუმლოებით მოცულ უცნობს, თითქოს რომელიღაც უჩინარი წყაროდან სხივნათელი აშუქებდა და თავიდან ფეხებამდე, ზოგჯერ ბუნდოვნად, ზოგჯერ კი აშკარად და ცხადად ვხედავდი. უფრო ამიტომაც გადავწყვიტე გამოლაპარაკება.

– სალამ ალეიქუმ ყარდაშ! – წამოვიწყე აზერბაიჯანულად. აზერბაიჯანულად იმიტომ, რომ ადრევე მსმენოდა, ამ ადგილებში, სადაც ჩემი ვარაუდით გზა ამებნა, უმეტესად მალაკნები და აზერბაიჯანელები ბინადრობდნენ. ვიფიქრე, ასე უფრო გავაგებინებ მონადირე იქნება, თუ ახლომახლო მცხოვრები და ვეტყვი: მენახირე ვარ, მოზვერი დამეკარგა და მის ძებნაში გზა დამებნა. ახლა ღამის გასათევს ვეძებ და იქნებ ვინმე ღვთისნიერმა წყალიც დამალევინოს-მეთქი.

ლანდი ისე შეირხა, თითქოს ვინმეს გულში სატევარი ეტაკებინოს, მაგრამ პასუხი არ გაუცია. მომეჩვენა, რომ ჩემს სიტყვებზე უცნობმა შუბლი მწყრალად შეიკრა და ცივად დამაცქერდა, თუმცა, ვერ მივუხვდი უკმაყოფილების მიზეზს. გულწრფელად რომ ვთქვა, მაინცდამაინც არც ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემზე ყოფილიყო გამწყრალი. არადა, ვერც იმას

ვხვდებოდი, ხმას რატომ არ იღებდა. ბოლოს, თავი იმით ვინუგეშე: ალბათ, ამ კაცს ეგ შენი აზერბაიჯანული არ ესმის და რა ქნას, პასუხი როგორ გაგცეს-მეთქი.

ცოტა ხნის შემდეგ რუსულად გამოველაპარაკე. დარწმუნებული ვიყავი, რომ რუსული უთუოდ ეცოდინებოდა და პასუხს გამცემდა, მაგრამ შევცდი: ისევ ჯიუტად დუმდა და შუბლშეკრული შემომცქეროდა. ძალიან მინდოდა, მაგრამ ვერანაირად ამეხსნა მისი განაწყენების მიზეზი. ისიც მაოცებდა, რომ ამ უჩვეულო წყვდიადით თვალდაბინდული ირგვლივ ვერაფერს ვხედავდი, თვალთა ჩემთა რად უჩნდა მკრთალად თუ ცხადად მისი სახისა და ტანის ყოველი ნაკვთი, თუმცა მაშინ ამის გარკვევის არც თავი მქონდა და არც სურვილი. ახლა მთავარი იყო, როგორმე წყალი და ღამის გასათევი მეპოვა და თუ ამაში ანაზდად გამოჩენილი ეს უცნობი დამეხმარებოდა, მისგან სხვა არაფერი მინდოდა.

რუსულის შემდეგ როცა სომხურის მცირე მარაგიც შემომეხარჯა და პასუხად ერთ სიტყვასაც ვერ ვეღირსე, ამ კაცისგან დახმარების ყოველგვარი იმედი გადამეწურა. გადამეწურებოდა, აბა, რა იქნებოდა! ყოვლად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, საქართველოში რუსულ-სომხურ-აზერბაიჯანული ენებიდან კაცს ერთ-ერთი საყველპურად არ ცოდნოდა. მაგრამ თუ რომელიმე ასე თუ ისე იცოდა და კრინტს არ სძრავდა, ვერნაირად ამეხსნა ამის მიზეზი. თუმცა, ფარ-ხმალი მაინც არ დამიყრია და რომც დამეყარა კიდეც, რა უნდა მექნა, ამ უკიდეგანო უდაბნოსა და თავზარდამცემი წყვდიადის პირისპირ მარტო დარჩენილს, როცა ამ კაცის მეტი სხვა მხსნელ-მშველელი იმ წუთას არავინ მეგულებოდა. მსურდა თუ არა, საცდელი ბოლომდე უნდა მეცადა და ახლა ამ უცნაურ უცნობთან გამოლაპარაკება ჩემი გასაცოდავებული ინგლისურით ვცადე.

ამ ენაზე თითქმის ნახევარი მსოფლიო ლაპარაკობს და ამ ბოლო დროს ჩვენშიც დიდ მოდასა და პატივშია. მისი ხიბლით დიდმა და პატარამ ლამის მშობლიური ქართული დაივიწყოს. თავს არ იზოგავენ ქართველები, ოღონდ ინგლისური ისწავლონ, საზღვარგარეთ წავალთ სამუშაოდ და გამოგვადგებაო.

როგორ შეიძლება, ამ დალოცვილმა იმდენი ინგლისური არ იცოდეს, რომ ჩემს სივალალეს მიხვდეს-მეთქი, — გავიფიქრე და ახლა ინგლისურად ვცადე ჩემი გასაჭირის ახსნა, მაგრამ იმედი არც მსოფლიოში ხვართქლა ბალახივით მოდებულმა ინგლისურმა გამიმართლა.

უცნობის დუმილით სასოწარკვეთილებამდე მისულმა ერთხანს გაჩუმება ვარჩიე. ან კი, რომ არ გავჩუმებულიყავი, სხვა რა გზა მქონდა. ცდა და მონდომება არ დამიკლია, მისთვის ენა ამომედგმევინებინა, მაგრამ იმ ერთადერთი ეჰე, ეჰეეს გარდა, რითაც შორიდან შემომეხმიანა, სხვა ვერაფერი ვათქმევინე. მიკვირდა და ვერ ამეხსნა, ასე რატომ დუმდა. ამ დალოცვილს ჩემთან საუბარი თუ არ სურდა, ჯერ შორიდან რაღად გამომეხმაურა და მერე აქ რატომ მოვიდა, ხომ შეეძლო უჩუმრად გამცლოდა. მე შენ გეტყვი და ამხელა მინდორში, ისიც ასეთ ლუსკუმია ღამეში, შეუმჩნევლად გვერდს ვერ ამივლიდა? გვერდი თუნდაც შეუმჩნევლად არ აეარა და შემემჩნია კიდეც, ძალით გავაჩერებდი თუ რა? და თუ მოვიდა, ერთი-ორი სიტყვით მაინც გამომლაპარაკებოდა და მერე საითაც სურდა, იქით წასულიყო. ათასჯერაც რომ მეცადა, თუ მოინდომებდა, ვერ შევძლებდი მის დაკავებას.

უზომოდ გულაყრილმა და აღრენილმა ერთი პირობა ისიც კი გადავწყვიტე, გავჯავრებოდი, მეყვირა, გამელანძღა, ნამუსზე შემეგდო. იქნებ ამის შემდეგ დაერღვია დუმილი, ხოლო თუ ესეც არ გაჭრიდა, მკლავში ხელი წამევლო, შემენჯღრია, დამეჯიგლიგებია. მაგრამ ბოლო წუთებში ესეც უაზროდ მეჩვენა და უმალ უკუვაგდე. ხომ შეიძლებოდა ამით კიდევ უფრო გამებრაზებინა, იქაურობა დაეგდო და როგორც უხორცოსავით იდუმალ გამოჩნდა, ასევე ანაზდად გაუჩინარებულიყო.

თუმცა მარმარილოს ქანდაკებასავით უტყვი და უსიცოცხლო იყო, მისი ყოფნა მაინც მაიმედებდა. სანამ ჩემს შორიახლოს იდგა, უცნობ გარემოში თავს მარტოსულად არ ვგრძნობდი და თუ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, ხელს მაშინ მაინც უთუოდ გამოიღებდა და დამეხმარებოდა.

ლოდინის ძაფი გამიწყდა, მისგან რამეს თქმის იმედი საბოლოოდ გადამეწურა და ყველაფერზე გულაყრილმა ხმამაღლა შევღაღადე შემოქმედს:

— ღმერთო, ასეთი რა შეგცოდე, რომ ამ ჯოჯოხეთურ წყვდიადში დანთქმულ უწყლო უდაბნოში დასაკარგად გამიმეტე ისე, რომ ხმის გამცემიც არავინა მყავს! ან ეს კაცი რად მომივლინე, თუკი ერთ სიტყვასაც არ გაიმეტებდა?!

— შვილო ჩემო, მშობელ დედას ვინც დაივიწყებს, დედინაცვალს დედად შერაცხავს, დედაენის უარყოფით თავს მოიწონებს, ისიც რა დედაენის — ღვთით შემკულის და კურთხეულის — ამქვეყნადაც და საიქიოშიც მარადიულ წყვდიადში დაინთქმება, არც კაცი და არც უფალი არ განიკითხავს!– თავანკარა ქართულით მომიგო ახლოს მოსულმა და ისე დამაცქერდა, ვიფიქრე, ჩემზე განაწყენებულმა შეიძლება სილაც გამაწნას-მეთქი, თუმცა რაკი მისი ხმა გავიგონე, აღარაფერს ვჩიოდი. მერე და მერე რომ დავფიქრდი, ვიგრძენი, ეს უბრალო საყვედური კი არ იყო, არამედ ღვთის წყრომასავით წყევლა-კრულვა, რომელიც, თუ ამას კაცი იმსახურებდა, რისხვად და შურისძიებად

ათას წელს გაჰყვებოდა მასაც და მთელ მის მოდგმას სამუდამოდ დაუკარგავდა სიმშვიდეს და მოსვენებას.

"ღმერთო, შენ მიხსენი მეც და ჩემი მომავალიც ამგვარი ბრალდებისა და ცოდვისაგან"! – შევევედრე გულში უფალს.

თუმცა მოულოდნელად ენაამოდგმულ უცნობთან დავა-კამათის არც ძალა მქონდა და არც სურვილი, მაგრამ მან სამშობლოს ღალატზე უფრო დიდი ბრალი დამდო და პასუხი რომ არ გამეცა, ისე გამოვიდოდა, თითქოს ამ ბრალდებას ვადასტურებ-ვეთანხმებოდი.

— უცნობო კაცო, სრულიად უმიზეზოდ მდებ ბრალს მშობლიური ენის ღალატში და არც მშობელი დედა გამიცვლია ოდესმე დედინაცვალზე, – რაც შემეძლო, მშვიდად მივუგე, თუმცა თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ერთი კარგად არ გამომელანძღა. იყო კიდეც გალანძღვის ღირსი. სხვა დროს, ვინც უნდა ყოფილიყო, ერთ სიტყვასაც არ შევარჩენდი, შევარჩენდი კი არა, რაც მითხრა იმის სამაგიერო ხურდას ერთი-ათად დავუბრუნებდი, მაგრამ ახლა, კაცის ნახვას და ხმის გაგონებას დანატრებულს, ჩხუბი და დავა რომ ამეტეხა, შეიძლება ზურგი შეექცია და როგორც ანაზდად გამომეცხადა, ასევე მოულოდნელად დავეგდე და წასულიყო. ამასთან ერთად, კარგად რომ დავფიქრდი, სულო ცოდვილო, ნაწილობრივ სამართლიანიც მომეჩვენა მისი საყვედური, თუმცა შეპასუხება მაინც დავაპირე, მაგრამ დამასწრო და გულდაწყვეტით მისაყვედურა:

— შვილი ჩემო, თუ ქართველი ხარ და ქართულად ლაპარაკობ, თავიდანვე ქართულად გეუწყებინა შენი დარდი და გასაჭირი. ქართველი კაცი ისე რამ წაგახდინა, რომ შენს ქვეყანაში, შენთა წინაპართ დედულ-მამულში დამდგარხარ და უცხო ენებზე სამარცხვინოდ მეცოდვილები. ხეირიანად იცოდე მაინც იმ ხალხების და იმ ქვეყნების ენა, რომელთა ენებზეც შველა-დახმარებას ითხოვ.

ძნელი მისახვედრი სულაც არ იყო: უცნობმა ჯერ ცოდნა შემიფასა პირუთვნელად, მერე სამშობლოსადმი გულგრილობაში დამდო ბრალი.

გულზე მწარედ მომხვდა მისი ბრალდება. მასთან ერთად მეუცხოვა და გამაკვირვა "შვილო ჩემოთი" რომ მომმართავდა,

— ქართველი როგორ არ ვარ, მაგრამ შენ მიგიჩნიე უცხო გვარტომისად და ვიფიქრე, უცხო ენაზე უფრო ადვილად ავუხსნი-მეთქი ჩემს დარდსა და ვარამს, – ვიმართლე თავი.

— ღმერთო, შენ გაუნათე გონების თვალი და მიმადლე მტერ-მოყვარის შეცნობის ნიჭი შენი სამწყოს გზაკვალარეულ ყველა ცხოვარს! — პირჯვარი გადაისახა და ისევ მომიბრუნდა: — მარტო წყვდიადისა კი არა, უფრო მამა-პაპის რჯულზე გულაყრის ბრალია შენი სიბრმავე, შვილო ჩემო, თორემ უცხოობისა რა მეტყობა გვარტომით ყოველმხრივ ქართველს! — დაუფარავი წყენა, უკმაყოფილება და სიამაყე იგრძნობოდა მის სიტყვებში.

– რა ვიცი. ბნელ ღამეში, როცა თვალი უძლურია, რამე გაარჩიოს და კაცი უმცდარად მიხვდეს, ვინ უცხოა და ვინ შინაური, ამ დროს ყველა შეიძლება შეცდეს, — მივუგე თავის მართლებით ისე, რომ დარწმუნებული ვიყავი, ეჭვს არ შეიტანდა ჩემს გულწრფელობაში, მაგრამ მოვტყუვდი: ისეთ გუნებაზე ჩანდა, რაც უნდა მეთქვა, უთუოდ ყველაფერის საწინააღმდეგო მტკიცებას მოყვებოდა.

— კაცი თუ ქვეყნის ნამდვილი ჭირისუფალია, მან დღისითაც და ღამებნელშიაც უმცდარად უნდა იცნოს, მისი ქვეყნის ვინ მტერია და ვინ მოყვარე, – ეს ისე მითხრა, თითქოს ქვეყნის ბედ-იღბლის სვემაღალი საჭეთმპყრობელი ვყოფილიყავი და არა ვინმე გზააბნეული, უძლური მგზავრი, რომელიც წყვდიად ღამეში უდაბნოს იძულებით შეხიზნული ხსნასა და შველას სხვისგან ელოდა. სანამ კიდევ რამეს ვეტყოდი, დაუფარავი გულისტკივილით შეღაღადა:

— ღმერთო მაღალო, შენ ხომ უწყი, არამარტო ღამებნელში, დღენათელშიც რა ვაითვალჩუბინები და ქვეყნის უდარდელა ჭირისუფლები არიან ამის თანამოძმენი და რა გასაკვირია, ესეც მათ ჰგავდეს!

"ეტყობა, დიდი მეტიჩარა ვინმეა, თორემ ნეტავ რა იცის, რანი ვართ ან მე ან ჩემი თანამოძმენი?!" — წყენით გავიფიქრე და ეს არც დამიფარავს.

— ვითომ რატომ ვართ ვაითვალჩუბინები და უდარდელა ჭირისუფლები?!

— იმიტომ ხართ ვაითვალჩუბინები და ქვეყნის უდარდელა ჭირისუფლები, რომ თავზე გექცევათ ქვეყანა, — ისე მომახალა, თითქოს ჩვენს ქვეყანაზე გული მას უფრო შესტკიოდა, ვიდრე მე ან ჩემს თანამემამულეებს.

— რას ეძახი თავზე ქვეყნის დაქცევას!

— ამასაც თუ ვერ ხვდები, მართლა ბრმა ყოფილხარ და სულ ერთიანად წასულა და დაღუპულა, შენიც და შენი ქვეყნის საქმეც, — ეს რომ მითხრა წამით შეჩერდა და მერე დაუმატა: — თუმცა, მარტო შენ თუ ფიქრობ ასე, კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ ყველას ერთპირად ასე გჯერათ, მაშინ ვაი თქვენ და უი თქვენს ქვეყანას!

"ეტყობა, ეს საცოდავი სულ ასე ბნელში დაბორიალობს, ამიტომაც ვერ ხედავს ჩვენი ქვეყნის წინსვლას და განახლებას, თორემ იმას როგორ იტყოდა, რაც მითხრა", – გავიფიქრე და მისი გამხელა დავაპირე, მაგრამ დამასწრო და ნიშნისმოგებით თუ დარიგებით მითხრა:

— მთავარი თავის მართლება კი არ არის, არამედ — სინამდვილისთვის თვალის გასწორება და ჭეშმარიტების აღიარება. ის მაინც გაიხსენეთ, წინაპრებმა როგორი ქვეყანა დაგი-

ტოვეს და დღეს რა ქვეყანა გაქვთ! ახლა ეს ვითომ საქართველოა, სადაც თქვენს გარდა, ვინ იცის, რამდენი უცხო გვარტომი ცხოვრობს? ლამის არის, საკუთარ დედულ-მამულში ფეხის დასადგმელი ადგილიც აღარ დაგრჩეთ!

— ჰო, ეს მართლაც ასეა, ჩვენს მიწა-წყალზე ბევრი უცხოტომელი ცხოვრობს, მაგრამ სანამ ვინმეს საყვედურით ააკვესებდე, ჯერ უნდა იკითხო მაინც, რატომ მოხდა ასე.

— აბა, ერთი მიბრძანე, რატომ მოხდა? – კარგად ვერ მივუხვდი, ამ კითხვაში დაცინვა მეტი იყო, თუ სიმართლის გაგების სურვილი.

— რატომ? – უფრო დროის მოსაგებად ჩავეკითხე, პასუხი რომ კარგად ამეწონ-დამეწონა.

— ჰო, რატომ?

— მართალი რომ გითხრა, დაბეჯითებით არც ვიცი... ისე კი, რამდენ ვინმესაც გაუჭირდა: მტერმა დაჯაბნა, სამემკვიდრო წაართვა, მამული აუოხრა, თუ ქვეყნიდან გამოდევნა, ძმობისა და მეგობრობის თხოვნა-მუდარით, ყველამ თავი ჩვენს ქვეყანას შემოაფარა. ასე და ამნაირად, მორჩილად თავდახრილი, საკუთარი სამკვიდროდან აყრილი უცხო ტომის უამრავი ბოგანო, მშიერ-მწყურვალი, გლახაკი და უპოვარი შემოგვეხიზნა. რა გვექნა, არ მიგველო დაცემულნი და მშიერნი ამა ქვეყნისანი, არ გაგვეკითხა?! – ვუთხარი და შვებით ამოვისუნთქე, უცნობს ამჯერად მაინც ისეთი პასუხი გავეცი, ძალიანაც რომ ეცადოს, ვერ შემომედავება-მეთქი.

— უნდა მიგელოთ, – მორჩილად დამეთანხმა აქამდე ყველაფრის უარსაყოფად შემართული უცნობი, – უფალი, ჩვენი მაცხოვარიც, ხომ ამას ქადაგებს: განიკითხეთ მშიერნი და გაჭირვებულნი ამა ქვეყნისანი, შეიფარეთ და დააპურეთო.

— ჰოდა, გიშველოს ღმერთმა! – შევძახე მისი პასუხით კმაყოფილმა და გათამამებულმა, – ჩვენც ჩვენი წესითა და ადათით როგორც გვჩვევია და თანაც როგორც მაცხოვარი გვიქადაგებს, ყველა ხიზანი შევიფარეთ, ვიძმეთ, შევიტკბეთ და დავაპურეთ.

— მერე? – რაღაცნაირი ნიშნისმოგებით ჩამეკითხა და დამაცქერდა.

— ეჰ, სწორედ ეს "მერეა" სავალალო და სამწუხარო. ბევრი, ვინც ჩვენი ძმური დახმარებით მტრის მახვილს გადაურჩა და ჩვენივე წყალობით სული მოითქვა, ბოლოს ისე გათავხედდა, რომ მადლობის ნაცვლად, ჯიქურ აქეთ შემოგვიტია და უსირცხვილოდ გვიკიჟინებს: თქვენ საკუთარი ქვეყანა, სამშობლო, დედულ-მამული ვინ მოგცათ, სად ან როდის გქონიათ. ეს მიწა-წყალი ოდითგანვე ჩვენი იყო და მომავალშიც ჩვენი იქნებაო, – ვუთხარი.

იმედი მქონდა, საქციელს მოგვიწონებდა და სიკეთის დაუნახავ, უმადურ ხალხს გაკიცხავდა და შეაჩვენებდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე, მათ მიმართ ერთი უბრალო აუგიანი საყვედურიც არ დასცდენია. პირიქით ისევ ჩვენ გაგვამტყუნა.

— შვილო ჩემო, ოჯახია თუ სახელმწიფო, ყველამ, შინ თუ გარეთ, საქმე ისე უნდა მოაწყოს, უშმი ქართულის თქმა ვერავინ გაბედოს. ავის მოსურნე, ხიზანია თუ მეზობელი, უძლურს, უგვანო ფანიორას რომ დაგინახავს, აი, ისეთს, საკუთარ მიწა-წყალს რომ ვერ უვლის, ქვეყანას ვერ პატრონობს, დედულ-მამულსაც წარტაცებს და პირიდან ლუკმასაც გამოაცლის.

— კაცო, საიდან მოიტანე, რომ ჩვენ მიწა-წყალს ვერ ვუვლით და ქვეყანას ვერ ვპატრონობთ?! – საკმაოდ მკვახედ ვკითხე განრისხებულმა. ასეთ ჭორს და სიცრუეს რომ ვიღაც უცხოსგან გაიგებ, განრისხდები, აბა, რას იზამ?

— ტყუილად ცხარობ, შვილო ჩემო, – მითხრა მშვიდად, თანაც — მოურიდებლად, – აბა, ეგ არის მიწა-წყალის მოვლა და ქვეყნის პატრონობა, თქვენ რომ ქვეყანას პატრონობთ?! მამა-პაპათა ნაფუძვარი მიატოვეთ და გაავერანეთ, მთა ხალხისაგან დაიცალა, ბარი ლამის ერთიანად გაპარტახდა, მიწები ნაკუწ-ნაკუწ გაყიდეთ და გააჩუქეთ. ვატყობ, რაც დაგრჩათ, ალბათ, იმასაც სულ მალე სხვებს გადაულოცავთ... ვინც დღედაღამე არ იზრუნებს, თქვენ რომ გაქვთ ისეთი ღვთისაგან ნაკურთხი, სამოთხის მსგავსი ქვეყნის ბედზე, მასზე თვალს საბოროტოდ შორეული მტერიც დაიჭერს და ახლობელი ჩუმჩუმელა, გაიძვერა მეზობელიც. ერთიც და მეორეც ხმამაღლა თუ არა, გულში მაინც იტყვის: ეს ბედოვლათი და ნაცარქექია რა ღირსია ასეთ მიწა-წყალს ფლობდესო და მის ხელში ჩაგდებას ძალითაც მოიწადინებს და ეშმაკობითაც.

ცდილობენ კიდეც-მეთქი, დავეთანხმე და მერე თავის მართლება დავაპირე, მაგრამ კრინტის დაძვრაც ვერ მოვასწარი ისე განაგრძო ჩემი და ჩემი თანამემამულეების ლანძღვა-გინება:

— შენ და შენისთანები მამულს ხომ უდიერად ეპყრობით და ეპყრობით და ახლა ენაი, ჩვენი ენაი, შემკული და კურთხეული, სულ აბუჩად აიგდეთ და წყვდიადში გადაკარგეთ. სამაგიეროდ, გაგიხარია, უცხო ენებს თავს ევლებით და ზედ დაფოფინებთ. თავი მოგწონთ და ძალიანაც ამაყობთ: ერთი შემოგვხედეთ, როგორი ჭკვიანები ვართ, რამდენი ენა ვიცითო. სხვისი ენების ცოდნას ვინ წუნობს, მაგრამ საკუთარს რას ერჩით!

— მე... – დავაპირე პასუხის გაცემა, მაგრამ ვინ გაცალა.

— შენ რა! შენ არ იყავი, სულ რამდენიმე წუთის წინათ, თავმომწონედ რომ მეცოდვილებოდი რაღაც ენებზე. როცა სხვა გზა არ გქონდა, მხოლოდ მაშინ გაიხსენე მშობლიური ქართული.

— ამიტომ არა, – ვცადე ამეხსნა.

— აბა, მაშ რატომ?! – ნიშნისმოგებით ჩამეკითხა.

— რატომ და ამ მხარეში მცხოვრებმა უცხო გვარტომის ხალხმა ქართული არ იცის და ვიფიქრე, უცხოს ქართულად რომ გამოველაპარაკო, აზრი არა აქვს, მაინც ვერაფერს გავაგებინებ-მეთქი.

— შენ და შენისთანა ვაიქართველები მშობლიურ ენას შარშანდელი თოვლივით რომ ივიწყებთ, ისევე, როგორც ბევრ სხვა რამეს — ჩვენსას, მამა-პაპურს, უცხო კაცი ქართულს რატომ ისწავლის?!

ვეცადე, დამერწმუნებინა, რომ ცდებოდა, მაგრამ არ მაცალა. ეტყობა, ჩანაფიქრს მიმიხვდა.

— თავის მართლება ბევრი ვერაფერი ხილია, მით უფრო მაშინ, როცა კაცს არ სურს, ჭეშმარიტება აღიაროს. მოვეშვათ მიეთ-მოეთს. თქვენ – შენ და ალბათ, ზოგიერთი შენი თანამემამულეც ისეთი თავქარიანები ჩანხართ, კაცმა ათასი კეთილი რჩევა რომ მოგცეთ, ერთსაც არ შეისმენთ. ყოველი შეგონება ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა გამომივა. ამიტომ კამათს მოვეხსნათ. შენ გზა, წყალი და ღამის გასათევი იკითხე. წავიდეთ, აქვე ახლოს მონასტერია. იქ წყალსაც ვიშოვით, სანოვაგესაც და ღამის გასათევსაც... შენთვის, თორემ მე ყველაფერი ეს აღარაფერში მჭირდება.

„მე ეს ყველაფერი აღარაფერში მჭირდებაო?! ნეტავ ან ერთი ან მეორე რატომ არ ჭირდება ამ სიცხით გადახრუკულ, უწყლო, ადამიანებისგან უარყოფილ უდაბნოში. საქორწინო სუფრაზე იყო წვეული, სადაც კარგად მოილხინა, თუ რა? "

"საქორწინო სუფრაზე თუ არა, ალბათ, სხვაგან იქეიფა დიდებულად. ამას რბილი საბანგობანიანი ბინაც ექნება".

"მერედა, რა იქნებოდა, ამ დალოცვილს მონასტრის მწირი სენაკის ნაცვლად, მეც წავეყვანე იმ საბან-გობანიან ბინაში ".

"აი, ამას ჰქვია უმადურობა და სიკეთის დაუნახაობა, – გამკრა გულში,— აქამდე ხომ მონასტრის მწირი და ხმელი სენაკიც გენატრებოდა?"პ

"მართლაც რა ხარბია ეს ოხერი კაცის გული, ხარბი და უმადური... ათი ათასი მადლობა ჩემს ბედს და უფალს ამ ღვთიურ კაცს რომ შემახვედრა, თორემ რა მეშველებოდა მონასტრის მწირი და ხმელი სენაკიც რომ არ გამოჩენილიყო. ღია ცისქვეშეთთან შედარებით, ახლა სენაკი სასახლედ ჩაითვლება".

— ამაღამ იქ მოისვენე. ხვალ, ღვთის მადლით და უფლის შეწევნით, როცა ინათებს და მზე დედამიწას ზეცით დახედავს, საითაც გნებავს, იქით წაბრძანდი! — ფიქრებიდან გამოიყვანა უცნობის ხმამ და სანამ რამეს ვეტყოდი, წინ გამიძღვა.

ერთხანს უბრად ვიარეთ. გზადაგზა, სანამ ღამის გასათევ ადგილას მივიდოდით, გულდასმით ვათვალიერებდი უხილავი ნათლით მოსილ იდუმალ უცნობს, რომლის არც სახელი ვიცოდი, არც სადაურობა და, მით უფრო, — არც ვინაობა.

...საშუალოზე მაღალი ტანის, მხცით მოსილი თმა-წვერიანი, მხრებში ოდნავ მოხრილი ჭარმაგი მოხუცი ჩანდა, თუმცა, სიარულის დროს ჯანის სისუსტე არაფერში ეტყობოდა. ის კი არადა, ჩემზე მხნედაც კი მიაბიჯებდა. ტანთ ბერ-მონაზვნის სამოსი ემოსა, გულზე ვერცხლის ჯვარი ეკეთა მაცხოვრის სახეგამოხატული გვარიანად მსხვილი და ოსტატურად ნაწნავი ძეწკვით. ხელთ მძიმე არგანი ეპყრა და სიბნელეში გზას ისე უმცდარად მიიკვლევდა, თითქოს დედამიწა სხივებგაუმტარ წყვდიადს კი არ მოეცვა, არამედ ჩემს და მის სავალს მოკრიალებული ციდან ბრდღვიალა მზის სხივ-ნათელი აჩირაღდნებდა. ჩანდა, აქ პირველად არ უხდებოდა გავლა. ყველაზე უფრო ის მაოცებდა, რომ ირგვლივ ჩამოწოლილი წყვდიადის მიუხედავად, უცნობ მეგზურს თავიდან ნათელი არ სცილდებოდა და მის სახესა თუ ტანს ზოგჯერ მკრთალად, ზოგჯერ ცხადად ვხედავდი.

საეჭვოდ მომეჩვენა ეს უჩვეულო ამბავი. იმანაც დამაფიქრა, რომ ეს კაცი საიდანღაც მოულოდნელად გამომეცხადა და სულაც რომ არ ეკითხებოდა ისეთი რამეების გამო გამკიცხა და მისაყვედურა, მერე კი ანაზდად დამიტკბა და დახმარება შემომთავაზა.

ცხადია, უარი არ მითქვამს დახმარებაზე, ან უარს როგორ ვეტყოდი, როცა მთელი საღამო იმას ვნატრობდი, ვინმე დამხმარებოდა. მაგრამ ახლა უცნობის მხარდამხარ გაურკვეველი მიმართულებით მიმავალს იმთავითვე აკვიატებული ეჭვი არ მასვენებდა: ნეტავ ასე ყელზე თოკშებმული სამსხვერპლო ცხვარივით, სად მივყავარ ამ უცხო კაცს, მართალია, მითხრა, წყალს, ვახშამს და მოსასვენებელ ადგილს მოგინახავო, მაგრამ ვინც რას გეტყვის, განა ყველას დაეჯერება? ისიც მაინტერესებდა, ვინ იყო ეს კაცი, ჩემზე ასე რომ ზრუნავდა.

მცირე მანძილი რომ გავიარეთ, ვეღარ მოვითმინე და ხმამაღლა ვკითხე.

— ვინა ხარ პაპა, ამ უწყლო და უსიცოცხლო უდაბნოში საიდან გაჩნდი ციდან ჩამოვარდნილივით, მშველელ-მოწყალედ რომ მომევლინე?

— მწირი ვარ შვილო, მეუდაბნოე, დავითს მიხმობენ, – მომიგო მშვიდად და მხოლოდ ახლა მივაქციე ყურადღება მისი საუბრის გამორჩეულ კილოს. რაღაცნაირი სასიამოვნო ხმა ჰქონდა, გალობასავით სულში ჩამწვდომი.

— რომელი დავითი, გარეჯელი ხომ არა? – გავხალისდი უდაბნოში მარტოდმარტო ხეტიალის, ბნელში უგზოობით სასოწარკვეთის შემდეგ მოულოდნელად თანამგზავრის გამოჩენით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიმედებული, გადატანილი შიში და გასაჭირი დავივიწყე და კითხვას ხუმრობა გავურიე, თორემ ამ კაცს, სახელის გარდა, გარეჯელთან რა უნდა ჰქონოდა საერთო. არ მეეჭვებოდა, რომ ასეც მიპასუხებდა, თუმცა გამორიცხული არც ის იყო, ჩემი უშნო და უადგილო ხუმრობით განაწყენებულს, მკაცრად ესაყვედურა და დავეტუქსე კიდეც, ვინ დავით გარეჯელი, რის დავით გარეჯელი, ეგ რამ გაფიქრებინაო. მაგრამ ყურებს არ დავუჯერე, რაც მისგან გავიგონე:

— ჰო, შვილო, სწორედ დავით გარეჯელი ვარ.

ჩემი ხუმრობა არ შეიმჩნია, ვითომც არც გაეგონა და თავისი ვინაობა მტკიცედ, გარკვევით და დამაჯერებლად დამიდასტურა.

დავიბენი.

ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, ხუმრობაში ხომ არ ამყვა-მეთქი და გამომცდელად შევხედე, მაგრამ სახეზე სრული სერიოზულობა და შეუვალობა აღბეჭდოდა.

"ნამდვილად გავგიჟდი, ან ნათქვამი სწორად ვერ გავიგე, ან კიდევ სხვა რამე მითხრა, მე კი ყურში სულ სხვა რამე ჩამესმა, თორემ თოთხმეტი საუკუნის წინათ მცხოვრებ დავით გარეჯელთან ამ უკუნ ღამეს უდაბნოში რამ შემახვედრა!" — გავიფიქრე და საკუთარ თავში დაეჭვებულმა ერთხელ კიდევ ფარულად შევათვალიერე ჩემგან ოდნავ წინ მიმავალი ჭარმაგი ბერი.

აღმართი ისე ავიარეთ, რომ ერთი სიტყვაც არ დაგვცდენია. ერთი სული მქონდა, კიდევ რაღაც მეკითხა, მაგრამ მეშინოდა, ისეთი რამე არ ეთქვა, რაც გონებას ამირევდა და კიდევ უფრო დამაბნევდა. ამიტომ დუმილი ვარჩიე, ვნახოთ ერთი, სად მივალთ და რა მოხდება-მეთქი.

ამასობაში წყდიადში ლანდად გამოჩნდა კლდეში ნაკვეთი ქვის სენაკები. ბერი თვითდაჯერებული ბატონ-პატრონივით შემიძღვა ერთ-ერთ განაპირა სენაკში, რომლის შორეულ კუთხეში ნახევრად ჩამწვარი თაფლის სანთელი ლიცლიცებდა. სენაკის ქვის ჭერი და კედლები ფრესკებს დაეფარა, თუმცა კედლები აქა-იქ გაბზარულიყო, წვიმის წყალს და ულმობელ დრო-ჟამს მხატვრობა დაეზიანებინა, მაგრამ უცნობი შემოქმედის ყალმის ნაოსტატარს ძველი პეწი და ბრწყინვალება მაინც შერჩენოდა.

ბერმა სენაკს თვალი გულშემატკივარი პატრონის თანაგრძნობით მოავლო. მზერა დაზიანებულ ფრესკებზე შეაჩერა, პირჯვარი გადაიწერა და ჩაილაპარაკა:

— ჟამთა სიავემ, იქნებ უფრო ადამიანთა გულგრილობამ, მოჭირნახულე პატრონის უყოლობამ და მოძალებულ ურწმუნოთა სისასტიკემ ბოლო ხანს აქაურობასაც დაატყო მსახვრალი ხელი. – მერე სახე უფრო გაუმკაცრდა და ხმაშიც დაუფარავმა წყენამ იმატა, — ერი აქამდე მოღწეულ წინაპართა ნამოღვაწარს რომ ვერ მოუვლის და ნაანდერძევს ვერ უპატრონებს, გადაშენების საფრთხე დაემუქრება მის აწმყოსაც და მომავალსაც! – ბერმა კიდევ ერთხელ ზედიზედ გადაიწერა პირჯვარი და სასოებით დასძინა: — უფალო, აშორე ჩვენს ერს გადაშენების, გაქრობის საფრთხე და განსაცდელი აღგვისა პირისაგან მიწისა!

შედავება ვერ გავბედე. გამებედა და რა უნდა მეთქვა! ჭეშმარიტებას ღაღადებდნენ უპატრონო ქვეყნის ბედით შეძრული და გულდაკოდილი ბერის ბაგეები. ამ წმინდა ადგილას თავის მართლება და შედავება ჩემთა და სხვათა დანაშაულის ტოლფასი გულგრილობის გამო უზნეოდ მომეჩვენა. ისიც ვიგუმანე, ასეთი საქციელი ცოდვებს გამიმრავლებდა უიმისოდაც ცოდვებით აღვსილს.

უსიამოვნო საუბრისგან თავი რომ დამეღწია და მოხუცის ჭმუნვა ოდნავ მაინც გამენელებინა, შევეცადე, საუბარი სხვა გზით წარმემართა.

— მამაო დავით, დიდი ხანია, რაც აქ მოღვაწეობთ?

— მას შემდეგ, შვილო, რაც ათ-თორმეტ ასურელ მამასთან ერთად მოვედი და დავემკვიდრე აქ.

— ამ უდაბნოში?

— ჰო, ამ უდაბნოში, თუმცა ერთხანს სოფელში მრევლს ვემსახურებოდი და ვმოძღვრავდი უფლის ჩვენის — მაცხოვრის სიბრძნით.

— მამაო, მერე ამ უკაცურ, უწყლო, უმკაცრეს და ძნელად გასაძლებ მხარეში რამ გადმოგხვეწა?!

— უკეთურ მოშურნეთა ღვარძლსა და მტრობას გარიდების გარდა, უზენაესის მსახურების დიდმა სურვილმა, მრევლისათვის სულიერი განწმენდის მაგალითის მიცემა-ჩვენების მისწრაფებამ და საქართველოს — ღვთითკურთხეული, უფლის რჩეული ქვეყნის განუზომელმა სიყვარულმა.

— ნუ მიწყენ მამაო, თუ სულსწრაფი გკითხავ...

გამაწყვეტინა.

— უფლის საგმობი სიტყვები თუ წამოგცდება, მხოლოდ უზენაესი განსჯის შენს გულს, ფიქრსა და სიტყვას, სხვა ვერავინ, მით უფრო მე რა ხელი მაქვს სხვის განსჯასთან.

— უფლის გმობას ვით გავბედავ უგნური და ცოდვილი.

— მაშინ, თქვი, გისმენ.

— უზენაესის მსახურება, მრევლის სულიერებაზე ზრუნვა და ღვაწება, სამწყსოსთვის მაგალითის მიცემა და საქართველოს სიყვარული განა სხვაგან არ შეიძლებოდა, ამ უდაბნოში რომ არ გეტანჯა?!

— როგორ არ შეიძლებოდა, შვილო ჩემო, მაგრამ მიწიერი ვალის მოხდა ამ გზით ვარჩიე. განმარტოება ლოცვისა და შრომის ძალას მმატებდა და ზეციერთან მაახლოვებდა... ხალხისა და ქვეყნისათვის, ღვთის შეწევნით, როგორც

შემეძლო ისე ვიღწოდი. კალამი რომ დამღლიდა, ხელში საჭრეთელს ვიღებდი და ამ ხანმოკლე წუთისოფელში სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ დღემუდამ იმას ვცდილობდი, უფლისკენ გზა-სავალი მრევლისთვის როგორც შემეძლო ისე გამეწალდა და გამეიოლებინა.

ამ უდაბნოში რამ გადმოგხვეწაო, რომ მეკითხები, ეს უთუოდ თქვენი დროის ურწმუნოთა და სულმოკლეთა ფუჭი, უაზრო კითხვაა. სამშობლოს თუ სჭირდება, ქვეყანას თუ სასიკეთოდ წაადგება, უდაბნოშიც უნდა ვიღვაწოთ და უფრო ძნელ ადგილებშიც. კაცისაგან ღვაწლის გაღება, უდაბნოში იქნება თუ სოფელ-ქალაქად, უფლისათვის ერთნაირად მისაღებია, თუ იგი წმინდაა და ქვენა გრძნობები არ ასულდგმულებს. სამშობლოს მიწა, უდაბნოა თუ ყვავილნარი, მისთა შვილთათვის ერთნაირად საპატრონოა ყველგან და ყოველთვის, არადა, მას სხვა დაეპატრონება! აქ, ამ კლდე-ღრეში უფლისადმი ლოცვა-ვედრების აღსავლენ სენაკებს რომ ვკვეთავდი, ამით მრევლს უფლისა და ქვეყნის სიყვარულის მაგალითს ვაძლევდი. მწამდა, რომ სხვებიც მომბაძავდნენ და, სადაც ერი ოფლსა და სისხლს დაღვრის, იმ წმინდა მიწას, უფლის ძალითა და ღვთის შეწევნით, უცხო ერსა და მოძალადეს უსიკვდილოდ არ დაუთმობს.

— ნუ მიწყენ მამაო, მაგრამ საქართველოს სამშობლოს უხმობ და მასზე, როგორც საკუთარ მამულზე, ისე საუბრობ. აკი, ასურეთიდან მოხვედით უცხო ტომის ათთორმეტი მამანი?!

— შვილო ჩემო, რატომ უცხო ტომისანი? ჩვენც ქართველთა თვისტომნი ვართ სისხლით და სულით ხორცამდე სხვათა მიწაზე ღვთის სადიდებლად და მისი სიბრძნის შესაცნობად ბავშვობიდან გადახვეწილნი და როცა უფალმა მოგვიწოდა, კვლავ მშობლიურ მიწა-წყალს და ხალხს დავუბრუნდით უფლის მცნების საქადაგოდ ღვთისგან მადლით და სიბრძნით აღვსილნი.

მამა დავითი წუთით ფიქრებში ჩაიძირა, ალბათ, შორეულ წარსულს თუ გაედევნა. მერე კვლავ აწმყოს დაუბრუნდა. სენაკის კედლებს თვალი ერთხელ კიდევ სევდით მოავლო და მომიბრუნდა:

— ამაღამ აქ მოისვენე.

— შენ მამაო?

— მე უნდა წავიდე. ბერთუბანში ვარ მისასვლელი, დოდოს რქას და იოანე ნათლისმცემლის ლავრასაც უნდა დავხედო. წესად მაქვს: ვერ მოვისვენებ, ეს სიწმინდეები ყოველ ღამეს რომ არ მოვინახულო, მით უფრო ახლა, როცა უცხოთა ხელშია. ათასი ვინმე ეპოტინება ჩვენს სიწმინდეებს, მიწას, ნაშრომ-ნაღვაწს. თუ დღედაღამ არ ვუპატრონეთ, უცხონი წარგვტაცებენ იმასაც, რაც, ღვთის წყალობით, ჯერ კიდევ შემოგვრჩა.

— ღმერთი შეგეწიოს მამაო! მეც წამიყვანე, დიდად თუ არა, მცირედით მაინც შეგეშველები, ხმის გამცემი მაინც გეყოლება, — ვთხოვე.

— არა, შვილო, შენ შენს სამწყემსარს უპატრონე, მე ჩემს სამწყსოს მივხედავ და უფალი ჩვენი, დიდება სახელს მისას, ყველას ერთად დაგვიფარავს და დაგვიცავს ჩვენთა მტერთაგან. .. ჩემზე ნუ ფიქრობ, მე მარტო არა ვარ...

— ვინ არის შენთან?! — ვკითხე გაკვირვებულმა და დაბნეულმა ირგვლივ მიმოვიხედე.

— ვინ არის და ღმერთი მაღალი, დაილოცოს მისი სახელი და დიდება! — პირჯვრის წერით მომიგო, — მართლმორწმუნეებს იგი ერთი წუთითაც არ ტოვებს მარტო. ღვთისმშობელიც დღედაღამ თავს დასტრიალებს თავის წილხვედრ ქვეყანას, დღემდე მისი მადლითა და წყალობით ვდგავართ ფეხზე ჩვენც აქ, ამ უდაბნოში. მისი შეწევნით უძლებენ ეს ეკლესია-მონასტრებიც დრო-ჟამისა და ათასი უკეთურის შემოტევას.

— ღმერთო მაღალო, ღვთისშობელო, დედაო ღვთისაო, კვლავაც ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას და მფარველობას, დაგვიცავი ბოროტისა და ჩვენთა მტერთაგან! — სასოებით წამოვიძახე, თვალი ზეცისკენ აღვაპყრე და პირჯვარი გადავისახე. ღვთის ვედრებას რომ მოვრჩი, იქაურობას თვალი მოვავლე. აღარსად ჩანდა ბერი. ვერ დავინახე, როდის გაუჩინარდა.

მივიხედ-მოვიხედე. ისევ იმ ადგილას ვიდექი, სადაც დაღლილ-გზააბნეულს შემომაღამდა. ცხადად ვხედავდი, ჩემგან არც ისე შორს თაფლის სანთლები ციმციმებდნენ დავით გარეჯის მონასტრის სენაკებში და სიბნელეს უჩინარი ადამიანის ფეხის ხმა ურღვევდა მყუდროებას.

უკუნმორღვეულ აღმოსავლეთს რძისფერი ერეოდა და განთიადის ციაგი ისადგურებდა ქვაში ნაკვეთ სენაკებში. სინათლის ხილვამ გულში იმედი ჩამისახა. სიბნელეს თავდაღწეული გზასაც ადვილად გავიგნებდი და წყალსაც მივაკვლევდი, თან იმის სურვილი მკლავდა, გამერკვია: სინამდვილე იყო, რაც ასე ცხადად ვიხილე ბნელ ღამეში, თუ ყველაფერი მომეჩვენა, თუმცა, ვიცით კი, რა არის სინამდვილე და რა — მოჩვენება?!

ალბათ, მთავარი მაინც ის არის, უფალი რა სახით მოგვცემს ნიშანს გულისხმაში ჩვენს ჩასაგდებად... გულში კი გამუდმებით ხმიანობდა წმინდა ბერის ღვთაებრივი შეგონება: „შენ შენს სამწყემსარს უპატრონე, მე ჩემს სამწყსოს მივხედავ და უფალი ჩვენი, დიდება სახელს მისას, ყველას ერთად დაგვიფარავს და დაგვიცავს ჩვენთა მტერთგან“.

მჯეროდა, რომ ყველაფერი უთუოდ ასე იქნებოდა!

ვასო ბოლდაშვილი

* * *

ერთაწმინდაში,
ვიყავ თამადა,
ცას ღვინისფერი,
წვავდა ხანძარი...
ფრესკასა წერდა,
სიტყვას ხატავდა,
თვით მაცხოვარი,
რწმენის ტაძარი...

მინას მდუმარე,
სხივი დააკვდა
და გაირინდა
ცივი ზამთარი...
ქარი გმინავდა — შვილო პაატა!..
და პასუხობდა ხევი —
— აქ არი!..

* * *

უძირო ღამის,
სევდიან თვალებს,
ლოკავდა მთვარე,
ვით ქუჩის ძაღლი...
ვიმეორებდი უნაზეს სახელს,
გესიტყვებოდი ოცნებით დაღლილს...

ჩუმი შრიალი გაჰქონდა ალვებს,
მოწყენით იდგა პატარა სახლი...
ჩრდილით გამოთლილ პატარა სახეს,
ვეღარ ათბობდა ღიმილის კვალი...

* * *

კიდევ იწვიმებს,
მონატრება,
კიდევ იწვიმებს
და განქარდება
ცრემლიანი,
ჩუმი სიტყვები...
ზეცას ჩამოხევს,
იისფერი,
ღრუბლის სიმძიმე
და შენ,
სიყვარულს დედამიწავ,
გვიან მიხვდები...

* * *

წაგებული თამაშის,
გარჩევაა სიბერე...
ალბათ ამ ცხოვრებაში,
უმთავრესი ბედია...

სიყვარულით ბოლომდე,
თუკი გული იჯერე...
სინანულით წარსული,
დღენი გენატრებიან...

* * *

მტკვარი ახლოა,
მინდა მტკვარში თავი დავიხრჩო...
ტიციან ტაბიძე

გრილ შუაღამეს,
მდუმარების სევდა აცვია...
სისხლს მწოვს,
ვერაგი გამეტებით შავი მახინჯი,
ვარსკვლავებს შორის,
უმადური ფიქრნი დაძრწიან...
გული მარტოა,
მობრეცილი მიმზერს მარკიზი...
ო, ტალღებს შუა,
მოლივლივე თვალთა სარკეა...
ახლა რა დროა,
მინდა თასი ცრემლით ავივსო,
მაგრამ თვით სიკვდილს,
უღმერთონი აღარ მაცდიან...

* * *

არ დამამადლოთ ჭიქა არაყი,
მიდი,
ლოთებო ერთიც დამისხით...
ლექსად იღვრება ზვირთი არაგვის,
დარდს წაიღებს და აღარ დაიცდის...

ტკბილ მოგონების,
ვერცხლის ვარაყი,
თბილ ჟრუანტელად ხორხში ჩაივლის...
მწარე სიცოცხლის იგავ-არაკი,
დაჭკნება, როგორც ჭკნება ყვავილი...

დიაცო,
მზერა გრძნობის მპარავი,
სად გადამალე,
გაქრა ნადილი?..
თავშესაფარი და სამალავი,
რა უსუსურად არი დაცლილი...

* * *

სიზმრად ყვავილთა ზღვაში ვცურავდი,
ზეციდან თითქოს მირონი წვეთდა...
ვით კაკაბაძის ქმნილი სურათი,
სარკმელთან იჯდა დაღლილი დედა...

სურნელს აფრქვევდა წითელი ვარდი,
საყვავილეთი ოთახში ედგა...
ო, რადიოში ჟღერდა მოცარტი,
და შორს მიჰქონდა დარდი და სევდა...

* * *

სატრფოს სუნი აქვს ჰაერს,
ცად გაზაფხული მღერის...
შენს ლამაზ სახელს დავწერ,
ათრთოლებული ხელით...

ვერ შემოგბედავ სათქმელს,
მთელი გრძნობით რომ ელი...

* * *

— ჭიქა ხუთ თეთრად! —
— კანკალებს ხელი...
მტვრიან ქუჩაში,
გმინავს მოხუცი...
მზიან ამინდში,
ზის ჩრდილი ბნელი
და ხალხმრავალი
ბრუნავს გლობუსი...

— ჭიქა ხუთ თეთრად! —
— ჩიფჩიფებს ქალი
და მზესუმზირით
სავსეა ფუთა...
ზის შაოსანი,
ოდნავ ფერმკრთალი
და საწყალობლად
ჩხრიალებს ხურდა...

* * *

დღეა ქარიანი,
გზას მიღობავს სუსხი...
ჭადრის ბრალი არი,
ტოტთა ბათქი-ბუთქი...
წელი ნაკიანი,
გახეთქილი ტუჩით...
ცა სქელკანიანი,
ჯიუტი და ურჩი...

გადარევენ ღრუბლებს,
მზეს ხატავენ ფუნჯით...
მოითბობენ ხელებს,
მეტყველი და მუნჯი...

დღეა ქარიანი,
გმინავს გული შუშის,
სახლი ბანიანი,
ხეს სიბრაზეს უშლის...

* * *

ჭეშმარიტება — ცამდე მართალი
ღიმილიან ვარდს ცრემლად ჰკიდია...
ცას მზე განაგებს მთვარსარდალი,
ო, სილურჯეში რა სიმშვიდეა...

ლალისფერ ფურცელს,
ეხვევა სითბო...
და უნატიფეს სურნელს ყიდიან...
დედამიწა კი მზის ალერსს ითხოვს,
ცას ეს სამყარო დაუწინდია...

* * *

ჩრდილივით დავდივარ,
არავის ვახსოვარ...
ძმობის ხელს რომ მიწვდი,
ო, მაინც მარტო ვარ...

მზეო მე დარდი ვარ
და ღამე ვანთივარ...
შენ რომ ამოდიხარ,
მე მაშინ ჩავდივარ...

დენი დიდერო

მონაზონი

ამ ამბის პირველი სტრიქონების შექმნა ბატონ მარკიზ დე კრუამარის პასუხზე იქნებოდა დამოკიდებული, თუკი, რა თქმა უნდა, ინებებდა და მიპასუხებდა, მაგრამ, სანამ წერილს მივწერდი, მისი გაცნობა მოვიწადინე: მაღალი წრის კაცია; სახელი სამსახურებრივ სარბიელზე გაითქვა; უკვე ასაკშია შესული, ჰყავდა ცოლი, ახლა ჰყავს ქალიშვილი და ორი ვაჟი, რომლებიც დიდი სინაზით უყვარს და ისინიც ნაზი სიყვარულით პასუხობენ. მოდგმით წარჩინებული გვარის შვილია, განათლებული, ჭკვიანი, მხიარული და სიცოცხლის მოყვარული; იტაცებს ხელოვნება, განსაკუთრებით კი — კლასიკური. მოხიბლული დავრჩი მისი ჩვილი გულით, ღირსებითა და უზადო პატიოსნებით. ჩემს საქმეზე მისმა თავგამოდებამ და იმანაც, რასაც მასზე მიამბობდნენ, მაფიქრებინა, კარგი ვქენი, სწორედ მას რომ მივმართე და თავი საფრთხეში არ ჩავიგდე-მეთქი. თუმცა იმ აზრს კი ვერ შევგუებივარ, რომ ჩემი ხვედრის შეცვლა ისე მოინდომა, არც კი იცოდა, ვინ ვიყავი. სწორედ ამან მაიძულა ყველაფერი დამეძლია, თავმოყვარეობაც, ზიზღიც და ამ მემუარების წერა დამეწყო, რომლებშიც ყოველგვარი ნიჭისა და გამოცდილების გარეშე, ჩემი ასაკის გოგოს მიამიტობითა და ჩვეული გულწრფელობით მოგითხრობთ ზოგ რამეს იმ უბედურებაზე, მე რომ დამატყდა თავს. იქნებ, ჩემმა მფარველმა ოდესმე მოითხოვოს ამ ჩანაწერების დასრულებული სახით ხილვაც, ანდა, იქნებ, მე თვითონ დამებადოს ამგვარი სურვილი... თანაც, ბევრი რამ, რაც ადრე მოხდა, მეხსიერებიდანაც მიქრება, მაგრამ ვფიქრობ, ის ღრმა შთაბეჭდილებები, რომელიც გონებაში სამუდამოდ ჩამრჩა და, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება, დამეხმარება, რათა მთელი ჩემი სვედავსილი ცხოვრება სრულად აღვადგინო.

მამაჩემი ადვოკატი გახლდათ. როცა დედაჩემზე იქორწინა ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა. სამი ქალიშვილი შეეძინათ. იმდენი არაფერი ებადათ, რომ სამივე შვილის ცხოვრება კარგად მოეწყოთ, მაგრამ ჩვენს შორის ალერსის თანაბრად განაწილება მაინც ხომ შეეძლოთ? ვერ გეტყვით მათი ქების სურვილი გამაჩნდეს, ან უნარი. გონებითა და სილამაზით, სათნოებითა და ნიჭით ჩემს დებს დიახაც, რომ ვჯობდი, მაგრამ ეტყობა, ჩემს დედ-მამას ეს მაინცდამაინც არ ახარებდათ. ბუნებითა და სიბეჯითით ნაბოძები უპირატესობა ჩემი უბედურების მიზეზი გახდა; აქაოდა მეც ვუყვარდე ვინმეს, მომეფეროს, გამათამამოს და მცირე ცოდვა მაინც მაპატიოს-მეთქი, პატარაობიდანვე იმის ოცნებაში ვიყავი, ჩემს დებს დავმსგავსებოდი. თუკი მოხდებოდა და დედაჩემს ვინმე ეტყოდა, „რა მშვენიერი ბავშვები გყავთო", თითქოს ეს სიტყვები მე სულაც არ მეხებოდა. ზოგჯერ დედაჩემის უსამართლობაზე შურსაც ვიძიებდი ხოლმე, მაგრამ ქება, მე რომ მხვდებოდა წილად, ისე ძვირად მიჯდებოდა, გულცივობა და თვით ლანძღვაც კი მერჩია. რაც უფრო კეთილად მომეპყრობოდა ვინმე უცხო, მისი წასვლის მერე ათასჯერ მეტი წყენა მხვდებოდა. ოო, რამდენს ვტიროდი, მინდოდა მახინჯი, სულელი, ყეყეჩი, ამპარტავანი ვყოფილიყავი. ერთი სიტყვით, ყველა ნაკლი მქონოდა, რაც ჩემს დებს და რითაც მშობლების სიყვარულს იმსახურებდნენ. სულ იმის ფიქრი მაწამებდა, დედაჩემი და მამაჩემი, სხვათა მიმართ პატიოსანნი, სამართლიანნი და ღვთისმოსავნი, ასე რად მექცევიან-მეთქი. გამოგიტყდეთ, ბატონო? ერთი-ორი გადაკრული სიტყვა, მამაჩემს გაბრაზების ჟამს რომ წამოსცდენია, — გაბრაზება კი, იცოცხლეთ, მაგარი იცოდა, — მეზობლების ნაყბედი, მსახურთა ნალაქლაქარი, — ერთად აღებული და თავმოყრილი, იმ ჭეშმარიტ მიზეზს მაძებნინებდა, ცოტათი მაინც რომ გაამართლებდა ჩემი მშობლების საქციელს. იქნებ, მამაჩემი ჩე-

მი დაბადების გამო რაღაცას ეჭვობდა? იქნებ, დედაჩემს ჩადენილ ცოდვას და იმ მამაკაცის უმადურობას ვახსენებდი, რომელსაც ზედმეტად მიენდო; რა ვიცი, აბა? თუ ეს ეჭვი მარტო ეჭვია, თქმითაც არაფერი დაშავდება, მაგრამ მაინც გთხოვთ, ეს ნაწერი დაწვათ, მე კი გპირდებით, თქვენს პასუხსაც ასევე მოვექცევი.

დები ქვეყნიერებას ერთიმეორის მიყოლებით მოვევლინეთ და სამივენი ერთდროულადვე დავქალდით. გამოგვიჩნდნენ შესაფერი მეწყვილენიც. ჩემს უფროს დას ერთი მომხიბლავი ყმაწვილი ეარშიყებოდა, მაგრამ მალე შევატყვე, არც ჩემდამი იყო გულგრილი. მივხვდი, ჩემი და საბაბი იყო, გულში კი სხვა რამე ედო. წარმოვიდგინე, ამ ამბავს რამდენი უბედურება უნდა მოეტანა და დედაჩემი გავაფრთხილე. ალბათ, ეს იყო ერთადერთი რამ მთელს ჩემს ცხოვრებაში, რითაც დედაჩემს სიამოვნება მივანიჭე. და აი, რა მადლიერი დამრჩა; ოთხი თუ ხუთი დღის შემდეგ გამომიცხადეს, მონასტერში მოგინახეთ ადგილიო და მეორე დღეს წამიყვანეს კიდეც. სახლში ისეთ დღეში ვიყავი, რომ ამან ოდნავადაც არ შემაწუხა. წმინდა მარიამის მონასტერში, ჩემს პირველ მონასტერში, დიდი ხალისით გავემგზავრე. ამის მერე ჩემი დის შეყვარებულმაც დამივიწყა და მისი ქმარიც გახდა; ბატონი კ... ჰქვია, ნოტარიუსია, კორბეიში ცხოვრობს და უნდა გითხრათ, საკმაოდ უსიამოვნო ცოლ-ქმრობა აქვთ. მეორე და ცოლად გაჰყვა ვინმე ბატონ ბოშონს, აბრეშუმის ქსოვილებით მოვაჭრეს პარიზში, კენკამპუას ქუჩაზე, და გვარიანადაც ცხოვრობენ.

ჰო, ჩემი დები დასახლდნენ და ვიფიქრე, ახლა ჩემზედაც იფიქრებენ, ბოლოს და ბოლოს გამომიყვანენ მონასტრიდან-მეთქი. მაშინ მეჩვიდმეტე წელში ვიყავი. რაკი ჩემი დები კარგად გაამზითვეს, მეც ამისი იმედი მქონდა და თავში ძალზე მაცდუნებელი აზრები მომდიოდა. ერთი დღეც არი და, მონასტრის მისაღებ ოთახში გამომიძახეს. იქ მამა სერაფიმი, დედაჩემის სულიერი მოძღვარი მელოდებოდა; ის ჩემი მოძღვარიც იყო და, ცხადია, არც გაუჭირდებოდა მოსვლის მიზეზის ახსნა: მე მონაზვნის კაბა უნდა ჩამეცვა და აქვე დავრჩენილიყავი. ეს მითხრეს და მაშინვე წამოვიყვირე, არავითარ სიამოვნებას არა მგვრის სასულიერო წოდება-მეთქი. „მით უარესი, — მითხრა მამა სერაფიმმა — თქვენი დების გათხოვებამ მშობლები ისე გააღატაკა, რომ მათი საცოდავი მდგომარეობიდან სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ, მეეჭვება, ქონების რაიმე წილი გერგოთ. დაფიქრდით მადმუაზელ ან სამუდამოდ აქ უნდა დარჩეთ, ანდა რომელიმე პროვინციულ მონასტერში წახვიდეთ, სადაც საკმაოდ მოკრძალებული თანხით მიგიღებენ და საიდანაც წამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ მშობლების სიკვდილის შემდეგ შეგეძლებათ. სიკვდილი კი, ალბათ, კარგა დიდხანს არ ეწვევათ მათ...". თავში ცემა დავიწყე და ბევრი ცრემლიც დავღვარე. მონასტრის წინამძღვარი უკვე გაფრთხილებული იყო და მისაღები ოთახის კართან მელოდა. ისე საშინლად ვიყავი დაბნეული, რომ შემკრთალმა მკითხა: „რა მოგვიდათ, შვილო ჩემო? (კარგად იცოდა, რაც მომივიდა), სახე სულ შეგშლიათ! ასეთი სასოწარკვეთილება ჯერ არ მინახავს. პირდაპირ მაშინებთ! ბატონი ან ქალბატონი ხომ არ მიიცვალა?" მკლავებში ჩავუვარდი და ცოტას დარჩა, არ ვუთხარი: „ოჰ! ნეტავ ასე ყოფილიყო!..". მაგრამ თავი დროზე შევიკავე და წამოვიყვირე: „არც მამა მყავს და არც დედა! უბედური ვარ, ყველას ვეზიზღები, აქ ჩემი ცოცხლად დამარხვა უნდათ". მან ტირილი მაცალა. როცა დავმშვიდდი, უფრო დალაგებით ავუხსენი, რაც მაცნობეს. ეტყობოდა, მართლა ვეცოდებოდი. შემიბრალა და თანაც მომიწონა გადაწყვეტილება, რომ არ აღვკვეცილიყავი მონაზვნად, რომლისკენაც მცირედი მიდრეკილებაც არა მქონდა; დამპირდა, ჩემს მაგივრად ეთხოვა, ვიღაცები დაერწმუნებინა, ვიღაცასთან ეშუამდგომლა. ო! მონყალეო ბატონო, ვერც კი წარმოიდგენთ, რა ვერაგები არიან მონასტრის წინამძღვარნი! მართლაც, შეადგინა წერილები, მაჩვენა პასუხებიც, რომელთა შინაარსიც წინასწარ მშვენივრად მოეხსენებოდა. კარგა ხნის მერეღა დამებადა ეჭვი მის ალალმართლობაში. ამასობაში დადგა ის დღეც, რომელიც გადაწყვეტილების გამოსატანად დამინიშნეს, და ისიც ვითომდა შეწუხებული გამომეცხადა, რათა ყოველივე ეუწყებინა. ჯერ ჩუმად იდგა, მერე ვითომ თანაგრძნობის გამოსახატავად რამდენიმე სიტყვა ამოღერღა, რამაც სხვა დანარჩენსაც მიმახვედრა. სასოწარკვეთილების კიდევ ერთი სცენა გათამაშდა; ჩემს უიმედობას მეტად აღარ აღგიწერთ. გრძნობათა დაოკების ცოდნა მონაზვნის დიდი ხელოვნებაა. მერე ტირილით მითხრა, (და მართლაც, მე მჯერა, რომ იგი ნამდვილად ტიროდა); "შვილო ჩემო, თქვენ მიგვატოვებთ! ერთმანეთს მეტად ვეღარ ვნახავთ!...". დანარჩენი სიტყვები აღარც გამიგია. სკამზე დავეშვი გაქვავებული, ხმის ამოუღებლად ვიჯექი. მერე ვტიროდი. ხან წამოვხტებოდი და კედელს ვეხუტებოდი, ხანაც მის მკერდზე ვთრთოდი მწუხარებით, მაგრამ მერე მოხდა, რაც მოხდა. მან მითხრა: "ერთი საქმეც უნდა მოაგვაროთ. ოღონდ არავისთან დაგცდეთ, რომ მე გირჩიეთ. თქვენი მტკიცე მდუმარების იმედი მაქვს; არ მინდა მერე ვინმემ მისაყვედუროს. რას ელიან და რა სურთ თქვენგან? რომ თქვენ მორჩილი გახდეთ! მაგრამ რატომაც არ უნდა გახდეთ? და რას გავალებთ ეს თქვენ? არაფერს, გარდა იმისა, რომ ორი წელიც დაჰყოთ ჩვენთან. არავინ იცის, ვის როდის უწერია სიკვდილი, ვინ როდემდე იცოცხლებს. ორი წელი არც ისე ცოტაა და შეიძლება ბევრი რამ მოხდეს...". ამ მზაკვრულ სიტყვებს იმდენი ალერსი ჩააქსოვა, იმგვარი მეგობრული თანაგრძნობა გამოხატა, იმდენი ცრუ სინაზე შემაპარა, რომ შეგონებას დავემორჩილე: რაც აქამდე იყო, ვი-

ცოდი, მაგრამ არ ვიცოდი მომავალი რას მიქადდა. მან მამაჩემს ისე მშვენივრად შეთხზული წერილი მისწერა, რომ კაცი უკეთესს ვერც დაწერდა. გარწმუნებთ, ჩემზე უფრო გამჭრიახ გოგონას შეაცდენდა. არ დაუფარავს არც ჩემი მწუხარება, არც ჩემი ტკივილი, მაგრამ წერილის ბოლოში ლაპარაკი მაინც ჩემს თანხმობაზე იყო... და რა ხელად მომზადდა ყველაფერი! ჩემი აღკვეცის დღის დანიშვნა, მონაზვნის სამოსელის შეკერვა, ცერემონიალის საათის დადგომა; ახლა ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთს საეჭვოდ სწრაფად მიჰყვა.

ჰო, სულ დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა: ვნახე მამაჩემი და დედაჩემი, რა არ გავაკეთე მათი გულის მოსაგებად, მაგრამ ისინი შეუბრალებელნი აღმოჩნდნენ. ვინმე აბატმა ბლენმა, სორბონის დოქტორმა მომამზადა, ხოლო ეპისკოპოსმა ალეპიელმა წესი ამიგო. ეს ცერემონიალი, თავისთავად, არ მიეკუთვნება მხიარულ ცერემონიალთა რიცხვს, იმ დღეს კი განსაკუთრებით პირქუში იყო. თუმცა ირგვლივ შემოჯარული მონაზვნები ჩემს გამხნევებას ცდილობდნენ, მუხლები მაინც თავისთავად მეკეცებოდა და საკურთხევლის საფეხურებზე, ალბათ, ოცჯერ მაინც ჩავიკეცე. არც არაფერი მესმოდა, ვერც ვერაფერს ვხედავდი. გაოგნებული ვიყავი. ვიღაცას სადღაც მივყავდი. მეც მივდიოდი. რაღაცას მეკითხებოდნენ, ჩემს მაგივრად კი ვიღაცა პასუხობდა. ბოლოს ეს საშინელი რიტუალი დასრულდა, ყველამ ხელი გამიშვა და მრევლის შუაში აღმოვჩნდი. მონაზვნები გარს შემომერტყნენ, მეხვეოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: "შეხედეთ, დებო, რა მშვენიერია! ეს შავი რიდე როგორ უმკვეთრებს კანის სითეთრეს! როგორ უხდება ეს საბურველი! როგორ უმრგვალებს ღაწვებს! როგორ უჩრდილავს ლოყებს! რა ლამაზი უჩანს ამ ტანსაცმელში ტანი და მკლავები!..". გულზე სევდა მაწვა და ძლივს ჩამესმოდა მათი ხმა. მიუხედავად ამისა, გულახდილად გეტყვით: როცა ჩემს სენაკში მარტო დავრჩი და მონაზონთა პირმოთნე სიტყვები გავიხსენე, თავი ვეღარ შევიკავე, პატარა სარკეში ამ სიტყვების სიმართლე შევამოწმე და დავრწმუნდი არ ტყუოდნენ. იმ დღეს განსაკუთრებული პატივი მიაგეს და ჩემი გულისთვის უფრო საზეიმო გახადეს, მაგრამ ყურადღება არაფრისთვის მიმიქცევია. ირგვლივ მყოფნი თვალთმაქცობდნენ და იმასაც კი ცდილობდნენ თვითონ დავერწმუნებინე, რომ მეც აღფრთოვანებული ვიყავი, ვითომდა ვერ ამჩნევდნენ ჩემს გულგრილობას. მწუხრის ლოცვის შემდეგ, ჩემს სენაკში წინამძღვარი შემოვიდა. "მართალი გითხრათ, — მითხრა ცოტა ხნის თვალიერების შემდეგ, — არ ვიცი, რატომ გაქვთ ამხელა ზიზღი ამ სამოსელისადმი, ძალზე გიხდებათ და მშვენიერიც ჩანხართ. დაო სიუზანა, მომხიბლავი მონაზონი ხართ, ამიტომ მეტადაც შეგიყვარებენ. აბა, ცოტა გაიარეთ, ერთი კარგად შემოგხედოთ. წელში გაიმართეთ, რას იკაკვებით...". და მაჩვენა, როგორ დამეჭირა თავი, ფეხები, ხელები, ტანი, მკლავები, მოკლედ მარსელის[1] ნამდვილი გაკვეთილი ჩამიტარა მონაზვნის დახვეწილ მანერებზე. მოგეხსენებათ, ყველა წრეს თავისი კეკლუცი მანერები აქვს. მერე დაჯდა და მითხრა: "გვეყოფა ახლა, და ცოტა ჭკვიანურად ვილაპარაკოთ. ორი ნელი ხელთა გაქვთ. თქვენმა მშობლებმა შეიძლება შეიცვალონ გადაწყვეტილება, ანდა იქნებ თვითონაც მოინდომოთ აქ დარჩენა, როცა წაყვანას დაგიპირებენ. არაფერია შეუძლებელი". "ქალბატონო, ამაზე არც იფიქროთ". "კარგა დიდხანს იყავით ჩვენთან, მაგრამ აქაურ ცხოვრებას მაინც არ იცნობთ. მასში, თქმა არ უნდა, მწუხარებაც დიდია, მაგრამ არც სიტკბოებასაა მოკლებული...". თქვენ, ალბათ, მშვენივრად წარმოიდგენთ, ბატონო, რომ ამის მერე ილაპარაკა მონასტერზე და საერო ცხოვრებაზე. ამის შესახებ რა აღარ დაწერილა და ყველგან ერთი და იგივე... უფლის წყალობით, მეც წამიკითხავს უამრავი აბდაუბდა, სადაც ბერები აქებენ თავიანთ ყოფას, რომელსაც კარგად იცნობენ და ჭირის დღესავით სძულთ, და უპატივცემულოდ ახსენებენ საერო ცხოვრებას, რომელიც უყვართ, მაგრამ არ იცნობენ.

დაწვრილებით აღარ აღგიწერთ ჩემი მორჩილობის ამბავს. მისი ყველა წესის დაცვას ვერავინ გაუძლებს. მაგრამ ეს დრო, მაინც, ყველაზე სასიამოვნოა ბერ-მონაზვნურ ცხოვრებაში. მორჩილთა დამრიგებელი მუდამ უფრო შემწყნარებელია, ვიდრე დანარჩენი მონაზვნები. მისი მიზანია დაფაროს მონაზვნობის ყველა უსიამოვნო მხარე. ეს არის ცდუნების ყველაზე უფრო დახვეწილი და ფაქიზი ხელოვნება. იგი უფრო ამუქებს გარშემო ჩამომდგარ წყვდიადს, ნანას გიმღერით, გაძინებთ, გაცდუნებთ და გაჯადოებთ. ჩვენი დამრიგებელი ჩემზე რაღაცა განსაკუთრებულად ზრუნავდა. არა მგონია, ვინმე სულიერი, თანაც ჩემსავით ახალგაზრდა და გამოუცდელი წინ აღდგომოდა მის დამღუპველ ხელოვნებას. სამყაროს თავისი უფსკრულები აქვს, მაგრამ ვერ წარმომედგინა, რომ მათკენ ასე ადვილად გასავლელი კლდეღრეებით მიდიოდნენ. ორჯერ ზედიზედ რომ დამეცემინებინა, მაშინვე მათავისუფლებდნენ წირვიდან, სამუშაოდან, ლოცვიდან. სხვებზე ადრე ვწვებოდი და სხვებზე გვიან ვდგებოდი. მონასტრის ტიბიკონი ჩემთვის თითქოს არც არსებობდა. წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო, ისეთი დღეებიც კი იყო, როცა ვოცნებობდი, იმ წუთზე, უფალს რომ შევწირავდი თავს. არ მომხდარა ქვეყანაზე საშინელი ამბავი, ჩემთვის რომ არ მოეყოლათ. მართალს მიმალავდნენ, ჭორებს თხზავდნენ, მერე ამას მოჰყვებოდა დაუსრულებელი დიდება ღვთისა, რომელიც ამ მიწიერი სიბილწისგან გვიცავდა. ამასობაში ის

---

1. იმ დროს ცეკვის განთქმული მასწავლებელი

დროც მოახლოვდა, რომლის მოსვლასაც ოცნებაში ხანდახან ვაჩქარებდი, მაგრამ ვიგრძენი, მონაზვნობისადმი ზიზღი კვლავ გამეღვიძა და გაღვივდა. გადავწყვიტე, წინამძღვარს გამოვტყდომოდი, ანდა მორჩილთა წინამდგომს. ეს ქალები სასტიკი შურისმაძიებელნი ხდებიან იმ უსიამოვნებათა გამო, რაც ჩვენგან ხვდებათ. არ იფიქროთ, ძალზე სიამოვნებდათ პირმოთნეთა როლის შესრულება და ის სისულელეები, მოვალეობის გამო რომ დაუსრულებლად უნდა გვიმეორონ. ბოლოს და ბოლოს, ისე იღლებიან, რომ ყველაფერი მოსაწყენი ხდება, მაგრამ ამ საქმეს მაინც არ ეშვებიან იმ რაღაცა ათასი ეკიუს გულისთვის, მონასტერი ჩვენგან რომ ილებს. ეს არის მთავარი, რის გამოც ისინი მთელი ცხოვრება ტყუიან — უმანკო გოგოებს ორმოცი, ორმოცდაათი წლის სასოწარკვეთილებას და შეიძლება მარადიულ უბედურებასაც უმზადებენ, რადგანაც ეჭვი არ არის, ბატონო ჩემო, რომ ასი მონაზონი ორმოცდაათ წელზე ადრე კვდება, ზუსტად ასი თავის სულს ღუპავს, სხვები, ცოცხლად დარჩენილნი, ყეყეჩდებიან, ჭკუა აკლდებათ ანდა სიკვდილის მოლოდინში სულაც გიჟდებიან.

ერთ დღეს, ერთი ამგვარი შეშლილი გაიქცა იმ სენაკიდან, რომელშიც ჩამწყვდეული ჰყავდათ. მე ის დავინახე. ეს გახდა დასაწყისი ჩემი ბედნიერებისა თუ უბედურებისა, იმ გარემოების მიხედვით, მოწყალეო ბატონო, თქვენ რას დამიპირებთ. ამაზე უფრო დიდი საზიზღრობა არასოდეს მინახავს. გაწეწილი იყო, თითქმის შიშველს, უკან რკინის ჯაჭვი მისთრევდა. თვალები არეოდა, თმებს იგლეჯდა, მკერდში მუშტებს ირტყამდა, დარბოდა, ღმუოდა, საშინლად სწყევლიდა თავის თავსაც და სხვებსაც, ფანჯარას ეძებდა გადასახტომად. შიშმა შემიპყრო და თავით ფეხამდე კანკალმა ამიტანა. იმ უბედურის ბედში ჩემი ბედის უბედურება შევიცანი და მაშინვე ჩემს გულში გადაწყვეტილებაც მომწიფდა, რომ სჯობდა ათასჯერ მოვმკვდარიყავი, ვიდრე მეც ასე დამმართნოდა. ესენი მიხვდნენ რა გავლენაც შეეძლო ამ ამბავს ჩემზე მოეხდინა და მოინდომეს ყველა ეჭვი გაეფანტათ. რა სასაცილო სიცრუე აღარ შეთხზეს, თანაც იმგვარი, რომ ერთი გამორიცხავდა მეორეს: თითქოსდა მონასტერში შესვლამდე ის ქალი გიჟი იყო; რომ ერთხელ, როცა კრიტიკული ასაკი დაუდგა, ძალიან შეაშინეს და მას მერე რაღაც მოჩვენებები დაეწყო, წარმოიდგინა, რომ ანგელოზებთან ჰქონდა საქმე დაჭერილი; რომ ბევრი მავნე წიგნი წაიკითხა, რამაც გონება აუმღვრია; რომ ზედმეტად უსმინა მეტისმეტად მკაცრი მორალის მქადაგებლებს, რამაც იმდენად დააშინა ღმერთის სამსჯავროთი, რომ ისედაც არეული ტვინი სულ აერია და მარტო ეშმაკებს, ჯოჯოხეთს და ცეცხლის უფსკრულებსღა ხედავდა; რომ ყველა მონაზონი მის გამო ძალზე უბედურია, რადგან ამგვარი გაუგონარი ამბავი მონასტერში ჯერ არ მომხდარა; და კიდევ რაღას არ მიამბობდნენ. ამ ცრუსაუბრებით მაინც ვერაფერი გააწყეს. წუთი არ იყო, ის საბრალო გიჟი მონაზონი არ გამხსენებოდა და კვლავ ფიცივით არ გამემეორებინა, რომ არ მიმეღო არავითარი აღთქმა.

და, აი, დადგა დროც, როცა უნდა დამემტკიცებინა, რომ სიტყვის ქალი ვიყავი. ერთხელ, უთენია, ცისკრის ლოცვის შემდეგ, წინამძღვარი სენაკში მეწვია, ხელში წერილი ეჭირა. სახეზე მწუხარება და მჭმუნვარება აღბეჭდოდა. ხელები ისე უღონოდ ჩამოეშვა, თითქოს წერილი ამძიმებდა. ისე შემომყურებდა, იტყოდით, ცრემლები სადაცაა წამოსცვივაო. დუმდა, მეც ვდუმდი. უნდოდა ჯერ მე დამეწყო ლაპარაკი. თავის დაოკება ძლივს მოვახერხე, მაგრამ ლაპარაკი მაინც არ დავიწყე. ბოლოს მკითხა, თავს როგორა გრძნობო, დღეს წირვა ძალიან ხომ არ გაგრძელდაო, ხომ არ ახველებო, სახე ავადმყოფს მიგიგავსო და ვინ იცის, კიდევ რა არა. მე ყველაფერზე ერთნაირად ვპასუხობდი: "არა, ძვირფასო დედაო". კითხვებს რომ მისვამდა წერილი მუხლებზე დაიდო და ოდნავ ხელი დააფარა. ბოლოს რამდენიმე სიტყვა ჩემს მშობლებზე შეატრიალ-შემოატრიალა და რაკი საბოლოოდ მიხვდა, რომ არ ვაპირებდი მეკითხა რა ქაღალდი მიიღეთ-მეთქი, თვითონვე მითხრა: „ — აი წერილი...".

ეს სიტყვები ითქვა და ვიგრძენი, გული როგორ შემიკრთა, ტუჩები ამიკანკალდა და ცახცახით ვიკითხე: „ — დედაჩემისაა?

— გამოიცანით; გამომართვით და წაიკითხეთ".

ცოტა სული მოვითქვი და წერილი გამოვართვი, ჯერ გულმაგრად დავიწყე კითხვა, მაგრამ მერე, ყოველი ხაზის წაკითხვის შემდეგ, შიში, აღშფოთება, მრისხანება, წყენა და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი გრძნობა ენაცვლებოდა ჩემს სულში ერთმანეთს. მეცვლებოდა ხმა, სახე, მოძრაობა. ხან ძლივს მეჭირა ქაღალდი, ხან ისე მძვინვარედ ვჭმუჭნიდი, თითქოს დახევა ან სადმე გადასროლა მინდოდა.

„— რა ვუპასუხოთ, შვილო ჩემო?

— თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ქალბატონო.

— არ ვიცი. მდგომარეობა მეტად მძიმეა, თქვენი ოჯახი ძალზე დაზარალდა; დებს საქმეები აეწეწათ; ერთიც და მეორეც წვრილშვილიანები არიან; ქალიშვილების გათხოვებით თქვენმა მშობლებმა ყველა საშუალება ამოწურეს, ახლა, მათ გამო კოტრდებიან კიდეც, რადგან მშობლებისგან ერთთავად დახმარებას ითხოვენ. თქვენი კარგად დაბინავება თქვენს დედ-მამას აღარ შეუძლია. მორჩილი რომ გახდით, ამითაც კარგად იზარალეს, რადგან დიდი ხარჯები გასწიეს. მაგრამ იმედიც მიეცათ, ხმაც გავრცელდა მონაზვნად თქვენი მომავალი აღ-

კვეცის შესახებ. მოკლედ, კვლავაც ჩემი დახმარების იმედი გქონდეთ. ნაძალადევად ჯერ მონაზვნად არავინ აღმიკვეცია, აქეთკენ მხოლოდ თვით მამაღმერთი მოგვიწოდებს და არავის ძალუძს მის სურვილში ჩარევა. მე თქვენს გულს ძალით ვერ მოვუხმობ, თუკი უფლის მადლი მას არაფერს ეუბნება; სხვათა ცოდვა დღემდე არ დამიდვია. და განა ძალმიძს, რომ თქვენით დავიწყო, შვილო ჩემო? თქვენით, ჩემთვის ესოდენ ძვირფასით? მე არ დამვიწყებია, პირველი ნაბიჯები ჩემი შეგონებით რომ გადადგით; და ამის ბოროტად გამოყენების ნებას არავის მივცემ, რათა საკუთარი სურვილის გარეშე, იძულებით თავს რამე მოგახვიონ. მოდით, ერთად მოვიფიქროთ და ერთად შევთანხმდეთ. გინდათ მონაზვნის აღთქმა დადოთ?

— არა, ქალბატონო.

— არავითარ ლტოლვას არ გრძნობთ სასულიერო წოდებისადმი?

— არა, ქალბატონო.

— მშობლების სურვილს არ ემორჩილებით?

— არა, ქალბატონო.

— მაშ, რა გინდათ, რომ გამოხვიდეთ?

— ყველაფერი, მონაზვნის გარდა. მე არ მინდა მონაზვნობა და არც არასოდეს ვიქნები.

— კეთილი და პატიოსანი! თქვენ არ გახდებით მონაზონი. მოდით, მოვიფიქროთ, რა მივწეროთ დედათქვენს...".

ამაზე ზოგი რამ მოვიფიქრეთ. მან შეადგინა და წამიკითხა წერილი, რომელიც ჩვეულებრივ ძალზე კარგი მომეჩვენა. მერე სასწრაფოდ გამომიგზავნეს მონასტრის მოძღვარი; მოვიდა სწავლული ღვთისმეტყველიც, იგივე, რომელმაც მორჩილად კურთხევამდე გზა დამილოცა; მომიჩინეს საუკეთესო დამრიგებელი დედები; ვნახე ეპისკოპოსი ალეპიელი; გრძელი საუბრები მქონდა ღვთისმოსავ ქალებთან, რომლებიც ჩემს საქმეში ბეჯითად ერეოდნენ, მე კი მათ ოდნავადაც არ ვიცნობდი; დაუსრულებელ საუბრებს მიმართავდნენ ბერები და მღვდლები; ჩამოვიდა მამაჩემი, დებმა წერილი გამომიგზავნეს, ბოლოს კი დედაჩემი გამომეცხადა: ყველაფერს გავუძელი! და მაინც ჩემი მონაზვნად აღკვეცის დღე დაინიშნა; რა არა ქნეს, რომ ჩემი თანხმობა მიეღოთ, მაგრამ, როგორც კი დარწმუნდნენ ვეღარაფერს გავხდებითო, გადაწყვიტეს საქმე თანხმობის გარეშე მოემთავრებინათ.

იმ წუთიდან ჩემს სენაკში ჩამკეტეს და დუმილი მაიძულეს; მთელს სამყაროს დამაშორეს და ჩემი თავის ამარაღა დამტოვეს. მივხვდი, ჩემს სურვილს აღარაფრად აგდებდნენ. მე დამორჩილებას არ ვაპირებდი, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი; ვერც ერთმა საშინელებამ, ნამდვილმა თუ მოჩვენებითმა, რაც კი მათ დამატეხეს, ვერ შეძლო ჩემი შეშინება. გასაცოდავებული ვიყავი; არ ვიცოდი, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, ან ოდესმე დასრულდებოდა თუ არა. არც ის ვიცოდი, მერე რა მელოდა, ეს საშინელებები როცა შეწყდებოდა. ამ ყოფაში ერთი გადაწყვეტილება მივიღე, რომელიც, თქვენ როგორც გნებავთ, ისე განსაჯეთ, მოწყალეო ბატონო. კაციშვილს აღარ შევხვედრივარ, არც წინამძღვარს, არც მორჩილთა წინამდგომს, არც მორჩილთ; თავი მოვიკატუნე და ვითხოვე, წინამძღვარს შეატყობინეთ, მზადა ვარ მშობლების სურვილი აღვასრულო-მეთქი. სინამდვილეში კი სხვა რამ მსურდა: ბოლო მომეღო ჩემი დევნისთვის და საქვეყნოდ გამოვსულიყავი იმ ძალადობის წინააღმდეგ, სურვილის გარეშე თავს რომ მახვევდნენ. აკი გითხარით, ჩემს ბედ-იღბალს ისინი განაგებდნენ და შეეძლოთ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც თავად მოისურვებდნენ — მე გავხდებოდი მონაზონი, რადგანაც მათ ასე სურდათ. სასიხარულო ამბავი მთელს მონასტერში გავრცელდა, კვლავ გავხდი ტყვე პირმოთნე ალერსისა და მაცდური დაპირებებისა. თურმე "უფლის ხმამ შთამაგონა და არავინ ჩემზე მეტად არ არის მოწოდებული სრულქმნილებისთვის. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ამგვარად უნდა მომხდარიყო და ყველა ამას ელოდა. შენს მოვალეობას ასე სამაგალითოდ და ასე მტკიცედ ვერ აღასრულებ თუ საამისოდ არა ხარ მოწოდებული. მორჩილთა წინამდგომს აქამდე არც ერთ აღსაზრდელში არ დაუნახავს მონაზვნობის ამგვარი ჭეშმარიტი მოწოდება; თავად კი მუდამ გაოცებული იყო ჩემი უჯიათობით, მაგრამ წინამძღვარს ყოველთვის ეუბნებოდა თურმე, რომ სიმტკიცის გამოჩენაღა მართებდათ, რათა ყველაფერს გაევლო, რადგანაც სამაგალითო მონაზვნებსაც ჰქონიათ ისეთი წუთები, ეშმაკეულის გავლენას რომ განიცდიან; ბოროტი სული კი თავის ძალებს აორმაგებს, როცა ხედავს, საკუთარი ნადავლი ხელიდან ეცლება; ახლა სატანისგან თავი გავითავისუფლე და ამიერიდან მხოლოდ ია-ვარდებით ფენილი გზა მელოდება, ვინაიდან მონაზვნის ცხოვრებისა და მოვალეობის გადატანა მით უფრო გამიადვილდება, რაც უფრო მეტად გავაზვიადებ სიძნელეს; ამ უღელის უეცარი სიმძიმე უფლის წყალობა იყო, რომელმაც ეს საშუალება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გამოიყენა, რომ ჩემთვის მონაზვნის ცხოვრება შეემსებუქებინა...". მე კი ძალზე უცნაურად მეჩვენებოდა, რომ ერთი და იგივე საქმე ღმერთის ხელიდანაც გამოდიოდა და ეშმაკიდანაც, იმის და მიხედვით, თუ მონაზვნები რომელი მხრიდან შეხედავდნენ ამბავს. რელიგიაში ხშირად გვხვდება ამგვარი რამ; მანუგეშებდნენ და ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ჩემი საქციელი ეშმაკისაგან იყო შთაგონებული, სხვები კი, იმავე საქციელში უფლის შთაგონებას ხედავდნენ. ერთი და იგივე ბოროტება მოდის ან ღმერთისგან, რომელსაც ჩვენი გამოცდა მოსურვებია,

ანდა ეშმაკისაგან, რომელიც გვაცდუნებს.

მე კი ფრთხილად ვიქცეოდი და მჯეროდა, საკუთარ თავს თვითონვე მივხედავდი. ვნახე მამაჩემი; ცივად მელაპარაკა, ვნახე დედაჩემი — მაკოცა; დებისგან მოსალოცი წერილები მივიღე და კიდევ ბევრი სხვისი წერილებიც მოვიდა. ცნობილი გახდა, რომ ამ დღეს გზას დამილოცავდა სორნენი; ხოლო ბატონი ტიერი, წმინდა როხის ეკლესიის ვიკარიუსი და უნივერსიტეტის კანცლერი, აღთქმას მიიღებდა. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის წინა დღემდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, ოღონდ ერთი გარემოების გამოკლებით: გავიგე, რიტუალი საიდუმლოდ აღსრულდებოდა, რომ ცოტა ხალხს მოიწვევდნენ და ეკლესიის კარები მხოლოდ ნათესავებისთვის იქნებოდა ღია. მონასტრის მეკარის დახმარებით მოვიწვიე ჩემი მეგობრები, ვინც კი ახლომახლო ცხოვრობდა. უფლება მომცეს ბარათები გამეგზავნა ზოგიერთი ჩემი ნაცნობისთვისაც. და ამ ხალხმა, რომელთაც არავინ ელოდა, ეკლესიაში მოიყარა თავი. რაღას იზამდნენ, შემოუშვეს და მრევლი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად მჭირდებოდა. ო, მოწყალეო ბატონო! რა ღამე გავატარე წინადღეს! არც კი დავწოლილვარ. საწოლზე ვიჯექი და უფალს შველას შევთხოვდი; ცისკენ ხელაპყრობილი, ვევედრებოდი იმ ძალადობის მოწმედ დამდგომოდა, ჩემს წინააღმდეგ რომ უნდა გამოეჩინათ. ჩემი თავი საკურთხეველის ძირთან გართხმულ პატარა გოგოდ წარმომედგინა, რომელიც მედგრად აღუდგებოდა იმას, რის აღსრულებაზეც ვითომდა თვითონ დავთანხმდი; ცხადად ვხედავდი დამსწრეთა აღშფოთებას, მონაზონთა სასოწარკვეთილებას, ჩემი მშობლების მრისხანებას. "ოო, უფალო! რა მხვდებოდა წილად?..". ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე უღონობამ მძლია და უგრძნობლად დავეცი; მუხლები მიცახცახებდა, კბილს კბილზე ხმაურით ვაცემინებდი. მერე საშინელი სიცხე მომცა; გონება დამიბნელდა. არ მახსოვს, როგორ გავიხადე, როგორ გამოვედი ჩემი სენაკიდან; წინამძღვრის სენაკის კართან მიპოვეს გართხმული პერანგის ამარა, თურმე გაქვავებული ვიყავი და სიცოცხლის ნიშან-წყალიც არ მეტყობოდა. რაც ახლა ვთქვი, მერეღა გავიგე. დილით კი ჩემს სენაკში გამომეღვიძა, საწოლთან წინამძღვარი, მორჩილთა წინამდგომი და ე.წ. დამხმარეები მედგნენ. ძალა სულ გამოცლილი მქონდა; ორიოდე კითხვით ხელად მიხვდნენ, რომ წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, რაც ღამით მოხდა და მეტი აღარაფერი თქვეს. მკითხეს, თავს როგორა გრძნობო, სიმტკიცეს იჩენ თუ არა წმინდა გადაწყვეტილების აღსასრულებლადო, შეგწევს თუ არა ძალა ამ დღის მღელვარების გადასატანადო. მე ვუპასუხე: დიახ-მეთქი; და მათი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ცერემონია არ გადადებულა.

წინადღესვე გაამზადეს ყველაფერი. ზარებს ჩამოჰკრეს და ყველას ეუწყა ახლა ამ ქვეყანას კიდევ ერთი უბედური მოევლინებაო. გული ისევ გადამიქანდა. ჩემს ჩასაცმელად მოვიდნენ; ეს დღე, ჩემი შემოსვის დრო იყო; ახლა, როცა მთელ იმ ცერემონიალს ვიხსენებ, მგონია, რომ მასში იყო რაღაც საზეიმო და გულისშემძვრელი, ისეთი უმანკო გოგოსთვის, რომელსაც სასულიეროს გარდა სხვა მოწოდება არ გააჩნია. წამიყვანეს ეკლესიაში. ჩაატარეს საზეიმო წირვა; კეთილმა ვიკარიუსმა, რომელსაც ეგონა ბედს შეურიგდაო, გზის დამლოცავი გრძელი ქადაგება წარმოსთქვა, სადაც ერთი სიტყვაც არ ერია იმგვარი, ჭეშმარიტების საწინააღმდეგო რომ არ ყოფილიყო. მართლაც რომ სასაცილო იყო, როცა ჩემს ბედნიერებაზე, მადლიერებაზე, გულადობაზე, გულმოდგინებაზე, მწუხარებაზე და სხვა მრავალ კეთილ გრძნობაზე ლაპარაკობდა, რომელიც ჩემი წილხვმდომი ეგონა. ის მაქებდა, მე კი სულ სხვა რამის ჩადენას ვაპირებდი და ამან ცოტა დამაბნია, ყოყმანი დავიწყე, მაგრამ მერყეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და თავი უფრო გავიმხნევე, როცა მივხდი, რომ კარგი მონაზვნისთვის საჭირო თვისებები აშკარად არ გამაჩნდა. ბოლოს ის საშინელი წუთიც დადგა, როცა იმ ადგილას უნდა შევმდგარიყავი, საიდანაც აღთქმას წარმოსთქვამენ ხოლმე, მუხლები მომეკვეთა; ორმა მოწესემ ხელი შემაშველა; თავი ერთ-ერთის მხარზე ჩამომივარდა, ფეხებს ძლივსღა მივათრევდი. არ ვიცი, დამსწრეთა სულში რა ხდებოდა, მაგრამ ისინი ხედავდნენ სრულიად ნორჩ მსხვერპლს, რომელსაც საკურთხევლისკენ მიათრევდნენ და ჩემსკენ ყოველი მხრიდან ოხვრისა და ქვითინის ხმა მოდიოდა, რომელთა შორისაც, მტკიცედ ვარ დარწმუნებული, დედაჩემისა და მამაჩემის წილად ერთი ჩქამიც არ მოდიოდა. ყველანი ფეხზე იდგნენ; ზოგი გოგოსკამზეც შემდგარიყო და მოაჯირისთვის ჩაევლო ხელი; სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა, როცა ჩემი აღკვეცის ცერემონიალის წარმმართველმა წარმოთქვა:

„— მარია-სიუზანა სიმონენ, გვპირდებით, რომ იტყვით სიმართლეს?

— გპირდებით.

— თქვენის კეთილის ნებითა და სურვილით იმყოფებით აქ?"

მე ვუპასუხე, "არა"; მაგრამ ჩემმა თანმხლებმა მონაზონმა ჩემს მაგივრად თქვა, "დიახ".

„— მარია-სიუზანა სიმონენ, აღუთქვამთ თუ არა უფალსა ჩვენსა უმანკოებას, სიღარიბეს და მორჩილებას?"

ერთი წუთით შევყოყმანდი; მოძღვარი მელოდებოდა და ვუპასუხე:

„— არა, ბატონო".

მან გაიმეორა:

„— მარია-სიუზანა სიმონენ, აღუთქვამთ თუ

არა უფალსა ჩვენსა უმანკოებას, სიღარიბეს და მორჩილებას?"

მე მტკიცე ხმით გავიმეორე:

„ — არა, ბატონო, არა".

იგი შეჩერდა და მითხრა:

„— გონს მოდით, შვილო ჩემო და კარგად მისმინეთ.

— თქვენო მაღალუწმინდესობავ, — ვუპასუხე მე, — მეკითხებით ალვუთქვამ თუ არა უფალსა ჩვენსა უმანკოებას, სიღარიბეს და მორჩილებას; კარგად გავიგე და გიპასუხეთ კიდეც, — არა...".

მერე მრევლს მივუბრუნდი, საკმაოდ ხმამაღალმა ჩურჩულმა რომ გადაუარა, გაჩუმდით, ლაპარაკი მინდა-მეთქი, ვანიშნე; ჩურჩული შეწყდა და ვთქვი:

„ — ბატონებო, განსაკუთრებით კი თქვენ, მამაჩემო და დედაჩემო, ყველას მოგიწოდებთ, იყოთ მოწმენი...". — ამ სიტყვებზე ერთმა მონაზონმა ფარდა ჩამოუშვა და მივხვდი, ლაპარაკის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მონაზვნები შემომეხვივნენ, რა არ მითხრეს. მე ყველაფერს უსიტყვოდ ვისმენდი. ბოლოს, ჩემს სენაკში წამიყვანეს და კარი მაგრად ჩამიკეტეს.

მარტო დარჩენილი ფიქრებმა წამიღო. სულის დამშვიდება დავიწყე; მერე ჩემი საქციელი ავწონ-დავწონე და არაფერზე მინანია. მეგონა, რაც ჩავიდინე, იმის მერე აქ დიდხანს აღარ გამაჩერებდნენ და ალბათ ვერც იმას გაბედავდნენ, სხვა მონასტერში გადავეყვანე. მეც არ ვიცოდი, რა მელოდა. მაგრამ ჩემი ფიქრით, იმაზე დიდი უბედურება რაღა უნდა ყოფილიყო, რომ ჩემი ნების გარეშე მონაზონი გავმხდარიყავი. კარგა ხანს ვიყავი მარტოდმარტო გამოკეტილი. კაციშვილი არ დამლაპარაკებია და არც არავის გავხსენებივარ. საჭმლის მომტანი ქალები ხმის ამოუღებლად შემოდიოდნენ, ჩემს ულუფას იატაკზე დგამდნენ და ჩუმადვე გადიოდნენ. თვის ბოლოს საერო ტანსაცმელი შემომიტანეს და მონაზვნის კაბა გავიხადე. მერე მონასტრის წინამძღვარი შემოვიდა და მიბრძანა, გამომყეო. წავედით. ალაყაფის კარამდე მიმაცილა. ჭიშკართან ეტლი იდგა, რომელშიც დედაჩემი მელოდებოდა. დედა მარტო იყო. მე წინა სკამზე დავჯექი და ეტლიც დაიძრა. ერთხანობა უსიტყვოდ ვისხედით ერთმანეთის პირისპირ; თავდახრილი ვიყავი და შეხედვას ვერ ვუბედავდი. თვითონაც არ ვიცი, რა მოხდა ჩემს სულში, უცბად დედაჩემის ფერხთით დავემხე და თავი მუხლებზე დავადე. სულშეხუთული უსიტყვოდ ავტირდი. დედამ უხეშად მკრა ხელი და უდიერად მომიშორა. ეგრევე, მუხლმოყრილი დავრჩი. ცხვირიდან სისხლი წამსკდა. დედას ხელი მაინც გამოვსტაცე, სისხლნარევი ცრემლით დავუსველე და ლუღლუღით დავუკოცნე: "მაინც ჩემი დედა ხართ, მაინც თქვენი ქალიშვილი ვარ...". მან კი მიპასუხა (უდიერად მომიშორა და ხელი გამომგლიჯა): "ადექით, თქვე უბედურო, ადექით". მეც დავემორჩილე, ჩემს ადგილზე დავჯექი და სახეზე თავსაბური ჩამოვიფარე. დედის ხმაში ისეთი ძალა და სიმტკიცე ყღერდა, რომ სადმე მომინდა დავმალოდი მის გამოხედვას. ცხვირიდან ჩამოსული სისხლი და ცრემლი ერთმანეთში ირეოდა, მკლავებზე ჩამომდიოდა ისე, რომ თავადაც ვერ გავიგე, სულ მთლად მოვითხვარე. დედაჩემის სიტყვებიდან მივხვდი, რომ კაბა და თეთრეული დავუსვარე და ამის გამოც ბრაზობდა. სახლთან მოვედით; მაშინვე წინასწარ გამზადებულ ერთი ბეწო ოთახში შემიყვანეს. კიბეზე რომ ავდიოდი, დედაჩემს კვლავ ფეხებში ჩავუვარდი, ტანსაცმელზე ჩავებღაუჭე. ის კი მხოლოდ შემობრუნდა ჩემსკენ და დამაცქერდა. ეს იყო ერთადერთი, რასაც მასთან მივაღწიე. ჩემსკენ მოშტერებული მისი სახე, პირი, თვალები ისეთ აღშფოთებას გამოხატავდა, რომ მისი გადმოცემა ჩემს ძალას აღემატება; თუმცა თქვენც კარგად შეგიძლიათ ყველაფერი წარმოიდგინოთ.

ჩემს ახალ საპყრობილეში შევედი, სადაც მერე ექვსი თვე გავატარე. ყოველდღე ამაოდ ვიხვენებოდი მოწყალება მოეღო დედაჩემს და დამლაპარაკებოდა, შევხვედროდი მამაჩემს, ანდა ბარათი მაინც მიმეწერა მათთვის. მოჰქონდათ საჭმელი, მილაგებდნენ ოთახს, სადღესასწაულო წირვებზე მსახურის თანხლებით მივდიოდი, მერე კი ისევ ოთახში მამწყვდევდნენ. ვკითხულობდი, ვქარგავდი, ვტიროდი, ხანდახან ვმღეროდი და ასე გადიოდა დღეები. ერთადერთი იდუმალი ფიქრი მამხნევებდა მხოლოდ: თავისუფალი ვიყავი და ჩემი ბედი, როგორი მძიმეც უნდა ყოფილიყო ამჟამად, შეიძლებოდა ოდესმე მაინც შეცვლილიყო. მაგრამ თურმე გადაწყვეტილი იყო, რომ მხოლოდ და მხოლოდ მონაზონი უნდა გავმხდარიყავი და ბოლოს გავხდი კიდეც.

დედ-მამის ამგვარმა უგულობამ და გაუგებარმა საქციელმა, საბოლოოდ განმიმტკიცა ეჭვი ჩემი დაბადების თაობაზე; სხვა მიზეზი, რაც მათ ოდნავ მაინც გაამართლებდა, ვერა და ვერ ვიპოვე. ეტყობა, დედაჩემს ეშინოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქონების გაყოფაზე არ დამეწყო ლაპარაკი და უკანონო ქალიშვილს, კანონიერი შვილის წილი არ მოეთხოვა. ის, რაც ეჭვად მქონდა, მერე თანდათანობით რწმენად გადამექცა.

შინაპატიმრობამისჯილი საეკლესიო წესებს ცუდად ვიცავდი, მაგრამ, დიდი დღესასწაულების კვირაძალზე, აღსარების სათქმელად მაინც მგზავნიდნენ. ადრეც გითხარით, მე და დედაჩემს ერთი სულიერი მოძღვარი გვყავდა. ველაპარაკე იმ მოძღვარს, დავუხატე მთელი უბედურება, რაც ამ სამ წელიწადში დამატყდა; მან კი უკვე ყველაფერი იცოდა. განსაკუთრებული სიმწარითა და გაბოროტებით ვუჩიოდი

დედაჩემს. ჩვენი მღვდელი დიდი ხანი არ იყო, რაც ღვთის მსახური გახდა და ჯერ კიდევ შემორჩენოდა ადამიანობა. მან მშვიდად მომისმინა და მითხრა:

„— შეიბრალეთ დედათქვენი, შვილო ჩემო, შეიბრალეთ უფრო მეტად, ვიდრე გმობთ. მისი სული კეთილია. გარწმუნებთ, ის ამგვარად თავისი სურვილით არ იქცევა, მას სხვანაირად მოქცევა არ შეუძლია.

— თავისი სურვილით არ იქცევაო? მაგრამ ვინ აიძულებს, მამაო! განა ამქვეყნად მან არ მომავლინა? ჩემსა და ჩემს დებს შორის, განა რამე განსხვავებაა?

— დიდი.

— დიდი! თქვენი პასუხისა არაფერი გამეგება!..".

მერე ჩემი და ჩემი დების შედარება დავიწყე. მღვდელმა გამაწყვეტინა და მითხრა:

„— გეყოფათ, გეყოფათ, თქვენს მშობლებს უგულობას ვერ დავწამებთ. ეცადეთ, მოთმინებით აიტანოთ თქვენი ხვედრი. ეს მოგიპოვებთ, თუნდაც, უფლის მოწყალებას. ვნახავ დედათქვენს და, დამერწმუნეთ, მთელს ჩემს გავლენას გამოვიყენებ, რომ დაგეხმაროთ...".

"დიდი"! მოძღვარმა მითხრა, და ეს სიტყვა ჩემთვის სინათლის სხივი გახდა; ახლა გული აღარაფერზე მეთანაღრებოდა. რასაც ჩემი დაბადების შესახებ ვფიქრობდი, მართალი იყო.

მომდევნო შაბათს, მწუხრისას, ასე საღამოს ექვსის ნახევარი იქნებოდა, ჩემზე მოჩენილი მსახური გოგო ამოვიდა და მითხრა: "ქალბატონი დედათქვენი გიბრძანებთ ჩაცმას...". ერთი საათის შემდეგ კი: "ქალბატონს სურს, რომ გამომყვეთ...". სახლის კართან კარეტა გველოდებოდა, რომელშიც მე და მსახური გოგო ჩავსხედით; გავიგე, ფელიანის მონასტერში მივდიოდით მამა სერაფიმთან: იგი უკვე გველოდებოდა. მამა სერაფიმი მარტო დამხვდა. მსახური გოგო გარეთ დარჩა, მე კი მისაღებ ოთახში შევედი. დავჯექი და გულგადალეული ველოდი, რას მეტყოდა. და აი, რა მითხრა:

„— მადმუაზელ, ახლავე აგიხსნით იმ გამოცანას, რის გამოც თქვენი მშობლები ასე მკაცრად გეპყრობიან. დედათქვენისგან საამისო უფლება მივიღე. ვიცი, წინდახედული ბრძანდებით, გონიერი, ხასიათიც მტკიცე გაქვთ და უკვე იმ ასაკში ხართ, როცა შეიძლება ის საიდუმლოც გაგანდონ, რომელსაც თქვენთან შეიძლება პირდაპირ კავშირი არცა ჰქონდეს. რა ხანია, შევაგონებდი დედათქვენს გაემხილა ის, რასაც თქვენ ამ წუთში გაიგებთ, მაგრამ მან ვერა და ვერ გაბედა. ადვილი როდია დედისთვის, გამოუტყდეს შვილს მძიმე ცოდვაში. თქვენ იცნობთ მას და იცით მისი ხასიათი. მისთვის ადვილი არ არის შეეგუოს ზოგიერთ დამამცირებელ აღიარებას. იგი იმედოვნებდა, ამის გარეშეც შესძლებდა იმგვარად წარემართა თქვენი ბედი, როგორც სურდა, მაგრამ შეცდა. ამიტომაც ძალზე გაჯავრებულია. დღეს გადაწყვიტა დაუჯეროს ჩემს რჩევას და დამავალა გაუწყოთ, რომ თქვენ ბატონ სიმონენის შვილი არა ბრძანდებით".

ერთბაშად ვუპასუხე: „— ამას დიდი ხანია ვეჭვობდი.

— ახლა, მადმუაზელ, თვითვე განსაჯეთ და აწონ-დაწონეთ, შეუძლია კი დედათქვენს, მამათქვენის თანხმობის გარეშე, ან თუნდაც თანხმობითაც, გაგათანასწოროთ კანონიერ შვილებთან, იმ დროს, როცა მათი და სულაც არა ხართ. განა შეუძლია გამოუტყდეს საკუთარ ცოდვაში მამათქვენს, რომელსაც უიმისოდაც საკმაო ეჭვი აწუხებს?

— მაგრამ, მამაო, ვინ არის მამაჩემი?

— ეს ჩემთვის არ გაუნდვიათ, მადმუაზელ. მხოლოდ ერთია ნათელი, — დაუმატა მან, — რომ თქვენს დებს დიდი უპირატესობა მისცეს, ვიდრე თქვენ, და მიღებულია ყველა შესაძლო ზომა — საქორწინო კონტრაქტები, ქონების დამალვა და სხვა, — რათა არაფრამდე დაიყვანონ კანონით თქვენი კუთვნილი მემკვიდრეობა, თუკი ოდესმე მიმართავთ სასამართლოს. ასე რომ, მშობლების დაკარგვის შემდეგ ძალზე ცოტა რამეს თუ მიიღებთ. მონასტერში შესვლაზე კი უარს ამბობთ, მაგრამ შეიძლება დადგეს დღე, როცა ინანებთ, რატომ მონასტერში არა ვარო.

— ეს არასოდეს მოხდება, ბატონო ჩემო, არაფერს მოვითხოვ.

— თქვენ არ იცით, რა არის გაჭირვება, გაწამაწია, სიღარიბე.

— სამაგიეროდ, თავისუფლების ფასი ვიცი და მონაზვნური ცხოვრების სიმძიმე, როცა ამგვარი ცხოვრება არაფრად გიღირს.

— ყველაფერი გითხარით, რაც უნდა მეთქვა. ახლა, მადმუაზელ თქვენი ვალია კარგად დაფიქრდეთ ამაზე...".

იგი ადგა:

„— ერთი კითხვაც, მამაო.

— რამდენიც გნებავთ.

— იციან ჩემმა დებმა, რაც მე მაუწყეთ?

— არა, მადმუაზელ.

— მაშ, როგორ შეძლეს საკუთარი დის გაძარცვა? ისინი ხომ თავიანთ დად მთვლიან?

— აჰ! მადმუაზელ, სარგებელი! სარგებელი! უამისოდ ხომ ასეთ მომგებიან რამეს ვერ ეღირსებოდნენ, ამ ქვეყანაზე ყველა საკუთარ თავზე ფიქრობს; და გირჩევთ, თუ მშობლებს დაკარგავთ, მათი იმედი არა გქონდეთ. დარწმუნებული იყავით, რომ ისინი უკანასკნელ გროშზეც კი შეგეცილებიან და იმ უმცირესი წილის გაყოფასაც მოგთხოვენ, რაც გერგებათ. მათ ბლომად ჰყავთ შვილები. ესეც საკმარისია, რომ მათხოვრობამდე მიგიყვანონ. და თანაც მათი

ხელიდან საქმე არ გამოვა; ყველაფერს ქმრები უკეთებენ. თქვენს დებს თქვენი სიბრალულიც რომ ჰქონდეთ და ქმრებისგან ფარულად დახმარება გაგიწიონ, ეს მაშინვე ოჯახური უთანხმოების საბაბი გახდება. მე ბევრი შემთხვევა ვიცი, როცა მიტოვებულ ბავშვებს, თვით კანონიერ ბავშვებსაც კი, ოჯახური სიმშვიდის ხარჯზე ეხმარებიან. და თანაც, მადმუაზელ, ამგვარი გზით მიღებული პური მწარეა. დამიჯერეთ, შეურიგდით მშობლებს და ის გააკეთეთ, რასაც დედათქვენი თქვენგან ელოდება. აღიკვეცეთ მონაზვნად. დაგენიშნებათ ცოტა გროშები და სიცოცხლის ბოლომდე იკმარებთ. შეიძლება ამ გროშებმა მთლიანად ვერ უზრუნველყოს თქვენი ცხოვრება, მაგრამ არსებობის საშუალებას მოგცემთ. ამასთან, არ დაგიმალავთ და დედათქვენის უყურადღებობა, მისი ახირებული სურვილი მონასტერში თქვენი ჩაკეტვისა, და კიდევ ზოგიერთი სხვა რამე, რომლებიც უკვე კარგად აღარც მახსოვს და თავის დროზე ვიცოდი, მამათქვენზეც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორსაც თქვენზე. თუ ადრე თქვენი დაბადების შესახებ ეჭვიანობდა, რაც მაშინ საიდუმლოებით იყო მოცული, ახლა აღარ ეჭვიანობს. მამათქვენს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ქალიშვილი ხართ, ოღონდ იმდენად, რამდენადაც კანონი თვლის თქვენს მამად დედათქვენის კანონიერ მეუღლეს. კეთილი და გონიერი ბრძანდებით, მადმუაზელ, დაუფიქრდით ყოველივეს, რაც ახლა შეიტყვეთ".

ნამოვდექი და ტირილი დავიწყე. შევატყვე, მამა სერაფიმს გული მოულბა. მან ნელა აღაპყრო თვალები ცისკენ და გამომაცილა. მსახურს მოვუხმე. ჩავჯექით ეტლში და შინ დავბრუნდით.

უკვე გვიანი იყო. იმ ღამეს და მეორე დღესაც იმ საიდუმლოზე ვფიქრობდი, რომელიც გამიმხილეს. ჰო, მამა არ მყავდა! სინდისის ქენჯნამ დედაც წამართვა. უკვე მიულიათ სიფრთხილის ყველა წინასწარი ზომა, რათა კანონიერი შვილის პრეტენზია არა მქონოდა. მელოდა მკაცრი შინატყვეობა. არავითარი იმედი, არავითარი გამოსავალი. ადრევე რომ ეთქვათ ყველაფერი, ვიდრე დები გათხოვდებოდნენ და სახლშიც დავეტოვებინე, სადაც ნაცნობები ჯერ ისევ დადიოდნენ, იქნებ მოძებნილიყო ვინმე, ვისაც ჩემი ხასიათი, ჭკუა, გარეგნობა და შესაძლებლობა საკმარის მზითვად ჩაეთვალა. ასეთი რამ შეიძლება ახლაც მომხდარიყო, მაგრამ საქმეს ჩემი სამონასტრო წარსული ართულებდა. ძნელად წარმოსადგენია, რომ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგონა ჩემნაირ უკიდურესობაში ჩავარდეს. მამაკაცებს ძალიან მოსწონთ ჩემნაირი ხასიათის ქალები, მაგრამ ასე მგონია, სიამოვნებით შეელევიან ხოლმე ამგვარ ხასიათს იმათში, ვისი ცოლად შერთვაც სურთ. და მაინც, ეს ერთადერთი გამოსავალი იყო და უნდა მეცადა, ვიდრე სხვა რამეს მოვიფიქრებდი. გადავწყვიტე დედაჩემს მოვლაპარაკებოდი და შევუთვალე შემხვედროდა, რაზეც თანხმობა მივიღე.

ეს მოხდა ზამთარში. დედა ბუხრის წინ, სავარძელში იჯდა; მკაცრი სახე ჰქონდა, უმოძრაო გამოხედვა და გაქვავებული ნაკვთები. მივუახლოვდი, ფეხებში ჩავუვარდი და ვთხოვე დანაშაული მოეტევებინა.

„— გაპატიებთ, — მიპასუხა მან, — თუკი დავინახავ, რომ პატიებას იმსახურებთ. ადექით; მამათქვენი სახლში არ არის. და საკმაო დრო გაქვთ სალაპარაკოდ. თქვენ მამა სერაფიმთან იყავით და ბოლოს და ბოლოს გაიგეთ კიდეც, ვინცა ხართ და რასაც უნდა ელოდეთ ჩემგან. იმედი მაქვს, არ აპირებთ მთელი სიცოცხლე დამსაჯოთ ერთადერთი ცოდვის გამო, რომელიც მგონი საკმაოდ მოვინანიე. მეტი რაღა გნებავთ ჩემგან, მადმუაზელ? რა გადაწყვიტეთ?

— დედილო, ვიცი რომ უქონელი ვარ და, ისიც ვიცი, არაფრის იმედი არ უნდა მქონდეს. მე სულაც არ მსურს თქვენი გატანჯვა. იქნებ უკეთესი გამოსავალიც მოგენახათ საჩემოდ, თუკი ადრევე გამიმხელდით ზოგიერთ რამეს, რისი მიხვედრაც ჩემთვის შეუძლებელი იყო. ახლა უკვე ვიცი ვინცა ვარ და ისღა დამრჩენია ისე მოვიქცე, როგორც ჩემი მდგომარეობის ადამიანს მოეთხოვება. უკვე აღარ მაოცებს ჩემსა და ჩემს დებს შორის თქვენი დამოკიდებულების სხვაობა. მე ამაში სამართლიანობას ვხედავ და ვემორჩილები, მაგრამ მაინც ხომ თქვენი შვილი ვარ, მუცლით მატარეთ, რაც, ალბათ, ძალიანაც რომ ეცადოთ, არ დაგავიწყდებათ.

— უბედურო ჩემო თავო, ღმერთმა დამსაჯოს, — ერთბაშად წარმოსთქვა მან, — თუ შვილად არ მიმაჩნდეთ, ოღონდ კი ჩემს ნებაზე იყოს.

— დედიკო, ნუ დაივიწყებთ გულკეთილობას, ნება მომეცით, კვლავ თქვენთან ვიყო. დამიბრუნეთ იმ კაცის სიყვარული, ვინც თავის თავს ჩემს მამად თვლის.

— ცოტაც და, — თქვა მან, — იმასაც ისევე აეხილება თვალი, როგორც მე და თქვენ. როცა ის ჩემის თანდაწრებით მკაცრად გსაყვედურობთ, და ეს ხშირადაც ხდება, ეს საყვედურები ჩემს გასაგონად ითქმება. ნაზი, მოსიყვარულე მამის იმედი ნუ გექნებათ. თანაც, გითხრათ მთელი სიმართლე? მუდამ მახსენებთ მზაკვრულ ღალატს, უმადურობას ერთი ადამიანისა, რომლის გახსენებაც ჩემთვის აუტანელია. ჩემსა და თქვენს შორის მუდამ ის კაცი დგას. მე მძულს იგი და ეს სიძულვილი თქვენზეც ვრცელდება.

— როგორ! — წამოვიძახე მე, — ნუთუ იმისი იმედიც არ უნდა მქონდეს, რომ თქვენ და ბატონი სიმონენი, თუნდაც ისე მომექცევით, როგორც უცხო გოგონას, რომელიც თქვენივე გულკეთილობის წყალობით შეივრდომეთ?

— არც მე და არც მას ეს არ შეგვიძლია. ჩემო გოგონი, გეყოფათ, ნუღარ მიწამლავთ ცხოვრებას. დები რომ არ გყავდეთ, ვიცი, როგორც მოვიქცეოდი, მაგრამ ორი და გყავთ და თანაც ერთიც და მეორეც წვრილშვილიანია. ვნებათაღელვა დიდი ხანია დაცხრა და სინდისმა კვლავ თავისი უფლებები მოიპოვა.

— მაშინ ის, ვისგანაც სიცოცხლესა ვარ დავალებული?...

— ის აღარ არსებობს. მოკვდა. ისე მოკვდა, არც კი გახსენებიხართ და ეს ყველაზე მცირე დანაშაულია სხვა დანარჩენთან შედარებით...".

ამის თქმაზე სახე შეეშალა, თვალები ავად აუელვარდა, ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ერთი სიტყვაც ვეღარ თქვა. ტუჩები უკანკალებდა და ხმას უხშობდა. იჯდა, სახე ხელებით დაიფარა, რათა ჩემთვის დაემალა ის გრძნობა, მასში რომ იფეთქა. ერთხანობა ასე იჯდა, მერე ადგა და მდუმარედ გაიარ-გამოიარა ოთახში. ბოლოს ძლივს შეიკავა ცრემლები და თქვა:

„— ურჩხული! თუ თქვენ ჩემს საშოში არ ამოიხრჩეთ, იმ ტანჯვა-წამებით, რაც მან მომაყენა, მისი დამსახურება არ გეგონოთ. მაგრამ უფალმა დაგვიფარა ორივე, რათა შვილს გამოესყიდა დედის შეცდომა. შვილო, თქვენ არაფერი მოგეძევებათ და არც არასოდეს გექნებათ. იმ მცირეოდენსაც, რასაც თქვენთვის ვაკეთებ, თქვენი დების თვალისგან მალულად ვაკეთებ. ასეთია ადამიანური სისუსტის შედეგი. და მაინც, იმედი მაქვს, როცა აღსასრულის ჟამი დამიდგება, საკუთარ თავს არაფერზე ვუსაყვედურებ. მკაცრი მომჭირნეობით ვაგროვებ თქვენს სამონასტრო თანხას. ჩემი ქმრის შემწყნარებლობას ბოროტად სულაც არ ვიყენებ და რასაც შევძლებ ხოლმე, ჩუმად ვინახავ დროდადრო მისგან ნაბოძები გულუხვი საჩუქრებისგან. რაც კი რამ ძვირფასეულობა მქონდა, გავყიდე. მან ნება დამრთო ეს თანხა ისე დამეხარჯა, როგორც მინდოდა. ბანქოს თამაში მიყვარდა და აღარ ვთამაშობ. მიყვარდა თეატრი და ესეც მოვიკელი. მიყვარდა საზოგადოებაში ყოფნა და განდეგილივით ვცხოვრობ. მიყვარდა ფუფუნება და მასზე ხელი ჩავიქნიე. თუ თქვენ მონაზვნად აღიკვეცებით, რაც ჩემი სურვილია და ბატონ სიმონენის სურვილიც, ეს გახდება ჩემი ყოველდღიური ტანჯვის ჯილდო.

— მაგრამ, დედილო, — ვუთხარი მე, — ამ სახლში ხომ კიდევ დაიარება შეძლებული ხალხი? იქნებ მოიძებნოს ვინმე, რომელსაც იმდენად მოვეწონები, რომ მომჭირნეობით დაზოგილ თანხას, ჩემს მოსაწყობად რომ გაქვთ გადანახული, არც კი მოითხოვს?

— ამაზე ფიქრიც არ შეიძლება. თქვენმა საქციელმა თქვენვე დაგღუპათ.

— ნუთუ უბედურება ვეღარასოდეს გამოსწორდება?

— ვეღარასოდეს.

— თუ საქმროს ვერ მოვძებნით, მაინც რა აუცილებელია მონასტერში ჩაკეტვა?

— აუცილებელია, თუკი არ გსურთ ჩემი ტანჯვა და სინდისის ქენჯნა მანამდე გამყვეს, ვიდრე საუკუნოდ თვალს დავხუჭავ, ამას კი ვერსად გავექცევით. იმ საშინელ წუთებში თქვენი დები ჩემს სასთუმალთან იქნებიან; აბა, განსაჯეთ, ავიტან კი თქვენს დანახვას მათ გვერდით! ჩემო გოგონი, ჩემდა უნებურად მაინც შვილი ხართ ჩემი, თქვენმა დებმა კანონიერად მოგაკუთვნეს დის სახელი, რომელიც ჩემი ცოდვის გამო გერგოთ; გულს ნუ ატკენთ დედას, რომელიც მალე ამ ქვეყანაზე აღარ იქნება; დაეცადეთ მშვიდად ჩავიდეს საფლავში და უზენაესი სამსჯავროს წინაშე წარდგომისას, შესაძლებლობა ჰქონდეს საკუთარ თავს უთხრას, რომ მიუტევებელი შეცდომა ბოლოს და ბოლოს გამოასწორა, რამდენადაც შეეძლო, და იმედი ჰქონდეს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ განხეთქილებას არ შეიტანთ ოჯახში და არ მოითხოვთ უფლებას, რომელიც არ გეკუთვნით.

— დედილო, — ვთქვი მე, — ამაზე ნუ იფიქრებთ. მოიწვიეთ ვექილი, რომელიც მემკვიდრეობაზე უარის აქტს შეადგენს და რაზეც გნებავთ, ყველაფერზე ხელს მოვაწერ.

— ეს შეუძლებელია; ბავშვებს უფლება არა აქვთ თავადვე დაკარგონ მემკვიდრეობა. ამგვარი სასჯელი წესდება მხოლოდ დედ-მამის ნებით, რომელთაც აქვთ ჭეშმარიტი მიზეზები განრისხებისთვის. თუ ხვალ ღმერთი თავისთან მიხმობს, და ხვალვე მომიწევს ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა, მაშინ გავენდობი ჩემს მეულლეს, რათა უიმისოდ არაფერი მოხდეს. ნუ მაიძულებთ ამგვარ თავხედობას, თორემ იგი შემიძულებს, თქვენ კი ეს მხოლოდ შერცხვენას მოგიტანთ. თუ ამქვეყნად დიდი დღე გიწერიათ, მაშინ უსახელო, უპოვარი და მიუსაფარი დარჩებით. უბედურო! მითხარით, ფიქრობთ კი, რა დაგემართებათ? თქვენი დარდი გინდათ ჩავიტანო საფლავში? ვთქვათ, გამოვუტყდი მამათქვენს... მაგრამ რა? ვუთხრა, რომ მისი შვილი არა ხართ?.. ჩემო შვილო, ნეტავი საკმარისი იყოს თქვენს ფერხთით დამხობა, რომ მივილო თქვენი... მაგრამ უგრძნობელი ხართ, საკუთარ მამასავით შეუბრალებელი გული გაქვთ...".

ამ დროს ბატონი სიმონენი შემოვიდა და ცოლის მღელვარება შენიშნა. მას ძალიან უყვარდა დედაჩემი და გაბრაზდა, ზღურბლთან შეჩერდა, საშინელი მზერა მომაპყრო და მითხრა:

„— გადით!"

მამაჩემი რომ ყოფილიყო, არ დავემორჩილებოდი, მაგრამ იგი არ იყო მამაჩემი.

მსახურს, რომელიც ანთებული სანთელით მიმიძღოდა, გამოსძახა:

„— უთხარით, ფეხი აღარ შემოდგას, აქ".

კვლავ ჩემს პატარა საკანში ჩამკეტეს. დედაჩემის ნათქვამზე დიდხანს ვფიქრობდი. დაჩო-

ქილი ვეკითხებოდი უფალს რა გზას დავდგომოდი და იატაკზე გართხმული ვლოცულობდი. ჩვეულებისამებრ ღმერთს მაშინ ევედრებიან, როცა თავად არ იციან, რა ქნან. ასეთ დროს იშვიათად ხდება, რომ ციურმა ხმამ მორჩილება არ გვირჩიოს. ამგვარი გადაწყვეტილება მივიღე მეც. „მათ უნდათ მონაზონი გავხდე; ალბათ, ღმერთის სურვილიც ასეთია. კეთილი! გავხდები მონაზონი. თუ აუცილებელია უბედური ვიყო, სულერთი არ არის, სად ვიქნები?..". მსახურს ვთხოვე ეთქვა, როცა მამაჩემი სახლში არ იქნებოდა. დედაჩემს ხვეწნას ვუთვლიდი, ერთხელაც დამლაპარაკებოდა. მან კი მიპასუხა, ბატონ სიმონენს აღვუთქვი, რომ აღარ შეგხვდებით, მაგრამ შეგიძლიათ ბარათი მომწეროთო, და ფანქარი გამომიგზავნა. ქაღალდის ნაგლეჯზე დავწერე წერილი (ეს საბედისწერო ქაღალდი მერე იპოვეს და ჩემს წინააღმდეგ კარგადაც გამოიყენეს):

„— დედილო, ძალზე ვწუხვარ, რომ ამოდენა ტკივილი მოგაყენეთ. გთხოვთ, მომიტევოთ. გადავწყვიტე ყოველივეს ბოლო მოეღოს. მომექეცით ისე, როგორც თქვენი ნება-სურვილი იქნება; თუ გნებავთ მონაზვნად აღვიკვეცო, იყოს ნება თქვენი და ნება უფლისა...".

მსახურმა წერილი დედაჩემს წაუღო, წუთიც არ გასულა, დაბრუნდა და აღტაცებით მომაძახა:

„— მადმუაზელ, ასე რაღას აჭიანურებდით, როცა ერთი თქვენი სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, თქვენი მშობლების გასაბედნიერებლად? ბატონსა და ქალბატონს ისეთი სახეები აქვთ, რაც ამ სახლში ვარ, არ მინახავს. იმათი ჩხუბის მიზეზი მუდამ თქვენ იყავით. მადლობა უფალს, მეტად აღარ მომიწევს ამისი ხილვა...".

მსახური გოგო მელაპარაკებოდა, მე კი მარტო იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს-ესაა საკუთარი სიკვდილის განაჩენს მოვაწერე ხელი. და ჩემი ფიქრი ახდება, მოწყალეო ბატონო, თუკი თქვენც მიმატოვებთ და არ დამეხმარებით.

ორიოდე დღე ისე გავიდა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ერთ დილას, იქნებოდა ცხრა საათი, ჩემი ოთახის კარი ხმაურით გაიღო, ჩაჩსა და ღამის ხალათში გამოწყობილი ბატონი სიმონენი მეწვია. მას მერე, რაც გავიგე, რომ მამაჩემი არ იყო, მისი დანახვისა მეშინოდა. წამოვდექი და ღრმა მოწიწებით მივესალმე. მომეჩვენა, რომ ორი გული მქონდა. დედაჩემზე მხოლოდ თანაგრძნობით და ცრემლით შემეძლო ფიქრი. ბატონ სიმონენთან დაკავშირებით კი არა. რა თქმა უნდა, მამა იმგვარ გრძნობებს შთაგვაგონებს, რომლის მსგავსსაც სხვისგან ვერ იგრძნობთ. ამას ვერ მიხვდებით, ვიდრე პირისპირ არ დარჩებით ადამიანთან, რომელიც დიდხანს ატარებდა მამათქვენის სახელს და სულ ახლახან დაკარგა ეს უავგუსტესი წოდება. სხვები ამ გრძნობას ვერ გაიგებენ. იმ წუთში, ჩემს წინ ბატონ სიმონენის მაგივრად დედაჩემი რომ მდგარიყო, ალბათ, სულ სხვანაირი ვიქნებოდი. მან მკითხა:

„— სიუზანა, იცნობთ ამ ნაწერს?

— დიახ, ბატონო.

— ამის დაწერის დროს კეთილი სურვილები გამოძრავებდათ?

— მომიწევს გითხრათ, რომ დიახ.

— და თქვენ გადაწყვიტეთ, რომ აღასრულოთ, რაც დაწერეთ?

— დიახ, გადავწყვიტე.

— რომელიმე მონასტერს ხომ არ ანიჭებთ უპირატესობას?

— არა, ყველა მონასტერი ჩემთვის ერთნაირია.

— კეთილი".

აი, ასე ვუპასუხე, მაგრამ, საუბედუროდ, ჩემი სიტყვები ქაღალდზე დაწერილი არ იყო. ორი კვირა გავიდა და არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ; მგონი, ამ ხანებში მშობლებმა რამდენიმე დედათა მონასტერი მოიარეს, მაგრამ ამასწინდელი აყალმაყალის მერე არსად არ უნდოდათ ჩემი მიღება. ლონშანში ეტყობა უფრო ნაკლებ მომთხოვნნი იყვნენ, ალბათ, ისიც გაიგეს, კარგი მუსიკოსი რომ ვიყავი და კარგი ხმაც მქონდა. მშობლები გვარიანად აზვიადებდნენ იმ სიძნელეებს, ვითომ რომ გადალახეს და იმ წყალობასაც, ამ მონასტერმა ჩემი მიღებით რომ მომანიჭა; ისიც კი მაიძულეს, მონასტრის წინამძღვარს წერილი მისწერეო. მაშინ ვერ მივხდი, რაში სჭირდებოდათ ეს წერილი. ეტყობა, ეშინოდათ, ისევ არ დაარღვიოს თავისი აღთქმაო და ამიტომ დამაწერინეს. ალბათ, საბუთი უნდოდათ, სადაც ჩემივე ხელით იქნებოდა დამოწმებული, რომ მე სამონაზვნო აღთქმას ნებაყოფლობით ვიღებდი. მაგრამ, ის როგორღა მოხდა, რომ მონასტრის წინამძღვრის სახელზე შედგენილი ბარათი, ბოლოს ჩემი სიძეების ხელში აღმოჩნდა? სჯობს, ამაზე თვალი დავხუჭო, თორემ ბატონი სიმონენი იმგვარი სახით წარმომიდგება, როგორადაც არ მინდა რომ წარმოვიდგინო: იგი აღარ არის ცოცხალთა შორის.

ფრანგულიდან თარგმნა
დავით კახაბერმა

გაგრძელება იქნება



... ერთ მერსი

გულო კობიაშვილის ნოველები

თავიდანვე ვიტყვი, რომ ჩემი მიზანი არაა გულო კობიაშვილის სტილზე, მანერაზე, მხატვრულ გამომსახველობით ხერხებსა, სიმბოლოებსა თუ ალეგორიულ ხედვებზე ყურადღების გამახვილება, (გულო კობიაშვილი რომ გამოკვეთილი ინდივიდუალური ხელწერის შემოქმედია და ღვთისგან პირდაპირ მხატვრული ლიტერატურის ამ ურთულესი ჟანრის, ნოველის დიდოსტატადაა კურთხეული, ამაზე ნებისმიერი ჭეშმარიტი ლიტერატორი თუ ჭეშმარიტი მკითხველი დამეთანხმება) მე, როგორც მკითხველს, მაინტერესებს ახალ წიგნში „გადაუღებელი წვიმების შემდეგ" („ეროვნული მწერლობა". 2005) თავმოყრილი მწერლის ახალი პერსონაჟები, რომელთაც, ჩინური წყევლისა არ იყოს, გარდაქმნის პერიოდში მყოფ ქვეყანაში უწევთ ცხოვრება. როგორები არიან ისინი, განსხვავდებიან თუ არა წინა წიგნებში, შესაბამისად ე.წ. "უძრაობის წლებში" მცხოვრები პერსონაჟებისგან თუ, საერთოდ, როგორც პოლიტიკურ-სოციალური კატაკლიზმების დროს ხდება ხოლმე, ჩამოიგლიჯეს ნიღბები და თვითგადარჩენისა თუ სიხარბის გამო ყველაფერს კადრულობენ?

ავტორის მახვილ თვალს სააშკარაოზე გამოაქვს ყველაზე უმნიშვნელო დეტალიც კი. არავის მფარველობს, არც ნამუსს წმენდს, ამბობს იმას, რისი დაფარვაც მიუღებლად მიაჩნია. ნოველებში ცოდვისა და მადლის, ბოროტისა და კეთილის ურთიერთშეთანხმება, გაწონასწორება კი არ იგრძნობა, არამედ შიშველი სიმართლე.

მოუთმენლის მოთმენა არ ძალუძს მწერალს. ამის დადასტურებაა მისი ნოველები: "გადაუღებელი წვიმების შემდეგ", "ბრძენი ჩინელები", "მაშასადამე არაევროპელი," "მეცამეტე მგზავრი," "სიკო, მთავარი ფრონტის ჯერჯერობით რიგითი," "მეჭეჭი", "ყვითელი ლეგიონერები" და სხვა. მათში დღევანდელობის ურთულესი ყოფაა აღწერილი. ცალკეული სიუჟეტი მწვავე და მტკივნეულია, სილის გაწნვას წააგავს, თითქოს ერთბაშად ფხიზლდები!

ქვეყანას გლობალიზაციის მღვრიე მორევისაკენ მიაქანებს დრო, დაჭრილ, დაუძლურებულ ვეფხვს ჰგავს მრავალჭირგადანახადი საქართველო. ზოგი მის მორჩენასა და გადარჩენას ლამობს, მავანნი მის ნაჭრილობევს შესევიან ჭია-ღუებივით და გატიკნული ღიპებით, თვითკმაყოფილი თიმთიმა ლოყებით, მარტო საკუთარი კუჭიდან გამომზირალნი მის საბოლოო დაღუპვას ესწრაფვიან...

თანდათან შემოდიან და მკითხველის მეხსიერებაში სამუდამოდ რჩებიან გულო კობიაშვილის გმირები, სწორედ ისეთები, როგორებიც დრომ მოიტანა: დაჩაგრულები, გამათხოვრებულები, გალატაკებულები, დაჩაჩანაკებულები... სამშობლოსათვის თავდადებულები... სამშობლოს გამყიდველები, მედროვენი, გაამპარტავნებულნი, გაზლუქებულები, უკულტუროები, ადამიანის სახედაკარგულები... ჩაცმულობითვე მიხვდები, პირველივე წინადადებას იტყვის თუ არა, მაშინვე ხვდები ვისთან გაქვს საქმე.

გულო კობიაშვილის ნოველებში არამარტო დღევანდელობაა ასახული, არამედ წარსულიც, საიდან მოვიდნენ მისი გმირები, რომელი მიწის, კუთხის თუ ქუჩის შვილები არიან, ერთმანეთს რომ გვანან და არც გვანან. ცხოვრებაშიც ისე შემოდიან, როგორც მღვრიე მდინარე მოედინება, თან მოაქვთ თავიანთი გამორჩეული ხასიათები, დაუოკებული სიჯიუტე, სათნოება თუ სინაზე. მწერალი სრულყოფილი ნიჭით აგნებს მათ, იძიებს, შენამდე მოაქვს და გაიძულებს დაიმახსოვრო თითოეული მათგანი, ჩაუფიქრდე და საჭირო დასკვნაც გამოიტანო.

იწყება ნოველა, თითქოს არაფერი გიკვირს, ზოგჯერ გეცინება კიდეც. ცოტაც და... გრძნობ, როგორ ჩაგეღვარა სულში ცრემლის პირველი ნაკადი.

დედაქალები, მოხუცები, ახალგაზრდები

(ერთბაშად დაბერებულები), მოფუსფუსენი და მოძალადენი (თუ საჭიროა მატყუარებიც!) მათ დიალოგს ისმენ, ერთმანეთთან გაზიარებულ ჭირსა და ვარამს, არაფერია გამოგონილი, ყოველივე შენს ახლოს ხდება, შენს გვერდით: „რა სიკვდილი ეტაკათ, შენ გენაცვალე, რაღაცას იშოვიან და მორჩა მერე. რაღაცა ვიშოვო, ჩემზე უფრო გაჭირვებული და უბედური შემხვდეს და არ გავუნაწილო? ხომ არც უნდა შემარჩინო, ღმერთო?!" — გოდებს მალვინა ნემსაძე და გჯერა მისი... მაგრამ როცა იშოვის, არავის უნაწილებს, არ იმეტებს... "დამეკარგეთ აქედან, ბასიაკებო, გათახსირებულებო!" — დაუცაცხანა დაღლილ-დაქანცულმა მალვინამ მაწანწალებს. თუმცა სულ მალე მათივე ბედი გაიზიარა. ("მესამე მაწანწალა")

მწერალი არა მარტო ძერწავს გმირის ხასიათს, დამოკიდებულებას სხვა პერსონაჟებთან, არამედ პიროვნების სრულყოფილად აღსაქმელად უმეტეს წილად დიალოგს იყენებს. დიალოგს საკუთარ თავთან: "მითხრა, მაშინვე, ცხონებულმა დედაჩემმა, ნუ აჩქარდები, მალვინა, არაა ეგ კაცი კაციო და არ დავუჯერე, კაცია, აბა? უსაქმური, ლოთი, ლაჩარი, ლაჩარი, ვინმე ყაჩაღი რომ შემოგვივარდეს ბინაში, თაგვს შეასწრებს სოროში" — თითქოს დააგვირგვინა სათქმელი. მერე იწყება ფეხსაცმლის მთელი ისტორია: "ოხერს, დუდანას რა კაცივით ფეხი ჰქონია, მართალია, შევებრალე კი და სულ ახალი მაჩუქა, მაგრამ რაა, მაინც, ისე დავდივარ გეგონება, თხილამურები მაცვია (ცრემლნარევი ღიმილი გეძალება!)

გულო კობიაშვილი არა მარტო ხატოვნად აღწერს დღეევანდელობის სავალალო ყოფას, ადამიანთა გათიშულობას, ადვილად დასამახსოვრებელსაც ხდის მათ: „ჩვენი მონტიორი გამოსულა გუშინ მიტინგზე, მოუხსენებია ხალხისთვის, რომ ჩვენს ინსტიტუტში სულ ცოტა, ოცი კაცი მაინცაა ერის მოღალატე, პირადად თქვენ კი, ბატონო ემელიანე, თურმე ნუ იტყვით და კრემლის აგენტი ბრძანდებით". შემცბარია ღვაწლმოსილი მეცნიერი, რა ხდება?! დღემდე მეცნიერულ კვლევაში ჩაფლულს, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გახარებულს, მთავარი პოლიტიკური "სენტენცია" „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია!" გამორჩენია; გამორჩენია, რომ "ბელადიც ნამოჩიტულია უკვე და "ბრძენი ხალხიც" სახეზეა. "დამიჯერე, იარე მიტინგებზე, თანაც რაც შეიძლება ხშირად, სიტყვასაც თუ იტყვი ერთი-ორჯერ მაინც და თანაც რაც შეიძლება სულელურს..." მოძღვრავს დაბნეულ ენათმეცნიერ მეგობარს სოციოლოგი ნიკიფორე, რომელსაც კარგად ახსოვს კაცობრიობის ისტორია და ბელადისა თუ "ბრძენი ხალხის მიერ" პირისაგან მიწისა აღგვილი არაერთი მეცნიერი თუ ხელოვანი.

ნოველას აუცილებლად და უკამათოდ მოულოდნელი ფინალი რომ უნდა ახლდეს თან, არ ახალია, მაგრამ მაინც გაოცებთ გულო კობიაშვილი თავისი, ხაზგასმით ვიტყვი, მოულოდნელზე მოულოდნელი ფინალებით. ნოველა "მეჭეჭში" იტალიურ ეზოში გვერდიგვერდ მცხოვრები, პოლიტიკურ-სოციალური კატაკლიზმებისგან დეგრადირებული ორი ადამიანის ნაგვიანევი სიყვარულის ისტორიაა მოთხრობილი, ადამიანებისა, რომელნიც სწორედ სიყვარულმა გადაარჩინა. განუწყვეტელი სიცილით, სიცილით კი არა, ხარხარით კითხულობ ამ თითქოსდა სახალისო ამბავს, აი, მორჩა, ქორწილიც გადაიხადეს, ეზოს მთელმა მრავალეროვანმა მაცხოვრებელმა მიიღო მონაწილეობა, თითქოსდა რაღა უნდა მოხდეს იმ ორიოდ ფრაზაში, რაც წასაკითხი დაგვრჩა... კითხულობ და სიცილი გაშრება პირზე, ისე მოულოდნელად, ისეთი სიცხადით შემოდის მანამდე სადღაც გადაკარგულ "თინეიჯერებთან" ერთად ეზოში (ამ პატარა საქართველოში) გლობალიზაციის გზაზე შემდგარი ქვეყნის უკვე პირველი, თავზარდამცემი შედეგები.

სანიტარი დარო ("ბანდიტი, ბანდიტზე უარესი და"...) გვიან გამოვიდა სამსახურიდან, განუკითხაობის დროა და ქალს შიშისაგან ლამისაა გული გაუსკდეს. გარბის დარო, საცოდავი, ხეიბარი ადამიანის შთაბეჭდილება რომ დატოვოს "ორივე ფეხს რაც შეიძლება გვერდულად ფარჩხავს, იყუნცება და ცალთვადახუჭული ბაყაყურით აგრძელებს გზას". საცხოვრებელ კორპუსამდე ოციოდე მეტრილა დარჩენია, რომ შიშისგან თვალთ დაუბნელდება, მის წინ, ორიოდ ნაბიჯზე, ორმეტრიანი, წვერულვაშგაბურძგნული მამაკაცი ირწევა. „რით უნდა მომკლა, რევოლვერითა თუ დანით?! — ეკითხება დარო. კაცი მთვრალია, დაროს ვერც ამჩნევს, ხეს ჩაჰკვრია, რომ არ წაიქცეს. "ივლიანეს ქალიშვილი ვარ, ჭოპორტიდან. შენ შემოგევლე, რო მომკლავ, ბარემ დაუბარე კიდევაც მამაჩემს აბა, უპატრონოდ ხომ არ ვეგდები აქა?!" — მოსთქვამს ქალი. შემთხვევით, გზად გავლილი პოლიციელი მათ წინ მანქანას რომ შეაჩერებს, დაროს სიხარულს საზღვარი არა აქვს, "მიშველე, კარგო პოლიციელო, მიშველე, გზაზე გამომიხტა, ზარში ნაგაგეო... რო მოგკლავ, ხიდიდან გადაგაგდებ მერეო"... მაგრამ არც პოლიციელს რომ ენდობა დარო: "რასაც ტელევიზორი და რასაც ხალხი ამ პოლიციელების ავკაცობაზე ლაპარაკობს, რასაც გაზეთები მაგათზე სწერენ... რატომ მითხრა, მანქანაში ჩაჯექი ქალბატონოვო?" ადამიანების რწმენა დაკარგვია დაროს და ამიტომ ცოდვას ცოდვაზე იდებს — ჯერ ხომ ლოთს დასწამა შიშისგან ცილი, ახლა, მიშველეთ, პოლიციელმა არ მომკლასო, ყვირის.

კრებულში უდაოდ გამორჩეული ნოველაა "გადაუღებელი წვიმების შემდეგ". იგი არა მარტო შეგძრავს, ჩაგაფიქრებს... სამკვირიანი გადაუღებელი წვიმების შემდეგ, მთას შეხიზნულ, თითქმის დაცარიელებულ სოფლის ტალახიან ორღობეში, ორი მეზობელი ქალის, კატოსა და ყამარას, ორი ბერიქალის პაექრობა, პოლიტიკური შეხედულებები, განსხვავებულ პოზიცი-

ებზე დგომა, იმაზე მეტს ნიშნავს, რაც ერთი შეხედვით გვგონია. მათი შეხლა-შემოხლა, ჯიკავ-ჯიკავი, განქიქებული ქვეყანა, პოლიტიკურ დებატებში მონაწილე ორრად გახლეჩილ საქართველოს ჰგავს, პოზიციას თუ ოპოზიციას. "კატოც ძაფს ართავს და ყამარაც ძაფს ართავს" ბუნებრივად იწყებს მწერალი. "კატოს კარგად, კარგად კი არა, ლამის ზეპირად ახსოვს ის ბოლოდროინდელი ჩხუბი, ყამარა კი იხსენებს დაწვრილებით, იხსენებს და დუღდება ნელ-ნელა".

ვერ გაიგებ, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი, სად მარხია ძაღლის თავი... "დილას ცოტა ხნით მოვიდა დენი და ტელევიზორჩი გადმასცეს, წინასწარი გამათვლით ეგ იქნებაო, ზოგ-ზოგების გულის გასახეთქადაო!" — დაბეჯითებით არაკუნებს კატო თითისტარს სკამის კიდეზე. — "ვინები? — კითხულობს წარბებაწკიპული ყამარა, თან ძაფს ახვევს გამალებით, — კაკანით აქ რო კაკანებენ ბევრსა და სინამდვილეჩი კი, თუ კი რაიმე ნაციონალური გვქონდა, სუ იმ ამერიკას დაუდვეს კვერცხივითა შასათქვლეფადა? არ შაარგას ღმერთმა! ეგენი არ იყვნენ შენს შვილიშვილებს ქართველობა რო აღარ ჩაუწერეს პასპორტჩი, სამსახურები რომ გაუუქმეს და ლუკმა-პურის საშოვრადა და გასაბახებლად სტამბულის გზას გაუყენეს-თქო?" ერთი მეორეზე უფრო მწვავესა და ტკივილიანს ახლიან ერთმანეთს. სოფლის გაუსაძლისი ყოფაც თითქოს დავიწყნიათ, საკუთარ ბედს თუ უბედობასაც არად აგდებენ, მათ ქვეყნის ბედიღბალი აშფოთებთ. მათი პირით სიმართლე ღაღადებს, ასე დაუნდობელი და ასე ჭეშმარიტი. მთის ეს პატარა სოფელი იგივე, განზოგადებული საქართველოა.

მანამდე თუ მთის მცხოვრებლებს ის ადარდებდათ, სოფლები ცარიელდებაო, შვილები ქალაქისკენ მიიწევენო, ახლა უარესი სადარდელი შეყრიათ, ქვეყანა, სამშობლო, საქართველო ცარიელდება. ვინც კი ჯეელი იყო, გამრჯე და გონიერი, ყველა უცხო მხარეს შეეხიზნა. ორი მოკამათე დედაბრის ძიძგილაობა ქვეყნის უმძაფრეს ტკივილად აქცია მწერალმა.

გადაუღებელი წვიმების გამო (რაც ცხოვრების ურთულეს კატაკლიზმებს წააგავს) არა მარტო სოფელი ჩაძირულა ტალახსა და ლაფში (რაც პირობითია!) არამედ მთელი ქვეყანა, ჩვენი ლამაზი სამშობლო. ნოველის დასასრულს სიძესაპატარძლოც გამოჩდება, ალბათ ერთი ახალი ოჯახიც შეემატება სოფელს, გამრავლდებიან კიდეც, მაგრამ ეს შველის დაცარიელებულ ქვეყანას?! სოფელს?! — რომლის "მეცხორე შვილებიც ბანანსა და ანანასს ჰყიდიან ქალაქჩი, ანდაც გაფანტულან მთელ მსოფლიოში?"

გულო კობიაშვილი არც თანამედროვე მწერლობის მიმართ არის გულგრილი. არა ჭეშმარიტი მწერლების, არამედ... სახელისუფლო მწერლების, უცხო, მტრული ძალების მიერ მოსყიდული უტიფარი და უნიჭო ფსევდომწერლების მიმართ.

ნოველაში, "სიკო — მთავარი ფრონტის ჯერჯერობით რიგითი," ერთ-ერთი გმირი ვახტანგი, ღვაწლმოსილი მეცნიერ-აკადემიკოსი, ქვეყნის უბედურებით გაოგნებული, მთელი დღეები დაზაფრული მისჩერებია ტელევიზორის ეკრანს, თითქოს რაიმე საიმედოს ელოდება იქიდან, ამჯერადაც რთავს, უცებ ეკრანზე ლამაზ-ლამაზი, პუნტულა, თავის თავში დაჯერებული, "უცებ სახელგანთქმული" ახალგაზრდა მწერალი გამოჩნდება. ტანჯული სახით იწყებს მოთქმას: „თქვენ გგონიათ, მხოლოდ კომუნისტების დროს იყო ცენზურაო? არა, მწარედ ცდებით, — მე რომ ქართველი ერისგან წმინდანად შერაცხული მეფე ქალის გარეგნობა და ინტიმური ამბები აღვწერე ჩემს რომანში, უნდა გენახათ, ამ გაქანებული დემოკრატიის დროსაც კი, რა რეაქცია მოჰყვა ძველი მენტალიტეტით აღზრდილ ზნეობის დამცველთაგან და ეკლესიისგან. იქამდე მიმიყვანეს, კინაღამ უდიდესი უბედურება დამემართა, კინაღამ თვითონ ჩემს სულში დაიბადა შინაგანი ცენზორი, რომელიც რამეზე ან ვინმეზე, რაც მომესურვება, იმის დაწერას ამიკრძალავდა, ამ საშიშროებას კი თავი იმით დავაღწიე, რომ ავდექი და გაბრაზებულმა, ახალი მოთხრობა სულ უწმაწური და უხამსი სიტყვებით გავავსეო. ეს, დემოკრატიისგან ნაჩუქარი ჩემი უფლებაა და ამისი წართმევის ნებას არავის მივცემო!"

ზემოთ მოყვანილი ციტატა კიდევ ერთი დადასტურებაა გულო კობიაშვილისეული ხელნერისა, იგი დაუნდობელია იმათ მიმართ, ვინც აუგად ეპყრობა წარსულს, ბღალავს სიწმინდეებს და ამას ისე სჩადის, ვითომც არაფერი მომხდარიყოს...

გრძელდება ნოველა. შეძრწუნებული მეცნიერი "საკუთარ დაფანჩულ წარბებს შეფარებული", ვერაფერს მიმხვდარა, ვერც ვერაფერი გაუგია, მხოლოდ საკუთარ თავთან აგრძელებს მკაცრსა და დაუნდობელ დიალოგს: "ღმერთო, ამას ხომ ფიზიკური მოსპობა სჯობდა ასწილ... რა ხდება, ვინ არიან ეს ახალი დროის ვითომმწერლები, ვითომპოეტები, ვითომმხატვრები, ვითომტელე და რადიო მუშაკები, ვითომმუსიკოსები, ვითომჟურნალისტები, ვითომრეჟისორები, ვითომმსახიობები, — უბრალოდ, რატომღაც ერთდროულად მოზღვავებული, ავადმყოფობა კოპროლალიით შეპყრობილნი თუ საფანასთან წილნაყარი და ვერცხლზე სულგაყიდული შინაურივე მტრები, რომელთაც კარგად აქვთ გაცნობიერებული, ასე ამძუვნებულნი და სარცხვენელგადმოყრილნი რატომაც მიერეკებიან ერს ჭაობისაკენ".

განაწყენებულია ნოველის მთავარი გმირიც. სინამდვილისადმი შეგუება უჭირს მეცნიერს, წყენა კიდევ უფრო უმძაფრდება, როცა "ტახტზე ფეხსაცმლიანად წამოკოტრიალებულ" შვილიშვილს, სიკოს ხედავს და ტელეფონზე მის საუბარს ისმენს: — "რაღა დროს პოეზიით აღზრდა და ტკბობაა" — ყბედობს სიკო — „შენ რა, ტყემალზე ზიხარ? ვიღას სჭირდება ეხლა შენი „შვლის ნუკრი", "ჩემო კარგო ქვეყანავ" და

"დედაო ღვთისავ"...

ხვდება ვირთხასავით ცბიერი სიკო, რა რანგის "მწერლები" ჰყავს პატივში დღევანდელ ხელისუფალთ და ჩქარობს, დროულად დაიაროს ქალაქის ტუალეტები, მათ კედლებზე მიწერილი უხამსი "ლექსები" გადმოიწეროს, კედლებიდანვე გადმოღებული "ნახატებით" გააფორმოს, რომ "ლიტერატურულ კონკურსში მიიღოს მონაწილეობა. თავდაპირველად პრემიას ელოდება, შემდეგ კი მთავრობაშიც "გაჩითვას".

მტკივნეული, შეურაცხმყოფელი და ძნელად შესაგუები პასაჟით მწერალი სინამდვილეს დაუნდობლად ამხელს (საუბედუროდ არაფერი გამოგონილი არ არის!) ნოველის დედააზრი სინამდვილის უმთავრესი მინიშნებაა, რისი მოთმენაც არ გვმართებს, რასაც უნდა ვებრძოლოთ. დროის ტკივილი, ადამიანების სულიერი სიდუხჭირე, გონებრივი გამოფიტვა, მწარე სიმართლეა. მას ასე ადვილად არ მოევლება. ავტორს სტკივა ქვეყნის სატკივარი.

საქართველოს აწმყოს, წარსულის და მომავლის განსაცვიფრებელი სინთეზია ვრცელი ნოველა "ყვითელი ლეგიონერები", არა და, შიგ კონკრეტულად მთავარი პერსონაჟის, ქალბატონ ანას მხოლოდ ერთი დღის თავგადასავალია მოთხრობილი.

ეს არის ნოველა შედევრი, რომელზედაც ბევრი, ძალიან ბევრი შეიძლება დაიწეროს, ვიტყვი მხოლოდ, რომ "ყვითელი ლეგიონერები" (ქართულ მითოსში ყვითელი ეშმაკის ფერია, ხოლო ბიბლიაში ლეგიონერი მტრის მეტაფორაა) ჩვენივე სულგაყიდული და მოღალატე თანამემამულენი არიან, მონღოლებივით რომ შესევიან გასანადგურებლად ქვეყანას, ქვეყნის გადარჩენა კი მხოლოდღა იმას თუ შეუძლია, სოდომ-გომორის არ იყოს, ათი მართალი მაინც თუ მოიძებნა. ათზე მეტიც იქნებაო, გვარწმუნებს ფინალში ავტორი.

უამრავ პერსონაჟს ვეცნობით (და ვცნობთ კიდეც) გულო კობიაშვილის ნოველებში: გაევროპებული, ქართული სუფრის ტრადიციაზე მოქილიკე თავკომბალა თუ ქართული ტრადიციების თავგადაკლული დამცველი ლუხუმი ნოველიდან "მაშასადამე არაევროპელი", ოდესღაც ფილოლოგი, ამჯერად კი პარლამენტარი მწითური, სამშობლოს გაყიდვით გაზულუქებული ჯირკუტანა თუ შიმშილისაგან ღონემიხდილი მისი ყოფილი თანაკურსელი მასწავლებელი მერი ("მეცამეტე მგზავრი") სოფლისთვის შიშისზარის დამცემი კარლო, რომელსაც ნიბლიასავით გოგოსთვის სიყვარულის ახსნა ვერ გაუბედავს და მთვარეს შესტირის თავის გასაჭირს ("ლელიანში, გამთენიის"), უწვერულვაშო მეფისტოფელი, რომელიც სწორედ იმას ამხელს, რის დამალვასაც სთხოვენ ხვეწნა-მუდარით ("უწვერულვაშო მეფისტოველი"), მოხუცი არსენა, რომელსაც შვილებივით უყვარს თავისი ცხვრები და მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უჭირს უკვე ცხვრის გაკრეჭა, არყით ათრობს მის საშველად მხოლოდ ერთი დღით მოსულ სიძეს, რათა მან თავისი უდიერი მოქცევით ტკივილი არ მიაყენოს ცხოველებს ("სულთამხუთავი"), ადრე გამომცემლობაში რედაქტორად ნამუშევარი, სიბერეში კი გაბუღალტრებული ნოე, რომელიც რომანტიკულად და უიმედოდაა შეყვარებული მენეჯერ ტატაზე და მიუხედავად ამისა, ძლივს ნასწავლი კომპიუტერის "თაგუნათი" მშობლიური ყაყაჩოსფერით გადაუღებავს ცხვირ-პირს საყვარელ ქალს, — ვერ პატიობს ქართული ენის საშინელი ჟარგონებით დამახინჯებას ("ნოე").

და კიდევ ვის აღარ შეხვდებით და გაიცნობთ ამ წიგნით.

წიგნში გულო კობიაშვილის ლექსებიცაა დაბეჭდილი, უდაოდ საინტერესო, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ქართველთათვის ავადსახსენებელი 2007 წლის ნოემბერში ღამის ათის ნახევარზე შინ მიმავალ მწერალს ხუთმა ახალგაზრდამ გადაუჭრა გზა. "აი, მოვიდა უკვე, რა ვუყუთ?" ჰკითხა ერთმა მათგანმა სავარაუდოდ "ატამანს". "მოკალით! ქვები აიღეთ და მოკალით!" ვიდრე გულო კობიაშვილი გონებას დაკარგავდა, კვლავ შემოესმა მათი დიალოგი: "მოკვდა უკვე?" "მგონი კი". "წავედით, აბა!"

თავგადაჩეხილი, მომაკვდავი ადამიანის მიღების სურვილი არცერთმა საავადმყოფომ არ გამოთქვა, (თურმე ნუ იტყვით და, ქუჩაში დაზარალებულს ან უფასოდ უნდა უმკურნალონ, ან ოცდახუთპროცენტიანი ფასდაკლებით), როგორც იქნა ღუდუშაურის საავადმყოფოში მოიღეს მოწყალება და ისიც მხოლოდ ერთი დღით. ამასობაში კი...

— როცა პალატაში შემოსული მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა ოთარაშვილი დავინახე, სიხარულისგან და შვებისგან ავტირდი, იმიტომაც ავტირდი, რომ კიდევ ერთხელ, თვალნათლივ დავინახე, თუ რატომ უნდათ საქართველოს მტრებს მწერალთა კავშირის დაშლა... ვაჟამ გადაიხადა საავადმყოფოს ხარჯებიც და წამლებითაც უზრუნველმყო; როცა ძლიერი ქომაგი დაინახეს, კარგა ხნითაც დამტოვეს საავადმყოფოში და ექიმებიც დამასიეს...

და მაინც, ვის სურდა მწერლის სიკვდილი? რომელი პერსონაჟის პროტოტიპმა გაიმეტა, მწერლისგან დასურათხატებულმა საქართველოს რომელმა გამყიდველმა იგი ამისთვის? თუმცა, რა გასაკვირია, თუკი სამშობლოს იმეტებ, სამშობლოს ქომაგსაც ხომ ტყვიას ესვრი. (ჯერაც არ უსვრიათ, თუ?!)

ერთსაც დავამატებ, ტყუილად ჰგონია ვინმეს, — გულო კობიაშვილს, ჭეშმარიტ შემოქმედს, სიკვდილით შეაშინებს, რადგან მასში "წვეთიც არ არის სისხლი არაქართული", საამაყოდ კი ისიც ჰყოფნის, რომ გმირ სამას არაგველთაგან ორი მისი პირდაპირი წინაპარია — ერთი კობიაშვილების, მეორე, — დედის, — ჩქარეულების მხრიდან!



ნოდარ ჯანიძე

იყალთოელი

(კარლო არსენაშვილი)

კიდევ ერთი წყევლამითვლილი. თავის თავთან მოდავეთა გვარისა, შეუცნობლის სამანთან მისულთა მოდგმისა. როცა ვკითხე — ვის ელაპარაკებოდა — მომიგო:

— შენ,ძალიან კარგად იცი,ვისაც ველაპარაკები!-ო.

ხმამაღალი ფიქრი ვისწავლოთ! ვინ იცის, რას ოცნებობს თითოეული ჩვენგანი უტყვად, მზაკვარი ტვინით, მყვარივით რომ გაგვლურსვია თავის ქალაში.

ბევრ მწერალს შეუღია ჩემი სახლის კარი. არავინ იყო მათ შორის მისებრ დარბაისელი, ზნეკეთილი.

რატომ დავაშორიშორო მწერლის და კაცის თავგადასავალი?

დიდხანს იქნებოდა იყალთოელ მოჯამაგირეთა შვილიშვილი და შვილი გაჭირვებული, მაგრამ კარლოს მამა კომკავშირში გაწევრიანდა და დაიწყო დიმიტრი არსენაშვილის აღმავლობის ჟამი.

უჭირველ ოჯახში გაიზარდა, თუმცა ყოველთვის სადად იცვამდა, უბრალო ავტოკალმით წერდა, მუდამ ბოწოწო პაპიროსს ეწეოდა პლასტმასის ჩიბუხით. იყალთოდან დედაქალაქში მოკრძალებული ხელბარგიც მიჰქონდა, ღვინო კი არა — რძე, ნადუღი და ვარდის წყალი.

ბუნებით მიამიტმა, სულგრძელმა და უანგარომ ფული ვერ მოიხვეჭა. მასში მატერიალურს ინტელექტუალური საწყისი სჭარბობდა. მწერალს, მორალისტს, მემარცხენეს ვერცხლზე მეტად სახელი ეძვირფასებოდა და კომფორტის გარეშეც თავი იოლას გაჰქონდა.

ნაღვლიანი და მხრებჩამოყრილი გავიცანი, რამაც მაფიქრებინა — ბავშვობა მძიმე და გაუხარელი ექნებოდა. რა უნდა გასჭირვებოდა იმხელა თანამდებობების მამის შვილს?

ნუ იფიქრებთ რომ ეს მხოლოდ ორნამენტია!

სკოლაში აგვიანებდნენ, ერთმანეთში ჭიდაობდნენ, ჩიტებს კაკანათს უგებდნენ, ყარამანიანს კითხულობდნენ, ალაზანში ბანაობდნენ და მორევში დასახრჩობად განწირულ მეგობარს შველოდნენ, სუვოროვივით ცხენზე ამხედრებულები იძინებდნენ, სოფლის განაპირა ძველ საბძელში იკრიბებოდნენ იყალთოელი ბიჭები.

იყო კიდევ ერთი, მათი თანამოასაკე, ისიც იყალთოს ცის ქვეშ იზრდებოდა, თანატოლების თაბუნში არ ერია, მოსამსახურე მშობლებს მისთვის ვერ მოეცალათ, ბაბო-პაპასთვის მიებარებინათ ვერძის ეტლზე დაბადებული, მეოცნებე და მოუსვენარი, ალბათ, ხმამყივრად რომ ითხოვდა ყურადღებას.

ჯეროვნად, როცა ვერ მიაპყრეს ყურადღება, მშობლების სითბოს დანატრებულმა, ბანზე და ერდოში მარტოდმარტომ იტანტალა, იბორიალა, მტყუან-მართალი განიკითხა, ბალღმა თავის თავში რაღაც პირადული და გასაოცარი დაწინდა.

1945 წლის ზამთარში დიმიტრი არსენაშვილმა იყალთოდან თბილისში ცოლშვილითურთ გადმოსვლა გადაწყვიტა. საღამო ჟამს მათ ეზოში "პალტარატონკა" შერიხინდა. ხა-

ბაკი მანქანის საბარგულზე დააწყვეს, ყველას გამოემშვიდობნენ, მაგრამ პატარა კარლოს უეცრად მოაგონდა — რაღაც ავიწყდებოდა, შინ შეირბინა და ჭრელტარიანი, ტყავის თასმებისგან დაწნული მათრახი გამოიტანა.

გაეოხუნჯნენ — ვინმე არ გაჯოხოო.

კაბინაში მძღოლის გვერდით დედას კალთაში ჩაუჯდა გულზე მიხუტებული შოლტით. ავტომობილმა ჩამოიტოვა წყარო, საბძელი, გომური, პატარა, სუფთად დაკრიალებული ეზო, რამდენიმე კარ-მიდამო; გადაიარა რიყეზე გადებული ხის ხიდი და თბილისისკენ მომავალ გზას რომ დაადგა — სიბნელე წამოეწიათ.

მკერდზე მიკრული მათრახით დედაქალაქისკენ მოემგზავრებოდა 1945 წლის უთოვლო ზამთრის ერთ ღამეს და გულისფანცქალით ელოდა ქალაქურ ცხოვრებას.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ის შოლტი იქნია. ვიეთნთ სახრავდა, როზგავდა, აოსებდა, ასავათებდა, მათრახსაცხუნებელი ირგვლივ არავინ ჩანდა. მაინც აჭრელებდა, ზათიანად უთავაზებდა. თავი დამარცხებულად არც როდის უგრძვნია, ბედნიერ დასასრულისა ყოველთვის სწამდა, გაროზგილთა თუ დალილავებულთ ღდინი ვერ გააგდებინა.

სიბრძნისა და უმეცრების ანტაგონიზმმა აპოგეას მიაღწია. ძარღვებაშლილი, სულგაწკეპლილი და ბუღნადენი 2003 წლის შემოდგომაზე უკანასკნელად მიუბრუნდა იყალთოს და ორიოდ კვირაში ტვინში სისხლის ჩაქცევით დამთავრდა.

ვინც კი სულიერი განცდებით სავსე მის სამკვიდრებელს მიახლოვებია, უთუოდ გაიგონებდა ზეაწეულ ტონით ხმაურს მეამბოხისა, დარწმუნებულის თავის აზრების უდავობაში. იგი იყო მთავარი და მხოლოდ ერთი როლის შემსრულებელი იმ ტრაგიკომედიაში. აკადემიის ერთადერთი სქოლარქიცა და პერიპატოელიც. ხმამაღალ, დიად რისხვით შეფერადებულ მონოლოგებიდან ენერგია მოედინებოდა და შეიძლებოდა ბევრისთვის შთაგონების წყაროდ ქცეულიყო. ისე ბობოქრობდა, გეგონებოდა ახალ ერას იწყებსო. ვის ედავებოდა, რას ამტკიცებდა?

ასაბუთებდა რაღაც არსებობს ან არ არსებობს. მოხდა — არ მომხდარა. მართებულია — უმართებულოა. განსაზღვრავდა, ადგენდა, შეურიგებელ ფილოსოფოსობისთვის განათლება ყოფნიდა. გაგულისებულად, კონსტრუქციულად აზროვნებდა:

„— დაარსა ქალაქი და წმინდა პეტრესი უწოდა. მიდი და არკვიე ვინ არის პეტრე — მოციქული თუ თავად მეფე!

ლოცვა გინდათო? გადმოასვენებინა ნეველის ნეშთი — მასზე ილოცეთ!-ო.

რა სწამდათ დიდებს, ქარიზმატულებს? — არც არაფერი! უხალისოდ ეაჯებოდა ალაჰს შაჰ აბასი და შექმნა სამეფო რომლის დროშები ავღანეთიდან არაბეთამდე ფრიალებდნენ.

თავზე როცა გვირგვინს დაიდგამ დაივიწყე დედ-მამა; და-ძმა; ცოლ-შვილი; ნათესავი; მოსადევარი; ენა; რწმენა; ვარსკვლავებით მოთვალული ცა; საკუთარი თავიც კი — უკლებლივ ყველაფერი და გახსოვდეს ერთადერთი — სახელმწიფო, რომელიც ჩაგაბარა ხალხმა!"

სულიერ განცდებით სავსე იყო მისი ბინა. ჯუჯღუნებდა საკუთარ თავით უკმაყოფილო, უპატრონო, უცოლშვილო, ლიტანი კაცი:" — დედაჩემი ამ საწოლზე აუტანელმა ტკივილმა მოკლა!"-ო.

ფანჯრის რაფაზე გატეხილი ბროლის საფერფლე შეენახა. მინდოდა გადამეგდო, არ დამანება. მე მხოლოდ ეს გამიტყდა, მეტი არაფერიო...

ვფიქრობდი: „он был послущным ребенком".

ოთახში საწერი მაგიდა, ძველმოდური სამზარეულო, წიგნების კარადები. თაროს ერთადერთი სალუქი ბეჭედი — გურამ რჩეულიშვილის ფოტო — ერთადერთი ფოტო.

„— როცა სუფრას მივუსხდებოდით, პაპაჩემი სუფრის თავში ჯდებოდა, მე მარცხნივ, გურამი მარჯვნივ, ასე ვნაწილდებოდით.

ჭიქებში ღვინის ჩამოსხმის შემდეგ სურას ყოველთვის თავსაცობს აფარებდა. პაპა კვირობდა, გურამი უსაბუთებდა: ბატონი ივანე! წესია! პილატეს ცრემლების სურნელი თავდახშული თუ არ იქნება — ამოქროლდებაო.

ალავერდობაზე არასდროს ყოფილა. იმ დღეს მე და გურამი ნეკრესში ვიყავით, ალაზანის ველს და ალავერდის ტაძარს გადავცქეროდით. მახსოვს, უძველესი ჯაჭვები. იმით, ალბათ, მსხვერპლს თანგავდნენ და მერე კერპს სწირავდნენ. ალავერდობისთვის შთაგონება რჩეულიშვილს ნეკრესში ეწვია!"

არა დარჩენოდა ქვეყანაზე მოგონებათა გარდა. ყველგან წერილების გროვა — იყალთოდან, სოხუმიდან, ყარაგანდიდან, პოდგაეციდან, ყირიმიდან, ტერნოპოლიდან, ბაქო-

დან, მოსკოვიდან — მისამართზე: ვარციხის 13.

წარსული სამუდამოდ წარსულია და ვერ დაიბრუნებ, ვერაფრით გააცოცხლებო. იქნებ სევდაცაა და საკუთარი უმწეობაცო, ეს გლახგულობის შეგრძნებაოო, მაგრძნობინა, სულის ღადარი უნავლდებოდა, ვინმეს მისი ცხოვრება უნდა შეეჯამებინა. "ვთავდები გესმის, კაცო, ვთავდები!"-ო და მივუჯექი მაგიდას, ვიკითხე წერილები, ვფურცლე დაუვიწყარი მოგონებები, ვაანალიზე ყველაზე მნიშვნელოვანი განცდილ-გადატანილი. ბარათები მოწერილი იდეალური შეყვარებულისათვის ჯულიეტებისაგან, ზღაპრულ მეფის ასულთაგან. უყვარდათ ქალებს, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე ხელი მოეცარა სიყვარულში, რომლის საძებნელადაც შორს, მდინარე ედილის ნაპირებისკენ გადაიხვეწა. მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნებულს კი თან მოაქვს ერთადერთი ნივთი — ავტოკალამი საჩუქრად გურამ რჩეულიშვილისათვის.

მომიახლოვდა მაგიდასთან თავდახრილს, ლოყაზე რბილად მიჩქმიტა:

„— რაზე ფიქრობ ახლა შენ? ბაზილიკებსა და ნასოფლარებზე? — წერილებს და ფოტოებს დახედა:

— არ იყვნენ ჩვენი ქალები ეფექტურნი. ისინი უფრო საბავშვო ბაღების ძიძებსა ჰგვანდნენ. მათ ყველაფერი თავის ადგილზე ჰქონდათ. იცოდნენ ზეპირად უამრავი ლექსი, ვუყვარდით ჩვენ. ჰო, საბავშვო ბაღის ძიძებსა ჰგვანდნენ".

თავის თაობის უჭკვიანესი პიროვნება გახლდათ, კაცთა შორის კი — ეული. მარტოდმარტომ იცხოვრა. სამწერლობო წრეებშიც მარტოხელად იცნობდნენ. ხალხს უყვარდა. არავინ უტევდა, არავის სძულდა, ალმაცერადაც არ უყურებდნენ. გამორჩევით გულღიას და მიამიტს სახეზე ღიმილი ხშირად დასთამაშებდა, გულისამაჩუყებლი მიმდობლობით შემომცქეროდა.

341 წელს ქალაქ სუზაში სპარსელებმა აწამეს და მერე ჯვარს აცვეს არისტოტელეს მოწაფე, ასოსელი ტირანი ჰერმია. ვიდრე ჯვარზე გააკრავდნენ, ჰკითხეს ნატანჯს: უკანასკნელი სურვილი ხომ არ გაქვსო?

„— გადაეცით ჩემს მეგობრებს, რომ მე ფილოსოფიის წინაშე არავითარი უღირსი საქმე არ ჩამიდენია"-ო, — უპასუხნია ჰერმიას.

არსენაშვილმა იუარა მეცნიერება. ვაპოტრონიკა ჯერ ისევ სიახლე იყო და მხოლოდ პარიზში. ვერც წითელარმიელის ფარაჯა მოიხდინა. იგი და დათო ჯავახიშვილი თანაკლასელის, გურამ რჩეულიშვილის გზას გაჰყვნენ და არც მათ ჩაუდენიათ უღირსი საქმე მწერლობის წინაშე.

განუსაზღვრელ შემოქმედებით ენერგიის და ძალზე ხასიათცვალებადის გვერდით ყოფნა დამღლელი იყო, მაგრამ არა მოსაწყენი. მის საწერ მაგიდასთან დაფიქრებულს კვლავ ინტელიგენტური აზრები ჩამესმა. ფრაზა მოედინებოდა თავისუფლად, მოკლე პერიოდებად დაყოფილი ენაცვლებოდნენ ერთმანეთს: სათათბირო, სამოსამართლო, ეპიდექტიკური, პათეტიკურნი, მიზანშეწონილნი და არასოდეს დაბალი სტილისა. თემა კონკრეტული, რიტორიკის ობიექტი გარკვეული. მსჯელობათა სიმკაცრე თემაზე: რაა მოსაწონი — დასაწუნი, მისაღები — უკუსაგდები:

"—რატომ იზრდიან ფრჩხილს ნეკა თითზე? — ეს, ალბათ, ცხვრის ან ყურის გამოსაჩიჩქნად სჭირდებათ".

„ — რატომ სჩვევიათ მისალმებისას მამაკაცებს ერთურთის პაჩი და მტლაშა-მტლუში? — დაე, კოცნა უნაზეს გრძნობებისათვის შეინახონ!"

კახეთის გზატკეცილზე დიდი ასოებით სწერია: "კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენ თავს ჰკითხე, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე". — ეს რაღა უბედურებაა ჩვენს თავს? ეს ხომ მეხუთე კლასში ვისწავლეთ, მაგრამ მერე განვვითარდით, წინ წავიწიეთ! ევოლუციას აღარაფერი განიცდის ამ თავაშვებულებითა და გარყვნილებით გამორჩეულ დროში!"

"—მაინც რა უცნაური ქალაქია თბილისი. იწყება პოლიციის შენობით, მთავრდება პოლიციის შენობით".

საბურთალოზე კაფეში დამპატიჟა, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ამბებზე მელაპარაკა:

„ის ომი ანტიკურობის ფესვიდან ამოზრდილმა ორმა სხვადასხვა ცნობიერებამ განაპირობა. მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია, აილუფხა..."

ხანდახან თვალები უსხივიანდებოდა. იმჟამად უბის წიგნაკში წერდა თავის ესთეტიკურ შეხედულებებს. ამ ჯერზეც კალამი მოიმარ-

ჯვა, გარეთ შხაპუნამ წამოუშინა, ნაწერისკენ თვალი გავაპარე:

„წვიმს არა, მირზა, წვიმს. შენ მაინც ვერ უპასუხე კითხვას — მაშინ რა მოხდა. იმ კომკავშირმა რამდენ მედროვეს უთანაგრძნო, უგულმტკივნეულა, პოეტს გიდედინაცვლა. შენ და რჩეულიშვილმა თავი რუსებს შეაკალით, ვინ დაგიფასათ?

კონსტანტინე სიმონოვის ქორწილში, იმას რაღა ექორწილებოდა, ყურით ბრაყი რომ აიტანე, გითხრა ირაკლი აბაშიძემ: დარჩი, საველე გამომცემლობაში ადგილს გაგიხერხებო, ჟინიანი იყავი და მაინც წინა ხაზზე ტყვიების წვიმაში წახვედი.

წვიმს არა, მირზა, წვიმს, დღემდე ვერ უპასუხე კითხვას — მაშინ რა იყო?!

იმათი დედაც! იმის დედაც და იმის დედაც!..

— კარლო, ვერ დაბეჭდავ!

— მადროვე კაცო!

იმის დედაც, ვინც ქართველი მწერალი ულუკმაპუროდ დატოვა, მის მიმართ სხვა ბოროტმოქმედებებსაც შეუწყო ხელი, ბიწიერების სენით დასნეულებულთა დედაც!"

მადლობას ვწირავ 87-ე საჯარო სკოლის დირექტორს დავით ჭეიშვილს — სასწავლებელში გაყიდული, კარლო არსენაშვილის თხზულებაში აღებულ 100 ლარით სიკვდილამდე ერთი თვით ადრე საბოლოოდ რომ დაპურდა მწერალი, უკანასკნელად დალია შავი ღვინო.

უშორეულეს მეხსიერებით ნაქსოვ არხეს პრობლემას მწერლის ფიქრი დასტრიალებდა სულიერ განცდებით სავსე მის სამკვიდრებელში.

სიგრძე სიგანით გამოიკვეთა სხვა უფსკრულიც, შედარებით თვალჩასაწვდომი, დედაღმერთების ღამარეთის, ქალდევის კალთებს როგორ სდიოდათ მიწისა თუ ხსენის ამბარი.

მყოვარხანია ქალდევის მიმართ ქალდეველის მზერა სუსტია, ბარბარესადმი ბარბაროს მწერლისა. კვლავინდებურად ვფიქრობ ბაზილიკებსა და ნასოფლარებზე. ისინი ჩემთვის პეიზაჟი როდია — შთაგონების ქეიფია, სულის ხუსტურია. მაგრამ შემოქმედი, ანთროპოლოგი, აპოლონური და ტრაგიკული, როცა გონების ძალით სიცოცხლის პრობლემას მიაყურადებს, ერთ გაზაფხულზე გაუკაცრიელებულში, სად პნევმა ჩემი გაილურსება, მისი გმირები მოვლენ, დასახლდებიან. ორღობეებში ანწლსა და გვიმრას გაჰკაფავენ, სახლებს ფათალოს შეაცლიან, წლობით გაუსხლავ ხეხილს გასხლავენ, სკოლას გახსნიან, ბაზილიკის ჩამონგრეულ კედელს აღადგენენ, კვლავ გზად იქცევა ნაგზაური, აღარ შეეკვრება მასზე გამვლელს სუნთქვა, წყაროს ჩუხჩუხი სევდას გაჰფანტავს, მეზობელი მეზობელს გასძახებს და ნასოფლარიც ახმაურდება.

ჟრიამულით ნაოტი ჩემი სპეკულატიკური ფიქრი ენიგმას კუდში გაედევნება. თავდაპირველად იგი ერთობ სარწმუნოდ მოეჩვენება. იმ სახელდებად როდი, ქართველებს მესხეთის ქვაბულებში დაკარგული მეფის ასულის გამოპასუხებად რომ დაუჭდევიათ გულზე: „აქ ვარ ძია"-ო.

ეგებ „აქ ვერძია!"

ერკემალთა მასაზრდოებელ ივლისოს ველს მესხეთში დავძებნი, სად უტანჯველი ცხოვრება ელით, მათ ელიზიუმს — თავს მახსენებს ვერძი-მამრის საკარცხლული და მიცუდდება გეში.

ვუბრუნდები კახეთს. იყალთოს სასაფლაოზეა არსენაშვილის სამარის ბორცვი. იქ ახლა, ალბათ, ცაცხვისა და კვიპარისების სუნშერეული ჰაერი ბრუნავს. როს ყურძენში თვალი შევა, ხილვას ვით დამამუნათებს სოფელმოსურვილებული და თბილისისკენ ტუსტუსით მომავალი ჩემი მოხუცი იყალთუელი, ოდნავ წინწახრილი, თითქოს ასაფრენად გამზადებული, ხელდამშვენებულიც — ღვინით კი არა — რძით, ნადუღით, ცოტა კვრინჩხით და ვარდისწყალით.

ვფიქრობ ხმამაღლა!..

ტიტიან ტაბიძე

ტიტიან ტაბიძის უსნობი ნაშრომები

ალექსანდრე ყაზბეგი (1848—1893) წარმოშობით მაღალი წრის წარმომადგენელი იყო. მამამისი იყო მხარის მმართველი და მთაში დიდ მამულს ფლობდა. მშობლებს ვაჟიშვილისათვის ბრწყინვალე განათლების მიცემა უნდოდათ. შინ თბილისიდან უცხოელი მასწავლებლები გამოიწერეს, ერთადერთ ვაჟიშვილს არნახულ ფუფუნებაში ამყოფებდნენ. მაგრამ მალე მამა გარდაეცვალა. ხელგაშლილ ცხოვრებას მიჩვეული მისი ოჯახი მალე გაღარიბდა და ასე შეწყდა მისი აღზრდა. დედას არ უნდოდა განათლების გარეშე დაეტოვებინა შვილი. ახალგაზრდა ყაზბეგი მიემგზავრება მოსკოვში და შედის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად. ქარაფშუტა ახალგაზრდამ ვერანაირ წარმატებას ვერ მაღწია მეცნიერებაში, დედას უკანასკნელი ფული გამოსტყუა, რაც ვითომ მდიდარ ქალზე დასაქორწინებლად სჭირდებოდა. მაგრამ მალე ეს დიდძალი ფული შემოეხარჯა და დაბრუნდა სამშობლოში.

მისი ბედი აქაც ცვალებადი იყო. იგი ვერსად მოეწყო, არ ჰქონდა პროფესია, ხან მსახიობობდა, ხან მენარდეობდა, ხან ღვინით ვაჭრობდა, ხან მეურნეობას მისდევდა და სამწყემსურში წავიდა. ამ დროს იგი დაუახლოვდა უბრალო ხალხს, რაც ბრწყინვალედ გამოიყენა თავისი რომანებისათვის.

ნაცნობები და ახლობლები ისე მიეჩვივნენ მასში უიღბლოს და მოყიალის ცქერას, რომ დიდხანს ვერ იჯერებდნენ, როგორ შეძლო ასეთი შესანიშნავი ნაწარმოებების დაწერაო. ასე იქმნება ლეგენდა, თითქოს ავტორი ყაზბეგის რომანებისა იყოს მისი ბიძაშვილი დიმიტრი ყაზბეგი, ბრწყინვალე გერმანული განათლების ადამიანი, გამოძევებული რუსული უნივერსიტეტიდან თავისუფალი აზროვნებისათვის, დიმიტრი ყაზბეგი მიემგზავრება საზღვარგარეთ და შედის ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის კურსის დასრულების შემდეგ ბრუნდება სამშობლოში და ცხოვრებას ფლანგავს დუქნებში საქართველოს სამხედრო გზაზე. თანამედროვეები მას დიდ ორიგინალად და ტალანტად თვლიდნენ, მაგრამ ერთადერთი მისი ნაბეჭდი ეთნოგრაფიული ნარკვევი მოხევეთა ცხოვრებიდან სრულიადაც ვერ წარმოგვიდგენს მას ნიჭიერ მწერლად.

მალე იგი გარდაიცვალა, თუმცა უცნაურ ვითარებაში. ალექსანდრე ყაზბეგი დაეპატრონა მის ქონებას, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ დიმიტრის არ დაუტოვებია დაწერილი რომანები, რომლებმაც შემდგომში ალექსანდრე ყაზბეგს შეუქმნეს დიდი სახელი. შემორჩნენ მოწმეები, თვითმხილველები იმისა, როგორ წერდა ალექსანდრე ყაზბეგი ჟურნალების რედაქციებში თავის რომანებს. ამას გარდა არსებობს უამრავი მითითება იმაზე, რომ რომანების ავტორი სწორედ ალექსანდრე ყაზბეგია. ამან ვერ შეუშალა ხელი მის ბიძაშვილს, დაეწერა მემუარები, სადაც ამტკიცებს, რომ ალექსანდრე ყაზბეგი დაეუფლა დიმიტრის ხელნაწერ რომანებს. ელისაბედ ყაზბეგის ეს მოგონებები თავისებურად ერთადერთია, როგორც ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები, სადაც ეპოქა აისახა მთელი სისრულით. ამ მემუარების მიხედვით ერთმა ახალგაზრდა სწავლულმა დაწერა დისერტაცია, სადაც იმეორებს ალექსანდრე ყაზბეგის თავდასხმის არგუმენტებს. ქართულ ლი-

დასაწყისი იხ. №3,4,5,6,7-2008

ტერატურაში მაინც მტკიცედ მკვიდრობს ვერსია ცნობილ ქმნილებათა ალექსანდრე ყაზბეგის კუთვნილებისა.

ალექსანდრე ყაზბეგის პირველმავე მოთხრობებმა მოხვეთა ცხოვრებიდან მიიქცია ყურადღება. გრიგოლ ორბელიანმა რომ წაიკითხა რომანი "მამის მკვლელი", ყაზბეგი ჰომეროსად გამოაცხადა, და მართლაც ყაზბეგმა თავის რომანებში გაშალა კავკასიის გრანდიოზული ეპოპეა. ვერავინ საქართველოში ვერც ყაზბეგამდე და ვერც მის შემდეგ ვერ შეძლო ასეთი ფართო ტილოების შექმნა. მისი რომანებით პირველად შემოვიდნენ ქართულ მწერლობაში მთიელები. მწყემსად ყოფნისას მან შეისწავლა მათი ყოფა. რომანებში აღებულია ეპოქა კავკასიის დამორჩილებისა. იცვლება მთიელების ცხოვრების ძველი ყაიდა. რუსები ერეკებიან მათ თავიანთი სამკვიდროდან, საფუძველში იმსხვრევა პატრიარქალური ურთიერთობები. დამპყრობელთა სისასტიკეს უერთდება სისასტიკე მოღალატეებისა და რენეგატებისა. ყაზბეგის მოთხრობების ზოგიერთი ადგილები თავისი შეკუმშულობით მოგვაგონებენ ტოლსტოის "ჰაჯი მურატს".

განსაკუთრებით ეხერხება ყაზბეგს ბუნების აღწერა. მშობლიურ მთებს შეზრდილი იგი პოულობს რაღაც მაგიურ სიტყვებს მთის პეიზაჟების გამოსახატავად. ამ მხრივ მას შეიძლება შეედაროს მხოლოდ ვაჟა-ფშაველა.

ზოგჯერ ავტორი ბიბლიურ სიმაღლემდე ადის. ეს მაშინ, როცა იგი აღწერს ჩეჩნების გადასახლებას თურქეთში. რუსის ჯარის მიერ მთებიდან გამოდევნილ ჩეჩნები იძულებულნი არიან დატოვონ სამშობლო და გადასახლდნენ მუსულმანურ ქვეყნებში, მაგრამ ეს დიდი გამოსვლა ხდება ტრაგიკულ პირობებში. ბუნება დასტირის ლტოლვილებს, უკანასკნელი ცრემლები ღვარად მოედინება, თარისა და ჭიანურის სევდიან ხმას ფარავს ტირილი და მოთქმა. ამ ფონზე მოთხრობაში "ელისო" აღწერილია ჩეჩენი ქალის სიყვარული ქართველი ვაჟიასადმი. მამა და სასიძო ედავებიან ერთმანეთს მშვენიერ ელისოს. ბრძოლა სიყვარულს გრძნობასა და მოვალეობის გრძნობას შორის უკიდურესობამდეა გამწვავებული. ასეთი კოლიზიები ყაზბეგთან ხშირია. მას ეხერხება გმირული ხასიათების ხატვა. მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი მწერლის ცხოვრებიდან. ესაა რომან "ელგუჯას" დაწერის ისტორია. თავიდან აღწერილი იყო ის ეპიზოდი, სადაც ელგუჯა, ნამდვილი ვაჟკაცი, კვდება მშობლიური მიწის დაცვისას. ეს საბედისწერო ორთაბრძოლა ისე ოსტატურად იყო აღწერილი, რომ ყაზბეგთან გამოცხადდა მბეჭდავი მუშების დეპუტაცია და სთხოვა, არ მოეკლა გმირი და განეგრძო რომანი. მან ასეც გააკეთა, გმირმა მოიშუშა ჭრილობები და შემდეგ მიდის აღწერა მისი გმირობებისა.

რუსული ადმინისტრაცია ძალმომრეობით სპობს თემის თავისუფლებას. მთიელები თავგანწირულად იცავენ თემის ღირსებას. მაგრამ ბოლოს და ბოლოს უნდა დანებდნენ და დაემორჩილონ ძალას. "ხევისბერ გოჩაში" ყველაზე უკეთ არის ნაჩვენები ეს კონფლიქტი თემსა და პიროვნებას შორის. გოჩა კლავს საკუთარ შვილს, რომ შეინარჩუნოს თემის ავტორიტეტი.

რა თქმა უნდა, ავტორი თავს ვერ აღწევს გაზვიადებას, რომანტიკული ბრწყინვალებისათვის იგი ხშირად ცოდავს სინამდვილის წინაშე, ხშირად აიდეალებს წარსულს, თავის გმირებს აჯილდოებს ყველანარი სიკეთით, ხოლო მათი მოწინააღმდეგენი გამოჰყავს პირწავარდნილ ავისმქნელებად. იგი არ მალავს თავის პესიმიზმს; ბნელეთის სამეფო ყოველთვის ზეიმობს, ბოროტება იმარჯვებს სიკეთეზე. მთიელი ხალხი თავისთავად არის დაჯილდოვებული ყველანაირი ზნეობით, მაგრამ გარეშე ძალა რუს დამპყრობთა სახით ანგრევს მის მორალურ სიწმინდეს და კეთილშობილებას.

რომანებს გარდა ა. ყაზბეგმა დაწერა უამრავი პიესა, ოდესღაც მასზე იდგა თეატრის მთელი რეპერტუარი. ბევრი პიესა სამუდამოდ დავიწყებულია, ბევრი სცენიდან დადგმის მეორე დღესვე ჩამოვიდა. ყველაზე დიდხანს იდგმებოდა ისტორული დრამა "კონსტანტინე ბატონიშვილი" და დრამა "არსენა", ბატონყმური ყოფიდან აღებული.

ასევე დაწერა მან ბევრი ლირიკული ლექსი, მაგრამ ისინი მალე მიეცა დავიწყებას. სამაგიეროდ მისი რომანები დღესაც აღელვებს მკითხველს და ათეულ ათასობით ვრცელდება.

მხატვრული ლიტერატურის მძლავრი აყვავება 60-იან წლებში უმთავრესად გამოიწვია ისეთი გამოჩენილი პოეტების ქმნილებებმა, როგორებიც იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. მათ გვერდით მოაბიჯებდნენ ნაკლები ტალანტის პოეტები. მათ არ შეეძლოთ ბოლომდე გამოეხატათ თავიანთი პოეტური არსი და ისევე დარჩნენ "ორმაგი ყოფიერების ზღურბლზე". ისინი დაკავშირებული იყვნენ რომანტიზმთან, მაგრამ მოესწრნენ მის აღსასრულს და ვერ შეძლეს რეალისტურ სკოლასთან დაკავშირება. რომანტიზმის ამ ეპიგონთაგან უნდა დავასახელოთ **მამია გურიელი, გიორგი ქოჩაკიძე (ჭალადიდელი)** და **ნინო ორბელიანი.**

მამია გურიელი (1836—1891) იყო გურიის მთავართა შთამომავალი. თავის ლექსში იგი ამბობს, რომ „მე სახელ-გვარად,

ვინ იყო მთავრად
მპყრობი გურიის,
ჩაქვ-აჭარისა,
ვგავარ მას, მარა
არვინ მამთავრა..."

სამაგიეროდ თავისი მაღალი წარმომავლობის შესახებ არ ავიწყდება სიცოცხლის ბოლომდე. აღზრდილმა ფუფუნებაში, მბრწყინავმა ვორონცოვის სალონში, ბოლოს სიცოცხლე დაასრულა რომელიღაც ქვრივის ქოხში, რომელმაც იგი შეიფარა.

ცხოვრება მისი ვერ აეწყო, საყვარელმა მეუღლემ, მშვენიერმა მელიქიშვილის ქალმა იგი ახალგაზრდობაში მიატოვა, ხოლო ერთადერთმა შვილმა კახაბერმა პეტერბურგში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. პიროვნული ბედის ყველა პერიპეტია მან გამოიტირა ლექსებში. მის ბაირონულ იმედგაცრუებას არ ჰქონდა თავისთავადი გამართლება. გურიელმა ვერ შეძლო სათქმელის ბოლომდე თქმა და ძლივს აიცილა "გამორჩენილთა და მივიწყებულთა" ხვედრი. თავის პოეზიაში მამია გურიელმა მაინც შეძლო გამოეხატა გურულის მხურვალე ტემპერამენტი. დროდადრო მას გამოსდიოდა სიმღერა მთელი ხმით.

რომანტიკოსთაგან მან აიღო მარადიული თემა ჭმუნვა-წუხილისა და პატრიოტული გზნება, მაგრამ ეს სიმღერა მანამდე იყო დამთავრებული და იგი შემთხვევით სამოციანელებთან მოხვდა.

მისი შედარებითი პოპულარობა აიხსნება მისი მაღალი წარმომავლობითაც, ლექსთა კითხვის ოსტატობითაც, რითაც აჯადოვებდა თანამედროვეებს. მის დიდ ქმნილებათაგან გამოირჩევა "რაშიდ ვარდან—ოღლი", მასვე ეკუთვნის შესანიშნავი თარგმანი ლერმონტოვის "დემონისა". იგი ერთი საღამოს განმავლობაში შეუწყვეტლად კითხულობდა პოემას ზეპირად. თითქმის მთელი მისი მსმენელი აუდიტორია იმეორებდა მის კვალდაკვალ პოემას, იმდენად უთავისებდა მათ თავის კითხვას.

მამია გურიელმა თარგმნა რამდენიმე სიმღერა "ჩაილდ ჰაროლდიდან" და "ილიადადან".

გიორგი ქოჩაკიძე-ჭალადიდელი (1848-1898) წარმოშობით მეგრელი თავადი იყო, მიღებული ჰქონდა სამხედრო განათლება პეტერბურგის საარტილერიო აკადემიაში. მსახურობდა რუსეთში. თავის ლექსებში იგი ცოცხლობდა ბავშვობის მოგონებებით. უცხოეთში მთელი სიცოცხლე შეიგრძნობდა სამშობლოს მონატრებას და ზოგიერთი ლექსი ამ ციკლისა დაწერილია ნამდვილი აღმაფრენით.

მწერლობაში იგი ჯერ კიდევ ჭაბუკი შემოვიდა და უცებ მიიპყრო ყურადღება მომხიბვლელი ლექსით "ფაცხა". ეს ლექსი დღემდე იმღერება ხალხში და შეუძლებელია მისი გამოცალკევება ხალხური შემოქმედებიდან.

მეორე ლექსი აღწერს ბიჭუნას, რომელიც ქალაქში წაიყვანეს სასწავლებლად. ლექსი გამსჭვალულია წრფელი გრძნობით. ადრე მისით იწყებოდა ქრესტომათიები. ყველამ იცოდა ზეპირად და მღეროდნენ. ასე რომ, გ. ქოჩაკიძე, ფაქტობრივად ორი კარგი ლექსის ავტორი, გადაურჩა დავიწყებას.

ფსევდონიმი მისი—ჭალადიდელი: ჭალადიდი დიდი ტბაა სამეგრელოში და მდებარეობს პოეტის საგვარეულო მამულში.

ნინო ორბელიანი, პოეტი, ლექსებით გამოვიდა სამოციან წლებში. თავისი შემოქმედების დასაწყისში იგი განიცდიდა უფროსი რომანტიკოსების გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის გავლენას , შემდეგ კი მოექცა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გავლენის ქვეშ. პირველთაგან მან აიღო ლირიკული ტონი, მეორეთაგან მოქალაქეობრივი მოტივები.

თვითმყოფადი ლექსები მას ცოტა აქვს, თუმცა იგრძნობა საკუთარი ინტონაცია. გაცილებით ძლიერია იგი აშუღურ ლექსებში და აქაც იგი საიათ-ნოვასა და მისი მიმდევრების გავლენას განიცდის. ქალური ინსტინქტით მან შეავსო ლექსის ეს გვარი, მიანიჭა მას ერთგვარი სიმწვავე.

ერთგვარი რეაქციის სახით არსებული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ტრადიციების წინააღმდეგ სამოციანელთა თაობის შემდეგ გამოდიან ქართველი ხალხოსნები, ე.წ. "ტეტიათა მოტრფიალეები". მათ მკაცრად გააკრიტიკეს თავიანთ წინამორბედები. კამათმა გაცილებით მკვეთრი ხასიათი მიიღო, ვიდრე უწინ, როცა სამოციანელთა თაობა თავის მხრივ ებრძოდა კონსერვატორებს. საქმე ისაა, რომ ოპოზიციას ახლა საქმე ჰქონდა უზარმაზარი საზოგადოებრივი და ლიტერატურული ავტორიტეტის მქონე მწერლებთან, თავისი პოზიციის არც თუ იოლად დათმობის მიდრეკილების მქონეებთან.

ქართველი ხალხოსნების პროგრამა საერთოა რუსი ნაროდნიკების პროგრამასთან. ისინი კეთილსინდისიერად იწერდნენ რუსულ თეზისებს და იყენებდნენ ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში. პროზაში დაწინაურებულ მწერალ-ხალხოსანთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან **ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ეკატერინე გაბაშვილი.**

ქართველი ხალხოსანი მწერლები უმთავრესად დაინტერესებული არიან ქართული სოფლით. მთელი მათი სიმპათიები მიმართულია დაჩაგრული გლეხობისაკენ. ბატონყმობის გაუქმებამ სრულიადაც ვერ მოსპო სიღატაკე

და მშრომელი გლეხობის დამონება. მებატონე კვლავ ძალაში რჩებოდა, რადგან ფლობდა მიწას და წარმოების იარაღებს. დაიწყო სოფლის დაყოფა: ძველ მებატონესთან ერთად მოდის შჩედრინისეული მდაბიო და კითხვაზე, "რა არის ჭეშმარიტება, პასუხობს წამღერებით და აგდებით..." ეს ახალი ტიპი ექსპლოატატორისა კიდევ მეტად მოაქცევს თავის მარწუხებში დამონებულ გლეხობას.

იბადება ახალი ტიპი ბურჟუისა. სავაჭრო კაპიტალმა დააკაბალა სოფელი და დაიწყო გლეხობის ფენებად დაყოფა. გაჩდნენ კულაკები და მებატონეზე უარესად დაასხდნენ კისერზე ღატაკთა მასებს.

ხალხოსნების ნაწარმოებებში ეს თემები მეტნაკლებად ვარირებს.

ნიკო ლომოურმა სხვებზე წარმატებით გამოხატა ხალხოსნურ იდეები. მისი მოთხრობები დაწერილია დახვეწილი ქართული ენით, გლეხური ცხოვრების დიდი ცოდნით. იგი სრულიადაც არ აიდეალებს გლეხობას, როგორც ასეთს, დაუნდობლად ამხელს ცხოვრების გრიმასებს, გლეხურ ცრუმორწმუნეობას, ეგოიზმსა და უმეცრებას. ყველა მისი მოთხრობა აღებულია აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობის ცხოვრებიდან. განსაკუთრებით კარგადაა დაწერილი მოთხრობები "ალი", "ქაჯანა"—ქრესტომათიების დამამშვენებლები.

სოფრომ მგალობლიშვილიც აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრია, მაგრამ სამსახურის გამო მას დასავლეთ საქართველოშიაც უწევდა ცხოვრება.. თემები მისი მოთხრობებისა უფრო მრავალფეროვანია. იგი ასევე მოიცავს სამღვდელოების ყოფას, შესანიშნავად იცნობდა ამ ყოფას; სასულიერო სემინარიის აღზრდილი იყო და სასულიერო კონსისტორიაში მუშაობდა. მწერალი ხატავს მკაფიო სცენებს როგორც სოფლის სამღვდელოების, ასევე არქიელთა ცხოვრებიდან.

გარდა მოთხრობებისა მან დაწერა მოგონებები ხალხში სიარულის შესახებ. მოგვცა ამ ეპოპეის მონაწილეთა, ასევე მისი თანამედროვე მწერლების ცოცხალი პორტრეტები.

ეკატერინე გაბაშვილი ასევე აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრია, მაგრამ წარმოშობით დიდი ფეოდალური გვარიდან. მის მოთხრობებში უფრო მეტად იგრძნობა "მონანიე აზნაური" ქალი. იგი ერთმანეთს უდარებს ქართველი გლეხისა და მაღალი წრის ქალებს. მას დახატული ჰყავს ბევრი ცოცხალი და ცხოვრებისეული ტიპი. მოთხრობა "მაგდანას ლურჯა" დაწერილია ილია ჭავჭავაძის "ოთარაანთ ქვრივის" გავლენით, თუმცა მაინც ახერხებს მწერალი თვითმყოფადი ხასიათი შექმნას ქართველი ქალისა.

განსაკუთრებით ეხერხება მას საბავშვო მოთხრობების წერა. ყველა ქართული საბავშვო ჟურნალი მისი მოთხრობებითაა სავსე.

ხალხოსანთა ამ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე **ანასტასია ერისთავი.** მან პირველმა სცადა დაეწერა რომანი "მოლიპულ გზაზე". რომანს ხმაურიანი წარმატება ჰქონდა და რამდენჯერმე გამოიცა. რომანში აღძრულია თაობის საკითხი, ასევე ქალის საკითხი. იგი დაწერილია საინტერესოდ, ავტორმა გამოამჟღავნა დაკვირვებულობა და გარკვეული ოსტატობა.

თაობა, რომელიც ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის კვალდაკვალ გამოჩნდა, ვერ ასცდა მათ გავლენას. როგორც დავინახეთ თვითდადგინება შეძლო მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ და შექმნა კიდეც თავისი სკოლა. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ამ პლეადიდან შეიძლება დავასახელოთ **გრიგოლ აბაშიძე, პარმენ ცახელი, განდეგილი, დუტუ მეგრელი** და **იოსებ დავითაშვილი,** მაგრამ ამ უკანასკნელს განსაკუთრებული როლის შესრულება მოუწია გლეხური პოეზიის შექმნაში. ამიტომ იგი ცალკე უნდა დავაყენოთ.

გრიგოლ აბაშიძე (1866—1903) იყო აკაკი წერეთელის უახლოესი მოწაფე, მაგრამ მისი სიცოცხლე ნაადრევად შეწყდა. მთელი თავისი სოცოცხლის მანძილზე, როგორც მორის როლინა, იგი განიცდიდა "ტანჯვას "ჯერაც უცნობი შეშლილობისა" და ბოლოსდა ბოლოს სიცოცხლე დაასრულა სულით ავადმყოფთა სახლში. იგი გარდაიცვალა პეტერბურგში და იქვეა დაკრძალული. მისმა უახლოესმა მეგობრებმა შეძლეს მისი ლექსების ერთი ტომის გამოცემა, თუმცა ბევრი ლექსი ვერ მოხვდა ამ კრებულში.

მამია გურიელის შემდეგ იგი ითვლებოდა თავისი და სხვისი ლექსების საუკეთესო წამკითხველად და ჰქონდა განსაკუთრებული უნარი იმპროვიზაციისა. მისი ლექსები არიან მუსიკალური და საერთოდ მოკლებული არიან საკუთარ ჰანგს. მაგრამ ძირითადში იგი იმეორებს აკაკი წერეთელსა და იმ ფრანგ პოეტებს, რომლებსაც ბევრს და სიამოვნებით თარგმნიდა, მათ შორის ვიქტორ ჰიუგოსა და სიული პრუდომს.

პარმენ ცახელი—თვალჭრელიძე ასევე ერთი უახლოესი მოწაფეთაგანია აკაკი წერეთლისა. ახალგაზრდობაში იგი დიდ იმედებს იძლეოდა. მას ვაჟა-ფშაველასაც კი უპირისპირებდნენ, მაგრამ შემდგომ დანებდა და სამუდამოდ აკაკის ეპიგონად დარჩა. იგი გრძნობდა რაღაც საბედისწერო მარტოობას, გაურბოდა საზოგადოებას, ადრე დაკარგა რწმენა რევოლუციური მოღვაწეობისა და ნელ-ნელა ქრებოდა. სულ ახლახან მოკლული იქნა ყაჩაღების მიერ თავის მამულში, სადაც იგი მეურნეობას ეწეოდა.

მისი ლექსები და პოემები ბევრჯერ გამოი-

ცა ცალკე წიგნებად და ჩქარა ვრცელდებოდა, მაგრამ მისი ლექსების სრული კრებული დღემდე არ არსებობს. თავისი ცხოვრების საგმირო საქმედ იგი თვლიდა "ჩაილდ ჰაროლდის" თარგმნას, მაგრამ სიკვდილის შემდეგ მის ქაღალდებში პოემის თარგმანი ვერ იპოვეს.

დომინიკა ერისთავი—განდეგილი ნიჭიერი პოეტია იმავე სკოლისა. რამდენად მოახდინა აკაკი წერეთელმა ქართული ლექსის რეფორმა და გახადა ხალხური, ეს შეიძლება დავინახოთ მისი მონაფეების ლექსებით. მათგან დომინიკა განდეგილი განსაკუთრებით გამოირჩეოდა. მაგრამ არც ნიჭს, არც ქალურ ინტუიციას არ შეეძლო მისი ამაღლება ეპიგონებზე. თუმცა თითქმის ჩვენს დრომდე იცოცხლა და ახალი სკოლების გავლენაც განიცადა.

ლექსების გარდა განდეგილი წერდა მოთხრობებს. ბევრი მათგანი არ ჩამოუვარდება აღიარებულ ბელეტრისტთა მოთხრობებს, მაგრამ მაინც მას არ ჰქონდა საკუთარი საყრდენი და ბოლომდე ვერ შექმნა საკუთარი სტილი.

მან თარგმნა გრიბოედოვის "ვაი ჭკუისაგან". მეორედ პიესის თარგმანი გამოსცა საქართველოს სახელგამმა ამა წლის თებერვალში, გრიბოედოვის გარდაცვალების ასი წლის აღსანიშნავად. მაგრამ წიგნი მან ვეღარ იხილა, ისე მოკვდა კორექტურით ხელში.

იოსებ დავითაშვილი (1850—1887) გლეხური პოეზიის წარმომადგენელია. იგი ღარიბი გლეხის ოჯახიდან იყო. ადრე დაობლდა; უფროსმა ძმამ თბილისში ჩამოიყვანა, სადმე შეგირდად მოსაწყობად. მაგრამ მალე თბილისიდან გორში გაიქცა და ხუროსთან დადგა. აქედან იგი თავად ციციშვილთან აღმოჩნდა, მაგრამ ძმამ გამოისყიდა სასტიკი ბატონისაგან, უკან თბილისში დააბრუნა და ოქრომჭედელს მიაბარა. დაოსტატების შემდეგ დიდხანს დაეხეტებოდა უმუშევრად. გამოსცადა შიმშილი და უსახლკარობა. ბოლოს და ბოლოს თელავს გადავიდა, სადაც ხელოსანთა ამხანაგობა დააარსა. აქაც ბევრი წვალება მოუწია. მისი გამოფიტული ორგანიზმი ბოლოს შეირყა და გარდაიცვალა ფილტვების ანთებით ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა. ამ დროისათვის მან უკვე მოასწრო სახელის მოპოვება მწერლობაში.

პოეტის სიკვდილს გამოეხმაურნენ ქართული პოზიის კორიფეები აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. ამ უკანასკნელის სიტყვამ, რომელიც შემდეგ გაზეთებში დაიბეჭდა უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ცხოვრებიდან წავიდა სრულიად გამორჩეული სახალხო პოეტი, რომელმაც ჯერ ვერ მოასწრო მომწიფება და თავისი სიტყვის თქმა. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ის, რომ დავითაშვილი გლეხობიდან იყო გამოსული. ეს კი ქართულ მწერლობაში პირველი შემთხვევა იყო, როცა გლეხკაცი ქართულ მწერლობაში მოდიოდა.

იოსებ დავითაშვილი, რასაკვირველია, ბევრით არის დავალებული ორივე პოეტისაგან, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისაგან. მაგრამ ის, რასაც ეს პოეტები მშრომელებისადმი თანაგრძნობით პარნასული სიმაღლიდან უმღეროდნენ, მან მთელი თავისი ცხოვრებით განიცადა და ამიტომ მისი ხალასი ხალხურობა ყველასათვის თვალში საცემი იყო. ამ პოეტებისაგან მან გადმოიღო პატრიოტული ლირიკა, თუმცა მისმა კლასობრივმა ინსტინქტმა მაინც პოვა თავისი გამოხატვა, ხოლო ბოლოს შეგნებული კლასობრივი საფუძველიც. იგი თავად უმღერის თავის თავს, ღარიბ გლეხკაცს, თავის ბედკრულ ბედს. მაგრამ წამს, რომ მომავალი ეკუთვნის მშრომელთა კლასს.

ზოგიერთი მისი ლექსი არ ჩამოუვარდება კლასიკოსთა შედევრებს. დაბეჭდვის მეორე დღესვე ისინი მთელ საქართველოში იმღერებოდა და მისი სახელიც იზრდებოდა.

თავის საუკეთესო ლექსებში ი. დავითაშვილი იღებს უფროსი პოეტების თემებს და თავისებურ ვარიაციებს მიმართავს.

ი. დავითაშვილის გამოჩენა მოასწავებდა აღმავალი კლასის მოსვლას. ამას გრძნობდნენ აკაკი წერეთელიც და ილია ჭავჭავაძეც. ისინი მიესალმებოდნენ სწორედ ამ აღმავალ კლასს.

ამიტომ ი. დავითაშვილი ითვლება დემოკრატიული პოეზიის ფუძემდებლად. მოგვიანებით მარქსისტი კრიტიკოსები მასში ხედავდნენ პროლეტარული მწერლობის ჩანასახს.

ახლახან სახელგამმა გამოსცა მისი ლექსების სრული კრებული რომელშიც შევიდა ორმოცამდე ახალი ლექსი, თავის დროზე ცენზურის მიერ დაყადაღებული.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა ზრდამ და ბრწყინვალე წოდების დაისმა XIX საუკუნის ბოლოს წამოწია მწერალი **გიორგი წერეთელი.** მან პირველმა შექმნა სოციალური რომანი და არის ფუძემდებელი ნატურალიზმისა.

ამ მწერლის ბედი ცოტა თავისებურია.

გიორგი წერეთელი (1842—1900) სამოციანელთა თაობას მიეკუთვნება. თავისი აღზრდითა და შეხედულებებით იგი ამ წრის აქტიური წევრი იყო. მათთან ერთად გამოდიოდა, ერთ ჟურნალში მოღვაწეობდა. ბოლოს, როცა სხვები შედგნენ, მან დამოუკიდებელი გამოსავალი გამოძებნა. მეგობრებსა და უახლოეს თანამედროვეებს დიდხანს ვერ გაეგოთ მისი მეტამორფოზა, მწარედ ადანაშაულებდნენ, რენეგატობას აბრალებდნენ, ბოლოს იძულებულნი გახდნენ ანგარიში გაეწიათ ფაქტისათვის. თავიდან

კი იგი გამოირჩეოდა თავის მეგობრებს შორის, უფრო სოციალურ თემებს ეტანებოდა.

გიორგი წერეთლის სიახლოვემ და ნათესაობამ 60—იანელთა ეპოქის გამოჩენილ კრიტიკოსთან და პუბლიცისტთან ნიკო ნიკოლაძესთან მასზე გავლენა მოახდინა. ისინი ორივენი მიეკუთვნებოდნენ რაციონალისტურ ჯგუფს და თავიდანვე მოუვიდათ კამათი თავიანთ თანამებრძოლებთან პოლიტიკურ საკითხებზე. ისინი უფრო რადიკალიზმს ემხრობოდნენ და სოციალისტურ იდეებს იცავდნენ მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძის ჯგუფი ლიბერალიზმიდან მარჯვნივ მიექანებოდა.

ბოლოს და ბოლოს კონფლიქტი იმდენად მომწიფდა, რომ მეგობრები საპირისპირო ბანაკებში აღმოჩნდნენ, მაგრამ გ. წერეთელი სიცოცხლის ბოლომდე განიცდიდა დუალიზმს. მასში კვლავაც ცოცხლობდა არქეოლოგი და პატრიოტული გზნება არ ცხრებოდა. თავის ჟურნალში 90—იან წლებში იგი ბეჭდავდა დამწყები მარქსისტების წერილებს. თავადაც იხრებოდა მარქსიზმისაკენ. იმავე დროს ბეჭდავდა ქართველ წმინდანთა ფრესკებს, ეკლესიათა ნანგრევებს და მოუნოდებდა წარსულის იდეალიზებისაკენ.

ყველაზე მეტად პროზაში თქვა თავის სათქმელი. მისი რომანები მთლიანია და დაწერილია ნატურალისტური სკოლის ყველა ნიშანთვისების შესაბამისად.

გიორგი წერეთლის სოციალურ რომანებში აღძრულია მიმდინარე პოლიტიკის ყველა აქტუალური საკითხი. სავაჭრო კაპიტალის გამოჩენა აღწერილია რომანში "პირველი ნაბიჯი". ამ რომანში გამოყვანილი ტიპები დღემდე შემორჩნენ როგორც საზოგადო სახელები, განსაკუთრებით ბახვა ფულავა, პირველი მდაბიო ქართულ მწერლობაში.

მხატვრულად და სიმართლით არის აღწერილი კაპიტალის შემოტევა და სოციალურ ურთიერთობათა რღვევა. მოქმედება რომანში მიმდინარეობს ქალაქ ფოთში, პორტში პირველი უცხოური გემის გამოჩენის მომენტიდან.

სხვა რომანებში—"კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა" და "ჩვენი ცხოვრების ყვავილი" აღწერილია თავადაზნაურული კლასის მწუხრი. პირველი რომანი დაწერილია სატირულ ტონში. მწერალი დასცინის უსაქმურ ჩინოვნიკებს, აზნაურებს; მეორე რომანში დახატულია მაღალი წრის წარმომადგენელთა შვილების მოწაფეობის წლები.

უმაღლეს მხატვრულ სიმაღლეს და გარკვეულობას მან მიაღწია მოთხრობებში "რუხი მგელი" და "მამიდა ასმათი". აქ იგი ჭეშმარიტი მხატვარია, რომელსაც ესმის სიტყვის ჭეშმარიტი ძალა. ეს თემები ამიტომ არაერთხელ ვარირებდა ქართულ პროზაში.

გიორგი წერეთელმა პროზაში სათავე დაუდო ორ მიმართულებას—სოციალურ რომანს ავითარებს **ეგნატე ნინოშვილი**, ხოლო აზნაურთა მწუხრს ამუშავებს **დავით კლდიაშვილი**.

თვალსაჩინო მარქსისტი მწერლის ეგნატე ნინოშვილის ბედის განსაზღვრაში გ. წერეთელმა უზარმაზარი როლი ითამაშა. მან პირველმა დაიწყო მისი ბეჭდვა და იგრძნო რა მისი განსაკუთრებული ნიჭი ყველანაირად ცდილობდა მის ხელშეწყობას. თუმცა მან თავის უმცროს მეგობარზე მეტხანს იცოცხლა. ე. ნინოშვილის დაკრძალვა გ. წერეთელმა და ჟურნალ "კვალის" ახალგაზრდა თანამშრომლებმა მოაწყვეს. დაკრძალვა ახალგაზრდა მარქსისტების მანიფესტაციაში გადაიზარდა.

გურიის მიყრუებულ სოფელში ე. ნინოშვილის საფლავზე გამოცხადდა "მესამე დასის"—ქართველ სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის დაარსება. სამგლოვიარო სიტყვა გ. წერეთელმა თავის ჟურნალ "კვალში" დაბეჭდა. თვითონ ერთგვარი სულიერი მოძღვარი იყო ამ "ჰანიბალის ფიცისა."

გ. წერეთლის ძველი მტრები განსაკუთრებით ვერ პატიობდნენ მას მარქსისტების ახალი თაობის მფარველობას და ატყდა საჟურნალო ალიაქოთი, მით უფრო, რომ ახალგაზრდა მარქსისტები თავად ეძებდნენ მიზეზს ლიტერატურული ბრძოლისათვის.

შემდგომში გ. წერეთელმა ჟურნალი გადასცა თავის ახალგაზრდა თანამშრომლებს და "კვალი" გახდა ოფიციალური ორგანო "მესამე დასელებისა", მარქსიზმის ფუძემდებლებისა საქართველოში.

თარგმნა
თემურ ჯაგოდნიშვილმა

დასასრული იქნება



ზურაბ კოპაძე

„ყველგან მაინც თბილისელი ვიყავი“

ენრიკო ჯანელიძე

დღეს, როდესაც საქართველოს ტელე და რადიოკომპანიათა დიდი ნაწილის საეთერო სივრცე აივსო მდარე ხარისხის ყოვლად უგემოვნო, ხშირად კი უხამსი "სიმღერებით", როდესაც ამავე "სიმღერებს" მოსდევს მათი შესაფერისი კლიპები, როდესაც ეს "შედევრები" ჯილდოვდება ხოლმე სხვადასხვა სახის პრემიებითა თუ პრიზებით და, საუბედუროდ, ეს ხდება ავტორებისა და შემსრულებლების თინეიჯერი მეგობარი თანატოლების ე.წ. sms-ების წყალობით, როდესაც "მრავალჟამიერის", "ჩაკრულოს", "თბილისოს", "სულიკოს" შემქმნელი ერის შვილების საკმაოდ დიდი წრე უსმენს "მოდი აიწიე კაბა"-ს და "სამი დალიე"-ს, როდესაც ვანო სარაჯიშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, ჰამლეტ გონაშვილის, ნანი ბრეგვაძის, დები იშხნელების, თემურ წიკლაურის და ქართული ჰანგების სხვა დიდოსტატ შემსრულებელთა მშობელი ხალხის ახლანდელი თაობის ანგარიშგასაწევი რაოდენობის ჯგუფი ტაშს უკრავს საზღვარგარეთელი მომღერლების უნიჭოდ მიმბაძველ, ყოველგვარი ეროვნულის უარმყოფელ, სოკოებივით მომრავლებულ საეჭვო დონის სტუდიებში გამოჩეკილ "ვარსკვლავებს", როდესაც, როგორც ამბობენ, გარკვეული თანხის საფასურად ზოგიერთი ტელევიზია თუ რადიო რეკლამას გაუწევს ნებისმიერ უხარისხო მუსიკალურ (ან არამუსიკალურ) პროდუქციას, მსურს თავი ვინუგეშო და ჭეშმარიტი ხელოვნების თაყვანისმცემლებიც დავამშვიდო იმით, რომ, საბედნიეროდ, ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით „ომს უცხადებენ“ ყოველივე ზემოჩამოთვლილს და, მადლობა ღმერთს, გამარჯვებულნიც არიან, რადგან ნამდვილ ხელოვნებას, ხალას ნიჭს ვერავინ და ვერაფერი მოერევა.

ზემოაღნიშნული ჩემი გულისტკივილის გამო, შესაძლოა, ბევრი შემეკამათოს იმ ცნობილი ფრაზით, თითქოს ყოველივეს რომ გაამართლებს: გემოვნებაზე არ დაობენ!... მე დავას და კამათს არც ვაპირებ, მხოლოდ პირადი დამოკიდებულება გამოვხატე, რისი უფლებაც ჩემთვის ჯერჯერობით, არავის ჩამოურთმევია და რაც მთავარია, კამათი და დავა არ წარმოადგენს წინამდებარე სტატიის დაწერის მიზანს.

მე მაინც მსურს წარმოგიდგინოთ ერთი ჩუმი, უპრეტენზიო, თავმდაბალი, სამოცსმიტანებული შემოქმედი კაცი, რომელიც უსაზღვროდ გახლავთ შეყვარებული თავის ქვეყანაზე, თავის ქალაქზე, ოჯახზე, მეგობრებზე და, განსაკუთრებით, თავის საქმეზე. მისი საქმე კი სიმღერაა. მე მას კარგად ვიცნობ და გარწმუნებთ, რომ სიმღერისთვის იგი მზადაა დათმოს უამრავი რამ და ამას "სიტყვის მასალად" არ მოგახსენებთ. ამას მისი ბიოგრაფია, მისი ცხოვრების წესი ადასტურებს. მე არ ვიცნობ სხვა პიროვნებას, რომელსაც შეუძლია საკუთარი სურვილით, საქმის (სიმღერის) სიყვარულის გამო დათმოს მისთვის უძვირფასესი — სამშობლო, ოჯახი, მეგობრები — მოცილდეს მათ და თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში არაერთხელ, "სიმღერ-სიმღერით", სხვადასხვა ლაინერით შემოიაროს მსოფლიო, "სიმღერ-სიმღერით" გადასეროს ზღვები, ოკეანეები, დაბრუნდეს და სიამაყით განაცხადოს: ყველგან მაინც თბილისელი ვიყავი... მე ისევ თქვენთან ვარ!

თბილისი... სოლოლაკი... ამაღლების ქუ-

ჩან... ერთი ჩვეულებრივი ძველთბილისური სახლი, რომლის ერთ-ერთ ბინაში გამეფებულია დიდი სიყვარული, ერთგულება, გამტანობა, უღალატობა და... მუსიკა. რატომ? იმიტომ, რომ აქ ცხოვრობს ყველა ზემოჩამოთვლილ თვისებათა მატარებელი კაცი — მომღერალი ენრიკო ჯანელიძე. კაცი ლეგენდა!

ენრიკო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. პარალელურად კი დედაქალაქის საესტრადო სასწავლებელში. უნივერსიტეტში დაიწყო მისი, როგორც მომღერლის, შემოქმედებითი გზა — 1967 წლიდან 1973 წლამდე მაშინ ახალგაზრდა, დღეს კი ცნობილი მომღერლისა და ლოტბარის თემურ ქევხიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი თსუ-ს ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის სოლისტი იყო. როგორც ვიცი, ბატონმა თემურმა სწორედ ამ ანსამბლით ბრწყინვალედ დაიცვა დიპლომი ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და მისგანვე გამიგია, რომ ამაში ჩვენი სტატიის გმირს დიდი წვლილი მიუძღვის. ასეთივე წარმატებით წარმოჩინდა ენრიკოს შემოქმედებითი ნიჭი და მრავალმხრივობა უნივერსიტეტის საესტრადო ანსამბლის (ხელმძღვანელი ნუგზარ ედილაშვილი) სოლისტობისას. ამ პერიოდს მომღერალი განსაკუთრებული სითბოთი იგონებს. წლები ძიებისა, ჩამოყალიბებისა და წარმატებებისა.

1970 წლიდან, როგორც უკვე გამოცდილ ახალგაზრდა მომღერალს, ენრიკო ჯანელიძეს იწვევენ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ისეთ ცნობილ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლებში, როგორიც გახლდათ "არმაზი", "სალაღობო", "ოროველა", "ლალე"... ეს უკანასკნელი მომღერლისთვის გამორჩეულია, რადგან სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი მის დიდ მეგობრობას საესტრადო ხელოვნების დიდ ამაგდართან, ჩვენი დედაქალაქის კოლორიტთან, "ლალეს" მაშინდელ ხელმძღვანელ, აწ გარდაცვლილ ედუარდ სეფაშვილთან. დღეს კი ამ არაჩვეულებრივ ურთიერთობას ენრიკო და ბატონი ედუარდის ვაჟი, ცნობილი მომღერალი მერაბ სეფაშვილი აგრძელებენ. მერაბი თვითონვე აღნიშნავს მეგობრობას ენრიკოსთან, რომ მისგან ბევრი რამ შეიძინა, როგორც მომღერალმა. ზემოხსენებული ანსამბლი "სალაღობო" ენრიკო ჯანელიძის "შვილობილი" გახლავთ. 1976 წ. ენრიკომ შეკრიბა ასევე სრულიად ახალგაზრდა მუსიკოსები — ინგა ფერაძე, ვალერი კოჩაროვი, დავით შუშანია, ნუგზარ ერგემლიძე, სათავეში ჩაუდა მათ და შექმნა ისეთი დონის მუსიკალური კოლექტივი, რომელიც სულ მალე აშშ-ში, კერძოდ ახალ ორლეანში ჯაზის სამშობლოში მიიწვიეს, მიწვევა ამერიკაში განაპირობა ანსამბლის და კერძოდ ენრიკო ჯანელიძის მრავალენოვანმა, მრავალფეროვანმა რეპერტუარმა.

როგორც მოგეხსენებათ, "გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ჩვენი ესტრადა გაჟღენთილი იყო საბჭოთა, ე.წ. "სამამულო სიმღერებით". ეს გახლდათ "რკინის ფარდის" პერიოდი. ენრიკო ჯანელიძემ, თავის მხრივ, პროტესტი გამოთქვა და ეს პროტესტი საკუთარი შემოქმედებით, რეპერტუარში "აკრძალული, ტაბუ დადებული სიმღერების" შეტანით გამოხატა..." ეს სიტყვები პოპულარულ ქართველ მსახიობს, გია ბურჯანაძეს ეკუთვნის. სრული ჭეშმარიტებაა და ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ენრიკო ამ რეპერტუარს ასრულებდა არა "იატაკქვეშეთში", არამედ დიდ სცენებზე, როგორც ფილარმონიის სოლისტი სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ქალაქებში. აქვე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არასოდეს ენრიკო ჯანელიძე მაყურებელის წინაშე არ წარმდგარა ე.წ. "პლიუს ფონოგრამით", ანუ, მას არასოდეს "მოუტყუებია" მსმენელი. ის მღერის მუდამ "ცოცხლად", რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის ღრმა პატივისცემას აუდიტორიისადმი და მაღალ პროფესიონალიზმს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ენრიკოს მიერ შესრულებული ამა თუ იმ ჟანრის საზღვარგარეთული ნაწარმოების მოსმენისას, ვრწმუნდებით, რომ ეს გახლავთ ქართველი

კაცის ნამღერი უცხოური სიმღერა და არა უბრალო მიბაძვა — იმიტაცია. როგორც ბატონი რევაზ მიშველაძე აღნიშნავს, ენრიკო ჯანელიძე არის ქართველი მომღერალი, რომელშიც ეროვნული სტილი შერწყმულია მსოფლიოს მუსიკალურ აზროვნებასთან, რომ ენრიკომ მოჭრა თავისი მონეტა, როგორც მაღალპროფესიონალმა მუსიკოსმა.

სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებები ვახსენეთ. მართლაც, წარმოუდგენელია უამისობა, როდესაც რეპერტუარში ქართულის გარდა მსოფლიოს ხალხთა 1000-მდე მრავალენოვანი სიმღერა აქვს ხელოვანს და ყველა მათგანს თავისებური სტილით, ისეთი მანერით ასრულებს, იმ ნაწარმოებს და იმ ქვეყანას რომ შეეფერება. მისივე გემოვნებით შერჩეული კოსტიუმებითა თუ აქსესუარებით ყოველივე ამან დიდი გამარჯვება მოუტანა შემოქმედს. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მე ხშირად მომისმენია ენრიკოს მიერ ნამღერი ნეაპოლიტანური სიმღერები. ჩემეული შეფასებით თავს არ შეგაწყენთ. ცნობილი ისტორიკოსი, ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი, ბატონი გოგი დემეტრაძე იხსენებს: 1990 წლის იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციასთან ერთად გავემგზავრე. სხვა ცნობილ პიროვნებებთან ერთად ამ ჩემპიონატზე დათო ყიფიანიც გახლდათ. თბომავალი "ტარას შევჩენკო" გვემსახურებოდა, სადაც ენრიკო თავის ანსამბლთან ერთად მოღვაწეობდა. ენრიკომ მაშინვე ითავა მასპინძლობა. ზუსტად მახსოვს, 18 ივნისი იყო — დათო ყიფიანის დაბადების დღე ნეაპოლი საღამოს ტავერნის წინ, ქუჩაში "ქართული სუფრა" გაიშალა. ტრადიციულად ქართული სიმღერაც დავაგუგუნეთ. ირგვლივ მყოფი იტალიელები თავიდან ყურადღებით გვიყურებდნენ, ხოლო, როცა ენრიკო იტალიურად ამღერდა, არნახული აჟიოტაჟი ატყდა. აღფრთოვანებული ნეაპოლელები და ქალაქის სტუმრები ჯერ გარშემო დაგვტრიალებდნენ, ბოლოს კი ჩვენს მაგიდას შემოუერთდნენ და დილამდე არ მოგვშორებიან. შთამბეჭდავია, ვერასდროს ვერ დავივიწყებ ასეთ ქართულ-იტალიურ ქეიფს.

ეს ქეიფი ასევე დაამშვენა ბატონების — ვ. მაჭავარიანის გ. კალანდაძის დ. ცქიტიშვილის ტრიომ და მათმა სიმღერებმა. გამორჩეული ურთიერთობა აქვს ენრიკო ჯანელიძეს ქართველ მწერლებთან. 1976 წელს თბილისში, როდესაც მან პირველად შეასრულა შვედური ანსამბლი **„RUBITS"** ცნობილი სიმღერა "shugar baby Love" მსმენელთა შორის იყვნენ ნონა გაფრინდაშვილი, იპოლიტე ხვიჩია, ზურაბ საკანდელიძე და ჯანსუღ ჩარკვიანი. სიმღერის შესრულებით აღფრთოვანებულმა ბატონმა ჯანსუღმა მომღერალს "კარუზო" უწოდა. მისი შემოქმედებით მოხიბლული ბატონი იოსებ ნონეშვილი ბინის მიღებაში დახმარებას შეპირდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. ბატონი ილია რურუას რეკომენდაციით კი მომღერალი თბომავალ "მაქსიმ გორკიზე" მიიწვიეს, სადაც იგი თითქმის 5 წელი მოღვაწეობდა. გურამ ფანჯიკიძემ ენრიკოს მისი მრავალწლიანი საზღვაო მოგზაურობათა გამო "ქართველი მაგელანი" უწოდა. განსაკუთრებით ამაყობს მომღერალი ბატონ მურმან ლებანიძესთან მეგობრობითა და თანამშრომლობით: ენრიკოს რეპერტუარშია სიმღერა "ცოტა სიყვარული კმარა", რომელიც ენრიკომ და გია მაჭარაშვილმა სწორედ ბატონი მურმანის ლექსზე შექმნეს. ენრიკოს მრავალი წლის შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ანსამბლ "ორერასთან" 90-იანების შუა წლებიდან. ანსამბლის ხელმძღვანელი გენო ნადირაშვილი აღნიშნავს, რომ ენრიკოს ყოველი სიმღერა არის პატარა სპექტაკლი მშვენიერი სიმღერით და შესაფერისი აქსესუარებითა თუ კოსტუმებით, რომელმაც მას დიდი სიყვარული და აღიარება მოუტანა.

ამ ბოლო წლებში მომღერალმა ოთხი მუსიკალური კლიპი შესთავაზა ტელემაყურებელს **"როკ-ენ-როლის პოპური", "ბონა სერა", "ბებერი მეარღნე", "ბუი-ბუი-ბუი".** საქმე ის გახლავთ, რომ ოთხივე მათგანის რეჟისორი თავად ენრიკოა. ისიც ვიცი, რომ ზოგჯერ შემოქმედებით წინააღმდეგობებსაც წააწყდება ხოლმე, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც მისეული ვარიანტი რჩება კლიპში. ერთი შემთხვევა მახსენდება:

"როკ-ენ-როლების" კლიპში მომღერალს მხარს უმშვენებდნენ სამეჯლისო ცეკვების სახელგანთქმული სტუდია "თელას" წევრები, თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეების ხელმძღვანელობით. როდესაც ენრიკომ "ბონა სერას" გადაღება განიზრახა და ბატონ თენგიზს თანამშრომლობა კვლავ შესთავაზა, ამ უკანასკნელმა პირველ ეტაპზე თავი შეიკავა — ვერ დაინახა მისი სტუდიის მოცეკვავეთა ადგილი გადასაღებ კლიპში, მაგრამ ენრიკოს



დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ დათანხმდა და... ერთი თვის შემდეგ კლიპის პრეზენტაციაზე ბატონი თენგიზი, უამბობს რა დამსწრეთ ზემოხსენებულ ამბავს, შეფასებისას ბრძანებს: ენრიკო, შენ გაიმარჯვე. ბრავო! კლიპში **„Bui Bui Bui"** — მომღერალს დიდი დახმარება გაუწია პანტომიმის თეატრის დირექტორმა, ენრიკოს დიდიხნის მეგობარმა ამირან შალიკაშვილმა თავის დასსთან ერთად, რომელსაც ასევე დიდი წარმატება ხვდა წილად.

2004 წელს ენრიკო გადაიღეს ტელეკომპანია 202-ის სერიალში "მაკენას ოქროში" მთავარ როლში.

ვფიქრობ, საინტერესოა იმის ახსნა, თუ რამ შეიძლება ადამიანს შეჰმატოს ძალა საიმისოდ, რომ ხანგრძლივად გაემგზავროს უცხოეთში, მათსავე ენაზე უმღეროს ამა თუ იმ თბომავალზე ტურისტად მყოფ უცხოელს, ყოველ საღამოს მიანიჭოს მათ სიამოვნება და, მიუხედავად ამ დამქანცველი შრომისა, თვითონაც ნასიამოვნები დარჩეს.

ბუნებრივია, ერთმა მომღერალმა არ შეიძლება იცოდეს მსოფლიოს ყველა ხალხის ყველა სიმღერა. სწორედ ამაშია ენრიკოს საიდუმლო. მიიღებდა თუ არა შეკვეთას, მსწრაფლ იწყებდა დასახელებული ნაწარმოების მოძიებასა და შესწავლას. ისეთი შემთხვევაც ვიცი, როცა ერთმა ამერიკელმა ისურვა ძველი ამერიკული სიმღერის მოსმენა. ენრიკოსთვის ეს ნაწარმოები უცნობი გახლდათ, მაგრამ იამავე საღამოს, იქვე თბომავალზე შეისწავლა და მეორე დღეს სპეციალურად იმ ტურისტისთვის შეასრულა.

ადვილი წარმოსადგენია, რა რეაქცია მოყვებოდა ამ სიურპრიზს. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო. ეს ყოველივე კი, კიდევ უფრო ამრავალფეროვნებდა მის რეპერტუარს. ალბათ სამართლიანად დაინტერესდებით, თუ როგორ ახერხებდა ის სრულიად უცხო ნაწარმოების უმოკლეს ვადაში შესწავლას. თავად მომღერალი ამას ისევ და ისევ ქართული ხალხური სიმღერის სპეციფიკას და ღრმა ცოდნას უმადლის. კახური, გურული, მეგრული, იმერული და სხვა კუთხის ქართულ სიმღერათა სრულიად განსხვავებული სტილი — ჩახვევა, მელიზმა თუ კრინი, რაც უხვადაა ჩვენს ფოლკლორში, დაეხმარა ენრიკოს ამერიკული, დასავლეთ ევროპული, აზიური, აფრიკული თუ სხვა ხალხთა სიმღერების შესრულებაში. ასე გაჩნდა მის რეპერტუარში ისეთი ცნობილი სიმღერები, როგორებიცაა: **„VALENCIA", „GRANADA", „MONA LISA" „UNFORGETEBLE", „TORNA SURIENTO", „CECIBON," „LA MER," SANTA LUCIA** და მრავალი სხვა. აქვე ამდიდრებს თავის რეპერტუარს მრავალი პოპულარული ანსამბლების, როგორებიცაა: **„DEEP PURPLE" „CHICAGO" LED ZEPPELIN" „THE BEATLES", „ROLLING STONES"**, მომღერლების **ელვის პრესლის, ჩაკ ბერის, პერი კომოს, რეი ჩარლზის, ფრენკ სინატრას, სტივ ვანდერის, ჯორჯ ბენსონის, ნატ კინ კოლის, ჯინო ვანელის** და სხვათა სიმღერებით.

ქართულ ხალხურ სიმღერაზე საუბრისას ენრიკო ჯანელიძე დიდი სიყვარულით და მადლიერებით იხსენებს ბატონ თემურ ქევხიშვილს, ისევე როგორც, მის უნივერსიტეტისდროინდელ და საესტრადო სასწავლებლის პედაგოგებს: შოთა მილორავას, ჯანო ბაგრატიონს (უფროსი), გოგი ცაბაძეს, ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძეს, არჩილ ჩხარტიშვილს, გაიოზ ქართველიშვილს, ლილი იაშვილს.

ამ უკანასკნელმა სწორედ ენრიკოსთვის შექმნა "ბებერი მეარღნე". ასევე ენრიკო გახლავთ პირველი შემსრულებელი ირაკლი გიგაურის ცნობილი სიმღერისა "პაპანაქება ზაფხულში". აქვე დავძენთ, რომ ის 1971-1976 წლებში ჩატარებული ფესტივალების "თბილისური გაზაფხული" და "თბილისური შემოდგომის" ლაურეატია.

სანამ ზღვიდან ხმელეთზე გადმოინაცვლებდა ენრიკო ჯანელიძე კიდევ ერთი დასამახსოვრებელი ამბის არა თუ მონაწილე, არამედ ერთ-ერთი მთავარი გმირიც გახლდათ. ყველას კარაგად მოგეხსენებათ, თუ რა პოპუ-

ლარული იყო და არის ფიოდოროვის თვალის კლინიკა. ეს კლინიკა 1991 წელს, ჯერ კიდევ მსოფლიოსთვის არცთუ ისე კარგად ცნობილ თბომავალზე "პეტრე პირველი" იყო განლაგებული, რომელიც გიბრალტარში იდგა. ადგილობრივი მოსახლეობა და ტურისტები თავიდან უნდობლად იყვნენ განწყობილნი ამ კლინიკის მიმართ. მაგრამ ქართველი მომღერლის ხელოვნებით მოხიბლულებმა შეიტყვეს რა, რომ ენრიკოც ამავე ლაინერზე მოღვაწეობდა (პარალელურად ენრიკო გიბრალტარში მართავდა გამოსვლებს სხვადასხვა კლუბებში), კლინიკისადმი ინტერესი გაუძლიერდათ. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ენრიკო ჯანელიძე ათი თვის განმავლობაში ფიოდოროველთა უნებლიე წარმატებული რეკლამიორი გამოდგა. სულ მცირე 50 ოპერაცია მისი შუამავლობით გაკეთდა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გემის მუსიკალური სალონები სახმელეთო საკონცერტო დარბაზებმა შეცვალა საქველმოქმედო, სოლო თუ გალა კონცერტებით.

არაერთხელ მოეწყო მომღერლის შემოქმედებითი საღამო თბილისში თუ საქართველოს მრავალ ქალაქში. ენრიკოს კვლავაც იწვევენ გასტროლებზე სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ 1996 წელს ის ისრაელის ქ. ტელ-ავივში ერთ-ერთ ცნობილ ჯაზკლუბში მუშაობდა, პარალელურად კი ადგილობრივთა თხოვნით მათ ბავშვებს ქართულ და უცხოურ სიმღერებსა და ცეკვებს ასწავლიდა. მის საგასტროლო რუკაზეა უკრაინა, რუსეთი, მონაწილეობს გალა კონცერტებში, ისეთ ცნობილ ანსამბლებთან ერთად, როგორიცაა: "პესნიარი", "ორერა", "მხოლოდ შენ ერთს" და მრავალი სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კონცერტი მოსკოვში, სადაც მღეროდნენ ზურაბ სოტკილავა, ნანი ბრეგვაძე, ბადრი მაისურაძე, ვალერი მელაძე და სხვა. თითქოს ჩვეულებრივი ამბავია მათთან ერთად ენრიკო ჯანელიძის გამოსვლა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს კონცერტი ჩატარდა პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში და ენრიკოს შესრულების სტილით მოხიბლულმა ღონისძიების ორგანიზატორმა მას როკ-ენ-როლით სთხოვეს საღამოს დახურვა. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

განსაკუთრებული სითბოთი აღნიშნავს მომღერალი ქართველ მაყურებელთან შეხვედრებს კონცერტებზე თუ ყოველდღიურ ურთიერთობებში. ამ რამდენიმე თვის წინ კონცერტები ჰქონდა ონში, ამბროლაურში, ცაგერში, ლენტეხში, გურჯაანში და ახალ გორში, მიწვევები აქვს მოსკოვსა და უკრაინაში. სულ მალე ქუთაისს ეწვევა სოლო კონცერტით, და ახალ რეპერტუარს შესთავაზებს საყვარელ ქუთათურებს.

კიდევ მრავალია სათქმელი, მოსაგონარი, სამომავლო იდეა და ჩანაფიქრი.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ სიკეთის მთესველ კაცს, რომელსაც სიმღერის სიყვარულით შეუძლია ლამის ოცი წლით მიატოვოს ოჯახი, მშობლიური ქალაქი, მეგობრები, შემდეგ დაბრუნდეს და ამაყად თქვას: "ყველგან მაინც თბილისელი ვიყავი!".

გულიკო
მამულაშვილი

დერვიშთა მისტიკური ხოხვა და დერვიშიზმი ირანში

„დავრიშობა“ ანუ დერვიშობა აღმოსავლეთში უძველესი ხალხური ტრადიციაა, რომელიც ადრეულ შუა საუკუნეებში, ისლამის გათავისების შემდეგ და ისლამისვე ფონზე, დაახლოებით IX საუკუნიდან ახლად აღორძინდა და გაიფურჩქნა, როგორც განახლებული მისტიკური მოძღვრების, სუფიზმის ნაწილი. ეს უმძლავრესი კულტურული ნაკადი, — სუფიზმი შუა საუკუნეების ირანში თავისუფლად არსებობდა ოფიციალური შიიზმის ფონზე. ეს დიდი წარსულის მქონე, საყოველთაოდ გავრცელებული, ფილოსოფიური, რელიგიურ-მისტიკური აზროვნებაც იყო და სრულიად ირანელი ხალხის სულიერი მდგომარეობაც, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა პოეზიაზეც, საერთოდ ლიტერატურაზე. ამიტომაც შეიქმნა ამ ნიადაგზე უზარმაზარი სულიერი, კულტურული მემკვიდრეობა, მათ შორის ხელოვნება, რაც სპარსული ცივილიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს და დღესაც ირანელთა საყოველთაო კუთვნილებას წარმოადგენს.

დარვიში სპარსულ-თურქული წარმოშობის სიტყვაა. მისი არაბული სინონიმია ფაკირი და ნიშნავს “ღარიბ-ღატაკს“, “მათხოვარს“, „მწირს“, “უპოვარს“, “მოხეტიალეს“ ან “განმარტოებით მჯდომს“, “ასკეტს“, “მოაზროვნეს“, “განსწავლულს“, “მეცნიერს“, „ბრძენს“, “ხელოვანს“ და მისთანებს.

დერვიში, ვიწრო მნიშვნელობით, კარდაკარ მოხეტიალე ან დერვიშთა სავანეში მცხოვრები ასკეტი-მისტიკოსი, ღრმად მორწმუნე ღვთისმოსავია. მას აცვია ჯვალო, ხიტონი, უბრალო, თავისუფალი, სწორი სამოსი. ფართო მნიშვნელობით სუფი — ბერია. სუფის საკრალური სამოსიც ჯვალოა (სუფის პერანგი) ან მსუბუქი თეთრი ხიტონი, ყაბა ან აბა. დარვიში მუდმივად, ანდა დროებით ცხოვრობდა სავანეებში (ხანაკა, ზავია, თაქია, სიბატი), სადაც იმყოფებოდა სავანის მეთაურის, ბერი-მოძღვრის (არაბ, სპარ. ფირ) მეთვალყურეობის ქვეშ.

“დარვიშთა ბრუნვა“, თავბრუდამხვევი ტრიალი, მისტიკური როკვა, სუფისტური რელიგიური ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიშანია და სპარსულ სახიობას განეკუთვნებოდა.

შუა საუკუნეების ირანის რელიგიასა და ხელოვნებას, ორთოდოქსულ (არაბულ) სახელმწიფოებთან შედარებით, ფილოსოფიური თავისუფლება ახასიათებდა. არაორთოდოქსული ისლამი, პირველ რიგში, ეს არის ისლამის ირანული ვარიანტი — შიიზმი, შიიტობა, განსხვავებით არაბული სუნიტური ისლამისაგან. გარდა ამისა, ირანში არსებობდა პირობები სხვადასხვა სექტის განვითარებისა, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი დაიკავა სუფიზმმა.

ძველი ირანული რელიგიისა და კულტურის შემდგომ ირანული სახიობის ბუნება-ხასიათზე, როგორც ჩანს, დიდად იმოქმედა ადრეისლამურ ეპოქაშივე აღმოცენებულმა და განვითარებულმა რელიგიურ-მისტიკურმა მიმდინარეობამ სუფიზმმა.

სუფიზმიც, ზოროასტრიზმის მსგავსად, არ გვევლინება მკვდარ მსოფლმხედველობად. მან გამოიარა ორთოდოქსული ისლამის, შიიზმის საუკუნებრივი გარემოცვა და არსებითად დღესაც ცოცხალია გარკვეულწილად. რაც მთავარია, სუფიზმმა განაპირობა

სულიერი კულტურის მთელი რიგი დარგების უმაღლეს დონეზე განვითარება. ესაა პირველ რიგში ლიტერატურა-პოეზია, ფილოსოფია, მუსიკა, ცეკვა (როკვა და ე.წ. ტრიალი-ბრუნვა, "დარვიშთა ბრუნვა"), მხატვრობა (მინიატურები, შემდგომ ფრესკები, ფერწერა) და ა.შ. სუფისტური ხედვა მთელი შუა საუკუნეების სპარსული კულტურისა და სულიერი საგანძურის ერთ-ერთი წამყვანი, მამოძრავებული ენერგიაა. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ სწორედ სუფისტური შემოქმედებითი ტრადიცია გულისხმობს ნამდვილ სახიობურ, თეატრალურ შემადგენლებს (კომპონენტებს). პირველ რიგში ეს არის დერვიშთა — მორწმუნე, ხშირად მოხეტიალე სუფისტთა — ბრუნვა, ანუ ექსტაზის მომნიჭებელი მისტიკური ცეკვა, როკვა. დერვიშთა ბრუნვა, უთუოდ, უნდა მივაკუთვნოთ სპარსული სახიობის კომპლექსს, თეატრალურ ტრადიციას. ამიტომ მოკლედ სუფიზმსაც შევეხებით.

სუფიზმი ეს უაღრესად მისტიკურ-რელიგიური მიმდინარეობა, რაც შუა საუკუნეების არაორთოდოქსული ირანის სულიერ სამყაროში უდიდეს ადგილს იკავებს, თავისთავად ერთგვარი გადახვევა იყო ოფიციალური მკაცრი ისლამისაგან. საყურადღებოა, რომ შემდგომ სწორედ XX საუკუნეში მოხდა პირიქით, რადიკალური შემობრუნება ორთოდოქსული, ფუნდამენტური ისლამისაკენ, უფრო ზუსტად, აქ მოიაზრება ისლამის ერთ-ერთი ძირითადი შტო — "შიიზმი", რომელიც ირანის ოფიციალური რელიგია არის დღესაც. ვგულისხმობთ ფუნდამენტალიზმის გავლენას ხელოვნების სხვადასხვა დარგეზე, რისი საწყისიც პოლიტიკურ-რელიგიური მოსაზრებები იყო. მაგრამ ამჟამად ეს პროცესი კვლავ შერბილების გზით მიემართება და თანამედროვე ირანულ ხელოვნებაში უამრავი საინტერესო, საგულისხმო რამ ხდება. ამ საკითხის განხილვა შორს წაგვიყვანს. შიიზმი სუნიზმს დაუპირისპირდა VII-VIII საუკუნეებიდანვე და ირანის, შეიძლება ითქვას, ეროვნული მიმართულების ისლამურ შტოდ გადაიქცა. მასვე უკავშირდება მთავარი და ყველაზე ცნობილი ირანული, სპარსული [1] სახიობა — "თაზიე"-ს მისტერია. სუფიზმიც სწორედ შიიზმის გარემოში, ისლამიზებული ირანის წიაღში აღმოცენდა. ამდენად ვუბრუნდებით სუფიზმს და კვლავაც შევნიშნავთ, რომ იგი მოიცავს ხელოვნების დარგთა მთელ სინთეზს და შესაბამისი რიტუალების კომპლექსს. სიმღერა, პოეზია, ლექსების კითხვა სიმღერით და გარკვეული ინტონაციით, რელიგიური ექსტაზის მიღწევის პროცესი, ფილოსოფია, რელიგიური ტრაქტატები, ფერწერა, მინიატურები, სიმბოლოები, განსაკუთრებული ტანსაცმელი, როგორიცაა, მაგალითად სწორი, თავისუფალი თეთრი შესამოსელი, საკრავები, სხვადასხვა მისტიკური მნიშვნელობის ნივთები, როგორიცაა ჯოხები, კვერთხები, თასები, სხეულზე სატარებელი სამკაულები და თილისმები... საკრალური სიტყვები, გამოთქმები, ტერმინები, ცნებები, გარკვეული, განსხვავებული მნიშვნელობით დატვირთული ლექსიკური ერთეულები, სპეციალური ფრაზეოლოგია, არსებითად მეტანია, ფერთა და ხმათა სიმბოლიკა; მაგალითად, თეთრი ფერი სუფის ღმერთთან შერწყმის არსის და სიწმინდის უმაღლესი სიმბოლოა.

თვით სიტყვა "სუფი" უკავშირდება "წმინდას", "თეთრის" სემანტიკას. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სუფიზმი და მისტიციზმი არასოდეს ყოფილა და დღესაც, ფუნდამენტალიზმის ფონის მიუხედავად, არ ქცეულა მშრალ სქოლასტიკად და მწიგნობრულ მასალად, არც მხოლოდ ელიტარული ცოდნის შემადგენელ ნაწილად. სუფისტურ-მისტიკური აზროვნება და ეზოთერული, რელიგიური მენტალიტეტი დღესაც ირანელთა ცოცხალი, საყოველთაო ხალხური ტრადიცია არის. ზოროასტრიზმთან ერთად ეზოთერული მისტიციზმიც ისლამის — შიიზმის ფონზე ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის წყალობით ღრმად არის ფესვგადგმული ირანელთა სულიერ სამყაროში და მენტალობაში. ეზოთერული სუფისტურ-მისტიკური აზროვნება ირანელთა სამყაროსადმი დამოკი-

---

1. ირანელი ხალხი მრავალსაუკუნოვანი, მრავალმხრივი და უძველესი კულტურის მატარებელია, რომლის სათავეები დაახლოებით ჩვ.წ.აღ-მდე II-I ათასწლეულიდან აღინიშნება კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში. თანამედროვე ირანულენოვანი მოსახლეობა მოიცავს ძირითადად ირანისა და ავღანეთის ტერიტორიას და განიყოფება მრავალ ჯგუფად. საკუთრივ სპარსელები, გილანელები, მაზანდარელები, ქურთები, ბახტიარები, ლუსები, ბელუჯები, კაშკაელები, თალიშები, ჯემშილები, თეიმუსები, ტაჯიკები. თურქული ჯგუფი — თურქმენები, აფშარები, შაჰსევენები, ყარაფაფახები, ყაჯარები. სემიტური ჯგუფი — არაბები, აისორები (ანუ ასირიები), ებრაელები, ამასთანავე ქართველები და სხვა.

ამ ხალხების მონაწილეობით თანამედროვე ირანის ტერიტორიაზე ვითარდებოდა მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი, მრავალმხრივი კულტურა, რომლის ავანგარდში, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე VII საუკუნიდან მოექცა საკუთრივ ფარსების ანუ სპარსების ირანული ტომი. ეს ავანგარდობა სპარსულმა კულტურამ უახლოეს დრომდე მოიტანა, ამიტომ მთლიანობაში ამ კულტურას ხან ირანულს უწოდებენ სპეციალისტები, ხან სპარსულს.

დებულების დღევანდელ ვითარებას არანაკლებ შეესაბამება, ვიდრე შუა საუკუნეებისას. მისტიკის ცნება და მისი ლიტერატურული, ფილოსოფიური და პოეტური გააზრება მასიური ირანული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ყოველმა ირანელმა იცის, რომ მისტიკა — "ერფანი" უდიდესი სპარსელი პოეტების (რუმი-მოლანას, ნიზამის, აბუ-საიდის", შაჰიდ ბალხელის და სხვათა) მთავარი მუზა არის, ხოლო ზოგი თვლის, რომ "ერფანი", საზოგადოდ, აგრეთვე, ყველა სპარსელი პოეტის (ჰაფეზის, ომარ ხაიამის, რუდაქის, საადის, ფირდოუსის) თხზულებათა თემა და შინაარსია, ნაწილობრივ მაინც. კლასიკურ სპარსულ პოეზიაში მკაცრად არის დაცული და შესწავლილი საგანგებო მისტიკური (ერფანის აღმნიშვნელი) ტერმინოლოგია, ცნებები. ყველა შემთხვევაში სუფიზმმა და მისმა ერფანმა (მისტიკამ) უდიდესი გავლენა მოახდინა გენიალურ სპარსულ კლასიკურ პოეზიაზე. ითვლება, რომ ერფანის მენტალური მიმართულება თანამედროვე სპარსულ პოეზიაზეც მოქმედებს. რაც შეეხება თავად სუფიებს, მათ დღევანდელ ირანშიც შეხვდებით სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის მეჩეთებთან, თეთრი სამოსით მოსილი დერვიშების სახით. სხვათა შორის, სუფიები იყვნენ სეფიანთა დინასტიის დამაარსებლებიც (1502-1722).

დერვიშთა ბრუნვა ამჟამად სპეციალური შესწავლის საგანიც არის და საგანგებო შეკრებებზე (სამეცნიერო კონფერენციები, წვეულებები, მიღებები და სხვა მისთ.) გაცნობის მიზნით მოპატიჟების ობიექტიც. ბრუნვის პროფესიონალი სპეციალისტები საზოგადოებას წარმოუდგენენ ამ უძველეს მისტიკურ სანახაობას.

ტრადიციულად დერვიში უკიდურეს სიღარიბესთან ერთად ლამაზი, მჭევრმეტყველი, ენამოსწრებული, ამაყი, თავმომწონე და საღვთო წერილის მცოდნე იყო. მისი მუშაობა იმაში მდგომარეობდა, რომ საღვთო წერილს მოუთხრობდა ხალხს (ხშირად გაუგებარ ტექსტსაც წარმოთქვამდა), ცეკვავდა, მღეროდა და ხან მკითხაობდა კიდეც. ამაში აღებული გასამრჯელო კი (რასაც ხშირად დიდი ჯაფა სჭირდებოდა) მისი უმთავრესი შემოსავალი იყო. წინათ დერვიში მხოლოდ ყოველდღიურ ლუკმა-პურს შოულობდა და არც ჰქონდა უფლება, მეტზე ეზრუნა. შუა საუკუნეების აღმოსავლეთი (სხვათა შორის ძირითადად, თანამედროვე აღმოსავლეთიც!) ღრმად მორწმუნე, ღვთისმოსავი და მისტიკისკენ მიდრეკილი ხალხით იყო დასახლებული, ამიტომაც ლუკმა-პურის პრობლემა დერვიშებს არ ექნებოდათ. ამაზე მეტყველებს, თავისთავად, დერვიშიზმის ინსტიტუტის ფართო განვითარება და აყვავება საუკუნეთა მანძილზე. დერვიშები სულიერად და მორალურად დიდი ავტორიტეტით, პატივისცემით სარგებლობდნენ. დერვიში იყო „ღვთის კაცი". იმავდროულად დერვიშთა საკრებულოს შეძლებული ადამიანებიც უერთდებოდნენ. დღეს არიან ისეთი დერვიშებიც, რომლებიც დიდ სიმდიდრეს ფლობენ, მაგრამ სულიერად ეზოთერული მისტიციზმის მიმდევრები და "დერვიშული თეოსოფიის" მემკვიდრეები არიან.

დერვიშები იყვნენ ისლამური აღმოსავლეთის უდიდესი პოეტი — მისტიკოსი ჯალალ-ედ-დინ რუმი (იგივე მოლანა 1207-1270) და სახელგანთქმული სპარსელი პოეტი საადი. ჯალალ-ედ-დინ რუმთან მეგობრობდა ოსმალეთის დედოფალი, თამარ მეფის შვილიშვილი (რუსუდანის შვილი) — სუფი გურჯი ხათუნი (იგივე თამარ ხათუნი), რომელმაც დიდ სპარსელ მისტიკოს პოეტს თურქეთის ქ. კონიაში ტაძარიც კი აუგო. ჯალალ-ედ-დინ რუმიმ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი კონიაში გაატარა, სადაც სუფიური ორდენი "მევლევი" შექმნა. არც სახელოვანი სუფი პოეტი ჯალალ-ედ-დინ რუმი-მოლანა ყოფილა ღატაკი. მას ჰყავდა სახელმოხვეჭილი სულიერი მამები და შეკრებების დაარსებაც, თავისთავად, უთუოდ, გავლენიანი პიროვნების საქციელია. დერვიშთა წრეში ჯალალ-ედ-დინ რუმი ერთ უბრალო დერვიშს შამსი თავრიზელს გაუმიჯნურდა, რის შემდეგადაც გარკვეული დროით პოეზიასაც ჩამოშორდა. გადმოცემით, სწორედ ეს გახდა მიზეზი რუმის მოწაფეთა მიერ თავრიზელის მოწამვლისა. შამსი თავრიზელის პატივსაცემად ჯალალ-ედ-დინ რუმიმ დერვიშთა ორდენიც დააწესა. ამ ორდენის დერვიშებს იქედან მოყოლებული დღემდე მოცეკვავე ანუ ბრუალა დერვიშები ჰქვიათ. ძველად ორმოცდაათამდე ასეთი ორდენი არსებობდა, დღეს კი ოცამდეა შემორჩენილი. ყოველი ორდენის დერვიში განსხვავებულ სამოსს ატარებს, რითაც მათი გარჩევა ადვილია. არსებობს ორთოდოქსული სკოლის მონაცემები, სხვადასხვა დროისა და სკოლის აღმოსავლური მინიატურები, რომლებიც ასახავს დერვიშთა და სუფისტთა რიტუალურ ცეკვას, ტრიალს, "ბრუნვას", მათ შორის ჯალალ-ედ-დინ რუმის როკვას (XVII-ის მინიატურა). მინიატურაზე რუმი — მოლანა "ოქრომჭედელთა" უბანში ცეკვავს: მას ხელები აქვს გაშლილი, ხოლო დგომის კუთხე და ტანის დაქანებული, დახრილი, დინამიკური მოძრაობა დღესაც თვალნათლივ ქმნის აშკარა ტრიალის, ბრუნვის ილუზიას, შეგრძნებას. ამ ნივთიერი მტკიცებულებების წყალობით ძალგვიძს, თამამად განვიხილოთ "დარვიშთა ბრუნვა" ერთ-ერთ სპარსულ (ირანულ) სახიობად.

მთლიანობაში დერვიშობა, დერვიშიზმი ძალიან ჰგავს მეორე დიდად რელიგიურ, აღმოსავლურ ქვეყნებში ცნობილი სანიასის ასკეტურ-რელიგიურ ინსტიტუტს, რომელიც დღესაც ცოცხალია და მასიურად მოქმედი. სანიასობის ერთ-ერთი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მდიდარმა და შეძლებულმა ადამიანმაც შეიძლება თავისი სურვილით მიატოვოს სახლ-კარი, ქონება, უარი თქვას



საერო, საზოგადოებრივ აქტიურ ცხოვრებაზე, განერიდოს თავისიანებს და მოხეტიალე ან განმარტოებით, მკვიდრად მობინადრე მათხოვრის, ასკეტის, ღვთისმოსავის, სანიასის ცხოვრებით დაიწყოს წმინდა სულიერი მოღვაწეობა. ამით იგი სულიერ სრულყოფას აღწევს. სანიასობას ინდოელთა ფილოსოფიურ აზროვნებაში უკიდურესად მაღალი ღირებულების, ფასეულობის ხარისხი აქვს მინიჭებული. ცხადია, — სანიასობაც (ისევე, როგორც რთული და კომპლექსური ინდური რელიგია, მთლიანობაში) გულისხმობს, ან, შეიძლება, გულისხმობდეს გარკვეულ თავისებურ სანახაობრივ მახასიათებლებს (მაგალითად, ჰიმნებს, ცეკვა-სიმღერას, დაკვრას, თეატრალიზებულ მსვლელობებს და ა. შ.). დაახლოებით, ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა დერვიშიზმს ირანის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

სპარსული თეატრის ერთ-ერთი მკვლევარი ე. ბერტელსი აღწერს ჯალალ-ედ-დინ რუმის მიერ დაარსებულ „დარვიშთა შეკრებებს". აქ მთავარი სანახაობა დერვიშის ცეკვა არის, რაც თეატრალური წარმოდგენების ხასიათს ატარებს.

შეკრებები ეწყობოდა კვირაში ორჯერ, სამშაბათობით და ხუთშაბათობით, ზუსტად დღის 12 საათზე. მაყურებელი ბილეთს პატარა ხის სახლში (თაქიეში) იძენდა, რომლის შესასვლელში სალარო იყო მოთავსებული. "თაქიეშივე" ინახავდნენ ქოლგებსა და ხელჯოხებს შეკრების დამთავრებამდე.

დარბაზი, სადაც შეყრა მიმდინარეობდა, საკმაოდ დიდი იყო და ულამაზესი ჭაღით გაჩირაღდნებული. მაყურებელი როცა თავსდებოდა, გამოდიოდნენ მუქ-ყავისფერ კოსტუმებში და მოცისფრო-მომწვანო მანტიებში გამოწყობილი დერვიშები, 9-11 ან 13. ისინი წრეზე ცხვრის ტყავზე სხდებოდნენ, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებულნი, გულზე ხელებგადაჯვარიდინებულნი, თავჩაქინდრულნი და თვალებდახუჭულნი, ჩუმად, გაუნძრევლად, დაახლოებით ნახევარი საათი. მდუმარებას არღვევდა შეიხი. შესავალი სიტყვის შემდეგ, რომელშიც აქებდა მუჰამედს, სხვა შეიხებსა და დერვიშს, იწყებოდა ცეკვა, ჯერ ნელა, შემდეგ ტემპი მატულობდა, იხდიდნენ მანტიებს, თეთრ (იგი სუფიზმის ფერია) პერანგებში როკავდნენ და სათითაოდ მიდიოდნენ შეიხთან. რამდენიმე საათის შემდეგ ცეკვის ტემპი კლებულობდა და ტამბურინის დარტყმისას დერვიშები ჩუმად ტოვებდნენ დარბაზს.

„დარვიშთა ბრუნვას" სპარსულ ლიტერატურულ ძეგლებში და მის ქართულ თარგმანებშიც ვხვდებით. მაშასადამე, აქ საქმე გვაქვს სუფიზმის სახიობურ ელენემტთან, რაც აისახა მე-10 საუკუნის გენიალური სპარსელი პოეტის ფირდოუსის "შაჰნამე"-ში.

„დარვიშთა ბრუნვა დაიწყეს, გახშირდა ქოსთა ხმეებია." ტ. Iგვ. 295. ქორწილის, გამეფების ცერემონიალების დროს, რაც საჯარო ხასიათს ატარებდა, თან ახლდა საკრავზე დაკვრა და წარმოდგენა — სახიობა. დერვიშები აქ ხან მაყურებლები იყვნენ, ხან შემსრულებლები. მსახიობობის და მოხეტიალე დერვიშიზმის ცნებები ზოგ კონტექსტში ძალზედ ემთხვევა ერთმანეთს. ასეთია, მაგ: დერვიშის "ბრუნვა" („შაჰნამე", „რუსუდანიანი"). ეს შესადარებელია სუფისტურ ტრადიციასთან. ცნობილია, სუფისტების ბრუნვა, ტრიალი ანუ მისტიკური ცეკვა. უცნობია „შაჰ-ნამეს" ქართულ ვერსიებში „ბრუნვა" რა ხასიათის ცეკვას აღნიშნავს, — ნამდვილ მისტიკურ როკვა-ცეკვაზეა ლაპარაკი თუ წმინდა თეატრალურ მოძრაობებზე, მაგრამ საბოლოო ჯამში ორივე შემთხვევაში სანახაობასთან გვაქვს საქმე.

"შაჰ-ნამე"-ში აღწერილი, ძველი ირანული რელიგიის ღვთის მომსახურე ქართულ ტექსტში იქცევა ქრისტიან ღვთისმოსავად. ეს ბუნებრივი მხატვრულ-კულტუროლოგიური გარდასახვა გააზრებულია ცნებებისა და ტერმინების წარმოჩენის გზით. ასე მაგ: "დერვიში" ხშირად შეესაბამება ქართულ „ბერს" და "მონაზონს". დერვიშიც მეუდაბნოეა ან მოსიარულე ბერი, ოღონდ ძველი ირანელი (შდრ. აგრეთვე: შემდგომი, ისლამის დროინდელი სუფი, სუფი-დერვიში, დერვიშიზმი, დერვიშობა, აღმოსავლური მისტიციზმი საზოგადოდ; იხ. კრიმსკი, შაჰი, ჯაველიძე, პრიგარინა და სხვა.). "შაჰნამეს" ქართულ ვერსიებში "დერვიში" ("დავრიში", "დარვიშიანი", იხ. ძეგლი „ჩარდავრიშიანი".) გაიაზრება ქრისტიან ბერ-მონაზვნად. ტერმინოლოგიურად ეს აისახება იმაში, რომ იხმარება არა ტერმინი "დერვიში", რომელიც ქართულ მწერლობაში თავისთავად ცნობილ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს, არამედ მაინცდამაინც "ბერი", "მონაზონი".

ვიმეორებთ, დერვიშები და დერვიშობა დღემდეა ირანში. ისინი ერთი შეხედვისთანავე იცნობიან გამორჩეული ჩაცმულობით, თეთრი სამოსით, თავზე თეთრი მოსახვევით ან კიდევ თეატრალური, ფერადი, უმეტესად მწვანე სამოსითა და მაღალი წოპწოპა ქუდით. ისინი დაუსრულებლად დაეხეტებიან ქუჩებში, მღერიან, გოდებენ, ყვებიან სხვადასხვა ისტორიას და მანამ არ გაეცლებიან იქაურობას (განსაკუთრებით შეძლებულ-

თა ოჯახებს, — ესეც იციან, ვის რა შეძლება აქვს.), სანამ წყალობას არ მიიღებენ. არიან თამამები, მიუკარებლები, არადერვიშებთან კონტაქტს ერიდებიან. წარმოუდგენელია, ნება დაგრთონ მათთან სურათის გადაღებისა და როცა ასეთი მცდელობა მქონდა ჩემს ასპირანიტ ნონა ჩიქოვანთან ერთად, პოლიციაშიც მოვხვდით. ამ მხრივ მათ უფლებებს სახელმწიფოც იცავს. ყველა შემთხვევაში ძალზედ საინტერესოა ცოცხალი ასკეტის — დერვიშის ნახვა ახლოს, ხალხით სავსე ქუჩაში და მოედანზე.

დერვიშებისთვის სცენაა ქუჩა, მოედანი, შენობები, ჩაიხანები — ყველა ადგილი, სადაც კი ხალხის ყურადღების მიქცევის შანსია. მაყურებელში ინტერესს ჯოხზე გაკიდული წმინდანის სახიანი ფარდით იწვევენ, შემდეგ კი იწყებენ სიმღერას და ცეკვას (ხშირად გაუგებარი სიტყვებით). უფრო ხშირად ერთი დერვიში წარმოადგენს თავის შემოქმედებას. მას აქვს ყუთი, რომლიდანაც ამოჰყავს გველები, ჯოჯოები, გაწვრთნილი თაგვები, თან დაუსრულებლად ლაპარაკობს, არ ივიწყებს ღმერთსაც, რათა გული აუჩუყოს მაყურებელს, რომ იქნებ დაასაჩუქრონ. თუ კი ორი დერვიშია, მაშინ მათ შორის ისეთი დიალოგი (ხშირად ყოვლად უაზრო) იმართება, რაც მაყურებელს გააცინებს და კარგ გუნება-განწყობილებაზე დააყენებს, გაახალისებს. ამავე დროს ცდილობენ, ხალხს ღვთისადმი თაყვანისცემა და შიშიც ჩაუნერგონ. ისინი ნაზი, სევდიანი, გაბზარული ხმით, ტრაგიკული, ოსტატური კითხვით დიდ სულიერ ზემოქმედებას ახდენენ მსმენელზე. აშკარაა, დერვიშთა საკრალური ტრიალით გამოწვეული ექსტაზი მაყურებელსაც გადაეცემა. ამაშია ამ სანახაობის ჭეშმარიტი თეატრალურობა: მაყურებელზე ზემოქმედების უნარი. წმინდანთა ცხოვრების ისტორიის თხრობისას მაყურებელი ხმამაღლა გამოხატავს რეაქციას, ყვირის, ღრიალებს და მკერდზე გამეტებით იცემს მუშტს. როცა ყოველივე კულმინაციას მიაღწევს, დერვიში იწყებს იქვე მაყურებლისაგან მიმობნეული ფულის აკრეფას, არც დამატებით მოთხოვნას მოერიდება, თუკი შეგროვილმა თანხამ არ დააკმაყოფილა. მადლიერების ნიშნად მისი კივილი არემარეს მოეფინება, დალოცავს მაყურებელს. ამ მხრივ დღევანდელი დერვიშები არღვევენ ტრადიციას, რაც კარგად ჩანს სპარსელი კლასიკოსი პოეტის ჰაფეზის გამონათქვამში: „მე დერვიში ვარ, დროს ვატარებ შიმშილის ჟინში და ძველ ნაბდის ქუდს არ გავცვლით შაჰის ას გვირგვინში“. სასურველი თანხის მიღების შემდეგ დერვიში კვლავ აგრძელებს წარმოდგენას, იცვლის ადგილს და ასე გრძელდება დაუსრულებლად.

ია მასხარაძე

ქალებო, ვთქვათ ნადური!

ნადური შრომის ტრადიცია და მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები უძველესი მოვლენაა საქართველოში. ძალა რომ ერთობაშია, კარგად იცოდა ქართველმა კაცმა, ამიტომ ცდილობდა, მოძალებული სამუშაოს დროს მეზობლისა თუ მოყვრისთვის ხელი შეეშველებინა. ერთობლივი შრომის პროცესში იქმნებოდა ნადური ლექს-სიმღერები — "ყველა სიმღერაზე რთული, ძველი და, ამავე დროს, საყვარელი"(აპოლონ წულაძე).

სიტყვა "ნადის" სიძველეზე მიუთითებს ის, რომ იგი დადასტურებულია ძველი აღთქმის უძველეს თარგმანებში, ასევე ძველ ქართულ ორიგინალურ წერილობით წყაროებში.

სიტყვას "ნადი" სულხან-საბა ასე განმარტავს: "მუშაკნი შეყრილნი". აღმოსავლეთ საქართველოში ნადური შრომის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა "მამითადი" ("ნადი ყანათათვის"-საბა). მზექალა შანიძის აზრით, სიტყვა "მამითადი" ძალიან ძველი უნდა იყოს. ამის დასტურად იგი ასახელებს მე-13 საუკუნის ძეგლებს, რომლებშიც ნახსენებია არა მარტო ეს სიტყვა, არამედ მისი განსხვავებული ფორმაც — "მამითნადი". მკვლევარის აზრით, "მამითნადი" კომპოზიცია — "მამით ნადი" — და ნიშნავს ვინმეს დასახმარებლად შეყრილ მამაკაცთა ჯგუფს.

სამეგრელოში ნადის შესატყვისია "ნოდი" (ნოდური), სვანეთში — „ნედ".

როგორც აღნიშნავენ, ერთობლივ შრომასთან დაკავშირებული ყოველგვარი ლექს-სიმღერა ნადურებს არ განეკუთვნება. გ. ჭელიძის აზრით, "ნადურ სიმღერებს აქვთ თავიანთი, ეგრეთ წოდებული, ლოკალი — უპირატესად იგი ყანური სამუშაოებისას სრულდება და ამიტომაცაა, რომ მას უმეტესწილად ყანურ სიმღერასაც უწოდებენ".

რაკი ნადური სიმღერები ყანის სამუშაოებთანაა დაკავშირებული, ცხადია, მათ უპირატესად მამაკაცები მღეროდნენ. აპოლონ წულაძე თავის "ეთნოგრაფიულ გურიაში" წერს: "გურიაში ბევრი ქალი იყო მომლხენი და მომღერალი, მაგრამ იმის მაგალითს ვერავინ იტყვის, რომ ქალს ნადური ემღეროს". თუმცა ამის საწინააღმდეგოა "ლაზური ნადური", რომელშიც ქალები მამაკაცების თანაბრად მონაწილეობენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ თოხნურ ნადურში ქალებიც მონაწილეობდნენ.

მიუთითებენ შრომის ისეთ სახეებზე, რომლებსაც მხოლოდ ქალები ასრულებდნენ: "ქალებმაც იცოდნენ ერთიმეორის ხელის წაკვრა, მოხმარება და ნადი". ამაზე მეტყველებს ზემო აჭარაში დადასტურებული "ხერტლის ნადი", რომელიც სრულდებოდა მატყლის რთვისას. აპ. წულაძის ცნობით, ქალების ნადში მამაკაცი არ მონაწილეობდა, პირიქით, ქალების ნადს სრულასაკოვანი ვაჟიც ვერ დასწრებოდა: "ქალები ქალურ საქმეს აკეთებდნენ, თავიანთ სურვილზე მუშაობდნენ და ერთობოდნენ". აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, იქნებოდა ქალთა ნადური სიმღერებიც.

ნადური პოეზიიდან ქალთა ნადურის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში შეიძლება დავასახელოთ.

ესენია: ზემოხსენებული აჭარული "ხერტლის ნადი", (რომელსაც მხოლოდ ქალები ასრულებდნენ); ლაზური "ჰეჯამო" (რომელშიც ქალები და მამაკაცები თანაბრად მონაწილეობდნენ); აჭარაში დადასტურებული ქალთა ნადური "სამკალი" (ჩარუგას თვემ მოაწია) და აჭარაშივე ჩაწერილი ნადური "პურის საჭრელად ნადი ვქენ".

როგორც აღნიშნავენ, დასახელებული ნა-

დურებიდან თავისებურებას ავლენს ქალთა ნადური "სამკალი" იმ მხრივ, რომ იგი სრულდებოდა არა უშუალოდ მუშაობის დროს, არამედ შესვენებისას; თანაც ეს ლექსი ერთ რომელიმე კონკრეტულ სამუშაოს როდი უკავშირდება (მასში პურის გალეწვაზეც არის ლაპარაკი პურის მკაზეც). თუმცა ამ ლექს-სიმღერას რეფრენად გასდევს ფრაზა: "ქალებო, ვუთხრათ ნადური", რაც, მკვლევართა აზრით, აშკარად მიუთითებს ნადურ შრომაში ქალის წამყვან როლზე.

ნადში ქალების მონაწილეობას ადასტურებს ასევე ორი პატარა, ერთსტროფიანი ლექსი. ერთის სათაურია "თოხნური":

დაგვითოხნია სიმინდი, გოგო,
ახლა კი მოვმკათ ყანაო,
დაგვითოხნია და სიმინდი, არალო,
ახლა კი მოვმკათ ყანაო.

მეორე ლექსიც სიმინდის გათოხნაზეა:

როდის მომიხვალ, სიმინდო,
როდის ჩაგყარო ძარშია,
ქალების გათოხნელი ხარ
ავდარშია თუ დარშია.

ქალების ნადს და ქალთა ნადურს ეხება ასევე ცნობილი ლექსი "არგვეთის ქალები".

მოტანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ არსებობდა ქალების ნადური შრომა და შესაბამისი პოეტური ტრადიცია. ამის კიდევ ერთ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ გურიის სოფელ აცანაში (ლანჩხუთის რაიონი) გასული საუკუნის 80-იან წლებში გიზო ჭელიძის მიერ ჩაწერილი ქალთა ნადურის ერთი მეტად საინტერესო ლექს-სიმღერა. რადგან ეს ლექსი-სიმღერა ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, მოვიტანთ ტექსტს მთლიანად:

— ქალებო, ვთქვათ ნადური,
ჩახლართული, ჩაბმული,
ხვავი გქონდეთ, ბარაქა,
სიმღერებიც ქებული.
— ქალო, ქალო, შავთვალა,
ნადიმა შემოგითვალა,
სადილი და ვახშამი,
ღვინო — შავი ადესა,
ამისთანა ადესა
გაგვიმზადე ხვალიზაც.
ქალებო, ვთქვათ ნადური
გავახაროთ გულები,
ხვავი გქონდეთ, ბარაქა,
მოსავალი ულევი.
— მაინძელო, მოგვხედე,
ნუ წაგიღებს ფიქრები,
საქმეს თუ აგვითავებ,
ხვალეც შენთან ვიქნებით,
ჩხავერი და ადესა
არ მოგვაკლო ხვალიზაც.
გავიხაროთ გულები,
ავაჩქაროთ ხელები,
ვინც ხართ უფრო ლამაზი,
იმას მოგეფერებით,
საქმემ გაგვახალისა,
თქვენთანა ვართ ხვალიზაც.

ქალთა ნადურის ეს მანამდე უცნობი ნიმუში, როგორც აღვნიშნეთ, გურიის სოფელ აცანაშია ჩაწერილი. მაგრამ მთქმელს, ვერა ჩხაიძეს, ახსოვდა მელოდია და ტექსტის მხოლოდ მცირე ნაწილი. სრული ტექსტი მოიპოვა გიზო ჭელიძემ გურიისავე სოფელ ჭანიეთში, ცნობილი მომღერლის — გედევან მჟავანაძის ოჯახში. ამის შემდეგ სიმღერა გააცოცხლა და აცანის გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის რეპერტუარში შეიტანა ლოტბარმა და მომღერალმა დალი წიტაიშვილმა, ვერა ჩხაიძის რძალმა.

რით იქცევს ყურადღებას ეს ლექს-სიმღერა? ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იგი სრულდებოდა მოსავლის, კერძოდ, სიმინდის, აღებისას ან რჩევისას, შემდგომ კი, როგორც მთქმელები აღნიშნავენ, სხვა სახის სამუშაოებსაც დაუკავშირდა.

ლექსი რითმიანია, პოეტურად გამართული, ახლავს ორნაირი რეფრენი: "ჰაა, ჰაა, ჰაა, ჰაა!" „ჰაა იო, ჰაა იო, ჰაა!

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორივე სახის რეფრენი ("ჰაა", "იო") დასტურდება სხვა ნადურებშიც, ასევე შრომის ისეთ უძველეს სიმღერებში, როგორებიცაა "აგადელა", "აგუნა",

ანსანბლი „აცაურა"

აგიდელა: — აგიდელა ჰაა, ჰა!
— აგიდელა ჰაა!
— აგიდელა და იო, იო!
ელესა: ელესა და ვიო, იო!

გარდა რეფრენებისა, ნადური სიმღერებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ნიშანი შეიმჩნევა "ქალების ნადურში". ესაა ორბუნი, ე.წ. "გჲწოღალა" (მეგრ).

გ. ჭელიძე "ქართულ ხალხურ დრამაში" წერს: "ნადურებში ყურადღებას იქცევს ტექსტის შესრულების დიალოგური ფორმა და არა დიალოგი... ნადურში დიალოგი არ მოჩანს ამ ცნების დღევანდელი მნიშვნელობით. ფაქტობრივად საქმე გვაქვს დიალოგის მსგავს მოვლენასთან, მას მეგრულად "გჲწოღალა" ეწოდება, რაც თავისი არსით გამოხატავს მხატვრული (მუსიკალური) მეტყველების გარკვეულ სტადიას. გჲწოღალა ნადურში იმართებოდა პირველ მთქმელსა და ნადს შორის, მეორე მთქმელსა და ნადს შორის; პირველ მთქმელსა და პირველ ნახევარმწკრივს შორის, მეორე მთქმელსა და მეორე ნახევარმწკრივს შორის; მესადილეებსა და ნადს შორის".

ასეთი გჲწოღალა ანუ ორბუნი — კითხვა-მიგებით ჩამორთმევა, ლაზურად — "მეკამოკა ბირაფა" — გადა-გადმო სიმღერა — ზემოთ ნახსენებ "ქალების ნადურშიც" გვაქვს.

ლექსში გამოიყოფა ოთხტაეპიანი და ექვსტაეპიანი სტროფები. იწყება ოთხტაეპიანი სტროფით, რომლის რეფრენია: "ჰაა, ჰაა, ჰაა, ჰაა!", მას მოსდევს ექვსტაეპიანი სტროფი თავისი რეფრენით: "ჰაა, იო, ჰაა, იო, ჰააა!" შემდეგ ექვსტაეპიან სტროფს კვლავ ოთხტაეპიანი ენაცვლება და ა.შ.

ე.ი. საქმე გვაქვს ერთგვარ პოეტურ-მუსიკალურ კანონზომიერებასთან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გუნდი გაყოფილია ორ ნახევარმწკრივად. იწყებს პირველი მთქმელი და პირველ რეფრენს — ჰაა, ჰაა, ჰაა, ჰააა! — ამბობს პირველი ნახევარმწკრივი (ან ორივე ნახევარმწკრივი ერთად). მომდევნო სტროფს ამბობს მეორე მთქმელი და მისამღერს — ჰაა, იო, ჰაა, ჰაა, იო, ჰააა! — მეორე ნახევარმწკრივი (ან ორივე მწკრივი ერთად).

რეფრენის დამატებით წყვილტაეპიანი სტროფები (4-6) კენტტაეპიანებად (5-7) იქცევა. კენტტაეპიანობა, როგორც აღნიშნავენ, ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა ქართულ ლექსთწყობაში ადრეულ საფეხურზე, მაგრამ, რითმის განვითარებასთან ერთად, კენტი ტაეპი ზედმეტი აღმოჩენილა. ხალხურ პოეზიაში გვხვდება ლექსები, რომლებშიც კენტტაეპიანი სტროფები წყვილტაეპიანებადაა ქცეული. "ქალების ნადურში კი პირიქით — რეფრენი წყვილტაეპიან სტროფებს კენტტაეპიანად აქცევს.

უნდა აღინიშნოს, რომ სიმღერაში ("ქალებო, ვთქვათ ნადური") კენტტაეპიანობა სულაც არაა ლექსის სიძველის მაჩვენებელი — რეფრენის მეშვეობით გაძლიერებულია, გამრავალფეროვნებულია სიმღერის მელოდიურობა, რეფრენი მას უფრო სასიამოვნო მოსასმენს ხდის.

ლექსი შვიდმარცვლიანია. როგორც შემჩნეულია, მარცვალთა რაოდენობის მხრივ ნადურების სათქმელებში — "საჩივრებში" არ არის რაიმე შეზღუდვა (ისევე, როგორც ტაეპთა რაოდენობის მხრივ). ნადურებში გვხვდება ყველა საზომით შექმნილი ლექსები. ასე რომ, შვიდმარცვლიანობა ამ ლექსს არ უშლის ხელს, რომ ნადურებს მივაკუთვნოთ.

ერთი სიტყვით, გურიაში ჩაწერილი "ქალების ნადური" კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა არა მარტო მამაკაცთა, არამედ ქალთა ნადური შრომის ტრადიციაც და, რაც მთავარია, მასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები (ნადურები).

P.S.

ამას წინათ დავუკავშირდით აცანის გოგონათა ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელს — ქ-ნ დალი წიტაიშვილს და, ჩვენდა გასახარად, გავიგეთ, რომ ეს ანსამბლი, რომელიც 1970 წელს შეიქმნა, დღესაც წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა. ანსამბლს ჰქვია მდინარის სახელი — "აცაურა", როგორც აცანელები ამბობენ, ეს მდინარე იმითაა განსაკუთრებული, რომ აღმა მიედინება.

როგორც ქ-მა დალიმ აღნიშნა, "აცაურას" თავისი მუშაობის მთავარი მიმართულება არ შეუცვლია — კვლავ მოიძიებს და აღადგენს ძველ, თითქმის უკვე მივიწყებულ სიმღერებს. ანსამბლის რეპერტუარში, გარდა ზემოთ ნახსენები "ქალების ნადურისა", თორმეტი ასეთი სიმღერაა. ესენია: საგალობელი "აცაურა", "ირული", ბატონების საბოდიშო "ნანა", "ალილო", "მოკლე მრავალჟამიერი", „სატრფიალო" და სხვა.

ვუსურვოთ ქ-ნ დალის და მის გუნდს წარმატებები ისეთ საშვილიშვილო საქმეში, როგორიცაა ქართული სიმღერის მოძიება, დამუშავება და პოპულარიზაცია.


მზია ხალვაში

ქეთევან ლომსაძე

სიხეთის მხატვარი

მზია ხალვაშის პეიზაჟებში ჩამდგარი "ბრიალა მზის ყირმიზი სხივები" თავისკენ გიხმობენ, გიზიდავენ და ჩვენი სამშობლოს ერთ პაწია, უმშვენიერეს კუთხეში, აჭარაში გადაყავხართ. ეს ერთბაშად მოუხელთებელი, თითქოს კარგად ნაცნობი, მაგრამ მაინც რაღაც სხვაგვარი, უჩვეულო, განუმეორებელი გრძნობაა, რომელიც უამრავ ფიქრს ნამოშლის, ფიქრს გადაჯაჭვულს ჩვენი ქვეყნის ისტორიასთან, მის წარსულთან, წინაპართა გმირულ, თავგანწირულ, ხან კი სრულიად ორდინარულ, შრომისა და ყოველდღიურობის ფუსფუსში ნაძერწ დღეებთან.

საქართველოს ამ მშვენიერ მხარეზე, თამამად რომ შეიძლება მარგალიტი ვუწოდოთ, თითოეულს ბევრი რამ გვსმენია და წაგვიკითხავს, მრავალიც საკუთარი თვალით გვინახავს, ბევრი ტკივილი და სიხარული ამ კუთხის ადამიანებთან ერთად განგვიცდია, მაგრამ მადლიან მიწასთან შეზრდილი, მხატვრის სულში გამონასკვული, პალიტრაზე გადმოღვრილი, ფერთა ჰარმონიად სათუთად აკიაფებული უსასრულო სამყარო გულში სულ სხვა, რაღაც უცნაურ სითბოდ ჩაგეღვრება. მით უფრო, თუ წინაპართა გაკვალულ ბილიკს ადევნებული შემოქმედი საკუთარ ქოხსა და ტაძარს, მთასა და ღელეს, ზღვასა თუ ფერდობს, მინდვრის ყვავილსა თუ ბებერ ფიჭვს სევდანარევ, მშვენიერ ფიქრთა კონად, დახვეწილ ფერთა ჰარმონიად სათუთად კრავს და მოკრძალებით გიწვდის, რათა ვინ იცის, მერამდენედ განიცადო "სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი," შეგეშველოს, თვალი ჰკიდო ამაოებისა და მარადისობის მონისლულ სამანს, ასე საინტერესოდ რომ არის ქართულ მხატვრობასა, მწერლობასა თუ მუსიკაში განზოგადებული.

სამოცდაათიან წლებში, შემოქმედებით ასპარეზზე გამოსულ მრავალმხრივ ნიჭიერ მხატვართა შესანიშნავი პლეადის წარმომადგენელია მზია ხალვაში. მხატვარი, რომელიც მართალია, თავს არ გახვევთ ორიგინალური სტილისტიკით, ფერწერასა თუ გრაფიკაში ფორმალურ ძიებებს არ ისახავს მიზნად, მაგრამ იგი ღირსეულად აგრძელებს ქართული სახვითი ხელოვნების ტრადიციებს

და საკუთარ სათქმელს სრულიად ნათლად, გასაგებად, მაღალი ესთეტიკური კრიტერიუმების გათვალისწინებით წარმოგვიდგენს.

დახვეწილმა გემოვნებამ და ხალხური შემოქედებით გატაცებამ მომავალი ფერმწერი, მზია ხალვაში თბილისის სამხატვრო აკადემიაში, გამოყენებითი ხელოვნებისა და მხატვრობის განყოფილებაზე მიიყვანა. ინტელექტუალურმა გარემომ, ოჯახურმა ტრადიციამ, ფართო განათლებამ, გემოვნებამ და ხელსაქმით გატაცებამ კარგი ნიადაგი მოამზადა მზიას დიზაინერად ჩამოყალიბებაში და ხელი შეუწყო მას საკუთარი წვლილი შეეტანა სამოციან წლებში, ტრადიციული დარგების ასაღორძინებლად დაწყებულ დიდ მოძრაობაში.

ხალიჩების ქსოვის ჩამოყალიბებული სკოლის გადახალისება და გაუმჯობესება, თანამედროვე დიზაინის მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანა ფერწერისა და გრაფიკის სრულყოფილ ცოდნას მოითხოვდა. ამიტომ, ფაკულტეტზე განსაკუთრებული ყურადღება ამ დარგების შესწავლას ეთმობოდა. გამოცდილი პედაგოგების: დავით ციციშვილის, თენგიზ ჯაფარიძის, დიმიტრი ხახუტაიშვილის, ოთარ ჯაფარიძის, ეთერ კაკაბაძისა და გივი ყანდარელის ხელმძღვანელობით მზია მონდომებით შეუდგა ხელოვნების საიდუმლოებებში წვდომას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მხატვრისთვის ნათელი გახდა, რა მნიშვნელობა აქვს ხელოვნების მონაპოვართა საფუძვლიან შეცნობას შესაძლებლობათა სრული გამოვლენის, საკუთარი ხელწერის შესამუშავებლად. მზია ხალვაშის შემდგომმა შემოქმედებითმა წინსვლამ აჩვენა, რომ აკადემიაში დანერგილმა სწავლების აკადემიურმა მეთოდმა გაამართლა. ნიჭიერ ახალგაზრდებთან მუშაობდა საერთო მიზნებითა და ინტერესებით გაერთიანებული პედაგოგთა ჯგუფი: ფერმწერები, გრაფიკოსები, დიზაინრები, ხელოვნების ისტორიის სპეციალისტები, რომლებიც საკუთარ შეხედულებებს თავს კი არ ახვევდნენ სტუდენტებს, არამედ შემოქმედებით თავისუფლებას ანიჭებდნენ მათ, რადგან თითოეულ მათგანში, უპირველეს ყოვლისა, პიროვნება ეგულებოდათ. ამდენად, ინდივიდუალურ თავისებურებათა გახსნას მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს.

მზია ხალვაში გატაცებით სწავლობდა დიზაინის საიდუმლოს, მაგრამ ფერწერისადმი მაინც განსაკუთრებულ ლტოლვას ამჟღავნებდა. ქსოვის ტექნიკის ათვისების პარალელურად, რომლის შედეგად არაერთი საინტერესო ნამუშევარი შეიქმნა, მხატვარი შეუდგა სერიოზულ მუშაობას ნატურმორტსა და პორტრეტზე. ამასთან, იგი აკვირდებოდა განათების ცვალებადობას მზიან თუ ღრუბლიან ამინდში. შეუძლებელია არ დაეფიქრებინა მზია, რაოდენ უჩვეულოდ ფენს სხივებს

გარემოს აჭარის მზე, როგორ იცვლის ესა თუ ის ფორმა იერსახეს სხვადასხვა სინათლეზე. მხატვარი ემოციურად, შინაგანი მღელვარებითა და ტკივილით აღიქვამდა ცოცხალ ბუნებას და თითოეული მოვლენისადმი დამოკიდებულებას ფანქრითა და ფუნჯით, სხვადასხვა ტექნიკის მოშველიებით აღბეჭდავდა.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მზია ხალვაშმა მონაწილეობა მიიღო მრავალ საერთაშორისო, რესპუბლიკური თუ რეგიონული მნიშვნელობის გამოფენაში. დამთვალიერებელი მოიხიბლა აჭარის ბუნების მისეული ხედვით, მშვენიერების აღქმისა და ტილოზე ფერებად აყღერების უნარით, სივრცული აზროვნების შესაძლებლობებით, პლასტიკურ ფორმათა ძიებისაკენ სწრაფვით.

მზია ხალვაში უსულო თუ სულიერ საგანთა იმანენტური თვისებების აქცენტირების, შინაგანი არსის დანახვისა და წინა პლანზე წამოწევის ოსტატია. მის მიერ შემოთავაზებულ ნატურმორტებსა თუ პეიზაჟებში სწორედ ამ მთავარ ნიშანზე ხდება აქცენტირება. ამასთან, ქალური ალღოს მეშვეობით, მას

უჩვეულო სითბო და ხიბლი შემოაქვს თანამედროვე მხატვრობაში.

დღეს მზია ხალვაში არაერთი ჯილდოს მფლობელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარია. ექსპოზიციამ, რომელიც თბილისში, ქარვასლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო, თვალნათლივ დაგვანახა, რაოდენ მნიშვნელოვანია მხატვრის შემოქმედება სამოცდაათიანი წლების კულტურული პროცესების ანალიზისას. მხატვარი თავისუფლად ფლობს ორგანზომილებიან ზედაპირს და მასზე ქმნის პერსპექტივას, რომელიც მუდამ საინტერესო რაკურსით არის აღქმული და ტილოზე გადატანილი. მისი ნამუშევრები გამოირჩევა მთავარ დეტალებზე აქცენტირებით, რომლის მეშვეობითაც იგი დამთვალიერებლის ყურადღების მობილიზებას ახდენს. მზია თავისუფლად ფლობს ფონს, რომლის მეშვეობითაც გამოყოფს მთავარ სათქმელს და ასრულებს კომპოზიციას. იგი ქმნის სიმშვიდის ატმოსფეროს, უჩვეულოდ მყუდრო გარემოს, რომელიც ცხოვრების ფერხულში ჩაბმულ, დაღლილ ადამიანს ასე სჭირდება სულის საოხად და მარადიულ სიკეთეზე დასაფიქრებლად.

გარედან მიღებული და გულის სიღრმეში გატარებული შთაბეჭდილებები მზია ხალვაშის ნამუშევრებში ფერთა მიმზიდველ გამად გარდაიქმნება, რომელიც ხშირად მსუყე საღებავებით მიღებულ კონტრასტებზე კი არ არის აგებული, არამედ ქვეტონების ფაქიზი მონაცვლეობით ქმნის მხატვარი კამერულ განწყობილებას. ცხოვრების ესოდენ გაზრდილი ტემპით გადაღლილ ადამიანებს მზია ხალვაშის შემოქმედება მშვენიერების მარადიულობის რწმენას უნერგავს და ჭეშმარიტ ღირებულებებზე დააფიქრებს.

მზია ბუნებით რომანტიკოსია. თანამედროვე მხატვრობაში დამკვიდრებულ მიმართულებათა მრავალფეროვნებისა და სიჭრელის ფონზე, ნეორომანტიკული ხიბლით აღსავსე ფერწერულ და გრაფიკულ ძიებათა სპექტრს იგი მშვენიერების ახალი წახნაგების ძიებით ამდიდრებს, წინა პლანზე წამოწევს და ახალისებს.

თანამედროვე მხატვრობისთვის დამახასიათებელ პრაგმატიზმსა და კონცეპტუალიზმით მოდურ გატაცებას იგი უპირისპირებს საკუთარ სულში არეკლილ, გულწრფელ შთაბეჭდილებებს. გარემო, რომელსაც მზია გვთავაზობს, ქართულ ფენომენს, ქართულ ხასიათს განსაზღვრავს და აყალიბებს. აქა-იქ აქცენტირებული ეთნოგრაფიული მო-

მენტები მხატვარს განწყობის შექმნაში ეხმარება. პეიზაჟებისა თუ ნატურმორტების თვალიერებისას, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ თვალწინ გაიელვებს მიკროსამყარო, რომელიც უბრალო ადამიანის შრომითა და სიკეთისაკენ დაუოკებელი სწრაფვით, მისი ბუნების განუყოფელ ნაწილად მოაზრებით არის ნაკარნახევი.

საქართველოს ბუნების, ქალაქების, დასახლებული პუნქტების, მიტოვებული სახლ-კარისა თუ ციხე-გოდლების, მდინარეებისა თუ მთებისა და ა.შ. ისტორიულ-ფილოსოფიურ კონტექსტში ხედვა, აწმყოსა და წარსულის განუყოფელ მთლიანობად აღქმაა ნიშანდობლივი მზია ხალვაშის მხატვრობისთვის. პალიტრაზე გადმოღვრილ განცდათა სამყარო რეალობას განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს და ამქვეყნად არსებობის სიხარულს განგაცდევინებთ. სიმბოლოები და საინტერესო მინიშნებები მხატვრის აზროვნების სიღრმეზე მეტყველებს. ყურადღებას იქცევს როგორც მის მიერ შესრულებული პეიზაჟები, ასევე მომხიბლავი ნატურმორტები, ზუსტად აქცენტირებული პიროვნების ხასიათის თვისებები თუ საგნისა და მოვლენის ცალკეული დეტალები, რომლებსაც ხან შეგნებულად გამოყოფს, ხან, უბრალოდ, მხოლოდ სამკაულის ფუნქციას ანიჭებს მათ. მხატვრის მიერ შთაგონებით დახატული ზღვის პეიზაჟები, რომლებიც ლურჯი, ცისფერი და რუხი ფერების მონაცვლეობით მირაჟის შთაბეჭდილებას ქმნის, მნიშვნელოვანი სიტყვაა ქართულ "მარინისტიკაში," რომელიც დიდად არ არის განებივრებული მრავალფეროვნებითა და ხედვის ორიგინალობით.

მზია ხალვაშის მხატვრული სამყარო თავისუფალია მანერიზმისა და ზედაპირულობისგან. მის ფუნჯს გულწრფელად და სიყვარულით გადააქვს ტილოზე სრულიად ჩვეულებრივი საგნები და ობიექტები. მხატვარი ქმნის ატმოსფეროს, რომელშიც არსებობა გახარებთ და გსიამოვნებთ, გიზიდავთ იმპრესიონისტული ილუზორულობით და გულში უჩვეულო სითბო გეღვრებათ. მხატვრის ნამუშევრების გაცნობისას უნებურად იწყებთ ფიქრს თუ, როგორ მოხდა, რომ მანამდე ვერ შენიშნეთ ზღვის ამგვარი მდუმარება, მზით განათებული ოდა სახლის მშვენიერება, გორაკზე შეფენილი, დათოვლილი სახლების სევდა. მხატვარი იშვიათად ხმარობს კონტურს, მსხვილ მონასმებს. ფუნჯის ფაქიზი შეხებით მიღებული სიმსუბუქის შთაბეჭდილება, ფერებითა და შუქ-ჩრდილებით თამაში, რაც რეალობის ილუზორულ განცდას ამძაფრებს, მის მიერ ასახულ სამყაროსთან შეხვედრის სურვილს აღრმავებს და ესთეტიკურ სიამოვნებას განგაცდევინებთ.

ნამუშევრებში განფენილი ემოციური მუხტი, რომელსაც მზია არასოდეს თავს არ გახვევთ, ხან ფერისა და შუქ-ჩრდილების თამაშით, ზოგჯერ კი საგანთა დინამიური მონაცვლეობით გხიბლავთ და ცოცხალი ბუნების შთაბეჭდილებას გიქმნით, ნახატზე გამოსახულ საგანთა იმანენტურ თვისებად იქცევა და ადამიანში დადებით იმპულსებს აღძრავს. სწორედ ეს არის მხატვრის მთავარი მოქალაქეობრივი მისია, შემოქმედისა, რომელმაც თავისუფლებასთან შეხვედრის სიხარული და ჩაბნელებული ქვეყნის ტკივილიანი სევდა გააერთიანა და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რაოდენ მშვენიერია მიწა, სადაც ფეხი ავიდგით და პირველი ქართული სიტყვა წარმოვთქვით, რაოდენ სათუთი მოპყრობა და გაფრთხილება სჭირდება მას.

მხატვრის მიერ თითოეულ ჩვენგანში ჩაგდებული სიკეთის ეს პაწია მარცვლები უცილობლად იხარებს და ნაყოფსაც სასურველს გამოიღებს, ამგვარი რწმენით ქმნის მზია ხალვაში მშვიდ და უპრეტენზიო გარემოს, სამაყაროს, რომელიც არავისა ჰგავს და თუკი ერთხელ მაინც მიეახლეთ, არასოდეს დაგავიწყდებათ.

ქეთი ჩიშიაშვილი

დიალოგი ბუნებასთან

მზია ხალვაში

როდესაც მხატვრის, შემოქმედების შესახებ ვსაუბრობთ, თვალწინ ადამიანის განსაკუთრებულ ტიპს წარმოვიდგენთ, რომელიც ისე არ ცხოვრობს, როგორც ყველა. მას არ აინტერესებს წვრილმანები, ფიქრობს განსხვავებულად, მზერა თითქოს რეალობის მიღმა კიდევ რაღაცას ეძებს. ამ ნიშნების მიხედვით ძნელი არ არის მზია ხალვაშის შემოქმედებითი ბუნების ამოცნობა, იგი სწორედ ისეთი მხატვრების რიცხვს განეკუთვნება, რომელთათვისაც ხელოვნება ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, ცხოვრება და შემოქმედება ერთმანეთით საზრდოობს და მთლიანად მსჭვალავს ცხოვრების ნირს, თითოეულ წვრილმანს.

1970 წლიდან, სამხატვრო აკადემიის დამთავრებიდან დღემდე, მან უამრავი ტილო შექმნა: პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები, არაერთი ჩანახატი, თექაზე ნამუშევრები. ფერწერა მისი ცხოვრების, ყოველდღიურობის, ოჯახური ყოფის ნაწილი გახდა. როგორც თავად აღნიშნავს, ნებისმიერ დროს, ახალგაზრდობაში, უკვე ოჯახსა და შვილებზე ზრუნვისას, ავადმყოფობის თუ გადაუდებელი საქმეების მიუხედავად, ყოველთვის ახერხებდა მოეწყო სამუშაო კუთხე, დაევიწყებინა ირგვლივ ყველაფერი და თავი საყვარელი საქმისთვის მიეძღვნა.

შეგეძლოს იცხოვრო როგორც მხატვარმა, დიდი ფუფუნებაა და ამავე დროს, ყოველდღიური ძალისხმევაც. შემოქმედებითი შრომის საზღაური კი ის ბედნიერებაა, რომელიც საკუთარი სამყაროს ტილოზე გადატანას ახლავს თან. მზია ხალვაშის მთავარი მამოძრავებელი მუხტი პირველი შთაბეჭდილებაა, რომელსაც ბუნებისგან, ადამიანებისა თუ საგნებისგან იღებს. სწორედ ეს შთაბეჭდილებები ქმნის მისი შემოქმედების ძირითად საფუძველს. ემოციური მუხტი, გარდაქმნილი ლირიულ აზროვნებად მთლიანად მსჭვალავს მის მხატვრობას, ძიებებსა და შემოქმედებით ექსპერიმენტებს.

შემოქმედებითი იმპულსების სიღრმეებს, მათ პირველ ჩანასახებს თუ გავყვებით, აუცილებლად მივალთ მხატვრის ბავშობისდროინდელ მოგონებებთან. იმ ადგილებთან — მთებთან, ფერდობებთან, მდინარეებთან და ბილიკებთან, რომელთა მშვენიერების აღქმა ადრეული ასაკიდან მოდის და დღემდე გრძელდება. მზია ხალვაშის პეიზაჟები მჭიდროდაა დაკავშირებული მისთვის მშობლიურ, კარგად ნაცნობ ადგილებთან. აჭარის მთები და სოფლები, მდინარეები, ხეები, ბათუმის ქუჩები, ზღვა და სეინერები ის ადგილებია, რომელთა სიყვარულიც უკვე მოზრდილ ასაკში, მაღალი პროფესიონალიზმის დაუფლების შემდეგ კვლავ იზიდავს მხატვარს. თითოეულ ამ თემას იგი ხშირად იმეორებს, თითქოს არ ძალუძს ამოწუროს მათგან მიღებული ემოცია, არ სურს შეელიოს, რადგან სათქმელი ჯერ ბევრი აქვს. გაუცვეთელი თემების გამეორებას მუდმივად ახლავს თან მრავალმხრივი შემოქმედებითი ძიებები.

პირველ რიგში ვისაუბრებთ მზია ხალვაშის აჭარის ხედების ციკლზე, სადაც განსაკუთრებულად მჟღავნდება მხატვრისეული სამყაროს აღქმა. აქ იგი მთლიანად ავლენს საკუთარ ტემპერამენტს, ფერწერულ და ესთეტურ მისწრაფებებსა და ღირებულებებს.

პეიზაჟურ ფერწერას ხანგრძლივი ისტორია აქვს. თითქოს ყველა შესაძლებლობა ამოწურულია. ბუნებისა და კულტურის დაპირისპირებამ პეიზაჟი, როგორც შთაგონების წყარო, თითქოს გარიყა, უადგილოდ დატოვა და არტეფაქტით ჩაანაცვლა. უკეთეს შემთხვევაში, მოზღვავებული ურბანული პეიზაჟების მეორეხარისხოვან ფონად აქცია.

რეალობის მძაფრი კრიზისის ეპოქაში თითქოს უჩვეულოა ბუნების უშუალო აღქმა, მას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან პირდაპირი, გულწრფელი დიალოგის შესაძლებლობა. დღეს იგი თითქოს ფოტოხელოვნების პრინციპს — "შეჩერდი, წამო, შენ მშვენიერი ხარ" — უფრო პასუხობს, რადგან მასთან ჩვენი კონტაქტი მაღალსართულიანი შენობის სახურავებს შორის მოულოდნელად გამოჩენილი ცის ნაგლეჯით, საგულდაგულოდ გაკრეჭილი გაზონით ან დახეთქილ ასფალტში ამოსული ბალახით ამოიწურება. მზია ხალვაშისთვის ეს ისევ ღირებული სამყაროა. იგი ამ კრიზისისა და დეფიციტის მიღმა იყურება და ისევ ხედავს ბუნებას მთელი თავისი ხიბლით.

პეიზაჟების ეს ციკლი ერთიანობით, საერთო ხედვით გამოირჩევა, სადაც ჩვენს წინ მხატვრის საყვარელი აჭარის ხედების მრავალფეროვნება იშლება. ამ მრავალფეროვნებას პირველ რიგში განსაზღვრავს ფერმწერის ემოციური დამოკიდებულების განსხვავებული ნიუანსები. ყოველი ახალი ტილო შემოქმედის შინაგანი სამყაროს, მისი შთაბეჭდილებების და განცდების ახალი პორტრეტია, სადაც პირველივე წუთს თვალში გვხვდება მხატვრის უშუალო, გახსნილი დიალოგი ბუნებასთან. ერთგვარი დაუბრკოლებელი, თანასწორი საუბარი მასთან.

ჩვენთვის მზია ხალვაშის პეიზაჟისადმი ინტერესი განსაკუთრებით ნიშანდობლივი იმითაც არის, რომ თანამედროვე ხელოვნებამ სახე უცვალა მის ჟანრულ პრინციპებს. ქალაქის როლის წინ წამოწევამ, ადამიანისა და ბუნების გართულებულმა ურთიერთდამოკიდებულებამ დღევანდელ სამყაროში პეიზაჟის ურბანისტული, ინდუსტრიული სახეები წარმოშვა. ჩვენი მსოფლაღქმიდან თითქოს ამოვარდა ბუნების ერთიანი ხატი და ამიტომ იგი შემოქმედის მხედველობის არიდანაც გაქრა. მხატვარს აღარ შესწევს უნარი დატკბეს ბუნებით, პირისპირ ისაუბროს მასთან, რადგან ის ძაფი, ის ენა, რომლითაც ჰარმონიული სამყარო გვესაუბრება, დაკარგულია. სწორედ ეს ძაფი არ დაუკარგავს მზია ხალვაშს. მას ნაკლებად აინტერესებს ბუნების განყენებული ხატის ინტელექტუალური გადამუშავება ან მისი მტკივნეული, ტრაგიკული ყღერადობა. მთავარია, არ დაიკარგოს პირველი განცდა, რაც შეიძლება ჩქარა, ერთი ამოსუნთქვით აღიბეჭდოს ტილოზე. როგორც თავად აღნიშნავს, სურათის შესაქმნელად საჭიროა შთაბეჭდილება, შთაგონება და განწყობა. როცა მათი თანხვედრა ხდება, სწორედ მაშინ იწყება ხატვის პროცესი. თითქოს მხატვარი, ფუნჯის აღებამდე შინაგანად დარწმუნებულია, რომ მისი და ბუნების დიალოგი აუცილებლად შედგება.

შემოქმედებით ამოცანას პასუხობს მუშაობის ტექნიკაც. პირველ ჩანახატებს მხატვარი ბუნებაში აკეთებს, შემდეგ სახელოსნოში აგრძელებს. მუშაობს ძირითადად მასტეხინით და ფუნჯით. ქმნის ერთიან ფერწერულ ქსოვილს. გარდამავალი ფერადოვანი ზედაპირი თითქოს ჩქარი, ერთმანეთის მიყოლებით გაკეთებული მონასმებითაა დაწერილი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მხატვრის პირველად სათქმელს, მისი უშუალობის შთაბეჭდილებას. როგორც თვითონაც აღნიშნავს, ეს ერთგვარი ხერხია იმისთვის, რომ აღქმაში აღბეჭდილის სამყარო ხელშეუხებლად გადმოვიდეს ტილოზე. დასრულებას, გაღრმავებას, ფორმების დაკონკრეტებას კი მაყურებელს ანდობს. მთავარია, რომ მისი განცდები და ჩახატული პეიზაჟის მშვენიერება უკვე ტილოზეა, კონტურების, მკაფიო ხაზების დახატვით, პორტრეტში თითქოს გამუდმებით საკუთარ „მეს" ვეძებ, ვეძებ და ვპოულობ" — ამბობს მხატვარი. საკუთარი სიღრმეების წვდომა, საკუთარი „მეს" ძიება სხვა ადამიანებში ერთგვარი თვითგამოხატვის, თვითრეალიზების პროცესია, სადაც დიალოგი ნატურასა და მხატვარს შორის ღრმა ფსიქოლოგიურ შრეებამდე აღწევს, შინაგანი ბუნება თითქოს მსჭვალავს სახის ნაკვთებს, სიღრმიდან წინ იწევს და გადაფარავს მათ ფიზიკურ სახეს.

პასტელით შესრულებული პორტრეტები ძირითადად მოყავისფრო, მოხორცისფრო ტონებშია გადაწყვეტილი. აქცენტი გადატანილია არა ფერადოვან მხარეზე, არამედ შინაგანი სამყაროს გახსნაზე. უფრო ხშირად ნახატზე გამოსახულია სახე და მხრები, ფონი თითქმის არ იკითხება, ბუნდოვანია და ხშირად მხრებს ერწყმის. ამ ხერხით წინ იწევს სახის გამომსახველობა, მის ირგვლივ დარჩენილი სასურათე სივრცე თითქოს მათი ფიქრების სივრცეა. ფონი, გამოსახულება და შინაგანი უხილავი სამყარო ერთ მთლიანობას ქმნის. როგორც მზია ხალვაში ამბობს, "გარეგნული მსგავსება პროფესიონალიზმის მეშვეობით მიიღწევა, დანარჩენი კი — შინაგანი კარნახით, ინტუიციით". მხატვარს რომ ინტუიცია არ ღალატობს, ეს ყველაზე მეტად პორტრეტებში მჟღავნდება. იგი ინტერესდება არა მხოლოდ გარეგნული მსგავსებით ან ტიპაჟით, არამედ ეძებს უფრო ღრმა ადამიანურ მხარეს, ჩადის და წვდე-

ბა ადამიანის სულიერ პორტრეტს, რის გამოც მის ნამუშევრებზე ადამიანის შინაგანი ბუნება, მორალური მხარე, ღირებულებებიც კი შეგვიძლია ამოვიკითხოთ. აღსანიშნავია აკვარელით, ძუნწი ფერადოვანი ეფექტებით, მქრალ ფერებში შესრულებული ანა კალანდაძის პორტრეტი, სადაც პოეტი ქალის პიროვნებისთვის დამახასიათებელი დიდებული სისადავე იკითხება. განსაკუთრებით ლირიულია დედის პორტრეტი. მასში თითქოს მთელი სინაზე და სათუთი გრძნობებია ჩაქსოვლი. ეს არის მშვენიერი ქალი, რომლის მზერაც უსასრულობაში იკარგება. ნამუშევარი შესრულებულია პასტელით, ზედაპირზე შუქჩრდილის რბილი გადასვლებით. ფიგურა სივრცეს გასცქერს და მის მზერაში ერთდროულად ვკითხულობთ ფარულ სევდას, ლირიულ განწყობას და მხატვრის სათუთ დამოკიდებულებას ნატურისადმი. ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს თმასა და მხრებთან დაფენილი ლურჯი ფერი, რომელიც გამოსახულების მიღმა დარჩენილ სივრცეს თითქოს მოლურჯო ბურუსში ხვევს და პოეტურ განწყობილებას სძენს დედის პორტრეტს.

გასაკვირი არ არის მზია ხალვაშის სიყვარული ნატურმორტის ჟანრის მიმართ, რადგან მისი მშვენიერებისაკენ სწრაფვა გვერდს ვერ აუვლიდა ამ კლასიკურ ჟანრს. ხშირად ხატავს ყვავილებს, რომლებიც მძაფრ ფერადოვან ეფექტს ახდენენ. სიცოცხლით, სურნელებით აღსავსე ყვავილები თითქოს ერთი მშვენიერი ციტატაა მხატვრის ჰარმონიული სამყაროდან, რომელიც მხატვარის მუდმივი და გაუხუნარი აღტაცების ობიექტია. ახლებურ გადაწყვეტას ხშირად მიმართავს ამ ჟანრშიც. აღსანიშნავია ნატურმორტი შავი ქლიავებით, სადაც ფერადოვანი ბრტყელი ლაქების განლაგება დეკორატიულ ულერადობას სძენს კომპოზიციას. ეს არის უბრალო საგნების ფერადოვანი შესაძლებლობების გახსნა. აქაც ისევე, როგორც პეიზაჟებში, უბრალო საგნებით გატაცება იგრძნობა.

მინდა, ისევ დავუბრუნდე მზია ხალვაშის პიროვნებას და კვლავ მისი სიტყვები მოვიშველიო: „არ მიყვარს თავისუფალი დრო, გამუდმებით სულ რაღაცას უნდა ვაკეთებდე". ნებისმიერ მოგზაურობას, ქალაქგარეთ გასვლას, ანდა ფორმათა ბოლომდე დამუშავებას შეუძლია გააფუჭოს კიდეც, ფორმალისტურ აკადემიურობამდე მიიყვანოს ნახატი. იგი ხშირად მიმართავს ფორმათა განზოგადებას, კონტურზე ოდნავი მინიშნებით, მონასმები თავისუფალია, მიწის, ბალახის გადმოცემისას უფრო წვრილ შტრიხებს იყენებს, ხშირად ფოთლები, მთის ზედაპირი ერთიანი, თავისუფალი მონასმითაა შესრულებული. იგი განსაკუთრებული ოსტატობით გვიჩვენებს სივრცეებს მთებსა და გორაკებს შორის, სადაც ცა თითქოს ოდნავ მოჩანს და ჩვენს წინ მთელი სისრულით იშლება პეიზაჟის დიდებულება.

ფერადოვანი გადაწყვეტის დროს შემოქმედი პეიზაჟის ბუნებრივ ფერებს საკუთარი განცდისმიერი ქსოვილით ამდიდრებს, რომელიც დახვეწილი გემოვნებით, ზომიერებით და ფერის ფაქიზი განცდითაა შესრულებული. არის პეიზაჟები, სადაც ფერები უფრო მძაფრია, უფრო მეტად მინდობილი მხატვრის შინაგან მღელვარებას. რიგ შემთხვევაში ტემპერამენტსა და გზნებას იგი ფორმების ძლიერ განზოგადებამდე, ხანდახან კი — ლამის აბსტრაქტულობამდე მიჰყავს. მიუხედავად პირველი ბუნებრივი ეფექტისა, კომპოზიცია ყოველთვის მოწესრიგებულია, ხედვის წერტილი ისეა შერჩეული, რომ კადრმა არ დაკარგოს უშუალობა, არ გახდეს ხისტი და სიმეტრიული. აქ იკვეთება კიდევ ერთი შტრიხი მისი შემოქმედებისა, ბუნებასთან ურთიერთობის კიდევ ერთი თავისებურება. მხატვრის იმპრესიონისტულ მიდგომასთან ერთად, იგი გვაძლევს ბუნების ურღვევ, ერთიან, დაუნანევრებელ ხატს, მისი მთლიანობისა და სისრულის განცდას. ყოველ კონკრეტულ ნამუშევარში თითოეული დეტალი — მობიბინე მთები, მდინარეები, სოფლის პეიზაჟი, ოდები, ბალახში თუ თოვლში ჩაფლული სახლების სამკუთხა თავსახურები, მზით განათებული ფიჭვები — პირველ ემოციურ შთაბეჭდილებასთან ერთად გვიხსნის ბუნების მთლიანობას, მის შინაგანად დასრულებულ, ჰარმონიულ სახეს. ბუნებისგან ნასაზრდოები ყველა უცაბედი, მოციმციმე ემოცია თითქოს საკუთარ თავში მარადიულ განზომილებასაც შეიცავს და ერთიანობაში გადადის მზია ხალვაშის პეიზაჟურ ტილოებზე.

პეიზაჟებს შორის იკვეთება მარინისტული მოტივების სიყვარული. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში აკეთებს ზღვისა და სეინერების უამრავ ჩანახატს. ზღვასთან მჭიდრო ემოციური კავშირი უბიძგებს სხვადასხვაგვარად გახსნას ეს თემა, დააკვირდეს მის ცვალებადობას, ფერადოვან ტრანსფორმაციებს ამინდის ცვლილებისას. ამ შემთხვევაშიც პირველი ჩანახატი ნატურიდან სრულდება და შემდეგ ერთი ამოსუნთქვით გადადის ტილოზე სხვადასხვა გან-

წყობის მარინისტულ პეიზაჟებში. გემები და თოლიები, რომლებიც ხშირად მეორდება, ხან ნისლით დაბურულ ზღვის ფონზეა გამოსახული, ხან ტალახითა და ქაფით მობობოქრე ტალღებს შორის, ხანაც ანძებ აღმართული გემები მშვიდად ლივლივებენ ზღვის ლურჯ ზედაპირზე.

მზია ხალვაში აქტიურად მუშაობს პორტრეტის ჟანრშიც, შესრულებული აქვს 20-ზე მეტი პორტრეტი, მათ შორის ანა კალანდაძის, მიშა ქვლივიძის, ფრიდონ ხალვაშის, ნინო კობერიძის, დარეჯან ხარშილაძის, შვილების, დედის პორტრეტები. იყენებს ძირითადად პასტელს, აგრეთვე აკვარელს, ზეთისა და აკრილის საღებავებს.

პორტრეტის სპეციფიკა და ობიექტის შინაგანი სამყაროს გახსნა მზია ხალვაშისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროა. ეს არის ახალი ფსიქოლოგიური ძიებების ასპარეზი. მზია ხალვაში ხელცარიელი არასოდეს ბრუნდება, მუშაობს ყველგან. მისი მხატვრული სამყარო ყოველდღიურ ყოფასთან ერთად ცხოვრობს, შემოქმედებითი ძიებები კი არასოდეს წყდება. ლონდონში ყოფნისას ასრულებს ლონდონის ჩანახატების ციკლს, სადაც მისი სრულიად განსხვავებული სახე და ინტერესები იკვეთება. ეს არის ტუშით და პასტელით შესრულებული ქალაქური ჩანახატების ციკლი. სცენები ქუჩაში, ბარებსა და კაფეებში, ავტობუსის გაჩერებები, ყოველდღიური სიტუაციები, ჩვეულებრივ ადამიანთა თავშეყრის ადგილები, სადაც სხვადასხვა რაკურსით ნაჩვენებია ქალაქის რიტმი. აქცენტირებულია ხაზების გამომსახველობა და ფიგურათა მოძრაობები, სიუჟეტური სცენები ქალაქის ცხოვრებიდან. ამ ციკლიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს ლონდონის ღამის პეიზაჟი, სადაც ტუშით შესრულებულ ღამის ქალაქის გამჭვირვალე არქიტექტურული სილუეტების ფონზე სიძველისა და შებინდების რომანტიკული განწყობა იკითხება.

ახლა, როცა მხატვრის კიდევ ერთი გამოფენა შედგა და განვლილ წლებს გასცქერს, თავადაც უკვირს მის ირგვლივ თავმოყრილი ნამუშევრების სიმრავლე. 1972 წლიდან იგი აქტიურად მონაწილეობს საკავშირო, საერთაშორისო და რესპუბლიკურ გამოფენებში, არის თხუთმეტამდე საერთაშორისო, ჯგუფური და შვიდი პერსონალური გამოფენის მონაწილე. მისი ნამუშევრები ინახება თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ბათუმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, ლონდონში — რუსული ხელოვნების გალერეაში, მოსკოვის დიდ საგამოფენო დარბაზში, პარიზის კავკასიურ სახლში, ასევე სხვადასხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში: პარიზში, მონპელიეში, ანკარაში, სტამბულში, ლონდონში, მოსკოვში და სხვ.

მზია ხალვაშის სამყარო ახალ გამოცდილებას სძენს მნახველს ბუნებისა და უბრალო საგნების სიყვარულში, მისი ტილოები ისევე პირდაპირ, უშუალოდ საუბრობენ მაყურებელთან, როგორც თავად მხატვარი — საკუთარი შთაგონების წყაროსთან. ამ ყველაფერს თან ახლავს არა მხოლოდ სამყაროთი ტკბობის განცდა, არამედ შემოქმედებითი პროცესის სიხარულიც, რაც ასეთი სინრფელითა და გულუხვობით იღვრება მზია ხალვაშის ტილოებიდან.

მარცხნიდან: ქეთო, ტიციანი, სონია და იოსებ ტაბიძეები
გასული საუკუნის 30-იანი წლები

ვისთვისაც ძვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოთ!

ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42; ტელ: 37-61-53,
„ელვასერვისი“ იოსებიძის 49 ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02 და
„საქპრესა“ ტელ: 51-60-04;
„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში – 24-45-22; 24-45-12 სახალხო ფოსტა

3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
თამარ ქიტუაშვილი
მარი მენთეშაშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

მზია ხალვაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

b 36/30

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

ფასი 3 ლარი
ISSN 1512-3189